N 3 '14

მართლმსაჯულება და კანონი

Justice and Law Legal Journal

№3(42) '14
მართლმსაჯულება და კანონი

მართლმსაჯულება და კანონი N3

Justice and Law

საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი
LEGAL JOURNAL OF THE SUPREME COURT OF GEORGIA AND OF THE JUDGES' ASSOCIATION OF GEORGIA

რედაქტორი
ნინო ძიძიგური

რედაქტორის თანაშემწე
ირმა ბექაური
ნომერზე მუშაობდნენ:
ინგა ალავიძე, მარინე ვასაძე
თარგმანი:
თამარ ნეფარიძე
დიზაინი:
ბესიკ დანელია
ფოტოუზრუნველყოფა:
დავით ხიზანიშვილი

სარედაქციო საბჭო:
დიანა ბერეკაშვილი
თამარ ზამბახიძე
ინგა კვაჭანტირაძე
კონსტანტინე კუბლაშვილი
ზაზა მეიშვილი
ვალერი ცერცვაძე

Editorial Board:
DIANA BEREKASHVILI
TAMAR ZAMBAKHIDZE
INGA KVACHANTIRADZE
KONSTANTINE KUBLASHVILI
ZAZA MEISHVILI
VALERI TSERTSVADZE

Editor:
NINO DZIDZIGURI
Assistant to Editor:
IRMA BEKAURI

The issue was prepared by
INGA ALAVIDZE, MARINE VASADZE
Translated by
TAMAR NEPHARIDZE

Designed by
BESIK DANELIA

Photo support by
DAVIT KHIZANISHVILI

English version of articles has been provided by Candidates of Law faculty of Tbilisi State University

უაკ (UDC) 340.11+340.130.5
მ-306

ISSN 1512-259X

აკრძალულია აქ გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილობითი ნებართვისა და წყაროს მითითების გარეშე.

სარჩევი / CONTENTS

ჯონი ხეცურიანი
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურობის საკითხებზე
5
AUTHORITY OF THE CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA ON THE ISSUES OF CONSTITUTIONALITY OF RECOGNISING OR PRETERM TERMINATION OF THE AUTHORITY OF A MEMBER OF THE PARLIAMENT
JOHN KHETSURIANI

ლეილა კოხრეიძე
სამემკვიდრეო დავებში მონაწილე პირები
26
PERSONS INVOLVED IN INHERITANCE DISPUTES
LEILA KOKHREIDZE

მაია სულხანიშვილი
პრეიუდიციის განმაპირობებელი ფაქტორები და მათი მნიშვნელობა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს
44
UNDERLYING FACTORS FOR STIPULATIONS AND THEIR SIGNIFICANCE DURING THE DECISION MAKING BY THE COURT
MAIA SULKHANISHVILI

გურამ ნაჭყებია
აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებისათვის პასუხისმგებლობის აქსიოლოგიური დასაბუთება
56
PROBLEM OF AXIOLOGICAL JUSTIFICATION OF THE RESPONSIBILITY FOR EXCEEDING THE LIMITS OF NECESSARY SELF-DEFENSE
GURAM NACHKEBIA

ია ხარაზი
საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფა
64
ENSURING THE PAYMENT OF TAX ARREARS
IA KHARAZI

ზურაბ ჭყონია
სასამართლო ორგანიზაციისა და სამოქალაქო პროცესის განვითარება საქართველოში
81
DEVELOPMENT OF JUDICIAL ORGANIZATION AND CIVIL PROCEDURE IN GEORGIA
ZURAB CHKONIA

ეკატერინე ნინუა
საოჯახო სამართლის ადგილი ქართული სამართლის სისტემაში
102
FAMILY LAW IN THE GEORGIAN LEGAL SYSTEM
EKATERINE NINUA

ქეთევან კვინიკაძე, თამარ გვენეტაძე
ასაკი, როგორც უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის წყარო
111
AGE AS THE EMERGING GROUND FOR RIGHTS AND OBLIGATIONS
KETEVAN KVINIKADZE, TAMAR GVENETADZE

125 შორენა გაბიჩვაძე
სატრანსპორტო ექსპედიციის სამოქალაქოსამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი საკითხი

SOME ISSUES ON CIVIL-LEGAL REGULATION OF TRANSPORT EXPEDITION
SHORENA GABICHVADZE

136 ნათია გიგაური
თავისუფალი ინდუსტრიული ზონის პერსპექტივები საქართველოში

FREE ECONOMIC ZONES
NATIA GIGAURI

156 ბაჩანა ჭიშკარიანი
რეცენზია

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურობის საკითხებზე

ჯონი ხეცურიანი
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველ პუნქტში, საკონსტიტუციო სასამართლოს ეს უფლებამოსილება აღნიშნული არ არის. სამაგიეროდ, მას მთლიანად ეძღვნება კონსტიტუციის 54-ე მუხლი, სადაც მითითებულია, რომ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტა პარლამენტის პრეროგატივაა, თუმცა ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოში (პირველი პუნქტი). ამავე მუხლშია მოცემული პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლების ამომწურავი ჩამონათვალიც (მე-2 პუნქტი). საქართველოს კონსტიტუციის ამ და 89-ე მუხლზე (პირველი

პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი) დაყრდნობით, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი სათანადო ადგილს მიუჩენს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილებას მე-19 მუხლში. მასში, კერძოდ, ნათქვამია: საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს „საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი (პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი).“

საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველი უფლებამოსილების საკანონმდებლო რეგლამენტაციაში ყურადღება უნდა გამახვილდეს რამდენიმე გარემოებაზე, რომლებსაც ჩვენი აზრით, პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

პირველი. როგორც კონსტიტუციის, ისე ორგანული კანონის ზემოაღნიშნულ ნორმებში საკონსტიტუციო სასამართლოს ეს უფლებამოსილება ისეა ფორმულირებული, რომ მათში არ არის პირდაპირი მითითება განსჯადი საკითხის კონსტიტუციურობის შემოწმებაზე. თუმცა, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (მე-40 მუხლის პირველი პუნქტი) არაორაზროვნად იკითხება, რომ ამ უფლებამოსილების ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოში სათანადო სუბიექტის მიერ შეტანილი კონსტიტუციური სარჩელის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურობის საკითხი.[1] აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების დაზუსტების მიზნით, საჭიროდ მიგვაჩნია, საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილების საკანონმდებლო რეგლამენტაციისას, მკაფიოდ იყოს მითითება, რომ საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურობის საკითხზე.

მეორე. საქართველოს კონსტიტუციის (54-ე მუხლის პირველი პუნქტი) აზრიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს მხოლოდ მას შემდეგ შეუძლია განიხილოს საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხი, თუ მასზე პარლამენტს უკვე აქვს გადაწყვეტილება მიღებული და ამ გადაწყვეტილებას საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრებს უფლებამოსილი სუბიექტი. აღნიშნული წინაპირობების გარეშე, საკონსტიტუციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, იმსჯელოს ამ საკითხზე. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლო ვერ განიხილავს სათანადო სუბიექტის კონსტიტუციურ სარჩელს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის მოთხოვნით, თუ პარლამენტს არა აქვს მიღებული გადაწყვეტილება ამ საკითხზე. მაშასადამე, ამ კატეგორიის საქმეებზე საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადია პარლამენტის შესაბამისი გადაწყვეტილების კონსტიტუციურობა. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს კონსტიტუციაში გასაგებად არის ნათქვამი, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს „პარლამენტის ეს გადაწყვეტილება“ (54-ე მუხლის პირველი პუნქტი). ამიტომ, თუ არ არსებობს პარლამენტის გადაწყვეტილება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის შესახებ, ვერც საკონსტიტუციო სასამართლო იმსჯელებს მის კონსტიტუციურობაზე. ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისითაც, დასაზუსტებელია საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილების საკანონმდებლო დეფინიცია. კერძოდ, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს „საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის საკითხი.“

მესამე. საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველი უფლებამოსილების ფარგლებში, როგორც უკვე ითქვა, საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტია საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება დადგენილების სახით. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად (მე-10 მუხლის მე-7 პუნქტი), პარლამენტის დადგენილება საკადრო ან პერსონალურ საკითხებზე არ არის ნორმატიული აქტი. გამომდინარე აქედან, რადგანაც პარლამენტის დადგენილება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ პერსონალურ საკითხს ეხება, ამდენად იგი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტია. მაშასადამე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ამ კატეგორიის საქმეებზე ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობის შემოწმებას ახორციელებს. ამასთან დაკავშირებით, პროფ. გიორგი კახიანი აღნიშნავს, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციურ არსენალში ეს არის ერთადერთი უფლებამოსილება, რომლის რეალიზებისას ინდივიდუალურსამართლებრივი აქტის კონსტიტუციურობის შემოწმებაა შესაძლებელი.“[2]

ავტორი სწორად ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებში მოქცეულია ინდივიდუალურსამართლებრივი აქტის კონსტიტუციურობის შემოწმება, რაც საკონსტიტუციო სასამართლოსათვის, მართლაც, უჩვეულო ფუნქციაა. ამ მოსაზრებას ისიც ამყარებს, რომ თავად კონსტიტუციაში (89-ე მუხლის მე-2 პუნქტი), საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული შედეგების განსაზღვრისას, მითითებულია მხოლოდ ნორმატიული აქტების იურიდიული ძალის დაკარგვაზე და შესაბამისად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი შესაძლებელია მხოლოდ ნორმატიული აქტი იყოს.

საკონსტიტუციო სასამართლოს დანიშნულებაა, უზრუნველყოს, უწინარეს ყოვლისა, ნორმატიული აქტების შესაბამისობა ქვეყნის ძირითად კანონთან. რაც შეეხება ინდივიდუალურსამართლებრივ აქტებს, რომლებიც მიიღება (გამოიცემა) მხოლოდ ნორმატიული აქტის საფუძველზე და მის მიერ დადგენილ ფარგლებში, მათი მართლზომიერების შემოწმება, როგორც წესი, ნორმატიულ აქტებთან მათი შესაბამისობის დადგენით შემოიფარგლება, რაც საერთო სასამართლოების და არა საკონსტიტუციო სასამართლოს, კომპეტენციაა. კონსტიტუციური კანონიერების დაცვა და კონსტიტუციის უზენაესობა ასეთ პირობებში მიიღწევა იმით, რომ საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს ნორმატიული აქტების შესაბამისობას კონსტიტუციასთან, ხოლო საერთო სასამართლოები – კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისობას საკანონმდებლო აქტებთან და ინდივიდუალურსამართლებრივი აქტების შესაბამისობას ნორმატიულ აქტებთან.

ჩვენ მიერ განსახილველ შემთხვევაში, ამ საერთო წესიდან გამონაკლისი დაშვებულია იმდენად, რამდენადაც ინდივიდუალურსამართლებრივი აქტით შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს კონსტიტუციით დადგენილი ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყნის საკანონმდებლო ხელისუფლების განმახორციელებელი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს პერსონალურ შემადგენლობას. საკითხის მნიშვნელობისა და დავის საგნის თავისებურებების

გათვალისწინებით, კანონმდებელმა მისი გადაწყვეტა საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადობას მიაკუთვნა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ეს არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს ერთადერთი უფლებამოსილება, რომლის ფარგლებშიც ინდივიდუალურსამართლებრივი აქტის კონსტიტუციურობის შემოწმება ხდება. მსგავსი რამ, მაგალითად, არჩევნების (რეფერენდუმის) დანიშვნის კონსტიტუციურობის შემოწმების დროსაცაა შესაძლებელი, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს ჩასატარებელი არჩევნების (პრეზიდენტის, პარლამენტის და სხვ.) დანიშვნის კონსტიტუციურობის საკითხს. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად (24-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი), ამ უფლებამოსილების ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია გააუქმოს დანიშნული არჩევნები. არჩევნებს კი, საქართველოს პრეზიდენტი განკარგულებით ნიშნავს, რომელიც ინდივიდუალური სამართლებრივი აქტია. ამიტომ არჩევნების დანიშვნის კონსტიტუციურობის საკითხის გადაწყვეტისას, საკონსტიტუციო სასამართლო, რა თქმა უნდა, გვერდს ვერ აუვლის საქართველოს პრეზიდენტის ამ სამართლებრივი აქტის კონსტიტუციურობის შეფასებას.

ჩვენი აზრით, ამ გარემოებით უნდა იყოს განპირობებული ის განსხვავებები, რომლებიც შეინიშნება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული შედეგების კონსტიტუციისეულ და კანონისმიერ რეგლამენტაციებში (მხედველობაში გვაქვს საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის მე-2 პუნქტი და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი). კონსტიტუციისაგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ „ნორმატიული აქტების“ იურიდიული ძალის დაკარგვაზე მიუთითებს, ორგანულ კანონში, „ნორმატიული აქტების“ ნაცვლად, მოხსენიებულია „სამართლებრივი აქტები,“ რომელიც გულისხმობს როგორც ნორმატიულ, ისე ინდივიდუალურსამართლებრივ აქტებს.

როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველი უფლებამოსილების საკანონმდებლო დეფინიციიდან ირკვევა, ამ უფლებამოსილების ფარგლებში საკონსტიტუციო კონტროლი ორი მიმართულებით ხორციელდება, სახელდობრ: პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის (1) ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის (2) საკითხების განხილვა და გადაწყვეტა. საკონსტიტუციო კონტროლის ამ ორ მიმართულებას მნიშვნელოვანი თავისებურებები გააჩნია, ამიტომ მიზანშეწონილია მათი ცალ-ცალკე განხილვა.

1. საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლი

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობა მის პარლამენტის წევრად აღიარებას გულისხმობს და არჩევნებთან არის დაკავშირებული.[3]

საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს დეპუტატის მანდატის მოპოვების წესებს (50-ე მუხლი) და პირობებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პირი, რომ გახდეს პარლამენტის წევრი. სახელდობრ, იგი უნდა იყოს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე, 21 წლის ასაკიდან და არჩეული უნდა იყოს საპარლამენტო არჩევნების შედეგად (49-ე მუხლის მე-2 პუნქტი). აქედან გამომდინარე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ თუ პირი აკმაყოფილებს სამივე

ამ მოთხოვნას, იგი პარლამენტის წევრად ჩაითვლება. მაგრამ საქართველოს კონსტიტუცია (50-ე მუხლის მე-5 პუნქტი) შესაძლებლობას ტოვებს, ორგანული კანონით აგრეთვე, გათვალისწინებული იქნას სხვა დამატებითი პირობებიც პარლამენტის წევრად მოქალაქის ასარჩევად. კერძოდ, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, კონსტიტუციით გათვალისწინებულ ზემოაღნიშნულ მოთხოვნებთან ერთად, ადგენს, რომ საქართველოს პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე, 21 წლის ასაკიდან, რომელმაც იცის ქართული ენა (111-ე მუხლის პირველი პუნქტი), უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში ან საზღვარგარეთ ცხოვრების დროს იდგა საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე (111-ე მუხლის მე-2 პუნქტი), არ არის ნარკომანი ან ნარკოტიკების მომხმარებელი (111-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

ამრიგად, თუ პარლამენტის წევრობის კანდიდატი ყველა ზემოაღნიშნულ მოთხოვნას აკმაყოფილებს და შესაბამისმა საარჩევნო კომისიამ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულად გამოაცხადა, იგი პარლამენტის წევრი გახდება. „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ თანახმად, არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 2 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისია რეგისტრაციაში ატარებს არჩეულ პარლამენტის წევრებს და აძლევს მათ დროებით მოწმობას საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევის შესახებ (131-ე მუხლი). მაგრამ იმისათვის, რომ პარლამენტში არჩეული პირი საბოლოოდ ჩაითვალოს პარლამენტის წევრად, საჭიროა თავად პარლამენტმა ცნოს მისი, როგორც პარლამენტის წევრის, უფლებამოსილება ანუ პარლამენტმა დაადასტუროს, რომ იგი პარლამენტის წევრი გახდა კონსტიტუციითა და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით. ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია, განსაკუთრებით, ახალარჩეული პარლამენტის დროს. კონსტიტუციაში პირდაპირ არის მითითება, რომ ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა უნდა გაიმართოს არჩევნებიდან 20 დღის განმავლობაში. მაგრამ პარლამენტი მუშაობას შეუდგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურებულია დეპუტატთა არანაკლებ, ორი მესამედის უფლებამოსილება (51-ე მუხლი). პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის პროცედურების შესახებ კონსტიტუციაში არაფერია ნათქვამი. მას განსაზღვრავს საარჩევნო კანონმდებლობა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარლამენტს აცნობებს არჩევნების შედეგებს და პარლამენტის შესაბამის კომისიას (კომიტეტს) გადასცემს პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ცნობისათვის საჭირო დოკუმენტაციას – საარჩევნო ოქმებს, მასალებს არჩევნების შედეგების, მათი ჩატარების სისწორის, შემოსული საჩივრების თაობაზე, განცხადებებს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენილი ფაქტების შესახებ და პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობის შესახებ (122-ე მუხლი). პარლამენტის დროებითი სამანდატო კომისია, ხოლო საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის შექმნის შემდეგ – კომიტეტი შეისწავლის ზემოაღნიშნულ დოკუმენტაციას და პარლამენტს წარუდგენს თავის დასკვნას.

ზემოაღნიშნული პროცედურების დასრულების შემდეგ, პარლამენტი კენჭს უყრის დადგენილებას პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ (რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი). კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით, პარლამენტი ცნობს ან არ ცნობს პარლამენტის წევრის უფლებამოსილებას. ორივე შემთხვევაში, პარლამენტის დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოში.

პარლამენტის წევრად არჩეული პირის უფლებამოსილების არცნობას საფუძვლად შეიძლება დაედოს საქართველოს კონსტიტუციითა და საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევა, რომელიც გამორიცხავს პარლამენტის წევრად მის აღიარებას. მაგალითად, საარჩევნო კოდექსის ერთ-ერთი მოთხოვნაა, რომ პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს ნარკომანი ან ნარკოტიკების მომხმარებელი. მაგრამ, თუ ეს პირი შესაბამისმა საარჩევნო კომისიამ არჩეულად გამოაცხადა, საქართველოს პარლამენტს უფლება არა აქვს, ცნოს მისი უფლებამოსილება (111-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული პროცედურებიც, პარლამენტის წევრად არჩეული პირის ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ. საარჩევნო კოდექსის თანახმად, კენჭისყრის დღიდან არაუგვიანეს მე-7 დღისა, წინასწარი მონაცემებით, სავარაუდოდ, არჩეულმა ყველა პარლამენტის წევრობის კანდიდატმა უნდა გაიაროს ნარკოლოგიური შემოწმება და მათზე უნდა შედგეს ცნობა, რომელშიც აღინიშნება, რომ პარლამენტის წევრობის კანდიდატი ჯანმრთელია ან ნარკოტიკების მომხმარებელია. თუ პარლამენტის წევრად არჩეულმა პირმა აღნიშნულ ვადაში არ გაიარა ნარკოლოგიური შემოწმება ან/და უარი განაცხადა ნარკოლოგიურ შემოწმებაზე, საქართველოს პარლამენტი იღებს დადგენილებას პარლამენტის წევრის უფლებამოსილების არცნობის შესახებ (132-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები). ასეთივე შედეგი დადგება იმ შემთხვევაშიც, თუ დადასტურდება, რომ პარლამენტის წევრად არჩეული პირი ვერ აკმაყოფილებს საქართველოს კონსტიტუციითა და საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებსაც, რომლებზეც უკვე გვქონდა საუბარი.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის საკითხი არჩევნებთან არის დაკავშირებული. პარლამენტის წევრობა და შესაბამისად, დეპუტატის მანდატის მოპოვება მხოლოდ არჩევნების გზით არის შესაძლებელი. მაგრამ რამდენად კონსტიტუციურად ან კანონიერად ჩატარდა არჩევნები, ეს საკონსტიტუციო ან საერთო სასამართლოების გადასაწყვეტი საკითხია. თუ სათანადო სუბიექტს სადავოდ მიაჩნია ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების კონსტიტუციურობა ან კანონიერება, მაშინ მან უნდა გაასაჩივროს ჩატარებული არჩევნები საკონსტიტუციო ან საერთო სასამართლოში. სასამართლო განიხილავს ამ საკითხს არჩევნების კონსტიტუციურობის (ან კანონიერების) კონტროლის ფარგლებში და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას: ბათილად ცნობს არჩევნების შედეგებს ან ძალაში დატოვებს მას. პირველ შემთხვევაში, პირი არ ჩაითვლება პარლამენტის წევრად არჩეულად, ამიტომ მისი უფლებამოსილების ცნობის საკითხიც არ დადგება, ხოლო მეორე შემთხვევაში – პირი სასამართლოს მიერ ცხადდება პარლამენტის წევრად არჩეულად და ბუნებრივია, ამას მოჰყვება მისი უფლებამოსილების ცნობის საკითხის განხილვა და გადაწყვეტა პარლამენტში. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ამის თაობაზე პირდაპირ არის ნათქვამი, რომ თუ პირის პარლამენტის წევრად არჩევის კანონიერების ან კონსტიტუციურობის საკითხი გასაჩივრებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ან უზენაეს სასამართლოში, მაშინ მისი, როგორც პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის საკითხს პარლამენტი განიხილავს შესაბამისი კომისიის (კომიტეტის) დასკვნის საფუძველზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირი პარლამენტის წევრად არჩეულად გამოცხადდა სასამართლოს გადაწყვეტილებით (122-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები). გამომდინარე აქედან, დეპუტატის მანდატის მოპოვების პრო-

ცესში საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია ორი დამოუკიდებელი უფლებამოსილებით განისაზღვრება: ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების კონსტიტუციურობის შემოწმებით და პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის კონტროლით.

მართალია, საკონსტიტუციო სასამართლოს ამ ორ უფლებამოსილებას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს, მაგრამ ამასთან, მათ დამოუკიდებელი მნიშვნელობა გააჩნიათ და ამიტომ მათი ერთდროულად განხორციელება დაუშვებელია. მაგალითად, პარლამენტის წევრად არჩეული პირის უფლებამოსილების ცნობის საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის ფარგლებში არ შეიძლება ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების კონსტიტუციურობის სასამართლო კონტროლის განხორციელება. ამავე დროს, უნდა გამოირიცხოს შემთხვევები, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო მას შემდეგ განიხილავს ჩატარებული არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხს, როდესაც პარლამენტს უკვე მიღებული აქვს გადაწყვეტილება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ. სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა განხორციელების ამ წესრიგს უზრუნველყოფენ, 2002 წელს, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში და ასევე, სხვა ნორმატიულ აქტებში შეტანილი ცვლილებების შედეგად შეიქმნა.[4] ადრე არსებული წესი წარმოშობდა პრობლემებს როგორც ხელისუფლების სტაბილურობისა და ლეგიტიმურობის, ისე თვით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების თვალსაზრისით. ამის ნათელი მაგალითია, 1999 წელს საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნებისა და პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ცნობის კონსტიტუციურობის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხილული საქმეები. ამ არჩევნების შედეგების გათვალისწინებით, პარლამენტმა 1999 წლის 20 ნოემბერს მიიღო დადგენილება პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ. პარლამენტის წევრთა ცალკეული ჯგუფების სარჩელების საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლომ პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ცნობიდან 7 თვის შემდეგ, ერთ საარჩევნო ოლქში, ხოლო ერთი წლისა და 4 თვის შემდეგ, კიდევ 3 საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული სისტემით ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგები არაკონსტიტუციურად და ბათილად ცნო.[5] მიუხედავად ამისა, პარლამენტმა არ შეუწყვიტა უფლებამოსილება ამ საარჩევნო ოლქებიდან არჩეულ პარლამენტის წევრებს. ამის შემდეგ პარლამენტის წევრებმა საკონსტიტუციო სასამართლოში მოითხოვეს ზემოაღნიშნული საარჩევნო ოლქებიდან არჩეული პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 20 ნოემბრის დადგენილების კონსტიტუციურობის შემოწმება. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით (მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი) დადგენილ ორკვირიან ვადაში მხოლოდ ერთი სარჩელი იყო შეტანილი. დანარჩენ სამ სარჩელზე ორკვირიანი ვადა უხეშად იყო დარღვეული, რაც გამორიცხავდა მათ არსებითად განსახილველად მიღების შესაძლებლობას. რაც შეეხება იმ ერთ სარჩელს, რომელიც კანონით დადგენილ ვადაში იყო შეტანილი, მისი არსებითად განსახილველად მიღებაც გამოირიცხა, რადგანაც პარლამენტის ამ წევრს უკვე შეწყვეტილი ჰქონდა უფლებამოსილება, ოღონდ არა საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების აღსასრულებლად, არამედ იმის გამო, რომ მან დაიკავა პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა.

ზემოაღნიშნული გარემოებების გამო, საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო ეს სარჩელები არსებითად განსახილველად და თავის 2002 წლის 5 მარტის განჩინებაში რამდენიმე მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა.[6] საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასარჩელო მოთხოვნები არც საჭიროებდნენ არსებით განხილვას, ვინაიდან თითოეულ მათგანში დასმული სადავო საკითხები არსებითად უკვე გადაჭრილი იყო საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ადრე მიღებულ შესაბამის გადაწყვეტილებებში და ფაქტობრივად, საქმე მხოლოდ მათ აღსრულებას შეეხებოდა. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ამ პირთა „დეპუტატობის საკითხი არ უნდა განიხილებოდეს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თვალსაზრისით – საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ადგილი აქვს სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტას სპეციფიკურ ვითარებაში, როცა იგი მთლიანად არჩევნების შედეგების არაკონსტიტუციურობას და ბათილად ცნობას ემყარება.“ გამომდინარე აქედან, საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, საჭიროა „საქართველოს პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ პარლამენტის 1999 წლის 20 ნოემბრის დადგენილებაში ამ სამართლებრივი აქტის მიმღებმა ორგანომ – პარლამენტმა შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები. სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტა და პარლამენტის შესაბამისი დადგენილების სათანადო პუნქტების ძალადაკარგულად გამოცხადება არჩევნების შედეგების არაკონსტიტუციურად და ბათილად ცნობის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. წინააღმდეგ შემთხვევაში, – აღნიშნულია განჩინებაში, – პარლამენტის დადგენილების სადავო ნაწილების ძალაში დატოვება და მათ საფუძველზე სადეპუტატო უფლებამოსილების შენარჩუნება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლის ფუნდამენტურ დებულებას, რომლის თანახმადაც, „პარლამენტი შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით... არჩეული“ პარლამენტის წევრებისაგან.

საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საქმეზე სწორად მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში, დეპუტატობის საკითხი არ უნდა ყოფილიყო განხილული პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თვალსაზრისით, რადგანაც საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტში არ არის გათვალისწინებული ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების არაკონსტიტუციურობა და მისი შედეგების ბათილად ცნობა, როგორც პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი. საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე, სწორად მიუთითა, რომ შექმნილ სიტუაციაში, საქართველოს პარლამენტი თავად უნდა დაბრუნებოდა ამ დეპუტატების უფლებამოსილების ცნობის შესახებ დადგენილებას და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსასრულებლად სათანადო ცვლილებები შეეტანა მასში. მაგრამ პარლამენტმა არ გაითვალისწინა საკონსტიტუციო სასამართლოს ეს განმარტებები და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები არ აღასრულა. ამის გამო, პარლამენტის წევრებმა, რომელთა სადეპუტატო მანდატი ეფუძნებოდა საპარლამენტო არჩევნებს, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ შემდგომში არაკონსტიტუციურად და ბათილად ცნო, ბოლომდე დაასრულეს თავიანთი უფლებამოსილების ვადა.

ეს მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან გვიჩვენებს, თუ რატომ არ არის მიზანშეწონილი პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის შემდეგ, საპარლამენტო არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვა და გადაწყვეტა. საპარლამენტო არჩევნების კონსტიტუციურობის

შემოწმება (თუ ამას სათანადო სუბიექტი საჭიროდ მიიჩნევს) ყოველთვის წინ უნდა უსწრებდეს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობას. ამასთან, თუ ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების კონსტიტუციურობის (ან კანონიერების) საკითხი გასაჩივრებულია სასამართლოში, მაშინ, როგორც ეს ზემოთ ითქვა და კანონმდებლობითაც უკვე ასეა დადგენილი, პარლამენტის შესაბამისი წევრის უფლებამოსილების ცნობის საკითხი პარლამენტმა უნდა განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი პარლამენტის წევრად არჩეულად გამოცხადდა სასამართლოს გადაწყვეტილებით.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულია იმ პირთა წრე, რომლებიც უფლებამოსილი არიან სარჩელით მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის თაობაზე. ამ საკითხზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ: საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, აგრეთვე იმ მოქალაქეს, ვისი როგორც პარლამენტის წევრის უფლებამოსილება არ ცნო პარლამენტმა (მე-40 მუხლის პირველი პუნქტი). საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება საქართველოს პრეზიდენტს შესაძლებლობას აძლევს, საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის მეოხებით უზრუნველყოს კონსტიტუციის მოთხოვნათა დაცვა ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს – პარლამენტის შემადგენლობის ფორმირებისას. პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედისადმი ასეთივე უფლების მინიჭება, უწინარეს ყოვლისა, მიზნად ისახავს, საპარლამენტო უმცირესობამ კონსტიტუციური მართლმსაჯულების საშუალებით გააკონტროლოს იმ პირთა სადეპუტატო მანდატის კონსტიტუციურობა, რომლებიც საპარლამენტო უმრავლესობას მიეკუთვნება. ამ თვალსაზრისით, კანონის ეს ნორმა ასრულებს საპარლამენტო უმცირესობის დაცვის მნიშვნელოვან ფუნქციას.

ორგანული კანონი აგრეთვე ადგენს ვადას, რომლის განმავლობაშიც უნდა იქნეს სარჩელი შეტანილი საკონსტიტუციო სასამართლოში. იგი არ უნდა აღემატებოდეს ორ კვირას, საქართველოს პარლამენტის შესაბამისი გადაწყვეტილების ამოქმედებიდან (მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი). შემჭიდროებული ვადის დადგენა ამ შემთხვევაში განპირობებულია იმით, რომ სწრაფად აღიკვეთოს როგორც არალეგიტიმურად არჩეული პარლამენტის წევრის მონაწილეობა, ისე ლეგიტიმურად არჩეული პირის არდაშვება საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელებაში. ორგანული კანონის თანახმად, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის კონსტიტუციურობის საკითხი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიის განსჯადია (21-ე მუხლის მე-2 პუნქტი). ამ საქმეებში მოპასუხეა საქართველოს პარლამენტი (მე-40 მუხლის მე-2 პუნქტი).

პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ პარლამენტის დადგენილების შეფასებისას, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს კონსტიტუციის იმ დებულებებით, რომლებიც განსაზღვრავენ დეპუტატის მანდატის მოპოვების პირობებსა და წესებს, აგრეთვე კონსტიტუციის ამ ნორმების შესაბამისად მიღებული საკანონმდებლო აქტების მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს პარლამენტის წევრად არჩეული პირი. აქ, ერთი შეხედვით, შეიძლება პრობლემატურად მოჩანდეს, კონსტიტუციის გარდა, სხვა საკანონმდებლო აქტების შემოტანა პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის

კონსტიტუციურობის შემოწმების კრიტერიუმად, მაგრამ მხედველობაშია მისაღები, რომ თავად კონსტიტუციითაა დაშვებული დეპუტატის მანდატის მოპოვების წესების, კონსტიტუციის გარდა, სხვა კანონითაც გათვალისწინება. სახელდობრ, საქართველოს კონსტიტუციის 50-ე მუხლის მე-5 პუნქტში ნათქვამია, რომ „პარლამენტის წევრის არჩევის წესი, აგრეთვე არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის დაუშვებლობა განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.“ კონსტიტუციის ეს ნორმა არ უნდა განიმარტოს წმინდა ფორმალური თვალსაზრისით. აქ იგულისხმება არა მხოლოდ ის, რომ კანონმდებელმა ფორმალური თვალსაზრისით, დააკმაყოფილოს კონსტიტუციის მოთხოვნა და ზემოაღნიშნული საკითხები ორგანული კანონით მოაწესრიგოს, არამედ ისიც, რომ ეს კანონი მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით, კონსტიტუციას შეესაბამებოდეს, გამოხატავდეს მის სულისკვეთებას, ავსებდეს და ავითარებდეს მის დებულებებს.[7] სწორედ ამის გათვალისწინებით უნდა მოხდეს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შესახებ პარლამენტის დადგენილების კონსტიტუციურობის შემოწმება. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს კონსტიტუცია ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს ამ საკითხის განსჯადობას და მას მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეროგატივად მიიჩნევს (54-ე მუხლის პირველი პუნქტი). ეს კი ნიშნავს, რომ საერთო სასამართლოების კომპეტენციაში არ შედის ამ საკითხის კანონიერების თვალსაზრისით განხილვა და გადაწყვეტა.

პარლამენტის წევრის უფლებამოსილების თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილების იურიდიულ შედეგებს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი განსაზღვრავს იმის მიხედვით, თუ რა არის დავის საგანი: პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის (1) თუ არცნობის (2) კონსტიტუციურობა. პირველ შემთხვევაში, კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება გამოიწვევს პარლამენტის იმ დადგენილების (ან მისი ნაწილის) ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, რომლითაც პარლამენტმა ცნო პარლამენტის წევრის უფლებამოსილება (23-ე მუხლის მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი), ხოლო მეორე შემთხვევაში, კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება გამოიწვევს პარლამენტის შესაბამისი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობას, მისი ძალაში შესვლის მომენტიდან და მოქალაქის, როგორც პარლამენტის წევრის, უფლებამოსილების ცნობას, თუ პარლამენტმა არ ცნო მისი უფლებამოსილება (23-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი). ამ ბოლო შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, როგორც ვხედავთ, უკუძალა ეძლევა და იწვევს პარლამენტის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტის ბათილობას, რაც შეიძლება, სამართლიანიც იყოს, მაგრამ საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებასთან არ არის შესაბამისობაში და ამიტომ საჭიროებს კორექტირებას.

2. საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლი

საქართველოს კონსტიტუცია (54-ე მუხლის მე-2 პუნქტი) ამომწურავად ჩამოთვლის იმ საფუძვლებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში, პარლამენტს შეუძლია პარლამენტის წევრს ვადამდე

შეუწყვიტოს უფლებამოსილება. სახელდობრ, პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ:

ა) პირადი განცხადებით უფლებამოსილება მოეხსნა;
ბ) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
გ) სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;
დ) დაიკავა პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა, ან ეწევა შეუთავსებელ საქმიანობას;
ე) დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;
ვ) არასაპატიო მიზეზით ოთხი თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა პარლამენტის მუშაობაში;
ზ) გარდაიცვალა.

პარლამენტის გადაწყვეტილება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოში (54-ე მუხლის პირველი პუნქტი). საქართველოს კონსტიტუციის ეს დანაწესი არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პარლამენტი უფლებამოსილებას ვადამდე შეუწყვეტს პარლამენტის წევრს. საკონსტიტუციო კონტროლს ექვემდებარება პარლამენტის გადაწყვეტილება, რომლითაც პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდა ან არ შეუწყდა. ორივე შემთხვევაში, პარლამენტის გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადია. ასეთი დასკვნა უშუალოდ გამომდინარეობს როგორც საქართველოს კონსტიტუციის (54-ე მუხლის პირველი პუნქტი), ისე „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის ნორმების აზრიდან (23-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები).

აღსანიშნავია, რომ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს ეძღვნება საქართველოს კონსტიტუციის არა მხოლოდ 54-ე მუხლი. მართალია, იგი სპეციალური ნორმაა და მასში ამომწურავადაა ჩამოთვლილი პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ყველა შემთხვევა, მაგრამ ამასთან, კონსტიტუციის 53-ე მუხლში აგრეთვე მოცემულია პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის რამდენიმე კონკრეტული საფუძველი. მასში, კერძოდ, ნათქვამია: „პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. შეუთავსებლობის შემთხვევებს განსაზღვრავს კანონი“ (პირველი პუნქტი). „წინა პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევისას, პარლამენტის წევრს უფლებამოსილება შეუწყდება“ (მე-2 პუნქტი). საქართველოს კონსტიტუციის ამ ნორმის მიზანმიმართულებიდან, უწინარეს ყოვლისა, მოჩანს კანონმდებლის სურვილი, ძირითადი კანონის დონეზე განსაზღვროს პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი სამსახურის თუ საქმიანობის სახეობები. ყოველ შემთხვევაში, ეს მიზანი აშკარად იკვეთება 53-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებაში, თუმცა ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებული კონსტიტუციური ფორმულირება არა გვგონია სრულყოფილი იყოს. საქმე ისაა, რომ კანონმდებელი ამ ნორმაში დეპუტატის სტატუსთან შეუთავსებლობის მხოლოდ ორ შემთხვევას გამოარჩევს სახელდებით და იმასაც არაზუსტად. მაგალითად, „სახელმწიფო სამსახურის“ ნაცვლად, ვფიქრობთ, უფრო სწორი იქნებოდა „საჯარო სამსახურზე“ მითითება,

თუმცა, ესეც ვერ ამოწურავდა დეპუტატის თანამდებობრივი შეუთავსებლობის ყველა შემთხვევას. იგივე ითქმის დეპუტატის სტატუსთან შეუთავსებელ საქმიანობაზეც. მდგომარეობას ვერ შველის კონსტიტუციაში იმის აღნიშვნა, რომ „შეუთავსებლობის შემთხვევებს განსაზღვრავს კანონი," რადგანაც თუ კონსტიტუციამ ამ საკითხის გადაწყვეტა კანონს მიანდო, მაშინ გაუგებარია, რა აუცილებელი იყო, ამ კანონის რეგულირების სფეროდან რამდენიმე მაგალითის მოტანა თავად ძირითად კანონში. თვალსაჩინოებისათვის მაგალითების მოტანა სახელმძღვანელოს და არა კონსტიტუციის საქმეა. კიდევ უფრო გაუგებარია კონსტიტუციის ზემოაღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის დებულების აქ ჩაწერა, რადგანაც მას მთლიანად ფარავს კონსტიტუციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის დებულება, სადაც გარკვევით არის ნათქვამი, რომ პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ „დაიკავა პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა ან ეწევა შეუთავსებელ საქმიანობას."

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით. სახელდობრ, მასში აღნიშნული უნდა იყოს, რომ პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის ან საქმიანობის შემთხვევები განისაზღვრება კანონით (1) და პარლამენტის წევრი იღებს კანონით დადგენილ გასამრჯელოს (2). რაც შეეხება შეუთავსებლობის დარღვევისათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს, იგი კონსტიტუციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით დარჩება ისე, როგორც ის ამჟამად არის მოწესრიგებული.

პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადასთანაა დაკავშირებული, რომელიც იწყება პარლამენტის მიერ მისი, როგორც პარლამენტის წევრის, უფლებამოსილების ცნობიდან და მთავრდება ახალარჩეული პარლამენტის პირველი შეკრებისთანავე. პარლამენტის წევრი 4 წლის ვადით აირჩევა (საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლის პირველი პუნქტი).[8] ჩვენი აზრით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი არასწორად განსაზღვრავს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადის ფარგლებს, კერძოდ კი, მის საწყის ეტაპს. პარლამენტის რეგლამენტი პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადის ათვლას უკავშირებს დეპუტატის მიერ ფიცის დადებას და ადგენს, რომ „პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადა იწყება მის მიერ ფიცის დადებისთანავე..." (მე-8 მუხლის პირველი პუნქტი). ცხადია, ფიცის დადება ამ შემთხვევაში, გაიგივებულია დეპუტატის განსაკუთრებული სტატუსის წარმოშობის პირობასთან, რაც ჩვენი აზრით, უზუსტობაა. დეპუტატის უფლებამოსილების წარმოშობის საფუძველია არა ფიცის დადება, არამედ პარლამენტის მიერ მისი უფლებამოსილების ცნობა, რომლის შემდეგ იგი სადეპუტატო უფლებამოსილებით აღჭურვილ პირად ითვლება, მაგრამ ვიდრე შეუდგებოდეს ამ უფლებამოსილებების განხორციელებას (კენჭისყრაში მონაწილეობა, საკანონმდებლო ინიციატივა და ა. შ.), მან უნდა დადოს ფიცი. ფიცის დადების გარეშე, იგი ვერ განახორციელებს სადეპუტატო უფლებამოსილებებს, რომელიც მას უკვე გააჩნია. ასეთივე წესი მოქმედებს საჯარო ხელისუფლების სხვა ორგანოებშიც (მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტი, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი და სხვ.). გამომდინარე აქედან, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა და მისი გასაჩივრება საკონსტიტუციო სასამართლოში შესაძლებელია მხოლოდ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის შემდეგ, ახალარჩეული პარლამენტის პირველ შეკრებამდე. შესაბამისად, ამ ვადით

განისაზღვრება საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებიც.

ფიცის დადება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვან სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს. მაგრამ რა სამართლებრივი შედეგები მოჰყვება პარლამენტის წევრის მიერ ფიცის დადებაზე უარის თქმას ან კიდევ დათქმებით ფიცის დადებას, ამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობა არაფერს გვეუბნება. რადგანაც კანონმდებელი დუმს, ამიტომ შეიძლება ერთადერთი დასკვნის გაკეთება: პირი, რომლის უფლებამოსილებაც პარლამენტმა ცნო, მაგრამ შემდეგ უარი განაცხადა ფიცის დადებაზე, ჩაითვლება პარლამენტის წევრად, თუმცა, სადეპუტატო უფლებამოსილებებს ვერ განახორციელებს. ეს მდგომარეობა, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარია და იგი საჭიროებს მოწესრიგებას. საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობით, პარლამენტის წევრის მიერ ფიცის დადებაზე თავის არიდება, დათქმებით ფიცის დადება ან ფიცის დადების გარეშე პარლამენტის მუშაობაში მონაწილეობის მიღება, განიხილება დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლად.[9] ჩვენი აზრით, ანალოგიურად უნდა გადაწყდეს ეს საკითხი საქართველოს კანონმდებლობაშიც, სახელდობრ, პარლამენტის წევრის მიერ ფიცის დადებაზე უარის თქმა ან დათქმებით ფიცის დადება მიჩნეულ უნდა იქნეს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის დამოუკიდებელ საფუძვლად. ამისათვის სათანადო დამატება უნდა შევიდეს საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტში.[10]

ახლა, რაც შეეხება საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადის დასრულების განსაზღვრის საკითხს. პარლამენტის წევრი აირჩევა პარლამენტის უფლებამოსილების ვადით, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის თანახმად (50-ე მუხლის მე-4 პუნქტი), მთავრდება ახალარჩეული პარლამენტის პირველი შეკრებისთანავე. ცხადია, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადაც ამავე დროს მთავრდება. თუმცა, ამასთან დაკავშირებით წამოიჭრება ერთი საკითხი, რომელიც განმარტებას მოითხოვს. კერძოდ, რა შედეგები მოჰყვება პარლამენტის დათხოვნას პარლამენტის წევრის უფლებამოსილებასთან მიმართებით. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გამოიწვევს თუ არა პარლამენტის დათხოვნა პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას?

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ პარლამენტის წევრის მანდატის მოქმედების შეწყვეტა შეიძლება იყოს ინდივიდუალური ან კოლექტიური. მანდატის ინდივიდუალური შეწყვეტის შემთხვევები დაახლოებით ისეთივეა, როგორც ეს საქართველოს კონსტიტუციითაა გათვალისწინებული (54-ე მუხლის მე-2 პუნქტი). მანდატის კოლექტიურ შეწყვეტას კი, ადგილი აქვს, როდესაც ამოიწურება კანონით გათვალისწინებული პარლამენტის ლეგისლატურის ვადა, აგრეთვე პარლამენტის დათხოვნის შემთხვევაში. ასეთი წესი მოქმედებს მაგალითად, საფრანგეთში, გერმანიაში, სომხეთსა და სხვა ქვეყნებში, სადაც პარლამენტის დათხოვნა იწვევს პარლამენტის ყველა წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას.[11]

საქართველოს კონსტიტუციით, პარლამენტის დათხოვნა მაშინვე არ იწვევს პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების კოლექტიურ შეწყვეტას. პარლამენტის დათხოვნის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების ამოქმედებიდან, მართალია, პარლამენტი, როგორც წესი, წყვეტს თავის საქმიანობას, მაგრამ თავად პარლამენტი და მისი წევრები ინარჩუნებენ თავიანთ უფლებამოსილებას ახალარჩეული პარლამენტის პირველ შეკრებამდე. ასეთი დასკვნისათვის საფუძველს

იძლევა შემდეგი გარემოებები: პირველი, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, დათხოვნილი პარლამენტი, როგორც გამონაკლისი, შესაძლებელია პრეზიდენტის მიერ შეიკრიბოს საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დამტკიცების, ანდა საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაგრძელების საკითხის გადასაწყვეტად. ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისთანავე პარლამენტი წყვეტს თავის საქმიანობას (50-ე მუხლის 3[1] პუნქტი). მართალია, დათხოვნილი პარლამენტი მხოლოდ ამ ორ საკითხზე იღებს გადაწყვეტილებას, მაგრამ პარლამენტის წევრებისათვის უფლებამოსილების შენარჩუნების გარეშე, ამ გადაწყვეტილებების მიღება შეუძლებელი იქნებოდა; მეორე, საქართველოს პარლამენტის რეგალმენტში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადა მთავრდება ახალარჩეული პარლამენტის პირველი შეკრებისთანავე (მე-8 მუხლის პირველი პუნქტი).

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, პარლამენტის დათხოვნა, ყველა შემთხვევაში, გულისხმობს პარლამენტის წევრების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას, რადგანაც პარლამენტის დათხოვნას მოჰყვება პარლამენტის რიგგარეშე არჩევნები. საქართველოს საარჩევნო კოდექსში რიგგარეშე არჩევნები განმარტებულია როგორც არჩევნები, რომელიც ტარდება საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს ან საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო (მე-2 მუხლის „დ.ბ“ პუნქტი). პარლამენტი, როგორც საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანო, მისი დათხოვნის შემთხვევაში, ვერ დაასრულებს კონსტიტუციით განსაზღვრულ თავისი უფლებამოსილების ოთხწლიან ვადას. შესაბამისად, დათხოვნილი პარლამენტის წევრებსაც უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდებათ ახალარჩეული პარლამენტის პირველი შეკრებისთანავე.

მართალია, პარლამენტის დათხოვნა, საბოლოო ანგარიშში, უთუოდ იწვევს პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო, იგი არ არის შეტანილი პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლების კონსტიტუციისეულ ჩამონათვალში (54-ე მუხლის მე-2 პუნქტი). ჯერ ერთი, პრეზიდენტი აქტს გამოსცემს პარლამენტის დათხოვნის და არა პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ. მეორეც, კონსტიტუციის თანახმად (54-ე მუხლის პირველი პუნქტი), პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ პარლამენტის განსაკუთრებული უფლებამოსილებაა, ამიტომ არც ერთ სხვა ორგანოს, მათ შორის, საქართველოს პრეზიდენტს, არა აქვს უფლება პარლამენტის წევრს შეუწყვიტოს უფლებამოსილება.

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის მიერ პარლამენტის დათხოვნას შედეგად მოსდევს პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ვადამდე კოლექტიური შეწყვეტა, პარლამენტის წევრებს არ შეუძლიათ საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრონ პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი პარლამენტის დათხოვნის შესახებ, რადგანაც მოქმედი კანონმდებლობით, ეს საკითხი საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლს არ ექვემდებარება. ამის თაობაზე ვერც საერთო სასამართლოს მიმართავენ, რადგანაც იგი არ არის ადმინისტრაციულსამართლებრივი ურთიერთობის საგანი. ეს წმინდა კონსტიტუციურსამართლებრივი საკითხია, რომელიც საქართველოს ძირითადი კანონითაა მოწესრიგებული.

ამრიგად, საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს

განსჯადი შეიძლება იყოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების მხოლოდ ვადამდე ინდივიდუალური შეწყვეტის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილება.

პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ან არ შეწყვეტის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის ამოცანაა იმის დადგენა, თუ რამდენად შეესაბამება პარლამენტის გადაწყვეტილება კონსტიტუციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რომლებიც ძირითადი კანონის 53-ე და 54-ე მუხლებშია ჩამოყალიბებული, დეპუტატის მანდატის ვადამდე შეწყვეტის საფუძვლების სახით. ამ საფუძვლების შინაარსი და პარლამენტის შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად მათი გამოყენების პროცედურები განსაზღვრულია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით და სხვა საკანონმდებლო აქტებით. ამიტომ, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის შეფასებისას, საკონსტიტუციო სასამართლო უნდა დაეყრდნოს ამ საკანონმდებლო რეგულაციებს. მაგალითად, პირადი განცხადებით პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას, პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა უნდა დაადგინოს განცხადების ნამდვილობა და გარემოება, რომელიც საფუძვლად დაედო განცხადებას და მოამზადოს შესაბამისი დასკვნა (მე-8 მუხლის მე-6 პუნქტი). ცხადია, ამ დებულების მიზანია, პარლამენტმა, დეპუტატის მანდატის ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, გაარკვიოს, პარლამენტის წევრის მიერ გაკეთებული პირადი განცხადება მისი ნების თავისუფალი გამოვლინებაა, თუ იძულების შედეგია. თუ პარლამენტმა ამ საკითხს გვერდი აუარა, მაშინ იგი უსათუოდ იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯის საგანი.

საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებით პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ საერთო სასამართლოების შესაბამის აქტებს, სახელდობრ, კანონიერ ძალაში შესულ სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს, სასამართლოს მიერ დეპუტატის ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებას ან გარდაცვლილად გამოცხადებას (პარლამენტის რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები).

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი დეტალურ განმარტებას იძლევა, თუ რა იგულისხმება პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელ თანამდებობასა და საქმიანობაში, რომელიც კონსტიტუციაში ზოგადი აკრძალვის სახითაა გადმოცემული. რეგლამენტის თანახმად, პარლამენტის წევრის სტატუსთან სამეწარმეო საქმიანობის ან საჯარო სამსახურში რაიმე თანამდებობის შეთავსება დაუშვებელია (მე-10 მუხლის პირველი პუნქტი). ამასთან, პარლამენტის წევრის სტატუსთან სამეწარმეო საქმიანობის შეუთავსებლობის მოთხოვნები არ ხელყოფს პარლამენტის წევრის საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ საკუთრების უფლებას. იგი შეიძლება ფლობდეს აქციებს, წილს და სხვა ქონებას (მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი). პარლამენტის წევრს ეკრძალება უშუალოდ განახორციელოს არაერთჯერადი საქმიანობა მოგების მიზნით მატერიალური ფასეულობებისა და ფინანსური საშუალებების სამართავად (მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი); უშუალოდ განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო და საკონსულტაციო ორგანოს წევრის უფლებამოსილებანი (მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი). პარლამენტის წევრს არა აქვს უფლება იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორ-

განოს წევრი, ეკავოს თანამდებობა სხვა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში (მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი). პარლამენტის წევრი იმავდროულად შეიძლება ეწეოდეს სამეცნიერო, პედაგოგიურ, სახელოვნებო საქმიანობას, თუ ასეთი საქმიანობა არ ითვალისწინებს ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებას (მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი). ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულება გულისხმობს სამეცნიერო, სასწავლო, სახელოვნებო დაწესებულებაში თანამდებობის პირის მიერ საკადრო, დისციპლინურ და სხვა საკითხებზე ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას (მე-10 მუხლის მე-5 პუნქტი). ამასთან, პარლამენტის წევრი შეიძლება ეწეოდეს პარტიულ საქმიანობას, ეკავოს რაიმე თანამდებობა პარტიულ ორგანიზაციაში (მე-10 მუხლის მე-6 პუნქტი).

პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის შეფასებისას, საკონსტიტუციო სასამართლო კანონმდებლობის მხოლოდ ზემოაღნიშნული დებულებებით როდი შემოიფარგლება. ზოგიერთ შემთხვევაში, იგი თავად იძლევა დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციური საფუძვლების ინტერპრეტაციას და ქმნის ფრიად საგულისხმო სასამართლო პრეცედენტებს. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 13 ივლისის # 1/2/378 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვალერი გელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“[12]

ვალერი გელაშვილი, რომელიც იყო საქართველოს პარლამენტის წევრი და იმავდროულად, სამშენებლო კომპანიის შპს „ევრას“ ერთადერთი პარტნიორი და 100%-იანი წილის მფლობელი, საქმიან მოლაპარაკებებს აწარმოებდა სხვადასხვა თანამდებობის პირებთან შპს „ევრას“ სახელით და მისი ინტერესების სასარგებლოდ. ამით მან უშუალოდ განახორციელა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილება, რაც ემსახურებოდა საზოგადოების მიზანს.

2006 წლის 31 მარტს, საქართველოს პარლამენტმა ვალერი გელაშვილს სადეპუტატო უფლებამოსილება ვადამდე შეუწყვიტა პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების გამო.

ვალერი გელაშვილმა კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვა საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან და 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტთან მიმართებით პარლამენტის ზემოაღნიშნული დადგენილების არაკონსტიტუციურად, ძალადაკარგულად ცნობა და მისი, როგორც პარლამენტის წევრის, უფლებამოსილების აღდგენა.

მოსარჩელე თავის მოთხოვნას ასაბუთებდა იმით, რომ მას თავისი წილი შპს „ევრაში“ სამართავად სხვისთვის ჰქონდა გადაცემული და ამდენად, არ არღვევდა საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს. ასევე, იგი არ ახორციელებდა არც საწარმოს ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, რადგან არ იყო შპს „ევრას“ არც დირექტორი და არც სამეთვალყურეო, სარევიზიო და საკონსულტაციო ორგანოს წევრი.

მთავარი საკითხი, რომელიც საფუძვლად უნდა დადებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ამ საქმეზე, მდგომარეობდა სასამართლოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის კერძოსამართლებრივისაგან განსხვავებულ, კონსტიტუციურსამართლებრივ განმარტებაში, რადგანაც

კერძოსამართლებრივი თვალსაზრისით, ვალერი გელაშვილი არ ახორციელებდა სამეწარმეო საქმიანობას.[13] რა თქმა უნდა, სასამართლო მთლიანად ვერ უგულებელყოფდა სამეწარმეო საქმიანობის კერძოსამართლებრივ ცნებას, მაგრამ ამასთან, მას პასუხი უნდა გაეცა კითხვისთვის: სამეწარმეო საზოგადოებაში დეპუტატის ფაქტობრივი წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობითი საქმიანობა, როცა იგი ფორმალურად არ იყო ამ საზოგადოების დირექტორი, უნდა განხილულიყო თუ არა კონსტიტუციის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ სამეწარმეო საქმიანობად?

საკონსტიტუციო სასამართლომ ამის თაობაზე შემდეგი განმარტება გააკეთა:

„საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლის მიზანმიმართულებიდან გამომდინარე, მისი გონივრული განმარტება უნდა გულისხმობდეს დეპუტატის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების დაუშვებლობას არა მარტო ფორმალური – კანონის მოთხოვნათა საფუძველზე დანიშნული დირექტორის სახით, არამედ იმ პირის მიერაც, რომელიც მართალია, არ არის დირექტორი, მაგრამ ფაქტობრივად ახორციელებს დირექტორის ფუნქციას... კონსტიტუციურსამართლებრივად შეფასებას მოკლებული ვერ იქნება საწარმოს ხელმძღვანელის უფლებამოსილების ფაქტობრივი განხორციელება. როცა საუბარია დეპუტატის მხრიდან სამეწარმეო საქმიანობის შეუთავსებლობაზე, მართლწესრიგისათვის მიუღებელია ამ საქმიანობის არა მარტო ჩვეულებრივი სახით (ფორმალური ნიშნების დაცვით) განხორციელება, არამედ ფაქტობრივი განხორციელებაც... საჯარო წესრიგისათვის საშიში იქნება ფაქტობრივი სინამდვილის იგნორირება და არსებულად მხოლოდ იმისი აღიარება, რაც მხოლოდ ფორმალურად არსებულია. ასეთი მიდგომა ხელ-ფეხს გაუხსნიდა თანამდებობის პირებს, განეხორციელებინათ სამეწარმეო საქმიანობა და ფორმის არარსებობის მოტივით ემართლებინათ თავი. ამდენად, ის, რაც ფორმის დაცვითაც მიუღებელია, ივარაუდება, რომ ფაქტობრივადაც მიუღებელია. როცა თანამდებობის პირი არ შეიძლება იყოს სამეწარმეო საზოგადოების დირექტორი, ივარაუდება, რომ მას ეკრძალება შესაბამისი ფაქტობრივი ხელმძღვანელობითი საქმიანობაც.“[14]

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ სავსებით მართებულად არ დააკმაყოფილა ვალერი გელაშვილის კონსტიტუციური სარჩელი.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-40 მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოში პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, აგრეთვე იმ მოქალაქეს, ვისი, როგორც პარლამენტის წევრის, უფლებამოსილება ვადამდე შეწყვიტა პარლამენტმა. ამ საქმეში მოპასუხეა პარლამენტი. კონსტიტუციური სარჩელის შეტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ორ კვირას პარლამენტის შესაბამისი გადაწყვეტილების ამოქმედებიდან. ორგანული კანონის ამ ნორმის მიზანდასახულობა, საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართვის სუბიექტებისა და კონსტიტუციური სარჩელის შეტანის ვადის განსაზღვრისას, ისეთივეა, როგორც პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ დავების გადაწყვეტის საკანონმდებლო რეგულირებისას, რომელზეც ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. ორგანული კანონით, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურობის საკითხი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიის განსჯადია (21-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

ზემოაღნიშნული კანონის 23-ე მუხლი ადგენს იმ იურიდიულ შედეგებს, რომელიც მოჰყვება კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილებას ასეთ საქმეებზე. კერძოდ, კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს: პარლამენტის შესაბამისი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობას მისი ძალაში შესვლის მომენტიდან და პარლამენტის წევრის უფლებამოსილების აღდგენას, თუ პარლამენტმა მას ვადამდე შეუწყვიტა უფლებამოსილება (მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი) ან პარლამენტის შესაბამისი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან და პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას, თუ მას პარლამენტმა ვადამდე არ შეუწყვიტა უფლებამოსილება (მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი).

შენიშვნები:

1 აღსანიშნავია, რომ ამ საკითხს სათანადო ყურადღება მიაქცია პროფ. გ. კახიანმა. იხ.: გიორგი კახიანი, საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში, თეორია და კანონმდებლობის ანალიზი, „მერიდიანი“, თბილისი, 2011, გვ. 279-280.

2 გიორგი კახიანი, მით. ნაშრომი, გვ. 280.

3 იხ.: გიორგი კახიანი, მით. ნაშრომი, გვ. 273.

4 იხ.: ჯონი ხეცურიანი, ნოვაციები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში, წიგნში: ჯონი ხეცურიანი, დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ, „სეზანი“, თბილისი, 2006, გვ. 291-292.

5 იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2000 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე #3/122, 128, საქართველოს პარლამენტის წევრთა ორი ჯგუფი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2001 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე #6/134-139-140, საქართველოს პარლამენტის წევრთა სამი ჯგუფი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ, კრებულში: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. გადაწყვეტილებები, 2000-2001, თბილისი, 2003 წ., გვ. 18-40, 73-94.

6 იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 მარტის # 1/2/122, 134, 139, 140 განჩინება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

7 მსგავს საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებები იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე #2/2-389, საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, კრებულში: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. გადაწყვეტილებები, 2006-2007, ბათუმი, 2009, გვ. 221-257.

8 საქართველოს კონსტიტუციის ამ ნორმაში (49-ე მუხლის პირველი პუნქტი), როგორც ვხედავთ, იმპერატიულად არის დადგენილი დეპუტატის უფლებამოსილების ოთხწლიანი ვადა. საქართველოს საარჩევნო კოდექსის

თანახმად, იმავე ვადით აირჩევა საქართველოს პარლამენტიც (109-ე მუხლის მე-2 ნაწილი). არადა, ეს ყოველთვის ასე არ არის. მაგალითად, პარლამენტის წევრის გამოკლების შემთხვევაში ჩატარებული შუალედური მაჟორიტარული არჩევნებისას, დეპუტატი აირჩევა არა ოთხი წლის ვადით, არამედ ამ პარლამენტის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით, რომელიც რა თქმა უნდა, ოთხ წელზე ნაკლები იქნება. ამიტომ, ძირითად კანონთან სხვა კანონების კოლიზიის თავიდან ასაცილებლად, ჩვენი აზრით, საჭიროა ეს საკითხი თავად კონსტიტუციით იქნას მოწესრიგებული, კერძოდ, კონსტიტუციაში აღნიშნული უნდა იყოს, რომ დეპუტატის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება პარლამენტის უფლებამოსილების ვადით, აგრეთვე ვადამდე უფლებამოსილებაშეწყვეტილი დეპუტატის ადგილმონაცვლე დეპუტატის არჩევის შემთხვევაში, ამ უკანასკნელის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება შესაბამისი პარლამენტის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

9 იხ.: Депутат парламента в зарубежных государствах. «Юридическая литература», М., 1995, с. 24, 39.

10 ამას გარდა, ჩვენი აზრით, საქართველოს კონსტიტუციაში პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლების ჩამონათვალი კიდევ უნდა გაფართოვდეს. საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით (გერმანია, პორტუგალია და სხვ.), პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლად უნდა დადგინდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ იმ პარტიის აკრძალვა, რომლის პარტიული სიითაც არის არჩეული ეს დეპუტატი ან რომელმაც წარადგინა იგი მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ასარჩევად. საგულისხმოა, რომ ამჟამად მოქმედი საარჩევნო კოდექსით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პარტიის აკრძალვა, პარტიის საარჩევნო რეგისტრაციისა და რეგისტრირებული მაჟორიტარი კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმებას იწვევს (113-ე მუხლის მე-12 ნაწილის „ბ“ პუნქტი, 118-ე მუხლის „ბ“ პუნქტი). ასევე, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი უნდა გახდეს დეპუტატის მიერ პარტიული კუთვნილების შეცვლა, ანუ იმ პარტიის წევრად გახდომა, რომლისგანაც იგი არ ყოფილა არჩეული პარლამენტში (იხ.: Депутат парламента в зарубежных государствах, с. 63, 101).

11 იხ.: Депутат парламента в зарубежных государствах, с. 86, 100; Конституции государств – участников СНГ, „НОРМА-ИНФРА“, М., 1999, с. 98.

12 იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. გადაწყვეტილებები. 2006-2007, ბათუმი, 2009, გვ. 48-73.

13 ამასთან დაკავშირებით იხ.: ბესარიონ ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, გვ. 73-77; ბესიკ ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მოკლე კომენტარებით, ბათუმი, 2010, გვ. 95.

14 საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები, მით. გამოცემა, გვ. 62-63.

AUTHORITY OF THE CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA ON THE ISSUES OF CONSTITUTIONALITY OF RECOGNISING OR PRETERM TERMINATION OF THE AUTHORITY OF A MEMBER OF THE PARLIAMENT

JOHN KHETSURIANI
Doctor of Law, Professor Academician of the National Academy of Sciences of Georgia

The article discusses one of the authorities of the Constitutional Court of Georgia on controlling the constitutionality of the seat of a member of the Parliament. This authority of the Constitutional Court aims at maintaining the requirements to the composition of the highest representative body, which carries out the legislative power of the country, as established by the Constitution.

While carrying out this authority, main task of the Constitutional Court is to control the Resolution of the Parliament on recognition or pre-term termination of the office of a member of the Parliament. In order to carry out this authority, there should be a precondition – a constitutional claim lodged to the Constitutional Court by a relevant

subject (President, no less than one fifth of the members of the Parliament, also that citizen, whose authority as a member of the Parliament was not recognised or was terminated before expiration of office by the Parliament). Decisions of the Constitutional Court regarding these cases bring the following consequences: elimination of participation of an illegitimately elected MP in carrying out of legislative power, also non-admission of a person who has been elected illegitimately, also, discontinuation of the seat of the Member of the Parliament in case of occupying a position which is incompatible with the status of an MP, carrying out an incompatible activity, or in case of other grounds envisaged under the Article 54 of the Constitution of Georgia.

The article provides justification for particular proposals on further perfection of legislative regulation of this authority of the Constitutional Court.

სამემკვიდრეო დავებში მონაწილე პირები

ლეილა კოხრეიძე
თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დოქტორანტი

შესავალი

მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ დავებზე სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ასეთი საქმეების განხილვისას ხშირად წარმოიშობა სირთულეები არამარტო მატერიალური, არამედ ასევე, საპროცესო სამართლის ნორმების გამოყენებისას. მოცემული კვლევის საგნის წარმართვა მატერიალური და საპროცესო სამართლის დარგების თანაფარდობის ჭრილში განაპირობებს კვლევის განზრახვას, გამოავლინოს და აღწეროს სამართლის ამ დარგების, როგორც განსაზღვრული მთლიანობის ელემენტების გამაერთიანებელი სისტემისათვის დამახასიათებელი კავშირი. ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეების განხილვის პროცესუალური თავისებურებების გათვალისწინება ხელს შეუწყობს სასამართლოებს თავიდან აიცილონ შეცდომები როგორც მატერიალური, ისე საპროცესო სამართლის ნორმების გამოყენებისას.

ზოგადად, მატერიალური და საპროცესო სამართლის თანაფარდობის საკითხები ყოველთვის აქტუალურია ფიზიკური და იურიდიული პირების სუბიექტური უფლებებისა და კანონით

დაცული ინტერესების დაცვის ფორმების მუდმივი სრულყოფის თვალსაზრისით.[1] ასეთი ურთიერთკავშირის ზღვარის დადგენა ხელს უწყობს სამართალწარმოების სახეების, ცალკეული კატეგორიის საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის პროცესუალური თავისებურებების, მატერიალურ კანონმდებლობაში საპროცესო ნორმების გამოვლენას.[2]

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის, მისი ცალკეული ინსტიტუტებისა და ნორმების სრულყოფა შესაძლებელია მხოლოდ მთელი საპროცესო ნორმატიული მასალის, ასევე, მატერიალური სამართლის შესაბამისი ნორმების გათვალისწინებით.

მემკვიდრეობასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობიდან გამომდინარე, განისაზღვრება სარჩელის საგანი და საფუძველი, პროცესის სუბიექტური შემადგენლობა, მტკიცების საგანი და აუცილებელი მტკიცებულებები, საქმის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები და დავის მორიგებით დასრულება.

ამგვარად, მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების განხილვისა და გადაწყვეტის პროცესუალური თავისებურებების შემეცნებას გააჩნია მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

I. მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეებში მონაწილე პირთა შემადგენლობა

სასარჩელო განცხადების მიღებისას სასამართლომ უნდა გაარკვიოს, რომელი მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოიშვა დავა, ვინაიდან სწორედ ამის მიხედვით განისაზღვრება საქმეში მონაწილე პირთა წრე. სასარჩელო წარმოების წესით განსახილველ საქმეში მხარეებს წარმოადგენენ მოსარჩელე და მოპასუხე.[3] საქმეში მონაწილე პირებს შეიძლება წარმოადგენდნენ ასევე, მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და მოთხოვნის გარეშე.

სამემკვიდრეო დავაში მონაწილე პირთა ჩამონათვალი დამოკიდებულია მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის სუბიექტთა წრეზე. სახელდობრ, ასეთ სუბიექტებად ხშირად გვევლინებიან: 1) კანონით მემკვიდრეები; 2) ანდერძით მემკვიდრეები; 3) მემკვიდრეები წარმომადგენლობის უფლებით; 4) მემკვიდრეები მემკვიდრეობითი ტრანსმისიით; 5) სავალდებულო წილის უფლების მქონე მემკვიდრეები; 6) არაშრომისუნარიანი პირები, რომლებიც მამკვიდრებლის რჩენაზე იმყოფებოდნენ; 7) ანდერძის აღმსრულებელი; 8) საანდერძო დანაკისრის მიმღები მემკვიდრე (ლეგატარი); 9) პირი, რომლის სასარგებლოდაც არის განხორციელებული საანდერძო დანაკისრი (ლეგატი); 10) მამკვიდრებლის კრედიტორები; 11) სახელმწიფო.

მემკვიდრეობის შესახებ კანონმდებლობის განვითარების ანალიზი გვიჩვენებს, რომ თანდათანობით ფართოვდება კანონით მემკვიდრეთა წრე.[4] რაც, მატერიალური თვალსაზრისით, ხელს უწყობს სამკვიდრო ქონების მამკვიდრებლის ნათესავებზე გადასვლას, კერძო პირთა საკუთრებაში სამკვიდრო ქონების შენარჩუნების უფრო ფართო შესაძლებლობების შექმნას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო კოდექსი ვრცელდება მხოლოდ იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშობა ამ კოდექსის ამოქმედების

შემდეგ (პირველი ნაწილი). იმ ურთიერთობათა მიმართ, რომლებიც წარმოიშვა სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლამდე, ამ კოდექსის ნორმები გამოიყენება 1997 წლის 25 ნოემბრიდან წარმოშობილი უფლებებისა და მოვალეობების მიმართ (მეორე ნაწილი). სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების გამო ძალადაკარგული ნორმატიული აქტების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება ეს ნორმატიული აქტები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ურთიერთობის მონაწილეებს სურთ ერთმანეთს შორის ურთიერთობა ამ კოდექსით მოაწესრიგონ, ან თუ სამოქალაქო კოდექსი უძრავი ნივთების შესახებ ახალ წესებს ითვალისწინებს (მესამე ნაწილი). ამდენად, მემკვიდრეთა წრე განისაზღვრება იმ კანონის შესაბამისად, რომელიც მოქმედებდა სამკვიდროს გახსნის დროისათვის.

კანონით მემკვიდრეთა წრის გაფართოება არ შეიძლებოდა არ ასახულიყო სამემკვიდრეო დავების სასამართლო წესით განხილვის საპროცესო თავისებურებებზე. უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული უკავშირდება საქმეში მონაწილე პირების რაოდენობის გაზრდას. სამემკვიდრეო დავის კატეგორიის მიხედვით, სასამართლო განხილვისათვის საქმის მომზადების ფარგლებში, სასამართლომ უნდა განსაზღვროს სამკვიდროს მისაღებად მოწვეულ მემკვიდრეთა რიგის წრე სრულად, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილება შემდგომში შეიძლება გაუქმებულ იქნას ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ხოლო კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში, შესაძლოა დადგეს მისი ბათილად ცნობის საკითხი, ამავე კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად.

ისევე, როგორც სხვა სამოქალაქო საქმეებში, სამემკვიდრეო დავებში მონაწილე პირების საპროცესო სტატუსის ელემენტს წარმოადგენს საპროცესო უფლებასუბიექტურობა, კერძოდ კი, მისი ერთ-ერთი ელემენტი – უფლებაუნარიანობა. უფლებასუბიექტურობის ცნება შედგება ორი ელემენტის ერთობლიობისაგან. ესენია უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა.[5] უფლებაუნარიანობა სამოქალაქო საპროცესო სამართალში განიმარტება, როგორც პირის (ფიზიკური და იურიდიული) უნარი ჰქონდეს სამოქალაქო საპროცესო უფლებები და მოვალეობები, ხოლო ქმედუნარიანობა – როგორც პირის (ფიზიკური და იურიდიული) უნარი თავისი მოქმედებით განახორციელოს სასამართლოში საპროცესო უფლებები და შეასრულოს საპროცესო მოვალეობები, აგრეთვე დაავალოს საქმის წარმოება წარმომადგენელს.[6] თუმცა, იმისათვის, რომ სუბიექტს შეეძლოს საქმეში მონაწილეობის მიღება, სულაც არ არის აუცილებელი, გააჩნდეს ორივე ეს ელემენტი. მაგალითად, ქმედუუნარი მცირეწლოვანი აღჭურვილია უფლებით, იყოს მხარე საქმეში, თუმცა, საპროცესო მოქმედებებს მის მაგივრად შეასრულებს მისი კანონიერი წარმომადგენელი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ქმედუუნარო სუბიექტები არ კარგავენ უფლებასა და შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ საქმეში მხარის სტატუსით, თუმცა მათი სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე, საპროცესო მოქმედებებს, მიმართულს მათი უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, ახორციელებენ მათი კანონიერი წარმომადგენლები.

მემკვიდრედ გახდომის შესაძლებლობა არ არის დამოკიდებული პირის ქმედუნარიანობასა და მის მოქალაქეობაზე. შესაბამისად, სასამართლო პრაქტიკაში სამემკვიდრეო დავებში ხშირად გვხვდება შემთხვევები, როდესაც არასრულწლოვანთა ინტერესების დასაცავად სასამართლოს

სარჩელით მათი კანონიერი წარმომადგენლები მიმართავენ, მაგალითად, არასრულწლოვანისათვის სამკვიდროდან მისი კუთვნილი წილის მიკუთვნების მოთხოვნით. სამემკვიდრეო დავებში მშობელი შეიძლება წარმოადგენდეს არა მხოლოდ არასრულწლოვანი მხარის წარმომადგენელს, არამედ იმავდროულად მხარესაც, რადგან სამკვიდროდან წილის მიღების უფლება შეიძლება ერთდროულად წარმოეშვას ორივე მათგანს (მამკვიდრებლის პირველი რიგის მემკვიდრეებს წარმოადგენენ მისი მეუღლეც და შვილიც).[7]

მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ დავაში მხარედ შეიძლება თვით პოტენციური მამკვიდრებელი მონაწილეობდეს, სახელდობრ, მოსარჩელედ სარჩელში სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევის შესახებ. ცხადია, ასეთ საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება მოქმედებს სამკვიდროს გახსნის მომენტიდან.[8] ასეთ შემთხვევაში, სადავო ურთიერთობის წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს არა სამკვიდროს გახსნა, არამედ პოტენციური მემკვიდრის ის მოქმედებები, რომლებიც იწვევენ მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას.[9]

სამემკვიდრეო დავებში მონაწილე პირთა შემადგენლობის საკითხის განხილვისას ასევე, უნდა დაზუსტდეს ნოტარიუსთა შესაძლო საპროცესოსამართლებრივი სტატუსი. სასამართლოს მიერ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სწორად უნდა განისაზღვროს ნოტარიუსის საპროცესო სტატუსი, ვინაიდან მისი საპროცესო უფლებები და მოვალეობები დამოკიდებულია იმაზე, თუ საპროცესო სამართალურთიერთობის რომელი სუბიექტის სახით მონაწილეობს იგი სამემკვიდრეო დავის განხილვაში.

უპირველეს ყოვლისა, სასამართლოს მიერ უნდა იქნას გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ ნოტარიუსები არ წარმოადგენენ სადავო მემკვიდრეობითსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს, შესაბამისად, არ არის მართებული მათი მოწვევა სამემკვიდრეო დავის განხილვაში მოპასუხის სტატუსით.

სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ნოტარიუსი სამემკვიდრეო დავაში მონაწილეობს მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, როგორც წესი, მოპასუხის მხარეზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 89-ე მუხლის თანახმად, ასეთ პირად მიიჩნევა ყოველი დაინტერესებული პირი, რომელიც არ აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე და შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით, რათა დაუშვას იგი საქმეში მესამე პირად მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე, რადგან სასამართლო გადაწყვეტილებას ამ საქმეზე შეუძლია შემდგომში გავლენა მოახდინოს მის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ.

ზემოაღნიშნული აიხსნება იმით, რომ „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ნოტარიუსი პასუხს აგებს თავისი სამსახურებრივი საქმიანობით მიყენებული ზიანისათვის. შესაბამისად, სამემკვიდრეო დავის განხილვისას, სასამართლოს მიერ სანოტარო მოქმედებების უკანონოდ მიჩნევა შემდგომში შესაძლოა ნოტარიუსის პასუხისმგებლობის საფუძველი გახდეს. ასეთი მოსაზრება არ შეიძლება მიჩნეულ იქნას მართებულად. სამემკვიდრეო დავის განხილვის შედეგად ნოტარიუსის მიერ დამოწმებული ანდერძის ან მის მიერ გაცემული სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობის შედეგად ავტომატურად არ დგება ნოტარიუსის პასუხისმგებლობის საკითხი. პირი, რომელიც მიიჩნევს, რომ ნოტარიუსის არამართლზომიერი მოქმედებებით მას მიადგა მატერიალური ზიანი, უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს

შესაბამისი მოთხოვნით. სწორედ ასეთი წარმოების ფარგლებში, მოპასუხე ნოტარიუსის მონაწილეობით, იქნება დასადგენი ზიანის დადგომის ფაქტი, ნოტარიუსის ბრალი ზიანის მიყენებაში და მიზეზობრივი კავშირის არსებობა მის მოქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის.

ამდენად, სამემკვიდრეო დავაზე მიღებულმა სასამართლო გადაწყვეტილებამ არ შეიძლება გავლენა მოახდინოს სამკვიდრო მოწმობის გამცემი ანდა ანდერძის დამმოწმებელი ნოტარიუსის უფლებებსა და მოვალეობებზე, იქედან გამომდინარე, რომ იგი არ წარმოადგენს სადავო მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის სუბიექტს.

სადავო მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის ერთ-ერთ მხარესთან ნოტარიუსი სხვა ხასიათის სამართალურთიერთობაში შედის. „იმისათვის, რომ კონკრეტულ პირს შეეძლოს საქმეში მონაწილეობა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სტატუსით, იგი უნდა იყოს სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობაში ერთ-ერთ მხარესთან, რომლის სპეციფიკურ თვისებას წარმოადგენს მისი სუბიექტების თანასწორობა.“[10] თუმცა, ნოტარიატი არის საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის ამოცანაა სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფარგლებში, პირებს შორის სამართლებრივი ურთიერთობებისა და იურიდიული ფაქტების დადასტურება.[11] მაშასადამე, სანოტარო მოქმედების მეშვეობით ნოტარიუსი ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.[12] ასეთ პირობებში სამართალურთიერთობები, წარმოშობილი ნოტარიუსსა და იმ პირს შორის, რომელმაც მიმართა სანოტარო მოქმედების შესრულების მოთხოვნით, წარმოადგენს საჯაროსამართლებრივს, რომელიც თანასწორობის პრინციპს არ ეფუძნება. ამდენად, ვინაიდან ნოტარიუსი არ წარმოადგენს სამოქალაქო მატერიალური სამართალურთიერთობის სუბიექტს პროცესის მონაწილეებთან მიმართებაში, სამემკვიდრეო დავაში იგი მესამე პირის სტატუსით არ უნდა იღებდეს მონაწილეობას. თუმცა, ვინაიდან ის ინფორმაცია, რომელსაც შეიძლება ფლობდეს ნოტარიუსი განსახილველ საქმეზე, ხშირად მნიშვნელოვანია მის გადასაწყვეტად, მიზანშეწონილია დაინტერესებული მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მისი მოწვევა საქმეში მოწმის სტატუსით ანდა მისგან შესაბამისი დოკუმენტაციის გამოთხოვა საქმეზე მტკიცებულებების სახით დასართავად.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მონაწილეობა სამემკვიდრეო დავაში განპირობებულია არასრულწლოვანთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის აუცილებლობით. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს საქმეში ჩაბმას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81[1]-ე მუხლი სასამართლოს ავალდებულებს მაშინ, როდესაც სასამართლოს თავისი უფლებების დასაცავად მიმართავს არასრულწლოვანი 14 წლის ასაკიდან. აღნიშნული დანაწესი ვრცელდება ყველა კატეგორიის საქმეზე, მათ შორის, სამემკვიდრეო დავებზეც.

სამემკვიდრეო დავაში მხარეს შეიძლება წარმოადგენდეს სახელმწიფოც, იმ შემთხვევაში, თუ სამკვიდრო ქონება არც ერთ მემკვიდრეს არ მიუღია. მაგალითად, ასეთი კატეგორიის საქმეს წარმოადგენს სარჩელი სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების შესახებ (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამკვიდრო ქონება არც ერთ მემკვიდრეს არ მიუღია, ვინაიდან თუ სამკვიდრო ერთ-ერთმა მემკვიდრემ მაინც მიიღო, აღნიშნული გამორიცხავს ასეთი კატეგორიის საქმეში სახელმწიფოს მონაწილეობას მოპასუხის სტატუსით), ასევე, სარჩელი უმკვიდრო ქონების სახელმწიფოზე გადასვლის შესახებ.

სახელმწიფო მეტად ფართო ცნებაა. ამიტომ ზემოხსენებული დავების განხილვისას დგება სათანადო მოპასუხის განსაზღვრის საკითხი. ამ პრობლემასთან მიმართებაში საჭიროა განვსაზღვროთ, თუ რა იგულისხმება უმკვიდრო ქონებაში და აქედან გამომდინარე, უმკვიდრო ქონების სახელმწიფოზე გადასვლაში, ანუ რა იურიდიული ფაქტები განაპირობებენ იმას, რომ დადგინდეს, ჯერ ერთი, არის თუ არა ქონება უმკვიდრო და მეორე, გადავიდა თუ არა უმკვიდრო ქონება სახელმწიფოზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლი განმარტავს, თუ რა სამართლებრივი საფუძვლების არსებობისას მიიჩნევა ქონება უმკვიდროდ. ამას განსაზღვრავს ის იურიდიული მნიშვნელობის შემადგენლობა, რომელიც მოცემულია წინამდებარე მუხლში, კერძოდ: 1. როდესაც არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან; 2. არც ერთმა მემკვიდრემ სამკვიდრო არ მიიღო; 3. ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, ანუ ეს იურიდიული მნიშვნელობის შემადგენლობა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ქონება ცნობილ იქნას უმკვიდროდ, ხოლო ამის შემდეგ კი, ეს უმკვიდრო ქონება გადადის სახელმწიფოზე. სახელმწიფო საკუთრებაში გადასვლის საკითხი დაკავშირებულია იმ ორგანოს უფლებამოსილებასთან, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდის სახელმწიფოს სახელით. კერძოდ, სახელმწიფოს უფლებამოსილებები, კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განახორციელოს იმ ორგანომ, რომლის კომპეტენციაშიც შედის სახელმწიფოს სახელით სახელმწიფო ქონების ფლობა, მართვა და განკარგვა.[13]

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვას ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.[14] საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების“ მე-2 მუხლის საფუძველზე, მის კომპეტენციაში შედის სახელმწიფო ქონების მართვა და განკარგვა, ხოლო ამავე დებულების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სააგენტო საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით გამოდის მესამე პირებთან ურთიერთობაში, ასევე, სასამართლოში მოსარჩელედ ან/და მოპასუხედ.[15]

ამრიგად, აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე მოპასუხედ უნდა ჩაერთოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

ქონება, რომელიც სახელმწიფოზე გადავიდა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1444-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფოს არა აქვს უფლება უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე, რომელიც მასზე გადავიდა), შედის სახელმწიფოს სამართლებრივი ინტერესის სფეროში. იმ შემთხვევაში, როდესაც სამკვიდროს რეალურად ფლობენ სხვა მემკვიდრეები, ხოლო პირი ითხოვს გაშვებული ვადის აღდგენას, პროცესში მოპასუხედ მოწვეულ უნდა იქნენ ეს პირები (პირები, რომელთაც სამკვიდრო ფაქტობრივად მიიღეს) და არა სახელმწიფო. მხედველობაში მისაღებია, თუ რომელი პირის უფლებასა და კანონით დაცულ ინტერესს ეხება სასამართლოს მიერ გაშვებული ვადის საპატიოდ მიჩნევა. თუ არსებობს მხოლოდ ორი მემკვიდრე, რომელთაგან ორივემ გაუშვა სამკ-

ვიდროს ვადა და მხოლოდ ერთი ითხოვს ამ ვადის აღდგენას, ზემოაღნიშნული სამართლებრივი საფუძვლების გათვალისწინებით, ასეთ პროცესში სახელმწიფო ჩაებმება მოპასუხედ.[16]

II. მხარეები და მესამე პირები

როგორც უკვე აღინიშნა, სამემკვიდრეო დავებში, ისევე, როგორც სხვა სასარჩელო წარმოების დროს, პროცესის მთავარ მონაწილეებს წარმოადგენენ მხარეები – მოსარჩელე და მოპასუხე. საქართველოს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ იცნობს მხარის ლეგალურ დეფინიციას, თუმცა, სამოქალაქო პროცესის მეცნიერებაში არსებობს მრავალფეროვანი მოსაზრებები აღნიშნულ საკითხზე.

ა. კობახიძე მხარედ მიიჩნევს სამოქალაქო საპროცესოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე პირს, რომელიც დავობს თავისი უფლების თუ ინტერესის დარღვევის თაობაზე ანდა ედავებიან ამ დარღვევის გამო. ის პირი, რომელიც სასამართლოს მიმართავს თხოვნით, დაიცვას მისი უფლება თუ კანონიერი ინტერესი, იწოდება მოსარჩელედ, ხოლო ის პირი, რომელზედაც მოსარჩელე მიუთითებს, როგორც მისი უფლების დამრღვევზე, იწოდება მოპასუხედ.[17] ზოგიერთი ავტორი მხარეებად მიიჩნევს პირებს, რომელთა შორის წამოჭრილი დავა უფლების შესახებ (მატერიალურსამართლებრივი დავა) უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ.[18] გ. ლილუაშვილის მოსაზრებით, სამოქალაქო პროცესში მხარეები ეწოდება იმ პირებს, რომელთა სახელით მიმდინარეობს საქმე და რომელთა შორის დავა სამოქალაქო უფლების შესახებ სასამართლომ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს.[19]

რ. ა. არუპოვმა მოახდინა მხარეთა ცნების თაობაზე მეცნიერ-პროცესუალისტების თეორიული განსაზღვრებების კლასიფიკაცია. პირველ ჯგუფს ავტორმა მიაკუთვნა ის შეხედულებები, რომელთა თანახმად, მხარეები – სასამართლოს მიერ განსახილველი სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის ნამდვილი და სავარაუდო სუბიექტებია, ხოლო მეორე ჯგუფს – სწავლება, რომლის თანახმად, მხარეები არიან პირები, რომელთა შორის დავა უფლების თაობაზე სასამართლომ უნდა გადაჭრას. რ. ა. არუპოვმა ყურადღება გაამახვილა მეცნიერთა მიერ დაშვებულ გარკვეულ უზუსტობაზე, სახელდობრ, მათ მითითებაზე, რომ მხარეები ყოველთვის არ წარმოადგენენ სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტებს, არამედ მიმართავენ სასამართლოს, ვინაიდან კანონით დადგენილია მათი ურთიერთობის მხოლოდ სასამართლო წესით დარეგულირება. სასარჩელო წესით განსახილველი უდავო სამემკვიდრეო საქმის მაგალითად ავტორს მოჰყავს საქმე ანდერძით მემკვიდრეებს შორის სამკვიდრო ქონების გაყოფის შესახებ, როდესაც მათ შორის არ არის დავა, მაგრამ არსებობს სასამართლო წესით ქონების გაყოფის საჭიროება.[20] ასეთი მოსაზრება შეიძლება არაზუსტად მივიჩნიოთ. „მხარეების“ ინსტიტუტი სამოქალაქო პროცესში განუყოფლადაა დაკავშირებული სასარჩელო წარმოებასთან, რომლისთვისაც თავის მხრივ, არსებით დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს მატერიალური სამართალურთიერთობის სადავოობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1452-ე მუხლის თანახმად, სამკვიდროს გაყოფა ხდება სამკვიდროს მიმღები მემკვიდრეების შეთანხმებით იმ წილის კვალობაზე, რაც თითოეულ მათგანს კანონით ან ანდერძით ერგებათ. ასეთივე შინაარ-

სის მუხლს შეიცავს რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსიც (1165-ე მუხლი).[21] სამკვიდრო ქონების გაყოფის შესახებ შეთანხმების მიმართ მოქმედებს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესები გარიგების ფორმის შესახებ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1469-ე მუხლის თანახმად, სამკვიდროს გაყოფის თაობაზე თანამემკვიდრეებს შორის შეუთანხმებლობისას დავას განიხილავს სასამართლო, რომელმაც ქონების გაყოფისას მხედველობაში უნდა მიიღოს გასაყოფი ქონების ხასიათი, თითოეული თანამემკვიდრის საქმიანობა და სხვა კონკრეტული გარემოებანი. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ „სასამართლო წესით სამკვიდრო ქონების გაყოფის საჭიროება," რომელზეც საუბრობს ავტორი, მემკვიდრეებს შორის წარმოიშობა მაშინ, როდესაც მათ ვერ მიაღწიეს შესაბამის შეთანხმებას, რაც მოწმობს უფლების თაობაზე დავის არსებობას მოცემული კატეგორიის საქმეებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სამემკვიდრეო დავებში მხარეებს წარმოადგენენ საქმეში მონაწილე პირები, რომელთა შორის დავა უფლების ან კანონით დაცული ინტერესის თაობაზე გამომდინარეობს მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობიდან ან დაკავშირებულია მასთან და წყდება სასამართლო წესით. მოსარჩელედ ასეთ დავებში გამოდის პირი, რომელმაც მიმართა სასამართლოს თავისი მემკვიდრეობითი ან წარმოშობილ მემკვიდრეობით სამართალურთიერთობასთან დაკავშირებული სხვა უფლების დასაცავად, ხოლო მოპასუხედ – პირი, რომელიც სავარაუდოდ, მოსარჩელის აზრით, წარმოადგენს მისი უფლების დამრღვევს.

საქმის განხილვისას მხარეები უფლებამოსილნი არიან განკარგონ თავიანთი სუბიექტური მატერიალური უფლებები და საპროცესო უფლებამოსილებანი, დაკავშირებული მათ დაცვასთან. საქმეში, მათ შორის სამემკვიდრეო დავაში, მონაწილე მხარეთა მიერ განსაკარგი უფლებების განხორციელების სამართლებრივი შედეგების, სახელდობრ, იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით სარჩელის აღძვრის შეუძლებლობის[22] გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ როგორც წესი, სამართალწარმოებისას მატერიალური და საპროცესო უფლებების განკარგვა ერთდროულად ხორციელდება. ასე, მაგალითად, თუ დავაში სამკვიდრო ქონების გაყოფის შესახებ მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, სასარჩელო წარმოება შეწყდება.[23] რაც იმავდროულად გულისხმობს მოსარჩელის უარს სამკვიდროდან წილის მიღებაზე.

სამკვიდროზე უარის თქმისას სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1439-ე მუხლით დადგენილი წესით, ხდება მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების კუთვნილი უფლების ნებაყოფლობით დათმობა და ასეთ შემთხვევაში, გადამწყვეტი ფაქტორია მემკვიდრის ნება. სამოქალაქო სამართალწარმოებისათვის დამახასიათებელი დისპოზიციურობის პრინციპის მხედველობაში მიღებით არ არის მიზანშეწონილი სასამართლო განსაკუთრებული აუცილებლობის გარეშე ჩაერიოს მხარეთა ამგვარ ნების გამოვლენაში. სასამართლოს მხრიდან ჩარევა მხარეთა მიერ თავისი უფლებების განკარგვაში შესაძლებელია მხოლოდ კანონიერების პრინციპის ინტერესებიდან გამომდინარე. სწორედ ამ მიზეზით, თუ მხარეთა ნების გამოვლენა ეწინააღმდეგება კანონს ან არღვევს სხვა პირთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, სასამართლოს არ შეუძლია დაუშვას მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა ან დაამტკიცოს მხარეთა შორის მორიგების აქტი.

სასამართლოს მიერ მორიგების აქტის დამტკიცებისას დგება როგორც სამოქალაქოსამართ-

ლებრივი, ისე საპროცესოსამართლებრივი შედეგები. ერთდროულად წარმოიშობა ვალდებულებების იძულებით შესრულების საფუძვლები, რომლებიც უფლებებთან ერთად შეადგენენ მორიგების შესახებ შეთანხმების შინაარსს.

სასამართლოსათვის მიმართვა დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დასაცავად წარმოუდგენელია იმ პირის მითითების გარეშე, რომლის წინააღმდეგაც არის მიმართული მოთხოვნა. ვინაიდან სასამართლოსათვის მიმართვის მიზეზი არის ერთ-ერთი პირის მიერ მეორის მოთხოვნის შეუსრულებლობა ანდა უფლების სადავოდ გახდომა ამა თუ იმ ფორმით, სწორედ მოსარჩელე განსაზღვრავს მოპასუხის ვინაობას. ამ დროს გასათვალისწინებელია, რომ მხარეებს შორის მატერიალური სამართალურთიერთობის არსებობის ფაქტი საკმარისია იმის დასადგენად, რომ მხარეები სათანადო მხარეებს წარმოადგენენ. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, შეცვალოს არასათანადო მოპასუხე სათანადო მოპასუხით მოსარჩელის თანხმობის გარეშე.[24]

უმრავლეს შემთხვევაში, სათანადო მხარე განისაზღვრება მატერიალური სამართლის ნორმებზე დაყრდნობით. სახელდობრ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მამკვიდრებლის ვალების გამო კრედიტორთა სარჩელში სათანადო მოპასუხეს წარმოადგენს სამკვიდროს მიმღები მემკვიდრე (მემკვიდრეები). ამავე კოდექსის 1343-ე მუხლის საფუძველზე, უმკვიდრო ქონების თობაზე მემკვიდრის სარჩელში სათანადო მოპასუხეს, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, წარმოადგენს სახელმწიფო – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სახით.

მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობიდან გამომდინარე, სამოქალაქოსამართლებრივი დავის გადაწყვეტისას მხარეების გარდა შეიძლება დაინტერესებული იყვნენ სხვა პირებიც, რომლებსაც სამოქალაქო სამართალწარმოებაში უწოდებენ მესამე პირებს. სამემკვიდრეო დავაში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირები შეიძლება დაშვებულ იქნენ პროცესში, მაგალითად, მაშინ, როდესაც მემკვიდრეებს შორის წარმოიშვა დავა სამკვიდრო ქონების თაობაზე, რომელიც დატვირთულია საანდერძო დანაკისრით (ლეგატით) ანდა დავაში შემოდის პირი, რომელიც პრეტენზიას აცხადებს სამკვიდრო ქონების კუთვნილ წილზე, ასევე მაშინ, როდესაც ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ დავაში ერთვებიან სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე მემკვიდრეები.

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირის საპროცესოსამართლებრივი მდგომარეობა ემთხვევა საქმეში მონაწილე მოსარჩელის მდგომარეობას. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირთა მხარეზე მონაწილეობს რამდენიმე სუბიექტი და მათი ინტერესები არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, შესაძლებელია მათი თანამონაწილეობა. მაგალითად, „ა“-მ – გარდაცვლილი „ბ“-ს მამამ, სარჩელით მიმართა სასამართლოს „გ“-ს, ანუ შვილის წინააღმდეგ ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნით, იმ საფუძვლით, რომ ანდერძი შედგენილია ისეთ მდგომარეობაში, როცა პირს არ შეეძლო შეეგნო თავისი მოქმედების მნიშვნელობა და წარემართა იგი,[25] რომლის თანახმადაც, „გ“ წარმოადგენს გარდაცვლილის ერთადერთ მემკვიდრეს. საქმის განხილვის მსვლელობისას, სასამართლოს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მიმართეს გარდაცვლილის მეუღლემ

„დ“-მ და შვილმა „ე“-მ, ანუ იმ პირებმა, რომლებსაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის საფუძველზე, გააჩნიათ სავალდებულო წილის მიღების უფლება აქვთ ანდერძის შინაარსის მიუხედავად. ამგვარად, „დ“ და „ე“ მოცემულ საქმეში წარმოადგენენ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირებს და თანამონაწილეებს.

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების სახით შეიძლება გამოდიოდნენ იმავე რიგის მემკვიდრეები, რომლებიც სამკვიდროს გაყოფის შესახებ დავაში რეალურად სამკვიდროზე პრეტენზიას არ აცხადებენ ან დაეუფლნენ სამკვიდროს (რაც სსკ-ის 1433-ე მუხლის საფუძველზე საკუთრების უფლებას წარმოშობს), მაგრამ უარს ამბობენ კუთვნილ წილზე ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ, რაც სამართლებრივად კუთვნილი (მიღებული) ქონების განკარგვად უნდა შეფასდეს, თუ გასულია სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმისათვის სსკ-ის 1434-ე მუხლით დადგენილი სამთვიანი ვადა; ანდა სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების შესახებ დავაში, სადაც მოპასუხის სტატუსით მონაწილეობს სახელმწიფო, ასეთ პირს შეიძლება წარმოადგენდეს იმავე რიგის ის მემკვიდრე, რომელსაც ამ ეტაპამდე რაიმე ზომა სამკვიდროს მისაღებად არ მიუღია, თუმცა, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა შეეხოს მის სამემკვიდრეო უფლებებს, თუ იგი მომავალში განაცხადებს სამკვიდროზე პრეტენზიას. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სწორედ ასეთი მემკვიდრეების გააქტიურებამ შესაძლოა წარმოშვას გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი.

ამდენად, საქმეში მონაწილეობის მისაღებად იმ პირების მოწვევა, რომლებიც მოცემული ეტაპისათვის არ აცხადებენ პრეტენზიას სამკვიდროზე, განპირობებულია იმით, რომ სასამართლო გადაწყვეტილებამ მომავალში, შესაძლოა გავლენა იქონიოს მათ უფლებებსა და მოვალეობებზე. მესამე პირთა უფლება-მოვალეობებზე საუბრისას, კანონმდებელი გულისხმობს მესამე პირთა მატერიალურ უფლებებსა და მოვალეობებს, დაკავშირებულს სადავო სამართალურთიერთობასთან. ამასთან, „საუბარია მხარისა და მესამე პირის არა ნებისმიერ მატერიალურსამართლებრივ ურთიერთობაზე, არამედ საერთო სუბიექტებით გაერთიანებული ორი სამართალურთიერთობის შერწყმაზე, რომელთაგან ერთ-ერთი არ შედის სასამართლო კვლევის სფეროში.“[26]

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამემკვიდრეო დავის კატეგორიის მიხედვით, სასამართლო განხილვისათვის საქმის მომზადების ფარგლებში, სასამართლომ უნდა განსაზღვროს სამკვიდროს მისაღებად მოწვეულ მემკვიდრეთა რიგის წრე სრულად, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილება შემდგომში შეიძლება გაუქმდეს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ხოლო კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში, შესაძლოა დადგეს მისი ბათილად ცნობის საკითხი, ამავე კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად. დღეს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩაბმას ითვალისწინებს ან თავად ამ პირის ანდა ერთ-ერთი მხარის ინიციატივით,[27] რაც მხარეების ან თავად მესამე პირის პასიურობის შემთხვევაში, მნიშვნელოვნად ზღუდავს სასამართლოს, თავიდანვე მიიღოს ზომები, რათა საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ არ წარმოიშვას მისი გაუქმების ან ბათილად ცნობის საფუძველი. ასეთი დანაწესი ასევე, ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს – შეჯიბრებითობის პრინციპს, რომელსაც „საფუძვლად უდევს თითოეული

მხარის შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს სასამართლო განხილვაში, სადავოდ გახადოს მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტები.“[28]

საფრანგეთის ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის თანახმად, მოსამართლეს უფლება აქვს შესთავაზოს მხარეებს საქმეში ნებისმიერი დაინტერესებული პირის ჩაბმა, რომლის მონაწილეობა მას მიაჩნია აუცილებლად დავის გადასაწყვეტად. განსაკუთრებული წარმოების საქმეებზე მოსამართლე უფლებამოსილია გასცეს განკარგულება საქმეში იმ პირების ჩაბმის თაობაზე, რომელთა უფლებებსა და მოვალეობებს შეიძლება შეეხოს საქმეზე მისაღები გადაწყვეტილება. ამავე კოდექსის დანართის მე-2 მუხლის თანახმად, განსაკუთრებული წარმოების საქმეთა რიცხვს სხვა ზოგიერთ დავასთან ერთად განეკუთვნება დავა სასამართლო წესით სამკვიდრო უძრავი ქონების გაყოფისა და გასხვისების შესახებ, სამკვიდრო მოწმობის გაცემისა და სამკვიდრო ქონების აღწერის შესახებ.[29]

საფრანგეთის კანონმდებლობის გამოცდილების გაზიარების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ მიზანშეწონილია სსსკ-ის 90-ე მუხლს დაემატოს მე-3 ნაწილი, რომელიც შემდეგნაირად იქნება ფორმულირებული: „სასამართლო უფლებამოსილია დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სტატუსით თავისი ინიციატივით საქმეში ჩააბას ის პირი, რომლის უფლებებსა და მოვალეობებს შეიძლება შეეხოს საქმეზე მისაღები გადაწყვეტილება.“ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ასეთი ჩანაწერის არსებობა ხელს შეუწყობს როგორც შეჯიბრებითობის პრინციპის უფრო მეტად განმტკიცებას, ისე სასამართლოს გადაწყვეტილების სიმყარეს, ასევე საპროცესო ეკონომიის პრინციპის უზრუნველყოფას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ასეთი ჩანაწერის არსებობა იქნება ერთგვარი პრევენციული ზომა სსსკ-ის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის სუბიექტის გამოსავლენად, რადგან ასეთი პირის დროულად საქმეში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩართვის შემთხვევაში, ინფორმირებული იქნება რა, იგი სხვა მემკვიდრეებს შორის დავის თაობაზე, მათ შორის, მისი წილი ქონების გაყოფის შესახებ, შესაძლებლობა ექნება ამ დავის დასრულებამდე მიმართოს სასამართლოს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, თუ ექნება რეალური პრეტენზია სამკვიდროდან კუთვნილ წილზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნას ერთად რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, რასაც სამოქალაქო სამართალწარმოებაში საპროცესო თანამონაწილეობა ეწოდება. ერთ მხარეზე მონაწილე თანამონაწილეების ინტერესები არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს. ამით თანამონაწილეობა განსხვავდება დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირის ინსტიტუტისაგან,[30] რომლის სარჩელიც შეიძლება მიმართული იყოს როგორც ერთ-ერთი, ისე ორივე მხარის წინააღმდეგ (სსსკ-ის 88-ე მუხლი). სახელდობრ, მესამე პირები, რომლებიც ისურვებენ, მიიღონ მონაწილეობა მამკვიდრებლის კრედიტორთა დაკმაყოფილებაში, შეიძლება მოწვეულ იქნენ საქმეში თანამოპასუხეებად მოპასუხე-მემკვიდრის თანხმობის შემთხვევაში თუ კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების ბუნებიდან არ გამომდინარეობს, რომ მოვალემ (ან მისმა მემკვიდრემ) პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულება.[31]

აღსანიშნავია, რომ პირთა სიმრავლის ინსტიტუტი კიდევ ერთი შემთხვევაა, როდესაც ვლინდება კავშირი მატერიალურ და საპროცესო სამართალს შორის. განსაკუთრებით ცხადად, ეს

მემკვიდრეობის სამართლის მაგალითზე ჩანს. თუ ყურადღებას მივაქცევთ მოქმედ კანონმდებლობაში არსებულ საპროცესო თანამონაწილეობის კლასიფიკაციას, შეიძლება ითქვას, რომ იგი სადავო სამართალურთიერთობების სუბიექტებს შორის მატერიალურსამართლებრივი კავშირის ხასიათის მიხედვით მოხვდა, ანუ გამოყოფენ სავალდებულო (სსსკ-ის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი) და ფაკულტატურ (არასავალდებულო) (სსსკ-ის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები) თანამონაწილეობას.

თანამონაწილეობა სავალდებულოა, თუ მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, შეუძლებელია ამ ურთიერთობის ყველა სუბიექტის მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვა, მაშინ, როდესაც ფაკულტატური თანამონაწილეობა გამართლებულია საქმის სწორად და სწრაფად გადაწყვეტის ინტერესებით, აგრეთვე საპროცესო ეკონომიის პრინციპის მოთხოვნებით.[32] ასე, მაგალითად, სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტების სიმრავლისას შეუძლებელია ზოგიერთი სამემკვიდრეო დავის განცალკევებული განხილვა. სახელდობრ, სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის განხილვისას, თუ ეს სამკვიდრო მოწმობა რამდენიმე მემკვიდრის სასარგებლოდ გაიცა, თანამოპასუხეს ყველა ეს მემკვიდრე უნდა წარმოადგენდეს. ანალოგიურად დგას საკითხი ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის განხილვისას, თუ ანდერძი რამდენიმე პირის სასარგებლოდაა გაცემული. სავალდებულო თანამოპასუხეს ასევე, წარმოადგენს სამკვდრო ქონების შემძენი, სამკვიდრო ქონების მიმღები მემკვიდრის მიერ მისი გასხვისების შემთხევაში, თუ სარჩელით ერთ-ერთი მემკვიდრე ითხოვს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას და სამკვიდროდან წილის მიკუთვნებას.

რ. ა. არუპოვი უთითებდა, რომ დავის საგნის დაზუსტება იძლევა დაინტერესებულ პირთა წრის განსაზღვრის შესაძლებლობას, რომლებიც უნდა მოწვეულ იქნენ საქმეში ან ინფორმირებულ იქნენ მის შესახებ, რათა ჰქონდეთ სასამართლოში თავისი უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დაცვის შესაძლებლობა.[33] ანალოგიურ მოსაზრებას ემხრობოდა ა. სტაროსტინა, რომელიც აღნიშნავდა, რომ სამემკვიდრეო დავის განსახილველად მომზადებისას, მნიშვნელოვანია დადგინდეს, დარჩა თუ არა მამკვიდრებელს სხვა მემკვიდრეები მხარეების გარდა, ვინაიდან მემკვიდრეთა წრის დაუდგენლობამ შესაძლოა წარმოშვას სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძვლები.[34]

აღნიშნული მოსაზრება საჭიროებს დაზუსტებას თანამედროვე სამოქალაქო სამართალწარმოების შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპების გაფართოებასთან დაკავშირებით, რომლებიც ხასიათდება იმით, რომ მხარეები დამოუკიდებლად წყვეტენ, მიიღონ თუ არა მონაწილეობა პროცესში, ხოლო თუ ისინი უარს ამბობენ საქმეში მონაწილეობაზე, ამას შეიძლება მოჰყვეს მათთვის არახელსაყრელი შედეგები, მათ შორის, მათ საწინააღმდეგოდ გადაწყვეტილების გამოტანა.

ლ. ა. გროსის აზრით, სიმრავლე სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის სუბიექტურ შემადგენლობაში წარმოადგენს საფუძველს სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობისათვის, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს მოსარჩელე. სასამართლო ვალდებულია, განუმარტოს მოსარჩელეს მისი უფლება, მოთხოვნით მიმართოს ვალდებულების ყველა სუბიექტს, მაგრამ საქმეში მათი თანამოპასუხეებად მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს მხოლოდ მოსარჩელემ.[35] ავტორის ასეთი მოსაზრება ამახინჯებს სავალდე-

ბულო თანამონაწილეობის ცნებას რუსული კანონმდებლობის მიხედვით, ვინაიდან რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სადავო სამართალურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, თანამოპასუხის (თანამოპასუხეების) მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვის შეუძლებლობის შემთხვევაში, სასამართლო თავისი ინიციატივით, ასეთ პირებს საქმეში მონაწილეობის მისაღებად იწვევს, რის შემდეგაც საქმის მომზადება და განხილვა თავიდან იწყება.[36] ამგვარად, სავალდებულო თანამონაწილეობის ინსტიტუტის გამოყენებისას სასამართლო ითვალისწინებს არა მოსარჩელის მოთხოვნას ამის შესახებ, არამედ სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის ხასიათს.

აღსანიშნავია, რომ ლ. ა. გროსის ზემოაღნიშნული მოსაზრება შეესაბამება საქართველოში დღეს მოქმედ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებს. საქართველოს სასამართლოები სსსკ-ის 86-ე მუხლის საფუძველზე, სავალდებულო თანამონაწილეობის გამოვლენისას, ანალოგიით (სსსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი) ხელმძღვანელობენ ამავე კოდექსის 85-ე მუხლით, შესაბამისად, ადგენენ – ეთანხმება თუ არა მოსარჩელე პირის თანამოპასუხედ საქმეში ჩაბმას: დადებით შემთხვევაში, საქმის განხილვა გრძელდება თანამოპასუხის მონაწილეობით (ცხადია, ყველა მისი საპროცესო უფლება-მოვალეობის გათვალისწინებით, რაც ფაქტობრივად იწვევს საქმის მომზადების გაგრძელებას), ხოლო უარყოფით შემთხვევაში – საქმის განხილვა სრულდება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმით.[37] საკითხისადმი მსგავსი მიდგომა განპირობებულია დისპოზიციურობის პრინციპის უპირატესი მნიშვნელობით, რომელიც ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას, განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები.[38] გერმანული საპროცესო სამართლის თანახმად, აღნიშნული პრინციპი, როგორც კერძო საკუთრების თავისუფლებისა და ხელშეკრულების თავისუფლების ეკვივალენტი, გულისხმობს მხარეთა შესაძლებლობას, განსაზღვრონ თავიანთი მატერიალური უფლებების ბედი საპროცესო მოქმედებების განხორციელების ან მათგან თავის შეკავების გზით.[39]

ამდენად, სსსკ-ის 85-ე მუხლის შინაარსი სწორედ დისპოზიციურობის პრინციპს ეფუძნება. როგორც ზემოთ აღინიშნა, მოპასუხე არის პირი, რომელმაც მოსარჩელის განცხადებით, დაარღვია ან სადავოდ გახადა მისი უფლება. შესაბამისად, მოპასუხის დასახელების უფლებამოსილება და მოვალეობა მოსარჩელეს გააჩნია.[40] თუმცა, პრაქტიკაში ზოგჯერ ადგილი აქვს შემთხვევებს, როდესაც სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე[41] და ეს აშკარაა სარჩელის წარდგენისთანავე, სახელდობრ, სარჩელი სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობისა და სამკვიდროდან წილის მიკუთვნების შესახებ აღძრულია იმ ნოტარიუსის წინააღმდეგ, რომელმაც გასცა ეს მოწმობა სხვა მემკვიდრეების არსებობის შესახებ ინფორმაციის არქონის გამო.

სსსკ-ის 186-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, „სასამართლოს უფლება არა აქვს არ მიიღოს სარჩელი იმ მოტივით, რომ იგი აღძრულია არასათანადო მოპასუხის მიმართ. სასამართლოს შეუძლია მხოლოდ დააყენოს საკითხი არასათანადო მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლის შესახებ, რაც, სასურველია, მოსამზადებელ სხდომაზე მოხდეს.“[42] მაშასადამე, სარჩელის არასათანადო მოპასუხის მიმართ წარდგენის შემთხვევაშიც, სასამართლო ვალდებულია, შეუდგეს მის მომზადებას, რაც პირველ ეტაპზე გულისხმობს მოპასუხისათვის სარჩელისა და თანდართული ასლების გადაგზავნის უზრუნველყოფას, მოპასუხისათვის შესაგებლის წარდგენისათვის ვადის განსაზღვრას.

სსსკ-ის 183-ე, 184-ე მუხლების თანახმად, თუ სარჩელი შეაქვს იურიდიულ პირს, ინდივიდუალურ მეწარმეს, ადვოკატს ან წარმომადგენელს (გარდა კანონიერი წარმომადგენლისა), ან თუ სარჩელის შეტანა ხდება იურიდიული პირის წინააღმდეგ, მოსარჩელე ვალდებულია უზრუნველყოს მოპასუხისათვის სასამართლო გზავნილის ფოსტით, სასამართლო კურიერის მეშვეობით ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესით ჩაბარება ან მისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნა ამ კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესების დაცვით, მისთვის გზავნილის გადაცემიდან 2 თვის ვადაში. ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს კანცელარია სარჩელის რეგისტრაციის შემდეგ მოსარჩელეს ან წარმომადგენელს გადასცემს გზავნილს (სარჩელის და თანდართული დოკუმენტების ასლებს) მოპასუხისათვის ჩასაბარებლად. თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო გზავნილის ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანოს განჩინება სასამართლო გზავნილის საჯაროდ გავრცელების შესახებ. ხოლო თუ სარჩელი შეაქვს ამ კოდექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებულ პირს, ასევე პატიმრობაში მყოფ იმ პირს, რომელსაც არ ჰყავს წარმომადგენელი, მოპასუხისათვის სასამართლო გზავნილის (სარჩელის და თანდართული დოკუმენტების ასლების) გაგზავნასა და ჩაბარებას უზრუნველყოფს სასამართლო ამავე კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესების დაცვით. სასამართლო გზავნილის (სარჩელის და თანდართული დოკუმენტების ასლების) 2 თვის განმავლობაში თავად მოსარჩელის მიერ გაგზავნის წესები შესაძლებელია გავრცელდეს ამ უკანასკნელ პირებზე, მხოლოდ მათი თანხმობის შემთხვევაში.

ამდენად, საქმის მომზადების ზემოაღნიშნული საწყისი ეტაპი შეიძლება საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს უკავშირდებოდეს, თუმცა, ყველა ეს ღონისძიება საბოლოოდ, საქმის გადასაწყვეტად უსარგებლო აღმოჩნდება, თუ მოპასუხე არასათანადოა, რადგან პირველივე სხდომაზე (მოსამზადებელ სხდომაზე) არასათანადო მოპასუხის სათანადოთი შეცვლის შემთხვევაში, ზემოთ ხსენებული ღონისძიებები ხელახლა უნდა განხორციელდეს, ამჯერად უკვე სათანადო მოპასუხის მიმართ. არასათანადო მოპასუხის შეცვლაზე მოსარჩელის თანხმობის მიუღებლობის შემთხვევაში კი, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით სარჩელს არ დააკმაყოფილებს (სსსკ-ის 85-ე მუხლი). ზემოაღნიშნული დანაწესის შედეგად ჭიანურდება საქმის განხილვა, უშედეგოდ იხარჯება მოსარჩელის სახსრები (მის მიერ სარჩელის გაგზავნის შემთხვევაში), სასამართლოს ფინანსური და ადამიანური რესურსები (სარჩელის სასამართლოს მიერ გაგზავნის შემთხვევაში), არასათანადო მოპასუხის სახსრები, რომელსაც სასამართლოში შესაგებლის წარსადგენად შესაძლოა წარმომადგენლის ანაზღაურებადი დახმარებაც კი, დასჭირდეს.

მიგვაჩნია, რომ ყველა ზემოხსენებული, საპროცესოსამართლებრივი თვალსაზრისით, უშედეგო ღონისძიებისაგან თავის არიდება შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მიანიჭებს სასამართლოს უფლებამოსილებას, მოსარჩელეს სარჩელის მიღებაზე უთხრას უარი იმ შემთხვევაში, თუ სარჩელი აღძრულია არასათანადო მოპასუხის მიმართ, რაზეც ცალსახად მეტყველებს სარჩელისა და მასზე თანდართული მასალების შინაარსი. ამდენად, მიზანშეწონილია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი“ ქვეპუნქტი: მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს, თუ: „ი) სარჩელი აღძრულია არასათანადო

მოპასუხის მიმართ და ეს იმთავითვე აშკარაა სარჩელისა და მასზე თანდართული მასალების შინაარსიდან გამომდინარე.“ ასეთ შემთხვევაში, ამავე მუხლის მე-2 ნაწილი შემდეგი რედაქციით უნდა ჩამოყალიბდეს: „ამ მუხლის პირველი ნაწილის „ე“, „ზ“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებით მოსამართლის მიერ სარჩელის მიღებაზე უარის თქმა ხელს არ უშლის პირს, განმეორებით მიმართოს სასამართლოს იმავე სარჩელით, თუ აცილებული იქნება დაშვებული დარღვევა.“ ცხადია, თუ სასამართლო მოპასუხის სათანადოობის შესახებ საკითხის არასწორ ინტერპრეტაციას მოახდენს იმის გამო, რომ სარჩელში არასრულყოფილად იყო ასახული ამ საკითხთან დაკავშირებული გარემოებები, მოსარჩელეს სსსკ-ის 187-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე შეუძლია სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაზე შეიტანოს კერძო საჩივარი ან ამავე კოდექსის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, განმეორებით მიმართოს სასამართლოს იმავე სარჩელით, თუ აცილებული იქნება დაშვებული დარღვევა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ასეთი ჩანაწერი ბევრად გაამარტივებს საქმეების, განსაკუთრებით, სამემკვიდრეო სარჩელების განსახილველად მომზადების პროცედურას, უფრო მეტად მოქნილს გახდის მას და რაც მთავარია, დაზოგავს როგორც სასამართლოს, ისე თვით მხარეების დროსა და სახსრებს.

დასკვნა

მატერიალური უფლებების განხორციელების სამართლებრივ გარანტიას წარმოადგენს მათი სასამართლო წესით დაცვა. იმ დავების განხილვისას, რომელთა ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს სამკვიდროს გახსნა, სასამართლოები იმავდროულად იცავენ მოქალაქეების მემკვიდრეობით და მათთან დაკავშირებულ უფლებებს. თავის მხრივ, სამემკვიდრეო დავების განხილვის საპროცესო თავისებურებები უნდა შესწავლილ იქნას იმ მიმართულებების გათვალისწინებით, რომლებიც განისაზღვრება მატერიალური სამართალურთიერთობებით.

ამჟამად მატერიალური და საპროცესო სამართლის თანაფარდობის პრობლემები სამართლის მეცნიერების განვითარების ერთ-ერთ ტენდენციად იქცა. მატერიალური და საპროცესო სამართლის თანაფარდობის საკითხები ყოველთვის არის აქტუალური ფიზიკური და იურიდიული პირების სუბიექტური უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დაცვის ფორმების მუდმივი სრულყოფის საჭიროებიდან გამომდინარე. თავის მხრივ, ერთ-ერთ ასეთ შეხების წერტილს მემკვიდრეობის სამართალი წარმოადგენს.

ამდენად, ნაშრომში მოცემული დებულებების პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი მიმართულია სამოქალაქო სამართალწარმოების საკანონმდებლო რეგულირების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისაკენ. თეორიული დასკვნები და პრაქტიკული რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნას საკანონმდებლო და პრაქტიკულ სასამართლო საქმიანობაში; სამემკვიდრეო დავების განხილვისა და გადაწყვეტისას სასამართლო პრაქტიკაში შეცდომების თავიდან აცილების და ამით სამემკვიდრეო და მათთან დაკავშირებული უფლებების სასამართლო წესით დაცვის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით. მოცემული ნაშრომის მასალები შეიძლება გამოდგეს ამ სფეროში შემდგომი სამეცნიერო კვლევის საფუძვლად.

შენიშვნები:

1 Гукасян Р.Е., Влияние материально-правовых отношений на форму процесса в исковом производстве, // Вопросы теории и практики гражданского процесса, Выпуск 1, Межвузовский научный сборник, Саратов, 1976, Стр. 25.

2 Гукасян Р.Е., Горизонты и ориентиры процессуальной науки, // Материалы научно-методической конференции „Юристы в XXI веке," посвящённой 30-летию юридического факультета Тверского государственного университета, Тверь, 2001, Стр. 35.

3 ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2007, გვ. 142-143.

4 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი, თბილისი, 1923 წელი (ცვლილებებით 1954 წლის 31 დეკემბრამდე), 418-ე მუხლი; საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი, თბილისი, 1964 წელი (ცვლილებებითა და დამატებებით 1986 წლის 1 იანვრამდე), 544-ე მუხლი; საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 1997, 1336-ე მუხლი.

5 Гражданский процесс, Под редакцией Яркова В.В., Москва, 2004, Стр. 77.

6 ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 145, 147.

7 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 1997, 1336-ე მუხლი.

8 იქვე, 1381-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილი.

9 იქვე, 1381-ე მუხლის პირველი ნაწილი, 1310-ე, 1311-ე მუხლები.

10 Стройкина Ю.В., Некоторые вопросы теории гражданского правоотношения, Оренбург, 2005, Стр. 28.

11 საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ." თბილისი, 2009, პირველი მუხლის პირველი პუნქტი.

12 საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 07 აპრილის განჩინება №ბს-1629-1557(გ-09).

13 საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007 წლის 25 ივლისი, გვ. 12-13.

14 საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ," თბილისი, 2010, პირველი მუხლის მე-6 პუნქტი.

15 საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულება, მე-2 და მე-3 მუხლები.

16 საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007 წლის 25 ივლისი, გვ. 13-14.

17 კობახიძე ა., დასახელებული ნაშრომი, გვ. 129.

18 ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 80.

19 ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 133.

20 Арупов Р.А., Судебная защита наследственных прав и охраняемых законом интересов граждан, Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Москва, 1988, გვ. 101.

21 Гражданский Кодекс Российской Федерации, Часть III от 26 ноября 2001 года, Москва, Ст. 1165.

22 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1997, 272-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტი.

[23] იქვე, 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.
[24] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1997, 85-ე მუხლი.
[25] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 1997, 1403-ე მუხლის მე-3 ნაწილი.
[26] Шакарян М.С., Участие третьих лиц в советском гражданском процессе, Москва, 1990, Стр. 12.
[27] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1997, 89-ე, 90-ე მუხლები.
[28] Новый Гражданский процессуальный кодекс Франции, Перевод Владимира Захватаева, Киев, 2004, стр. 6.
[29] იქვე, გვ. 96, 369.
[30] ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 162.
[31] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 1997, 371-ე მუხლი.
[32] იქვე, გვ. 163-165.
[33] Арупов Р.А., დასახელებული ნაშრომი, გვ. 105.
[34] Старостина А., Судебные споры о праве наследников на имущество, Журнал „Советская юстиция,“ Москва, 1982, №22, Стр. 15.
[35] Грось Л.А., Институт процессуального соучастия: связь между процессуальным и материальным правом, Журнал „Российская юстиция,“ 1998, №3, Стр. 7.
[36] Гражданский процессуальный кодекс Российской Федерации, От 23 октября 2002 года, Москва, Стр. 40.
[37] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 მაისის განჩინება №ას-451-427-12.
[38] ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 4.
[39] Елисеев Н.Г. Краткий комментарий к Гражданскому процессуальному уложению Германии, Москва, 2006, Стр. 7.
[40] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1997, 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.
[41] ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 160.
[42] იქვე, გვ. 161.

PERSONS INVOLVED IN INHERITANCE DISPUTES

LEILA KOKHREIDZE
Judge of the Panel for Civil Cases at the Tbilisi City Court, Doctoral student of the Business-Engineering Faculty of the Georgian Technical University

The author thinks that the procedural-legal peculiarities of hearing the inheritance disputes should be studied in consideration of those directions that are determined by substantive legal relationships. Based on the study of peculiarities of the composition of parties to the cases that are derived from inheritance-legal relations, the article analyzes the problems of identification of the circle of parties while hearing the inheritance disputes, so that to ensure establishment of uniform judicial practice and to develop specific recommendation on perfecting the effective civil procedural legislation and the practice of its application, considering the provisions outlined in the paper.

პრეიუდიციის განმაპირობებელი ფაქტორები და მათი მნიშვნელობა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს

მაია სულხანიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დოქტორანტი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან ისეთი მტკიცებულების წარმოდგენისაგან, რომლებსაც თუმცა, მათი მოთხოვნები თუ შესაგებელი ემყარება, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ასეთებია საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები და ის ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ.[1] ჩვენ არ შევჩერდებით საყოველთაოდ ცნობილ გარემოებებზე, არამედ შევეხებით პრეიუდიციული ძალის მქონე ფაქტებს, რომელთაც სავალდებულო ძალა აქვთ სხვა სამოქალაქო დავის განხილვის დროს.

როგორც ზემოთ მითითებული ნორმის ანალიზიდან ირკვევა, იმისათვის, რომ არსებობდეს პრეიუდიცია, უნდა არსებობდეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები. ფაქტების დადგენა ცალსახად, მოსამართლის პრეროგატივაა. მხარეები არ ადგენენ გარემო-

ებებს. ისინი მხოლოდ ამ პროცესში იმ კუთხით მონაწილეობენ, რომ სარჩელსა და შესაგებელში უთითებენ ფაქტებს, რომლებიც ამყარებენ მოთხოვნებს. ასევე, ისინი სასამართლოში წარადგენენ მტკიცებულებებს და მონაწილებენ სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით ამ მტკიცებულებათა გამოკვლევაში.[2] ფაქტობრივი გარემოებები, როგორც წესი, დგინდება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის გზით, მაგრამ მხოლოდ ამ გადაწყვეტილების გამოტანა ან მხარეთა მიერ მათი გაცნობა არ აძლევს მათ პრეიუდიციული ძალის მქონე ფაქტების სტატუსს.

ფაქტები მხოლოდ მაშინ იძენენ დადგენილი გარემოების სტატუსს, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებია პრეიუდიციული ძალის მქონე, რომელებიც არ საჭიროებენ მტკიცებას. ამასთან, აუცილებელია, რომ არსებობდეს ორი გადაწყვეტილება. მათ შორის, ერთი კანონიერ ძალაში შესული, მეორე კი, გადაწყვეტილება, რომელიც სასამართლომ უნდა გამოიტანოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაში მონაწილე მხარეების მიმართ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი პრეიუდიციულ ძალას ანიჭებს მხოლოდ სასამართლოს მიერ მიღებულ და ამასთან, სამოქალაქო საქმეების განხილვით მიღებულ გადაწყვეტილებებს. პრეიუდიციული ძალის მქონე გადაწყვეტილებებით დადგენილი გარემოებები კი, უცვლელია და მასზე ხელახალი დავა არ დაიშვება. წლების განმავლობაში, პრეიუდიციული ძალა ენიჭებოდა სისხლის სამართლის საქმეებზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის ფორმულირება არაერთხელ შეიცვალა სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ განაჩენებთან მიმართებაში. პრეიუდიციული ძალა მინიჭებული ჰქონდა ხან სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ, კანონიერ ძალაში შესულ საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს იმის შესახებ, განხორციელდა თუ არა მოქმედება ან ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება პირმა, როცა სასამართლო საქმეს იხილავდა იმ პირის სამოქალაქოსამართლებრივი შედეგების შესახებ, რომლის მიმართაც გამოტანილი იყო საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილება, ხან კი, მხოლოდ განაჩენით დადგენილი ფაქტებს.

დღეისათვის, კანონმდებლის მიდგომა ამ საკითხის მიმართ სრულიად შეცვლილია და პრეიუდიციული ძალა მხოლოდ სამოქალაქო საქმეების განხილვის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებებს ენიჭებათ.[3] რასაც თავისი დადებითი მხარეები აქვთ. ხშირად სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებები სრულყოფილად ვერ ასახავდა საქმის ვითარებას. არსებობდა შემთხვევები, როდესაც სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული სასამართლო აქტის, თუნდაც სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტის დადგენილების შინაარსითა და მასში მითითებული გარემოებებით ნაკლებად იყოს დაინტერესებული ადამიანი, რომლის მიმართაც შეწყდა საქმის წარმოება ან გამოვიდა მისი სასარგებლო გადაწყვეტილება. მისი ყურადღება კონცენტრირებული იყო შედეგზე და არა მასში ასახულ ფაქტებზე. იგი, რომც არ დათანხმებოდა ამ გარემოებებს, მაინც ვერ მოახერხებდა მის შეცვლას, რადგან იგი ვერ შეძლებდა მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრებას, მხოლოდ ფაქტებზე დაუთანხმებლობის გამო. ამას არ ითვალისწინებდა კანონმდებლობა. სამოქალაქო საქმეზე კი, ამ ფაქტებს სავალდებულო ძალა ჰქონდა და ქმნიდა იმის საშიშროებას, რომ სამოქალაქო საქმეზე მას ამ პირის მიმართ სერიოზული შედეგი მოჰყოლოდა და მხარის პასუხისმგებლობაც დამდგარიყო.

დღეისათვის, სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი გარემოებები ჩვეულებრივ, მტკიცების ტვირთში ექცევიან. ამ სიახლეს მცირე გაურკვევლობები ახლავს. გაუგებრობას ბადებს პრაქტიკაში ის საკითხი, თუ რა მნიშვნელობას იძენს სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი განაჩენი სამოქალაქო დავის განხილვის დროს. ხომ არ წარმოადგენს იგი მტკიცებულებას, რომელიც ადასტურებს ამა თუ იმ გარემოებათა არსებობას, მაგრამ ამ გარემოებათა გაბათილება, უარყოფა შესაძლებელია. გასარკვევია, ასეთი სასამართლო აქტის არსებობის მიუხედავად, მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ხელახლა უნდა დადგინდეს საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, თუ არა. ეს მეტად რთული და პრობლემური საკითხია და შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის ამ საკითხზე პასუხი გაცემული არ არის. მიზანშეწონილია, რომ განაჩენი სხვა სახის სამართლებრივი აქტების, თუნდაც ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტების მსგავსად, მიჩნეული იქნას მტკიცებულებად, მაგრამ არა შეუდავებელ და სავალდებულო ძალის მტკიცებულებად. მისი უარყოფის შესაძლებლობა უნდა არსებობდეს სხვა იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც გამორიცხავენ ამ აქტებში მითითებული გარემოებების არსებობას.

დაბოლოს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ განაჩენში დაფიქსირებული გარემოებებისათვის პრეიუდიციული ძალის მინიჭება ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის უმნიშვნელოვანეს პრინციპს – შეჯიბრებითობას, რაც გულისხმობს, რომ მხარეები თვითონ განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნას ან რომელი მტკიცებულებით უნდა დაადასტურონ ეს ფაქტები.[4] თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპს ეწინააღმდეგება არა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებზე დადგენილი გარემოებებისათვის პრეიუდიციული ძალის მინიჭება, არამედ მთლიანად პრეიუდიცია, რომლის მნიშვნელობაც მინიმუმამდეა დაყვანილი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და დამახასიათებელია პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის.

რუსეთის ფედერაციაში სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენით დადგენილ ფაქტებს დღესაც გააჩნიათ პრეიუდიციული ძალა, უფრო მეტიც, ასეთი ძალა გააჩნიათ არბიტრაჟის მიერ დადგენილ გარემოებებს.[5] საქართველოს კანონმდებლობა არაფერს ამბობს არბიტრაჟის გადაწყვეტილებებზე. რაც ნიშნავს, რომ მათ არ შეუძლიათ პრეიუდიციული ძალა ჰქონდეთ. რაც შეეხება საერთო სასამართლოების მიერ საარბიტრაჟო დავასთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო აქტების პრეიუდიციულ ძალას, ეს საკითხიც შეუსწავლელია.

თუ კანონმდებელი მიზანშეწონილად მიიჩნევს პრეიუდიციის არსებობას, ალბათ უპრიანია იგი მოქმედებდეს ადმინისტრაციულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების მიმართ. ხშირად ერთი და იგივე დავასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები ერთდროულად სამოქალაქო და ადმინისტრაციული წესით განსახილველია. ამ დროს პრეიუდიციის არსებობა მნიშვნელოვნად გაამარტივებდა საქმის გადაწყვეტას.

პრეიდიციულ ძალასთან მიმართებაში მეცნიერები ხშირად კამათობენ გადაწყვეტილების მოქმედების ფარგლებზე. რუსი მეცნიერი ა. მ. ბეზრუკოვა მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების კანონიერი ძალა შეზღუდულია დროის თვალსაზრისით. რაც გულისხმობს, რომ იგი შედის კანონიერ ძალაში მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც გადის გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა.[6] შეუძლებელია, არ დაეთანხმო ამ მოსაზრებას. მაგრამ საინტერესოა ის საკითხიც, თუ სადამდე შეიძლება გაგრძელდეს ეს ფარგლები, უსასრულოა თუ არსებობს ვადები, რომლის შემდეგაც

შეუძლებელია გადაწყვეტილებას ჰქონდეს კანონიერი და შესაბამისად, პრეიუდიციული ძალა. შესაბამისად, ქარწყლდება თუ არა გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ მისი კანონიერი ძალა, ახდენს თუ არა რაიმე ფაქტორები მასზე გავლენას, თუნდაც გადაწყვეტილების აღსრულებისათვის კანონით დადგენილი ვადა, რა იურიდიული დატვირთვა აქვს მას ამ ვადის გასვლის შემდეგ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ვადა ათი წელია.[7] აღნიშნული ნიშნავს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების იძულებით აღსრულება დასაშვებია ათი წლის განმავლობაში. საინტერესოა, რა ემართება კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას ამ ვადის გასვლის შემდგომ, მიუხედავად იმისა, რომ მისი აღსრულების მოთხოვნა დაუშვებელი ხდება, აქვს თუ არა მას პრეიუდიციული ძალა. სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივ ნორმათა ანალიზი ცხადყოფს, რომ არ არსებობს ნორმა, რომელიც ითვალისწინებს ამ ძალის გაქარწყლების მექანიზმს. შეუძლებელია, სამოქალაქო საპროცესო ნორმების საფუძველზე პრეიუდიციული ძალის შეზღუდვაც, ასეთი შინაარსის ნორმების არარსებობის გამო. აქედან გამომდინარე, შეიძლება მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება – მიუხედავად იმისა, გავიდა თუ არა ათწლიანი ვადა და აღსრულდა თუ არა კანონიერ ძალში შესული ეს გადაწყვეტილება, მას გააჩნია პრეიუდიციული ძალა.

ასევე საინტერესოა, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების პრეიუდიციული ძალის ფარგლებისა და ახლადაღმოჩენილ გარემოებათა და გადაწყვეტილების ბათილობის გამო საქმის წარმოების განახლების ვადის ურთიერთმიმართების საკითხი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს საქმის წარმოების განახლების 5-წლიან ვადას გარკვეული კატეგორიის საქმეებზე. მითითებული ვადის გასვლის შემდეგ შეუძლებელია, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებათა უმეტესობის შეცვლა.[8] ბუნებრივია, ამ ვადის გასვლის შემდეგ, გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებები ინარჩუნებენ გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებულ შინაარსს და იგი ასეთივე სახით მოქმედებს სხვა გადაწყვეტილებებზე, რომელთა მიმართაც მას სავალდებულო ძალა აქვს. ასე, რომ ამ ვადის გასვლის შემდეგ, მისი პრეიუდიციული ძალა ბევრად უფრო მტკიცეა, ვიდრე ამ ვადის გასვლამდე.

არანაკლებ საინტერესოა, თუ რა შედეგი დადგება, იმ შემთხვევაში, როდესაც პრეიუდიციული ძალის მქონე გადაწყვეტილებაზე განახლდება საქმის წარმოება. მით უმეტეს, თუ ამ გადაწყვეტილების საფუძველზე უკვე გამოტანილია გადაწყვეტილება ან გადაწყვეტილებები, რომლებიც ასევე, კანონიერ ძალაშია შესული. მხარის მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ასეთ დროს უნდა მოხდეს ყველა იმ გადაწყვეტილებაზე საქმის წარმოების განახლება, რომელსაც საფუძვლად დაედო გაუქმებული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებანი. ასეთი შედეგი კი, ერთი და იგივე საქმეზე შეიძლება არაერთხელ შეიცვალოს. შესაბამისად, შეიცვლება შემდგომი გადაწყვეტილების შინაარსიც. ბუნებრივია, ეს ფაქტორი გარკვეულ სამართლებრივ უხერხულობებს ქმნის. თუმცა, კიდევ უფრო მეტ სირთულეებს უნდა ქმნიდეს რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-4 ნაწილში მითითებული დებულება, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების სავალდებულო ძალა უფლებას არ ართმევს პირს, რომელიც არ მონაწილეობდა ამ დავაში, მიმართოს სასამართლოს თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად ამ აქტების გასაჩივრების გზით.[9] ზემოთ მითითებული გარემოებების ანალიზი ცხდყოფს, რომ კანონიერ ძალაში გადაწყვეტილების შესვლაც არ არის

ამ გადაწყვეტილების უცვლელობის გარანტია და მისი სტაბილურობის ცალსახა საფუძველი. მხარეს, რომელიც თვლის, რომ დაირღვა მისი უფლება შეუძლია მიმართოს სასამართლოს და დაიწყოს დავა იმ საკითხებზე, რაზეც გამოტანილია გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, პრეიუდიციის არსებობისათვის აუცილებელია არა მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, არამედ ამ გადაწყვეტილებასა და განსახილველ გადაწყვეტილებაში ერთი და იგივე მხარეების მონაწილეობა. ამ ფაქტორების ცალ-ცალკე არსებობა არ წარმოშობს პრეიუდიციულ ძალას. სხვადასხვა პირების მონაწილეობა მითითებულ ორ განსახილველ და განხილულ სამოქალაქო საქმეში გამორიცხავს პრეიუდიციის არსებობას. ამ თვალსაზრისით, გადაწყვეტილებას არა აქვს ფართო ფარგლები და იგი ვრცელდება მხოლოდ საქმეში მონაწილე პირებზე. ასევე, შეიძლება გავრცელდეს მათ უფლებამონაცვლეებზეც. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თავისთავად, სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არ არის პრეიუდიციული ძალის მქონე. მას ასეთი ძალა მხოლოდ მაშინ ეძლევა, როდესაც კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაში მონაწილე მხარეებს შორის იწყება ახალი დავა.

მხარეთა მიმართ ახალი გადაწყვეტილების გამოტანისას ის გარემოებანი, რომლებიც დადასტურებულია მათ შორის არსებულ დავაზე გამოტანილ კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაში, სავალდებულოა ახალ საქმეზე გარემოებების დასადგენად. ეს ფაქტორი სავალდებულოა როგორც მოსამართლისთვის, ისე მხარეებისათვის. ამ უკანასკნელთ აღარ აქვთ შესაძლებლობა სხვაგვარად წარმოაჩინონ სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, სასამართლო კი, ვალდებულია ასახოს ეს გარემოებანი მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში.

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტებისათვის პრეიუდიციული ძალის მინიჭება პირდაპირ ასახვას პოულობს გადაწყვეტილებებში იმ პირთა შორის დავის გადაწყვეტისას, რომლებიც მონაწილეობდნენ სასამართლოს მიერ უკვე გადაწყვეტილ სამოქალაქო საქმეზე. განსახილველ საქმესთან დაკავშირებული ფაქტების დადგენა აუცილებელია სწორი გადაწყვეტილების მისაღებად. იგი წარმოადგენს მოსამართლის მიერ გაკეთებული საბოლოო დასკვნების საფუძველს. აქედან გამომდინარე, საქმესთან დაკავშირებული ყველა გარემოება უნდა დადგინდეს მოსამართლის მიერ საბოლოო დასკვნების გასაკეთებლად.

ა. მ. ბეზრუკოვა სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს ჰყოფს ორ ჯგუფად – გარემოებებად, რომელიც შეეხება საქმეში მონაწილე პირების მოთხოვნებსა და შესაგებელს და სხვა გარემოებებად, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მისაღებად. პირველ ჯგუფს იგი მიაკუთვნებს მატერიალურსამართლებრივი ხასიათის გარემოებებს, სადაც შედის მხარეთა სარჩელისა და შესაგებელში მითითებული გარემოებები და შეადგენს მტკიცების საგანს. მეორე ჯგუფს კი, მიაკუთვნებს სხვადასხვა სახის გარემოებებს, რომელთა დადგენაც ასევე, აუცილებელია დავის გადასაწყვეტად, მაგრამ ამ ჯგუფის გარემოებების დადგენა აუცილებელია ცალკეული საპროცესო მოქმედების შესასრულებლად. ეს არის გარემოებები, რომლებიც ახასიათებს მიღებული ინფორმაციის სინამდვილესთან შესაბამისობას და ასევე, მის შეუსაბამობას. როგორც თავად ავტორიც მიუთითებს, მართლაც, უდავოა მტკიცების საგნისათვის პირველი ჯგუფის, ანუ მატერიალურსამართლებრივი ხასიათის გარემოებების მიკუთვნება. მაგრამ მეორე ჯგუფის არსებობა დავას იწვევს.[10] ავტორთა გარკვეული წრე მიიჩნევს, რომ როგორც

მატერიალურსამართლებრივი, ისე პროცესუალურსამართლებრივი ხასიათის გარემოებები შედის მტკიცების ტვირთში, ზოგიერთი კი, მხოლოდ მატერიალურსამართლებრივი ხასიათის გარემოებებს მოიაზრებს მტკიცების ტვირთში. არსებობს მოსაზრება, რომ მტკიცების ტვირთში მოიაზრება იურიდიული ფაქტები და მატერიალურსამართლებრივი ხასიათის მტკიცებადი ფაქტები, ხოლო სხვა დანარჩენი პროცესუალური ხასიათის ფაქტებია (ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ სადავო სამართალურთიერთობის მიზეზებსა და პირობებს).[11]

ვფიქრობთ, გარემოებების დაყოფა ზემოთ მითითებული ფორმით, მსჯელობა იმაზე, შედის თუ არა მტკიცების ტვირთში ეს გარემოებები, გავლენას ვერ მოახდენს გარემოებების პრეიუდიციული ძალის შინაარსზე. ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლი. მასში მითითებულია, რომ გადაწყვეტილების გამოტანისას, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვრავს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის თუ რომელი გარემოებაა დადგენილი ან დაუდგენელი, რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული ამ საქმეზე და უნდა დაკმაყოფლდეს თუ არა სარჩელი.[12] ნორმის ანალიზი ცხდყოფს, რომ სასამართლო ადგენს ყველა გარემოებას, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადასაწყვეტად. კოდექსი აქ არ განასხვავებს ამ გარემოებათა ხასიათს. შესაბამისად, მიუხედავად ამ გარემოებათა სამართლებრივი ბუნებისა, ისინი შედიან მტკიცების ტვირთში და მათ აქვთ პრეიუდიციული ძალა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, პრაქტიკაში შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა სახის პრობლემები. შესაძლოა, სასამართლომ სამოქალაქო დავის განხილვის დროს დაადგინოს ფაქტობრივი გარემოება, რომელის დადგენას არ ითხოვდნენ მხარეები და ამასთან, მას არ ჰქონდეს არსებითი მნიშვნელობა განსახილველი დავის გადასაწყვეტად. ასეთმა გარემოებამ შესაძლოა, სერიოზული გავლენა მოახდინოს მხარეთა შორის არსებული დავის შედეგებზე, მიუხედავად იმისა, გარემოება დადგენილია მოგებული თუ წაგებული მხარის მიმართ. მოგებული მხარის მიერ ფაქტობრივი გარემოების უსწორობისათვის გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა დაშვებული არ არის. სასამართლოში წარმოებულ ახალ დავაში კი, ეს გარემოება შესაძლოა, წინა პროცესში მოგებული მხარისათვის წამგებიანი აღმოჩნდეს და თან ისე, რომ მას არ ჰქონდეს ამ გარემოების გასაჩივრების უფლება.

სამწუხაროდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ახდენს სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების დიფერენციაციას პრეიუდიციის თვალსაზრისით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლი საკმარისად მიიჩნევს, რომ გარემოება დადგენილი იყოს ერთი სამოქალაქო საქმის განხილვის შედეგად და მნიშვნელობა არა აქვს, ჰქონდა თუ არა მას გადაწყვეტილებისათვის არსებითი მნიშვნელობა. გარემოებამ, რომელსაც არანაირი დატვირთვა არ ჰქონდა საქმის განსახილველად, პრეიუდიციული ძალის მოქმედების შედეგად, შესაძლოა დიდი როლი შეასრულოს სხვა სამოქალაქო საქმის საბოლოო შედეგებზე, რომელიც შეიძლება მიუღებელი აღმოჩნდეს როგორც ერთი, ისე მეორე მხარისათვის.

იგივე შეიძლება ითქვას იმ გარემოებაზეც, როდესაც სასამართლომ მოგებული მხარის მიმართ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება. მას გასაჩივრების უფლება არ გააჩნია. ამ გარემოებამ კი, შესაძლოა მისთვის არასასურველი შედეგი განაპირობოს. აღნიშნული მეტყველებს პრეიუდიციული ძალის ნეგატიურ მხარეებზე.

დავას იწვევს ის საკითხიც, თუ რა იგულისხმება პრეიუდიციული ძალის გარემოებებში. აქ

მოიაზრება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში დადგენილი გარემოებები თუ სასამართლოს მოტივაციის შედეგები. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი – სასამართლო საქმის განხილვისას ადგენს, თუ რა სამართალურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და რა ფაქტებს ჰქონდა ადგილი მათ შორის დავის მიმდინარეობის დროს. ყველა ფაქტის ასახვა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში შეუძლებელია. შესაბამისად, შეუძლებელია, მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილში ასახულ გარემოებებს ჰქონდეს პრეიუდიციული ძალა.

იმისათვის, რომ სასამართლო მივიდეს სარეზოლუციო ნაწილში ასახულ შედეგამდე, მას უხდება მტკიცებულებათა სრული და ობიექტური განხილვა, რომელზე დაყრდნობითაც აკეთებს დასკვნას, ჰქონდა თუ არა ამა თუ იმ გარემოებას ადგილი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი).[13] ანუ გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს არა მხოლოდ მტკიცებულებებზე, რომელსაც დაეყრდნო სასამართლო, არამედ იმ დასკვნებზე და მოტივებზე, რომლითაც სასამართლო ასკვნის გარკვეული გარემოებების არსებობა-არარსებობის ფაქტს. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ყველა ამ გარემოების დაფიქსირება შეუძლებელია, მასში ასახულია მხოლოდ ამ გარემოებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად მიღებული დასკვნა – დაკმაყოფილდეს თუ არა სარჩელი.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ სამოქალქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება არა მხოლოდ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე, არამედ მთელ გადაწყვეტილებაზე. შესაბამისად, კანონიერ ძალას იძენს გადაწყვეტილებაში ასახული გარემოებებიც. გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, ვერ შეიცვლება გადაწყვეტილების ვერც ერთი ნაწილი. შესაბამისად, პრეიუდიციული ძალა ენიჭება სასამართლოს მიერ დადგენილ ყველა ფაქტობრივ გარემოებებს.

მეტად საინტერესოა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეთერთმეტე კარით რეგულირებული ახლადაღმოჩენილ გარემოებათა და გადაწყვეტილების ბათილობის გამო, საქმისწარმოების საკითხის დამოკიდებულება პრეიუდიციასთან მიმართებაში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენის გამო, შეიძლება გასაჩივრდეს ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმისწარმოების განახლების მოთხოვნით, თუ აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, ყალბია, დადგენილია მოწმის შეგნებულად ცრუ ჩვენება, ექსპერტის შეგნებულად ყალბი დასკვნა, შეგნებულად არასწორი თარგმანი, რასაც მოჰყვა უკანონო გადაწყვეტილების მიღება. ასევე, დადგენილია ამ საქმეზე მხარეთა და მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედება ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება, სასამართლო განაჩენი, რომელიც დაეყრდნო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა.[14]

ამავე ნორმის მეორე ნაწილის თანახმად, ზემოთ მითითებული საფუძვლებით საქმის წარმოების განახლება დასაშვებია, თუ სისხლის საქმეზე გამოტანილი განაჩენი კანონიერ ძალაშია შესული. მითითებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ ზემოთ მითითებული გარემოებების თაობაზე გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენის არსებობა უპირობო საფუძველია საქმის წარმოების განახლებისა და სავარაუდოდ, ამ სამართლებრივ აქტში დადგენილ ფაქტებს გააჩნიათ სავალდებულო ძალა განსახილველ საქმეზე. აღნიშნული წინააღმდეგობაშია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის დებულებებთან, რომლის თანახმადაც, სავალ-

დებულო ძალა მხოლოდ სამოქალაქო საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებით დადგენილ გარემოებებს გააჩნიათ.

არსებობს დავა იმის თაობაზეც, ენიჭება თუ არა პრეიუდიციული მნიშვნელობა სასამართლოს მიერ გაკეთებულ დასკვნებს. მოსამართლის დასკვნა თავისთავად გულისხმობს მოსამართლის შინაგანი რწმენის საფუძველზე მტკიცებულებათა განხილვის შედეგად გაკეთებულ შეფასებებს. კოდექსი სავალდებულოდ მიიჩნევს არა მხოლოდ ამ შეფასებების, არამედ მისი შედეგების ასახვას გადაწყვეტილებაში. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ყალიბდება სწორედ ამ შეფასებების შედეგად. შესაძლოა, პრაქტიკაში ისეც მოხდეს, რომ ფაქტობრივი გარემოება დადგენილი იყოს სწორად, მიუხედავად სასამართლოს მიერ არასწორი მსჯელობისა. ამიტომ პრეიუდიციული ძალის მინიჭება ორივე მათგანისათვის გაუგებრობებს გამოიწვევს.

იმისათვის, რომ სასამართლო მივიდეს სარეზოლუციო ნაწილში ასახულ შედეგამდე, მას უხდება მტკიცებულებათა სრული და ობიექტური განხილვა, რომელზე დაყრდნობითაც აკეთებს დასკვნას, ჰქონდა თუ არა ამა თუ იმ გარემოებას ადგილი.[15] ანუ გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს არა მხოლოდ მტკიცებულებებზე, რომელსაც დაეყრდნო სასამართლო და არამედ იმ დასკვნებზე და მოტივებზე, რომლითაც სასამართლო ასკვნის გარკვეული გარემოებების არსებობა-არარსებობის ფაქტს. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ყველა ამ გარემოების დაფიქსირება შეუძლებელია, მასში ასახულია მხოლოდ ამ გარემოებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად მიღებული დასკვნა – დაკმაყოფილდეს თუ არა სარჩელი.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება არა მხოლოდ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე, არამედ მთელ გადაწყვეტილებაზე. შესაბამისად, კანონიერ ძალას იძენს გადაწყვეტილებაში ასახული გარემოებებიც. გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, ვერ შეიცვლება გადაწყვეტილების ვერც ერთი ნაწილი. შესაბამისად, პრიუდიციული ძალა ენიჭება სასამართლოს მიერ დადგენილ ყველა ფაქტობრივ გარემოებებს.

მეტად საინტერესოა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეთერთმეტე კარით რეგულირებული ახლადაღმოჩენილ გარემოებათა და გადაწყვეტილების ბათილობის გამო საქმის წარმოების საკითხის მიმართება პრეიუდიციასთან მიმართებაში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენის გამო, შეიძლება გასაჩივრდეს ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, ყალბია, დადგენილია მოწმის შეგნებულად ცრუ ჩვენება, ექსპერტის შეგნებულად ყალბი დასკვნა, შეგნებულად არასწორი თარგმანი, რასაც მოჰყვა უკანონო გადაწყვეტილების მიღება, დადგენილია, ამ საქმეზე მხარეთა და მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედება ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება, სასამართლო განაჩენი, რომელიც დაეყრდნო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა.[16]

ამავე ნორმის მეორე ნაწილის თანახმად, ზემოთ მითითებული საფუძვლებით საქმის წარმოების განახლება დასაშვებია, თუ სისხლის საქმეზე გამოტანილი განაჩენი კანონიერ ძალაშია შესული. მითითებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ ზემოთ მითითებულ გარემოებების თაობაზე გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენის არსებობა უპირობო საფუძველია საქმის წარმოების განახლებისა და სავარაუდოდ, ამ სამართლებრივ აქტში დადგენილ ფაქტებს

გააჩნიათ სავალდებულო ძალა განსახილველ საქმეზე. აღნიშნული წინააღმდეგობაშია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის დებულებებთან, რომლის თანახმადაც, სავალდებულო ძალა მხოლოდ სამოქალაქო საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებით დადგენილ გარემოებებს გააჩნიათ.

იგივე შეიძლება ითქვას სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სარჩელის განხილვის წესებისა და პრეიუდიციის ურთიერთმიმართებაზე.[17] მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ განაჩენს აღარ აქვს პრეიუდიციული ძალა, მითითებული კატეგორიის სარჩელების განხილვა მიმდინარეობს გამარტივებული წესით, რაც სრულ გაუგებრობას იწვევს. გამარტივებული წარმოების წესით ასეთი დავების განხილვა მიზანშეწონილი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ განაჩენს ექნებოდა პრეიუდიციული ძალა. იმ შემთხვევაში კი, როდესაც განაჩენში მითითებული გარემოებები ჩვეულებრივ მტკიცებას საჭიროებენ, მათი მითითებული წესით განხილვა გაუგებრობას ბადებს.

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, პრეიუდიცია გამოიყენება წინააღმდეგობრივი და ბუნდოვანი ფორმებით. აუცილებელია, გადაიხედოს და შესაბამისობაში მოვიდეს მითითებული ნორმატიული აქტის 106-ე მუხლი, ანუ პრეიუდიციის ცნება ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სარჩელის განხილვის წესებისა და ასევე, ახლადაღმოჩენილი გარემოებების გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლებთან. საჭიროა, არსებობდეს ერთნაირი მიდგომა თითოეული ამ ინსტიტუტებისა თუ პროცესუალური კატეგორიების მიმართ, რადაგან ისინი ურთიერთდაკავშირებული და ურთერთგანმაპირობებელი ფაქტორებია.

შენიშვნები:

[1] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997, მუხლი 106.
[2] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997, მუხლი 83, 225.
[3] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997, მუხლი 106.
[4] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1997, მუხლი 4.
[5] А. П. Рижков, Коментарий к Гражданскому процессуалъному кодексу Российской Федерации, М., 2004, стр. 1.
[6] А. М. Безруков, Преюдициальная связь судебных актов, М., 2007, стр. 39.
[7] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 1997, მუხლი 142.
[8] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1997, მუხლი 426.
[9] А. П. Рижков, Коментарий к Гражданскому процессуалъному кодексу Российской Федерации, М., 2004, стр. 19.
[10] А. М. Безруков, Преюдициальная связь судебных судебных актов, М., 2007, стр. 52.
[11] А. М. Безруков, Преюдициальная связь судебных судебных актов, М., 2007, стр. 38.
[12] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი,1997, მუხლი 244.
[13] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1997, მუხლი 105.
[14] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1997, მუხლი 423.
[15] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1997, მუხლი 105.
[16] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1997, მუხლი 423.
[17] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1997, მუხლი 309^{16}-309^{21}.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1997. www matsne.gov.ge;
2. М. Безруков, Преюдициальная связь судебных актов, М., Волтерс Клувер, 2007;
3. А. П. Рижков, Коментарий к Гражданскому процессуалъному кодексу Российской Федерации, 2-е издание, издателъство „Норма,“ 2004.

UNDERLYING FACTORS FOR STIPULATIONS AND THEIR SIGNIFICANCE DURING THE DECISION MAKING BY THE COURT

MAIA SULKHANISHVILI
Doctoral Student of the Business-Engineering Faculty of the Technical University of Georgia

The court often refers to stipulations when deciding the cases. In accordance with the Article 106 of the Civil Procedure Code of Georgia, stipulations can apply to only those facts that have been established by a judgment on a civil case that has entered legal force, if the same parties were involved in the other civil case. In this respect there are interesting factors that are preconditions for stipulations and that have an influence on its effect. First and foremost, it is interesting to discuss when the stipulations emerge, in which cases they are effective and what circumstances can influence its effects. As made evident by the analysis of this norm, the stipulations may exist only if there is a court judgment already entered into force, which establishes the facts that are significant for the case. Entering the decision into force does not necessarily give rise to stipulations, and to this effect there should be another civil litigation underway between the same parties for which the decision was passed and entered into force. In all other cases the force of stipulations becomes ineffective. It is vastly important to study each of the factors resulting in the stipulations, as far as they directly affect the decisions passed by the court.

We should also point out that the withdrawal of legal acts passed on criminal cases from the above mentioned norm has re-

sulted in certain misunderstandings. Procedural significance of these acts is very vague while hearing the civil disputes. There are unanswered questions about whether it is possible to unconditionally share the facts established by these acts, or to reject them. The civil process does not say anything about the general procedural significance of the judgment passed on a criminal case. The facts reflected therein no longer belong to the facts that do not necessitate assertion. Correspondingly, the judgment can be considered as one of the evidences that can be rejected, like any other evidence.

In this respect, it is impossible to hear the claim on compensation for the damages inflicted by a certain tort in a simplified way in accordance to the Civil Code. Such a simplified hearing would be allowed only in case if the judgment had a stipulations force. Even in case if it became subjected to the ordinary burden of proof, it is impossible to hear it through a different procedure.

Correspondingly, a uniform approach should be elaborated towards the stipulations, which will find its reflection in the Civil Procedure Code of Georgia.

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებისათვის პასუხისმგებლობის აქსიოლოგიური დასაბუთება

გურამ ნაჭყებია
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ემერიტუსი, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

აქსიოლოგია არის ღირებულების ფილოსოფია, რომელსაც ნორმატიულ მეცნიერებებში უაღრესად დიდი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს. იგულისხმება ღირებულების ცნება, რომელიც სწორად გაგების შემთხვევაში, არსებითად განსაზღვრავს შეფასების ბუნებას და შეფასებითი ცნებების ჩამოყალიბების მეთოდოლოგიას. სამწუხაროდ, ღირებულების ცნება ყოველთვის სწორად არაა გაგებული. ხშირია სარგებლიანობასთან მისი გაიგივების ტენდენციაც. ღირებულება კი, არის შეფასების და ორიენტაციის იდეალური საფუძველი,[1] რომელიც ჯერარსის ფორმით არსებობს.[2] მაგალითად, თავისუფლება, ღირსება, სამართლიანობა, სიმამაცე და სხვა, – არსებობს იდეალურად და არა რეალურად. ღირებულება იმიტომ მოითხოვს განხორციელებას ე. ი. ჯერარსის ფორმით იმიტომ არსებობს, რომ ის რეალურად არ არის ან საკმარისად არაა განხორციელებული.

ამიტომ ღირებულება დაკავშირებულია მიზანთან, რომელიც მომავლის იდეალურ მოდელს წარმოადგენს, ხოლო მიზანი შესატყვის საშუალებას მოითხოვს. მიზანი, საშუალება და შედეგი ნებისმიერი ადამიანური საქციელის ეფექტიანობას განსაზღვრავს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, საქმე შეეხება ადამიანური საქციელის სოციოლოგიურ დახასიათებას. ამჯერად კი, მოკლედ შევეხებით აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების პრობლემას. კერძოდ, დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ აუცილებელი მოგერიებისას, ისევე, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ სხვა გარემოებათა შემთხვევაში, სუბიექტს ამოძრავებს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზანი. ამ მიზნის გარეშე ქმედება მართლზომიერად არ ჩაითვლება. ამრიგად, აუცილებელი მოგერიებისას სუბიექტს ამოძრავებს თავისი ან სხვისი სამართლებრივი დაცვის მიზანი.

აქედან გამომდინარე, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებისას სუბიექტის ქმედება ვერ გაიკიცხება, რადგან ვიმეორებთ, მომგერიებლის ქმედებას თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზანი წარმართავს, მიუხედავად იმ ზიანისა, რომელიც მომგერიებელმა ხელმყოფს მიაყენა. ამ პოზიციიდან კი, სულ მცირე, ორი უხერხული დასკვნა გამომდინარეობს. ჯერ ერთი, ირკვევა, რომ ამ ლოგიკურ ვითარებაში სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აფუძნებს არა ქმედება, არამედ მხოლოდ შედეგი, ხოლო ეს ობიექტური შერაცხვის პრინციპის აღიარება იქნებოდა. მეორეც, რამდენადაც ობიექტური ზიანი ხელმყოფს ადგება არა მარტო აუცილებელი მოგერიების გადაცილებისას, არამედ მის ფარგლებშიც ე. ი. მოგერიების მართლზომიერების შემთხვევაშიც, ხსენებული პოზიციიდან ამ ორი ვითარების გამიჯვნა შეუძლებელია. მაშასადამე, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებისათვის პასუხისმგებლობის დასაბუთების მიზნით ხელმყოფისათვის მიყენებული ფაქტობრივი ზიანი თავისთავად საკმარისი არ არის.

ამრიგად, იქმნება გამოუვალი წინააღმდეგობა: რამდენადაც მომგერიებელს ამოძრავებს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზანი, ამდენად აუცილებელი მოგერიების გადაცილებისას მომგერიებლის ქმედება მართლზომიერია და არა მართლსაწინააღმდეგო. მაგრამ მაშინ რაში მდგომარეობს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებისას მომგერიებლის ქმედების მართლწინააღმდეგობა? ხომ ცნობილია, რომ ამ უკანასკნელის გარეშე ბრალი არ არსებობს? თუ მომგერიებლის პასუხისმგებლობას მისი მოქმედების შედეგისათვის, ანუ ხელმყოფისათვის ობიექტური ზიანის მიყენების ფაქტზე დავაფუძნებთ, მაშინ ობიექტური შერაცხვის პრინციპს თავს ვერ დავაღწევთ და ბრალის ცნება ხელიდან გვისხლტება.

იურიდიულ ლიტერატურაში ხშირი გახლდათ მტკიცება, რომ დანაშაულის დადებითი ან ნეიტრალური მოტივი შეუძლებელია.[3] ასეთივე მოსაზრებას გამოთქვამენ ა. სახაროვი და ა. რატინოვი. მათი აზრით, დანაშაულის მოტივი და მიზანი არ შეიძლება სოციალური თვალსაზრისით, ნეიტრალურად ან სასარგებლოდ მივიჩნიოთ.[4]

თუ დანაშაულებრივ ქმედებას ყველა შემთხვევაში უარყოფითი მოტივი და მიზანი წარმართავს, მაშინ აუცილებელი მოგერიების გადაცილებისას, მომგერიებლის ქმედებას სხვისი ან თავისი სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზანი არ ექნება, ხოლო ამ ვითარებაში აუცილებელი მოგერიებაც არ არსებობს და მაშასადამე, არც მისი გადაცილებაა შესაძლებელი. ამ და სხვა ამგვარმა სიძნელეებმა ზოგიერთი ავტორი კიდევ უფრო მძიმე თეორიულ წინააღმდეგობაში

ჩააგდო. მაგალითად, ი. ტიშკევიჩი წერდა: „იქ, სადაც აუცილებელი მოგერიებაა, გადაცილებაზე ლაპარაკი არ შეიძლება, ხოლო თუ გადაცილება დაშვებულია, მოგერიება არ არსებობს.“[5]

როგორც ჩანს, ავტორს აუცილებელი მოგერიებისა და მისი ფარგლების გადაცილების გამიჯვნა უნდა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ავტორი მათი სრული გათიშვის გზას დაადგა. აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება იმდენადაა შესაძლებელი, რამდენადაც აუცილებელ მოგერიებას ჰქონდა ადგილი. რა თქმა უნდა, მხოლოდ ნეგატიური პოზიციიდან აუცილებელი მოგერიება და მისი ფარგლების გადაცილება ერთმანეთს ლოგიკურად გამორიცხავს, მაგრამ პოზიტიურად, დიალექტიკის ელემენტარული ანბანის მიხედვით, პირიქით, ისინი ერთმანეთს მოითხოვენ, რადგან აუცილებელი მოგერიების ვითარება რომ არა, არც მისი ფარგლების გადაცილება იქნებოდა შესაძლებელი. მაგრამ მეორე მხრივ, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს, რომ ხელმყოფს მიადგა ისეთი ზიანი, რომელიც მოცემულ შემთხვევაში, სამართლებრივი სიკეთის დასაცავად აუცილებელი არ იყო. ცხადია, აქ საუბარი ხელმყოფისთვის მიყენებული ზიანის მხოლოდ ხარისხს არ ეხება. საქმე უფრო რთულადაა და ამიტომ იგი სხვაგვარ მიდგომას მოითხოვს, კერძოდ, ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ მიზნის, საშუალებისა და შედეგის კავშირი. ეს ნიშნავს, რომ მიზანი შედეგში პირდაპირი ლოგიკური გზით არ გადადის, მიზანი მისი განხორციელებისათვის მოითხოვს საშუალებას, რომელიც, თავის მხრივ, ქმედების გარკვეულ შედეგს განაპირობებს.

გასაგებია, რომ თითოეულ ამ კომპონენტს ე. ი. მიზანს, საშუალებას და შედეგს, ერთმანეთისაგან შეფარდებითი დამოუკიდებლობა ახასიათებთ. მიზანი საშუალებას ცალმხრივად არ განსაზღვრავს, ისევე როგორც საშუალება შედეგს უშუალოდ, სხვა თანმხლებ გარემოებათა გაშუალების გარეშე, არ განაპირობებს. ამიტომაა, რომ მიზნის, საშუალებისა და შედეგის კავშირი მეტად რთული მსოფლმხედველობრივი საკითხია. აქ მოკლედ შევეხებით კანტისა და ჰეგელის ფილოსოფიური სისტემების დაპირისპირებას ამ საკითხში. კერძოდ, თუ კანტი ადამიანის ქმედების მიზანს თავისთავად ღირებულებას ანიჭებს და ამიტომ ძნელია ამ მიმართებით მიზნის, საშუალებისა და შედეგის კავშირის დადგენა, ჰეგელის ფილოსოფიაში, პირიქით, მიზანი საშუალების განმსაზღვრელია იმგვარად, რომ საბოლოოდ მთავარია ქმედების შედეგი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ კანტის ფილოსოფიაში ჯერარსობას, როგორც მიზანს, აქვს თავისთავადი ღირებულება, ჰეგელთან ჯერარსობა, საბოლოო ანგარიშით (აბსოლუტური სულის თვითშემეცნების სასრულ ეტაპზე) მოხსნილია და ამდენად რჩება შედეგი, ესე იგი ადამიანი თავის ობიექტურ საქმეებში უნდა გამოვლინდეს. ჰეგელის აზრით, ადამიანი სხვა არა არის რა, თუ არა მისი მოქმედებანი და საქმენი.“[6] უფრო მეტიც, ჰეგელი იქამდეც კი მიდის, რომ ადამიანის მიზნების, განზრახვების შეფარდებით დამოუკიდებლობასაც კი უარყოფს, რის გამოც ადამიანი თავისი ქმედების ობიექტურ შედეგზე უნაშთოდ დაიყვანება. ჰეგელის აზრით, „ცალკეულ შემთხვევებში, მართლაც შეიძლება მოხდეს, რომ არახელსაყრელი გარეგანი ვითარების გამო კეთილი ზრახვები ჩაიშალოს და მიზანშეწონილი გეგმები განხორციელების დროს ჩაიფუშოს, მაგრამ საერთოდ აქაც ჩვენ უნდა ვთქვათ: „რასაც იქმს ადამიანი, ისეთიც არის თვითონ ის.“[7]

ამრიგად, ჰეგელისათვის შინაგანს ე. ი. მიზანს, ჯერარსობას, თავისთავადობას არავითარი აზრი არა აქვს, რადგან მისთვის მთავარია შინაგანის გარეგანში გამოვლენა და რაც ამ გამოვლენის მიღმა რჩება, შემთხვევით გარემოებათა პროდუქტია.

ადამიანი დანაშაულსაც „იქმს,“ მაგრამ სრულიად მიუღებელია თქმა, რომ ადამიანი მხოლოდ მისი დანაშაულებრივი ქმედების მიხედვით განვსაჯოთ ე. ი. ამ დანაშაულზე დავიყვანოთ. გარდა ამისა, ჰეგელის მსჯელობის ლოგიკით, ადამიანის ნებისმიერი, მათ შორის, მომგერიებლის ქმედება, მისი შედეგის მიხედვით უნდა შევაფასოთ, ხოლო ამ პოზიციიდან ბრალეული პასუხისმგებლობის დასაბუთება შეუძლებელია. ამიტომ მიზნის შეფარდებით (და არა აბსოლუტურ) დამოუკიდებლობას ის მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს, რომ მიზანი საშუალებას, როგორც უკვე ითქვა, ცალსახად არ განსაზღვრავს ე. ი. შესაძლებელია კეთილშობილური მიზნის პირობებში ამ მიზნის შეუსაბამო საშუალების გამოყენება, რომელიც თავის მხრივ, მიზნის საწინააღმდეგო შედეგს გამოიწვევს.

აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ ამ პოზიციიდან შეიძლება დავასაბუთოთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იმ პირისა, რომელიც არღვევს აუცილებელი მოგერიების კანონით დადგენილ ფარგლებს. საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარა შეუსაბამობას მასზე თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან.“[8] უნდა ვთქვათ, რომ მომგერიებლის მიზანი კეთილშობილურია, რადგან იგი ხელყოფისაგან იცავს თავს ან სხვის სამართლებრივ სიკეთეს. როგორც სწორად მიუთითებს ბ. ვოლკოვი, თუ მომგერიებელი სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზნის საწინააღმდეგო მოტივით (მაგალითად, შურისძიების, ეჭვიანობის გრძნობით) ხელმძღვანელობს, მაშინ ასეთი მოქმედება უნდა შეფასდეს, როგორც აფექტის მდგომარეობაში ჩადენილად ან საერთო საფუძველზე.[9] გასაგებია, რომ სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზნით აღძრული ქმედება, როგორც ასეთი, მართლზომიერია და იგი თავის დაპირისპირებულში ან მართლსაწინააღმდეგოში პირდაპირი ლოგიკური გზით არ გადადის.

ეს გადასვლა ხდება გაშუალებულად ე. ი. იმ საშუალებით, რომელიც მოცემულ შემთხვევაში, არ იყო აუცილებელი. ამდენად, აქცენტი უნდა გაკეთდეს არა ქმედებაზე თავისთავად ან პირიქით, შედეგზე თავისთავად, არამედ იმ საშუალებაზე, რომელიც მომგერიებელმა გამოიყენა. ამ თვალსაზრისით, ფრიად საყურადღებოა თ. შავგულიძის და ლ. სურგულაძის ერთობლივი ნაშრომი, სადაც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი საინტერესოდაა განხილული, მაგრამ ამჯერად მოვიტანთ ამ ნაშრომში სასამართლო პრაქტიკიდან მოხმობილ მაგალითს, როდესაც საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია არ დაეთანხმა სახალხო სასამართლოს იმ გადაწყვეტილებას (კვალიფიკაციას), რომ ადგილი ჰქონდა მარტივ მკვლელობას და მან ქმედება დააკვალიფიცირა, როგორც ქმედება, ჩადენილი აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით. ამ მაგალითზე დასახელებული ავტორები შემდეგნაირად მსჯელობენ: „ჩვენი აზრით, ლ-ის მოქმედებაში არც აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტება იყო, რადგან იგი იცავდა თავს საზოგადოებრივად საშიში თავდამსხმელისაგან და მას არ უხმარია საამისოდ ისეთი საშუალება, აშკარად ხელყოფის ხასიათისა და საშიშროების შეუსაბამო ყოფილიყო. მას ექვსი კაცი სცემდა და ეს სრულ საფუძველს აძლევდა მოეგერიებინა ისინი ყველა შესაძლო საშუალებით, ვინაიდან ნაკლებშედეგიანი საშუალება შეიძლება საკმარისი არ გამომდგარიყო.“[10]

როგორც ამ მსჯელობიდან ჩანს, მომგერიებელს ჰქონდა თავისი სიცოცხლის დაცვის კანონიერი უფლება და მიზანი. მაგრამ ხელყოფა იმდენად საშიში და ინტენსიური (ექვსი კაცის

მხრივ ძალადობა) იყო, რომ საკუთარი სიცოცხლის დაცვა ნაკლებშედეგიანი საშუალებით (მან დანა გამოიყენა) შეუძლებელი იქნებოდა. გასაგებია, რომ აქ აშკარადაა გამოხატული მიზნის, საშუალებისა და შედეგის დიალექტიკური კავშირი, რომელიც ავტორებს სწორი მსჯელობის საფუძველს აძლევდა.

ამ პოზიციიდან აგრეთვე საინტერესოა, ნ სემერნევას (რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სახელმძღვანელოს თანაავტორი) მსჯელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების თაობაზე. ავტორი ფიქრობს, რომ ეს გადაცილება ხდება არაპირდაპირი განზრახვით ე. ი. სუბიექტი უშვებს ხელმყოფის სიკვდილის ან მისი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების შესაძლებლობას, „როცა აქ იგი ცდილობს მიაღწიოს საზოგადოებრივად სასარგებლო მიზანს, მაგრამ ირჩევს რა, ამ მიზნის მისაღწევად მის ხელში არსებულ ყოველგვარ საშუალებას, შეგნებულად უშვებს ერთ-ერთი დასახელებული შედეგის დადგომის შესაძლებლობას.“[11] მაშასადამე, სამართლებრივი სიკეთის დასაცავად ყველა საშუალება, რომელიც შეიძლება მომგერიებელს აღმოაჩნდეს, რა თქმა უნდა, არ დაიშვება. ამაზე მეტყველებს პროფ. მ. ლეკვეიშვილის შემდეგი მსჯელობა, როდესაც იგი აჯამებს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობის შემადგენლობის ანალიზს: „ამრიგად, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით მკვლელობა, როგორც მომგერიებლის დაცვის შეუსაბამო შედეგი, ხელმყოფის ინტენსიურ თავდასხმაზე იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც მომგერიებელი თავისი ან სხვისი ინტერესის თუ სახელმწიფოს თუ საზოგადოების ინტერესის დასაცავად კლავს თავდამსხმელს მაშინ, როდესაც არსებული კონკრეტული სიტუაცია გამორიცხავდა თავდაცვისათვის იმ საშუალების გამოყენებას, რითაც დაზარალებულს სიცოცხლე მოესპო.“[12]

ამრიგად, მიზნის, საშუალების და შედეგის დიალექტიკური კავშირი ნებისმიერი ადამიანური ქმედების სწორად გაგებისა და შეფასების მეთოდოლოგიური საფუძველია. ამ მიმართებით იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად აკრიტიკებენ კანტს, რომელმაც მიზნის თავისთავადობა დაუშვა, მაგრამ სამწუხაროდ, ხშირად ეთანხმებიან ჰეგელს, რომელმაც პირიქით, ადამიანი მისი ქმედების შედეგებზე დაიყვანა.

ამ ორ უკიდურესობათა დაძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, როდესაც მიზანს, საშუალებას და შედეგს განვიხილავთ არა მარტო მათ ურთიერთობაში, არამედ ერთმანეთისაგან შეფარდებითი დამოუკიდებლობის პრინციპით.

უკვე ითქვა, რომ მიზანი საშუალებას ცალსახად არ განსაზღვრავს, ისევე, როგორც საშუალება შედეგს ცალსახად და პირდაპირი ლოგიკური გზით არ განაპირობებს. ამიტომაა, რომ აუცილებელი მოგერიების გადაცილებისას, ტერმინი „საშუალება,“ რომელიც აუცილებელი დაცვის მიზანს არ შეესაბამება, გაგებული უნდა იყოს უფრო ფართოდ, ვიდრე მოგერიებისათვის გამოყენებული რაიმე საგანი (დანა, ჯოხი, ქვა, ცეცხლსასროლი იარაღი და ა. შ.), რადგან შედეგი ან ხელმყოფისათვის ზიანის მიყენება რიგ სხვა ფაქტორებზეცაა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, აუცილებელი მოგერიების გადაცილებისას, სუბიექტი იკიცხება არა იმდენად შედეგისათვის, არამედ იმ საშუალების გამოყენებისათვის, რამაც სხვა გარემოებებთან ერთად, ეს შედეგი გამოიწვია. ამდენად, ეს შედეგი მართლსაწინააღმდეგოა, მაგრამ როგორ უნდა გადაწყდეს აუცილებელი მოგერიების გადაცილებისას ბრალის საკითხი? ვფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც, გამოგვადგება პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეა, რადგან ამ იდეის თანახმად, ადამიანი მოწოდებულია თავის

მოვალეობას პასუხისმგებლობით მოეკიდოს. მაშასადამე, თუ მომგერიებელი მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ ხელყოფა მოიგერიოს, მაშინ იგი კისრულობს პასუხისმგებლობას, ეს მოგერიება კანონით დადგენილ ფარგლებში განახორციელოს. მაგრამ თუ მან ხელყოფის მოსაგერიებლად არაადეკვატური საშუალება გამოიყენა და ხელმყოფს მიაყენა ზიანი, რომელიც ხელყოფის მოსაგერიებლად არ იყო აუცილებელი, მაშინ მომგერიებლის მოქმედება პასუხისმგებლური კი არაა, არამედ პირიქით, უპასუხისმგებლოა, რადგან მას შეეძლო მოცემულ შემთხვევაში, მოგერიების სხვა საშუალება აერჩია და აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ემოქმედა. მომგერიებლის ეს უპასუხისმგებლობა მისი ბრალეულობის სინონიმია.[13] ისიც გასაგებია, რომ რაკი მომგერიებელს სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზანი ამოძრავებს, ამდენად აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება პირდაპირი განზრახვით გამორიცხულია.

მაშასადამე, იგი მოქმედებს ევენტუალური განზრახვით, რადგან აცნობიერებს რა, მის მიერ გამოყენებული საშუალების მართლწინააღმდეგობას, ითვალისწინებს, შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ე.ი. უპასუხისმგებლოდ, ეკიდება მის დადგომას. მეორე მხრივ, ისიც გასაგებია, რომ მომგერიებლის ბრალის ხარისხი, ევენტუალური განზრახვით მისი მოქმედების მიუხედავად, შედარებით დაბალია, რადგან აუცილებელი მოგერიების ვითარებაში მისი შესაძლებლობა – აირჩიოს ხელყოფის საშიშროებისა და ინტენსიურობის შესაბამისი დაცვის საშუალება, – საკმაოდ შეზღუდულია და ამიტომ გამორიცხული არაა მომგერიებლის განსაზღვრული შეცდომაც. არც ისაა შემთხვევითი, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების ანალიზისას ბრალის გაუფრთხილებელი ფორმა, ასე ვთქვათ, ენაზე გვადგება. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ მიმართებით ბრალის გაუფრთხილებელი ფორმის დაშვება ობიექტური შერაცხვა იქნებოდა: თუ თვითიმედოვნების დროს პირი, მართლსაწინააღმდეგო შედეგის თავიდან აცილების უპასუხისმგებლოდ დარწმუნების გამო, მოცემულ შემთხვევაში არ ითვალისწინებს ამ შედეგის დადგომის გარდაუვლობას, დაუდევრობის დროს წინდახედულობის ნორმის მოთხოვნისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო, არ ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას. ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ მომგერიებელი ნათლად აცნობიერებს იმ საფრთხეს, რასაც მოცემულ შემთხვევაში ხელყოფა ქმნის და სწორედ ამიტომ უჩნდება მას სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზანი. გასაგებია, რომ ამ მიზნის მისაღწევად თუნდაც, არაადეკვატური საშუალების შერჩევა სათანადო ცნობიერი აქტის გარეშე, შეუძლებელია. ასეთ პირობებში ხელმყოფისათვის არააუცილებელი ზიანის მიყენებაც შეგნებული აქტია, თუმცა, არაპირდაპირი, ევენტუალური, განზრახვით და არა გაუფრთხილებლობით. სხვა საკითხია ე. წ. მოჩვენებითი მოგერიების ვითარება, რომელიც ამ მხრივ, დამოუკიდებელ მსჯელობას მოითხოვს.

დაბოლოს, აქ ისიც უნდა ითქვას, რომ სტატიაში მოხმობილი მეთოდოლოგია შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული არა მარტო აუცილებელი მოგერიების ანალიზისას, არამედ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ ყველა სხვა (აგრეთვე, ზეკანონიერ) გარემოებათა სრულყოფილად წარმოჩენისათვის.

შენიშვნები:

1 ვ. ქვაჩახია, შ. ნადირაშვილი, დ. ბეჭვაია, ვ. ჭელიძე, ღირებულება და განწყობა, „სოციოლოგიური ნარკვევები," თბილისი, 1969, გვ. 47.

2 დ. ბეჭვაია, ღირებულების გნოსეოლოგიური ბუნებისთვის, დისერტაცია ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1970, გვ. 153.

3 И .Г. Филановсский, Социально-психологическое отношение субъекта к преступлению, ЛГУ, 1970, стр. 62.

4 А. Б. Сахаров, А. Р. Ратинов, Правовые основы предупреждеения преступности, Роль правосознания. „Теоретические основы предупрежддения преступности," Юрид. лит., М., 1977, стр. 111.

5 И. С. Тишкевич, Условия и пределы необходимой обороны, М., 1969, стр. 77.

6 ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება, თბილისი, 1962, გვ. 308.

7 იქვე, გვ. 307.

8 აუცილებელი მოგერიების სხვა საკითხების საინტერესო ანალიზი, იხ.: ი. დვალიძე (საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელოს ერთ-ერთი თანაავტორი), თბილისი, 2007, გვ. 244-252.

9 Б. С. Волков, Мотивы преступлений, Казанский гос-унт, 1982, стр. 95.

10 თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხავი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თბილისი, 1988, გვ. 139.

11 Уголовное право, Особенная часть, М., 1998, стр. 49.

12 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, თბილისი, 2014, გვ. 128.

13 ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ.: გ. ნაჭყებია, ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, თბილისი, 2001.

PROBLEM OF AXIOLOGICAL JUSTIFICATION OF THE RESPONSIBILITY FOR EXCEEDING THE LIMITS OF NECESSARY SELF-DEFENSE

GURAM NACHKEBIA
Doctor of Law, Emeritus of the Law Faculty of the Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Academician of the Academy of Sciences of Georgia

The article raises the issue of axiological justification of the problem of responsibility for exceeding the limits of necessary self-defense, and it is resolved from the viewpoint of dialectical linkage of the goal, means and outcome. Namely, in case of necessary self-defense, there is a goal of protecting one's or other individual's legal benefit, without which the necessary self-defense cannot be a lawful act. The action performed with such goal cannot be disapproved, same way as it does not make any sense to condemn a person's action only in the light of its potential outcome. This is why the justification for responsibility for exceeding the limits of necessary self-defense is based on the means, which the defender has used for the purposes of self-defense. Here we mean the means that is incompatible with the high goal of self-defense, but which was used for inflicting the harm to the attacker, although it was not necessary in this particular case and thus – it is unlawful.

As far as the defender is guided by the goal of protecting his or some other individual's legal benefit, going beyond the limits of necessary self-defense with direct intent is ruled out. Exceeding the limit is ruled out also with negligence, when the subject does not take into account the inevitability or possibility of unlawful consequence (carelessness). Hence above-mentioned, the only remaining thing is the possibility of eventual (indirect) intent, when the defender does not demonstrate due responsibility in selecting the means that would be relevant to the high goal of self-defense, because of which his conduct is irresponsible, i.e. he is culpable and bears negative responsibility for exceeding the necessary limits.

საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფა

(შედარებითი ანალიზი)

ია ხარაზი
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე ეტაპზე, სწრაფად განვითარებადი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ყოველგვარი ვალდებულება, იქნება ეს კერძოსამართლებრივი თუ საჯაროსამართლებრივი (საგადასახადოსამართლებრივი) „ერთგვარ დაცვას“ საჭიროებს, რომელსაც იურისპრუდენციაში „უზრუნველყოფას“ უწოდებენ. ამ მიზნით კანონმდებლობაში (საჯარო თუ კერძო სამართალში) შემუშავებულია და კანონმდებლობით დადგენილია სპეციალური ზომები, რომლებიც მიმართულია, რომ დაიცვას საბაზრო ეკონომიკის ბრუნვის მონაწილე, „სუპერსუბიექტი“ – კრედიტორი (იქნება ეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი თუ კერძო სამართლის იურიდიული პირი), რათა აიძულოს მოვალე შეასრულოს შესაბამისად, საჯაროსამართლებრივი თუ კერძოსამართლებრივი ვალდებულებები, რომლებიც მან იკისრა სესხის აღების სანაცვლოდ ან არ (ვერ) შეასრულა სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებები და მისი ქონების მიმართ გამოყენებული იქნა საჯარო და კერძო სამართლებრივი უზრუნველყოფის საშუალებები.[1]

ცნობილი კვინტენსენციაა: „მხოლოდ გადასახადები და სიკვდილია გარდუვალი“. თუ საგადასახადო ვალდებულებების სარკიდან შევხედავთ ამ ხატოვან გამოთქმას, შევჯერდებით,

რომ გადასახადების გადახდა ვალდებული პირის მოვალეობაა, რომ სამოქალაქო სამართლის კვინტენსენცია – „Pacta sunt servanda!“ საგადასახადო-საბაჟო სამართალსაც შეგვიძლია მოვარგოთ.[2] მაგრამ სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ვალდებული პირები თავს არიდებენ სახელმწიფო ვალდებულებების შესრულებას – გადასახადებისაგან თავის არიდების გზით ან მათ აღარ გააჩნიათ ფინანსური ბერკეტები (ვთქვათ, გაკოტრების შედეგად არ შეუძლიათ გადაიხადონ გადასახადები) სახელმწიფო ვალდებულებების შესასრულებლად. საგადასახადო კოდექსი ასეთ სამართლებრივ შემთხვევებსაც ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტში ვალდებული პირების მიერ გადასახადების გადახდევინებისათვის და ამ სამართლებრივ ბერკეტებს ეძღვნება საგადასახადო კოდექსის შესაბამისი მუხლები (მ. 238-254).

საგადასახადო კოდექსის 238-ე მუხლის შესაბამისად, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს საგადასახადო დავალიანების უზრუნველსაყოფად განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები: ა) საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა; ბ) მესამე პირზე გადახდევინების მიქცევა; გ) ქონებაზე ყადაღის დადება; დ) ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია; ე) საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების წარდგენა; ვ) გადასახადის გადამხდელის სალაროდან ნაღდი ფულის ამოღება.[3] აქვე გავაკეთებდით შენიშვნას, რომ საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების რიგითობას საგადასახადო ორგანო ირჩევს, იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო კოდექსი სხვა რეგულაციას არ შემოგვთავაზებს. ზოგადად კი, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების წესს ძირითადად, ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის #996 ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ არეგულირებს. თუმცა, ასევე, გამოიყენება სხვა ნორმატიული აქტებიც, რომელთა შესახებაც აღნიშნულ სტატიაში გვექნება საუბარი. განსხვავებით სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმებისაგან, რომლებიც სამოქალაქო გირავნობა/იპოთეკას არეგულირებენ, საგადასახადო კანონმდებლობა სხვანაირ რეგულაციას გვაწვდის, კერძოდ: იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლების სამსახურსა და მარეგისტრირებელ ორგანოს ან/და საბანკო დაწესებულებას შორის დადებულია ხელშეკრულება ინფორმაციის (მათ შორის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების თაობაზე) ელექტრონული გაცვლის შესახებ, დასაშვებია საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები განხორციელდეს ელექტრონულ-ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით, ხელშეკრულებით[4] გათვალისწინებული პირობით.[5]

საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების ღონისძიებებს საწარმოთა მიმართ გამოიყენებს მხოლოდ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით. აღვნიშნავთ, რომ აღნიშნული კანონი არეგულირებს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად დაფუძნებული სამეწარმეო სუბიექტების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, არარეგისტრირებული კავშირისა და ამხანაგობის გადახდისუუნარობის საკითხებს, გარდა საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა, ბანკებისა; არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებსა და სადაზღვევო კომპანიებზე, რომელთა გადახდისუუნარობის საკითხი სპეციალური კანონმდებლობით წესრიგდება.[6] შევნიშნავთ, რომ აღნიშნული კანონით ჯერ არ

არის ამოქმედებული გადახდისუუნარობის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის შესახებ კანონის „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ (მუხლი 3), რომელიც უზრუნველყოფს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში კანონით გათვალისწინებული მოქმედების ელექტრონული საშუალებებით შესრულებას, მათ შორის, ინფორმაციის გამოქვეყნებას და გაცვლას და რომლის ამოქმედებაც ნავარაუდევია 2015 წლის 1 იანვრიდან, რომელიც მოაწესრიგებდა და ერთ სისტემაში, „ერთი ფანჯრის პრინციპით“ მოიყვანდა გადახდისუუნარობის საქმისწარმოების პროცესში ელექტრონული საშუალებებით გადახდისუუნარობასთან დაკავშირებულ საქმეთა წარმოებას, მათ შორის, ინფორმაციის გამოქვეყნებას, გაცვლას და სხვ.

საგადასახადო კოდექსის 238-ე მუხლი (ნაწ. 8) საგადასახადო დავალიანების გადამხდელთ სთავაზობს (საგადასახადო უფროსის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში) საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადებას არა უმეტეს ერთი წლით, ეს მხოლოდ იმ შემთხვევისათვის, თუ გადასახადის გადამხდელის საგადასახადო უზრუნველსაყოფად გაფორმებულია თავდებობის ხელშეკრულება, წარდგენილია საბანკო გარანტია ან საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული პირების მიერ გაცემული დაზღვევის პოლისი. აქვე შევნიშნავთ, რომ საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადებით არ ჩერდება საურავის დარიცხვა, რაც ჩვენ არადემოკრატიულ ნორმად მიგვაჩნია, თუ გავავლებთ პარალელს, სამოქალაქო კოდექსსა და საგადასახადო კოდექსს შორის დავინახავთ არსობრივ განსხვავებას, კერძოდ: თუ საკრედიტო დაწესებულებამ ვალდებულ პირს განცხადების საფუძველზე გადაუვადა სამოქალაქო ვალდებულების შესრულება (გირავნობის/იპოთეკის ან სხვა უზრუნველყოფის შემთხვევაში), მას ბუნებრივია, სამოქალაქო სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე, საურავი არ დაერიცხება. პირდაპირი ნორმა, რომ საკრედიტო დაწესებულება საურავის გადახდის გადავადებას ახდენს სამოქალაქო კანონმდებლობაში – არ გვხვდება. მიგვაჩნია, რომ თუ საგადასახადო ორგანო ახდენს საგადასახადო დავალიანების გადახდევნების გადავადებას (და გასაგებია რატომაც: გადასახადის გადამხდელს უჭირს ძირითადი ვალის – გადასახადის და ბუნებრივია, ვადის გადაცილებით საურავის გადახდაც), აქედან გამომდინარე, ალოგიკურად მიგვაჩნია კანონის იმპერატივი, რომ „საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადებით არ ჩერდება საურავის დარიცხვა!“ მაშ, რაღა აზრი აქვს გადავადებას, თუ მას შეღავათი არ მოაქვს გადასახადის გადამხდელისათვის, თუ იმას გულისხმობს კანონი, რომ გადასახადის გადამხდელს შეღავათი გაუკეთა, საგადასახადო ვალდებულება გადაუვადა და ეს პანაცეაა გადასახადის გადამხდელისათვის, ვერაფერი პოზიტიური განმარტება იქნებოდა კანონის მუხლისა და თან იმასაც თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ საურავი არ არის ძირითადი ვალდებულება, იგი აქცესორულია. ნორმის პირდაპირი განმარტებით, აქცესორული ვალდებულება მიჰყვება მთავარ ვალდებულებას (გადასახადის გადახდას), მაგრამ დამეთანხმებით, ეს ვერაფერი საშველია გადახდისუუნარო მეწარმისათვის, მით უმეტეს თუ მის წინააღმდეგ საგაკოტრებო საქმეც იქნება აღძრული. ეს ჩვენი კერძო მოსაზრებაა, იქნებ ვცდებით, მაგრამ მიგვაჩნია, რომ საურავის გადახდისათვის ვალდებულ პირს თუ არ ეპატიება საურავის გადახდა გადახდისუუნარობისა (და ბუნებრივია, ეს საგადასახადო კანონმდებლობის შემთხვევაში ნაკლებად სავარაუდოა, რამეთუ გადასახადები ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი მთავარი წყაროა ქვეყანაში), გონივრული ვადით მაინც გადაუვადდეს მისი გადახდა. კანონის განმარტება კი, პირდაპირ ითვალისწინებს, რომ პირს კი გადაუვადდა

საგადასახადო დავალიანების გადახდევინება, მაგრამ საურავის დარიცხვა გრძელდება. კარგი იქნებოდა თუ 238-ე მუხლის მე-8 ნაწილის ბოლო წინადადება შემდეგ ფორმულირებას მიიღებდა: „საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადებით ხდება საურავის გადავადებაც.“

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა. შედარებითი ანალიზი სამოქალაქო გირავნობა/იპოთეკასთან. საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა არის სახელმწიფოს უფლება, საგადასახადო დავალიანების გადახდევინება უზრუნველყოს გადასახადის გადამხდელის, სხვა ვალდებული პირის ქონებიდან (საგადასახადო კოდექსის მ. 239, ნაწ. 1). საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის რეგისტრაციის უფლება წარმოიშობა საგადასახადო დავალიანების წარმოშობასთან ერთად და მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან და ვრცელდება საგადასახადო დავალიანების ფარგლებში, პირის საკუთრებაში არსებულ ან/და მის ბალანსზე რიცხულ ქონებაზე (გარდა ლიზინგით[7] მიღებულისა), საგადასახადო დავალიანების წარმოქმნის შემდეგ შეძენილი ქონების ჩათვლით. საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების გამოყენება შესაძლებელია საგადასახადო კოდექსის 265-ე მუხლით („გადაუდებელი გასვლითი შემოწმება“) გათვალისწინებულ შემთხვევებში.

როდესაც ვსაუბრობთ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებების არჩევაზე, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა – ვის მიერ, ვის მიმართ ხდება უზრუნველყოფის საშუალებების არჩევა.[8] ამ კითხვის პასუხი კი, დამოკიდებულია ყოველ კონკრეტულ ხელშეკრულებაზე, საჯაროსამართლებრივ (საგადასახადოსამართლებრივ) ვალდებულებებზე და როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სამოქალაქო სამართლის კვინტესენციას „pacta sunt servanda,“ – „ვალდებულება უნდა შესრულდეს!“ მიუხედავად მისი სამოქალაქო სამართალში ფართოდ გამოყენებისა, არანაკლები დატვირთვა შეიძლება მივანიჭოთ სამოქალაქო სამართალშიც, თუ შეიძლება ითქვას, უფრო მკაცრად ფორმულირებული, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი, საგადასახადო კანონმდებლობით ან ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დადგენილი სახელმწიფოებრივი თუ ადგილობრივი გადასახადების უპირობო გადახდასთან.

თუ გავავლებთ პარალელს, საჯარო (ამ შემთხვევაში, საგადასახადო) და კერძო (ამ შემთხვევაში, სამოქალაქო) სამართალს შორის დავინახავთ, რომ: თუ კერძოსამართლებრივი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები კანონითაც განისაზღვრება ან დგინდება მხარეთა შეთანხმებით, საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები ყოველთვის კანონითაა დადგენილი. ორივე შემთხვევაში კი, საკუთრებაა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება. „საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა კი, კანონისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებაა იმ შემთხვევისათვის, როცა ვალდებული პირი (გადასახადის გადამხდელი) ასრულებს ან ვერ ასრულებს სახელმწიფოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებას.“[9] „საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებაა, რომელიც ემსახურება სახელმწიფოს ვადამოსული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნებს.“[10]

„საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, „საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეესტრი არის ნივთსა (გარდა მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებისა[11]) და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების წარმოშობის, მასში ცვლილებების და მისი შეწყვეტის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა.“ ამონაწერი კი, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრიდან მზადდება უძრავ ნივთებზე უფლებათა,

საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეესტრების მონაცემთა ერთიანი ბანკის საფუძველზე და ასახავს მისი მომზადების მომენტისათვის უძრავ ნივთებზე უფლებათა საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის საკუთრების უფლებათა მიტოვების შესახებ ძალაში მყოფ მონაცემებს.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მესამე თავი ცალკე ეხება მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებივ სიკეთეზე უფლებათა რეესტრს, სადაც შემდეგი რიგითობაა დადგენილი აღნიშნულ უფლებებზე: უპირველესად, რეგისტრირდება გირავნობა, შემდეგ ლიზინგი და შემდეგ საბანკო გარანტია. მარეგისტრირებელი ორგანო კი, ვალდებულია მოძრავ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების რეგისტრაციის შესახებ განცხადების რეგისტრაციისთანავე დაუყოვნებლივ მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. დადგენილია კრედიტორისა და ვალდებული პირისათვის ერთკვირიანი ვადა, რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციიდან მეორე მხარისათვის შეტყობინებისა.

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა რეგისტრაციის თვალსაზრისითაც, განსხვავდება სამოქალაქოსამართლებრივი გირავნობა/იპოთეკისაგან. კერძოდ, თუ იპოთეკის რეგისტრაციისათვის 4-დღიანი ვადაა დადგენილი, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების გამოყენების შესახებ ინფორმაცია ეგზავნება გადასახადის გადამხდელს/ვალდებულ პირს და ასევე, შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს, რომელიც ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, რეგისტრაციაში გაატაროს საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება (საგადასახადო კოდექსის მ. 239, ნაწ. 3). „შევნიშნავთ, რომ კოლიზიაა საგადასახადო კოდექსის ამ დებულებასა და კანონის „საჯარო რეესტრის შესახებ“ 33-ე მუხლის „ე“ პუნქტის დანაწესს შორის. კერძოდ, ამ პუნქტში აღნიშნულია, „რომ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობის/იპოთეკის წარმოშობისა და რეგისტრირებულ საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოშობისა და რეგისტირებულ საგადასახადო გირავნობაში/იპოთეკაში ცვლილებებისა და მათი შეწყვეტის რეგისტრაცია ხდება 3 სამუშაო დღის ვადაში.“ მიგვაჩნია და მართებულადაც, რომ კოლიზიაა საგადასახადო კოდექსისა და კანონის „საჯარო რეესტრის შესახებ“ შესაბამის მუხლში ან უნდა არსებობდეს განსხვავებული ვადები იპოთეკასა და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის წარმოშობასთან დაკავშირებით.“[11]

ისევ ჩვენი მოსაზრების შესახებ, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის და სამოქალაქო იპოთეკის უფლების გავრცელებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სახელშეკრულებო იპოთეკა მოვალის იმ ქონებაზე წარმოიშობა, რომელზეც მას ძირითადი ვალდებულების წარმოშობის დროსჰქონდა საკუთრება ან მესაკუთრისაგან აქვს მინიჭებული ქონების უზრუნველყოფის სახით გამოყენების უფლება.[12]

საგადასახადო კოდექსის 238-ე მუხლის შესაბამისად, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველსაყოფად განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები: საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა; ქონებაზე ყადაღის დადება; დაყადაღებული ქონების რეალიზაცია; საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების წარდგენა; გადასახადის გადამხდელის სალაროდან ნაღდი ფულის ამოღება და სხვ. საგადასახადო კოდექსის 238-ე მუხლში გატარებულია აზრი, რომ „საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის დროს სახელმწიფოს უფლებაა საგადასახადო დავალიანების გადახდევინება უზრუნველყოს გადასახადის გადამხდელის, სხვა

ვალდებული პირის ქონებიდან,“ ხოლო საგადასახადო კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილით, „საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება წარმოიშობა საგადასახადო დავალიანების წარმოშობასთან ერთად და მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან და ვრცელდება საგადასახადო დავალიანების ფარგლებში, პირის საკუთრებაში არსებულ ან/და მის ბალანსზე რიცხულ ქონებაზე (გარდა ლიზინგით მიღებულისა), საგადასახადო დავალიანების წარმოქმნის[13] შემდეგ შეძენილი ქონების ჩათვლით. „ამის შესახებ სამართლიანად მიანიშნებს თ. შოთაძე, რომ „საჯარო უზრუნველყოფის ამ სახის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მიუხედავად იმ ფაქტისა, აქვს თუ არა გადასახადის გადამხდელს რეგისტრირებული ქონება საჯარო რეესტრში ან მომსახურების სააგენტოში საკუთრების უფლებით, მისი წარმოშობა მაინც ხდება საჯარო რეესტრის (მომსახურების სააგენტოს) საჯარო შეზღუდვების ერთიან მონაცემთა ბაზაში.“[14]

საქართველოს კანონის „საჯარო რეესტრის შესახებ“ (მ. 3, ნაწ. 5) მიხედვით, „საგადასახადო გირავნობის /იპოთეკის და სასამართლო ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დადებული საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებით მიღებული დოკუმენტაციის საფუძველზე რეგისტრაცია შესაძლებელია განხორციელდეს სააგენტოსა და სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს შორის დადებული მემორანდუმის საფუძველზე.“ რაც შეეხება სამოქალაქო გირავნობისა და იპოთეკის რეგისტრაციას, შევნიშნავთ, რომ: გირავნობა, რომელიც არის მფლობელობითი და რეგისტრირებული სახის, აქედან მხოლოდ რეგისტრირებული გირავნობა მოითხოვს საჯარო რეგისტრაციას, რამეთუ გირავნობის საგანი კვლავ მესაკუთრესთან რჩება და ეძლევა უფლება გამოიყენოს იგი და მიიღოს მისგან სარგებელი, თუნდაც იმიტომ, რომ დაიფაროს ვადამოსული ვალდებულება კრედიტორისა და საჯარო რეგისტრაცია იმიტომაც არის საჭირო, რომ მიუხედავად იმისა, რომ მესაკუთრის მოძრავი ნივთი დაგირავებულია ნაკისრი ვალდებულების სანაცვლოდ, იგი (მესაკუთრე) მაინც უფლებამოსილია გაყიდოს ნივთი, რამეთუ დაგირავებულ მოძრავ ნივთზე მაინც მისი საკუთრების უფლება ვრცელდება, მხოლოდ ამონაგები თანხიდან კრედიტორის ვალი აუცილებლად უნდა დაიფაროს. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 260(1) მუხლის თანახმად, დაგირავებული ნივთი შეიძლება გადავიდეს კრედიტორის (მოგირავნის) საკუთრებაში მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ საფუძველზე და ისიც რეგისტრირებული გირავნობის შემთხვევაში და ამის შესახებ პირდაპირ უნდა აღინიშნოს ხელშეკრულებაში, ხოლო მფლობელობითი გირავნობა არ ითვალისწინებს სახელმწიფო რეგისტრაციას, რამეთუ „მოძრავ ნივთზე მფლობელობითი გირავნობა წარმოიშობა მხარეთა შეთანხმებისა და ნივთის მოგირავნის ან მოგირავნის მიერ განსაზღვრული მესამე პირის მფლობელობაში გადაცემით.“ ანუ კრედიტორმა ამით უკვე მიიღო გარანტია ვალდებულების შეუსრულებლობისას მოითხოვოს დაგირავებული ნივთის რეალიზაცია.

„შევნიშნავთ, რომ საგადასახადო გირავნობა/იპოთეკასა და კერძოსამართლებრივ გირავნობა/იპოთეკას შორის მკვეთრი განსხვავებაა. კერძოდ, თუ სანივთო გირავნობა/იპოთეკის წარმოშობას, როგორც სანივთო ვალდებულებისა, პირთა კერძო შეთანხმება უდევს საფუძვლად (მაგალითად, სამომხმარებლო (საბლანკო) სესხის ხელშეკრულება), საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის წარმოშობის საფუძვლად მიიჩნევა გადასახადის გადამხდელის შეუსრულებელი ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე, რასაც შესაბამისად მოჰყვება ადმინისტრაციული აქტის გამოცემა სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მხრიდან, რომლის რეგისტრაციის უფლება საგადასახადო დავალიანების წარმოშობასთან ერთად წარმოიშობა.“[15]

განსხვავება საგადასახადო გირავნობა/იპოთეკასა და სანივთო გირავნობა/იპოთეკას შორის რეგისტრაციის ვადებშიც გამოიხატება. კერძოდ: საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების რიგითობას საგადასახადო ორგანო ირჩევს, თუ საგადასახადო კოდექსითვე სხვა რამ არ არის დადგენილი. საგადასახადო დავალიანების გადახდევინების წესი ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განისაზღვრება. იმ შემთხვევაში თუ შემოსავლების სამსახურსა და მარეგისტრირებელ ორგანოს ან/და საბანკო დაწესებულებას შორის დადებულია ხელშეკრულება ინფორმაციის (მათ შორის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე) ელექტრონულად გაცვლის შესახებ, დასაშვებია საგადასახადო დავალიანების გადახდევინების კონკრეტული პასუხი ყოველ კონკრეტულ ვალდებულებაზე დავალიანების უზრუნველყოფის ღონისძიებების ნაწილში განხორციელდეს ელექტრონულ-ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით. ასეთ შემთხვევაში, ელექტრონულ დოკუმენტზე ნებისმიერ ელექტრონულ ხელმოწერას ამ პირებისათვის აქვს მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა.

კანონის „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ შესაბამისად, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების ღონისძიებები საწარმოთა მიმართ გამოიყენება მხოლოდ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით.

საგადასახადო დავალიანების გაუქმებასთან ერთად უქმდება მისი გადახდევინების უზრუნველსაყოფად დაწყებული საგადასახადო კოდექსის 35-ე თავით[16] გათვალისწინებული ნებისმიერი ღონისძიება, იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო კოდექსის სხვა ნორმები განსხვავებულ წესებს არ ითვალისწინებენ, ანუ თუ პირი ვადის ამოწურვამდე სრულად გადაიხდის საგადასახადო დავალიანების თანხებს და შესაბამის საურავს, დადგენილი წესით გაუქმდება საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ გადასახადის გადამხდელთან ფორმდება ხელშეკრულება, სადაც აისახება საგადასახადო ვალდებულებების შესრულების ვადები და პირობები. იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელმა არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება საგადასახადო დავალიანების გადახდევინების შესახებ გაუქმდება.

საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაცია კი, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, „საგადასახადო დავალიანებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით ხორციელდება. აღნიშნული კანონით დადგენილი წესი ვრცელდება ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანებების საწარმოს (ორგანიზაციის) ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანების რესტრუქტურიზაციის განხორციელების დროისათვის არსებულ ვადაგადაცილებულ დავალიანებებზე.

„საწარმოს (ორგანიზაციის) ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის უფლება ეძლევა მხოლოდ გადახდისუუნარობის შემთხვევაში და მხოლოდ ერთხელ, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. განსაკუთრებულ შემთხვევაში რესქტრუქ-

ტურიზებული ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ან/და სასესხო დავალიანების დაფარვა ხორციელდება პროპორციულად, პროგრესულად მზარდი პრინციპით. კომისიის მიერ ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანების რესტრუქტურიზაციის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საწარმოსა (ორგანიზაციასა) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც აისახება დავალიანების რესტრუქტურიზაციის პირობები, ვადები, მათი დაფარვის გრაფიკი და რესტრუქტურიზაციასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. კომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ფინანსთა სამინისტრო შესაბამის დასკვნასა და ხელშეკრულებას წარუდგენს საქართველოს მთავრობას, რომელიც იღებს გადწყვეტილებას ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანების რესტრუქტურიზაციის შესახებ. ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასეხო დავალინების რესტრუქტურიზებულად ითვლება და საწარმო (ორგანიზაცია) რესტრუქტურიზაციის რეჟიმში მუშაობას იწყებს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით განსაზღვრული თარიღიდან. კომისიის მიერ უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, შესაბამისი დასკვნა ეგზავნება საწარმოს (ორგანიზაციას), ხოლო განსაკუთრებული შემთხვევის დროს, აგრეთვე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. დასკვნა უნდა შეიცავდეს დასაბუთებულ არგუმენტებსა და შენიშვნებს, რომელთა გამოც საწარმოს (ორგანიზაციას) უარი ეთქვა ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანების რესტრუქტურიზაციაზე.“[17]

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა[18] არის სახელმწიფოს უფლება, საგადასახადო დავალიანების გადახდევინება უზრუნველყოს გადასახადის გადამხდელის, სხვა ვალდებული პირის ქონებიდან (საგადასახადო კოდექსი, მ. 239, ნაწ. 1).

საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის გამოყენების უფლების შესახებ ეცნობება გადასახადის გადამხდელ/ვალდებულ პირს და შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს, რომელიც ვალდებულია არაუგვიანეს შეტყობინების მიღების დღის მომდევნო სამუშაო დღისა, რეგისტრაციაში გაატაროს საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება. იმ შემთხვევაში, თუ მოხდება გირავნობის/იპოთეკის ქონების რეალიზაცია, მაშინ საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციის შემდეგ წარმოშობილი ყველა სანივთო უფლება უქმდება, ხოლო საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე სხვა გირავნობის/იპოთეკის უფლებები ძალაში რჩება.[19] იმ შემთხვევაში კი, თუ საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული ქონება გაიყიდება ან რაიმე გზით გადაეცემა სხვა მფლობელს საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების გაუქმების გარეშე, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება კვლავ გავრცელდება ამ ქონებაზე მისი ახალი მფლობელის მიმართ. აღნიშნულ ქონებაზე კვლავ დაიდება ყადაღა (იგულისხმება ახალი მფლობელის მფლობელობაში არსებულ ქონებაზე) და მისი რეალიზაცია მოხდება საგადასახადო კოდექსის 241-ე („ქონებაზე ყადაღის დადება“) და 242-ე („ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია“) მუხლების შესაბამისად.

საგადასახადო კანონმდებლობით უზრუნველყოფილია (მ. 239, ნაწ. 6) ვალდებულებიდან წარმოშობილი პირველი რიგის მოთხოვნის დაკმაყოფილების განსხვავებული წესი. კერძოდ, „თუ საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე პირის ქონების მიმართ რეგისტრირებულია კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სადაზღვევო ორგანიზაციების, საერთაშორისო და კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის

პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის[20] შესაბამისად განსაზღვრული განვითარებული ქვეყნების საფინანსო ინსტიტუტების გირავნობის/იპოთეკის უფლება და ხდება ამ ქონების რეალიზაცია, ამოღებული თანხით უპირველესად, დაკმაყოფილდება ზემოთ აღნიშნული ფინანსური ინსტიტუტების მოთხოვნები საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე წარმოშობილი ვალდებულების ნაწილში, ხოლო შემდეგ, ხდება საგადასახადო დავალიანების მოთხოვნის დაკმაყოფილება. ამ ქონების ახალი მფლობელის მიმართ საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა არ გავრცელდება. თუ დარჩენილი თანხით სრულად არ იფარება საგადასახადო დავალიანება, შეუსრულებელი საგადასახადო დავალიანება ძალაში რჩება იმ პირის მიმართ, რომლის ქონებაც დატვირთული იყო საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით.“

შენიშვნის სახით: თუ სამოქალაქო კოდექსით ცალკეა გამოყოფილი სანივთო უზრუნველყოფის საშუალება მოძრავ და უძრავ ნივთებზე და მას 254–285-ე მუხლები არეგულირებენ, ხოლო სანივთო იპოთეკა უძრავ ნივთებზე ცალკე, 286–310-ე მუხლებითაა დარეგულირებული, საჯარო უზრუნველყოფის საშუალებები – საგადასახადო გირავნობა და იპოთეკა ერთად წარმოგვიდგება საგადასახადო კოდექსში. გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ არ იქნებოდა კანონმდებლობის დარღვევა, თუ საგადასახადო კოდექსში საგადასახადო უზრუნველყოფის ინსტიტუტებს (გირავნობასა და იპოთეკას) ცალ-ცალკე ვიხილავდით, რამეთუ პირველი, მოძრავ ნივთებთან დაკავშირებით გამოიყენება, ხოლო მეორე – უძრავთან დაკავშირებით.

საინტერესოა ხანდაზმულობის ვადებიც, სანივთო უზრუნველყოფის საშუალებებისა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის მიმართ. საგადასახადო კოდექსის 239-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის ხანდაზმულობის ვადაა 6 წელი, რომლის დენაც ჩერდება: ა) გაკოტრების საქმის წარმოების პერიოდში; ბ) საწარმოს რესტრუქტურიზაციის რეჟიმში ყოფნის პერიოდში; გ) საგადასახადო დავის მიმდინარეობისას.“

„მაშინ როდესაც სსკ-ის საფუძველზე წარმოშობილი გირავნობა ითვალისწინებს სამწლიან ხანდაზმულობის ვადას, იპოთეკაზე კი, ვრცელდება ექვსწლიანი ხანდაზმულობის ვადა.“[21] აქ ვერ დავეთანხმებით თ. შოთაძის მოსაზრებას ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებით, კერძოდ, უძრავ ნივთებთან დაკავშირებით მოთხოვნის უზრუნველყოფაზე. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლით ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს 10 წელს. საერთო ხანდაზმულობის ათწლიანი ვადის გარდა, აგრეთვე არსებობს სპეციალური ხანდაზმულობის ვადებიც, რომელსაც კანონი აწესებს და ბუნებრივია, მისი განსაკუთრებული მნიშვნელობისა და სპეციალურობის გამო (რომ სპეციალური ნორმების და მისგან გამომდინარე სპეციალური ვადებიც არ შეიძლება კანონის ანალოგიით დარეგულირდეს ან მხარეებმა გარიგებით შეცვალონ იგი) შეიძლება საერთო ხანდაზმულობის ვადაზე მეტი ან ნაკლები იყოს. 129-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 3 წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – 6 წელს.“ მაგალითად, თუ ნარდობის ხელშეკრულების ვადად განსაზღვრული იყო 2 წელი, აღნიშნული 2 წლის გასვლის შემდეგ დაიწყება ხანდაზმულობის ვადის დენა და იგი გაგრძელდება 3 წელი. უძრავ ნივთებთან დაკავშირებით მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა უფრო ხანგრძლივია და იგი ექვსი წელია. მაგალითად, მიწის ნაკვეთიდან გამომდინარე ხელშეკრულებისათვის ხანდაზმულობის ვადა ექვსი

წელი იქნება. საინტერესოა მ. თოდუას მოსაზრებები უძრავ ნივთებთან დაკავშირებით, კერძოდ, მოთხოვნის ექვსწლიანი ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებით: „მეცნიერთა გარკვეული ნაწილი იზიარებს აზრს, რომ „მოთხოვნის ხანდაზმულობა არ იწვევს სანივთო უზრუნველყოფის ხანდაზმულობას. მართალია, მოთხოვნის ხანდაზმულობით კრედიტორი მოვალისაგან შესრულების მოთხოვნის უფლებას კარგავს, მაგრამ მას შეუძლია, ვალდებულების უზრუნველსაყოფად დაგირავებული ნივთის რეალიზაცია მოითხოვოს და ამ გზით დაიკმაყოფილოს მოთხოვნა.“[22]

არსებობს ამ მოსაზრებების საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომელიც ჩვენი აზრით, უფრო მკაფიოდ ესადაგება კანონმდებლის ნებას, არ გაავრცელოს სანივთო უფლებაზე სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადებაზე, რომლის მიხედვითაც, უძრავ ნივთებზე სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 6 წელს. იპოთეკის დადგენის წინაპირობას არა მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, არამედ სსკ-ის 289-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე და მესამე წინადადებების თანახმად, შესაბამისი გარიგებების არსებობა წარმოადგენს. ამდენად, ამ დებულებამ შესაძლოა მიგვიყვანოს ხანდაზმულობის ექვსწლიან ვადამდე. აქ საუბარი არ არის უძრავ ნივთზე ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილ მოთხოვნაზე. მაგალითად, სახლის ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ან სანივთო დატვირთვის დადგენილ ვალდებულებებზე, არამედ უფლებებზე, რომლებიც წარმოიშობიან უკვე ხელშეკრულებით დადგენილი სანივთო უფლებიდან. სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადება სიტყვასიტყვით და დაწვრილებით უნდა განიმარტოს და უძრავ ნივთზე ვალდებულებითსამართლებრივი შეთანხმებით შემოიფარგლოს. უფლებებზე, რომლებიც წარმოიშობიან სანივთო დატვირთვის საფუძველზე, სსკ-ის 128-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ვრცელდება ხანდაზმულობის საერთო, ათწლიანი ვადა. ეს ვადა ჯერ არ გასულა.“[23]

ლოგიკურია, რომ არც საგადასახადო გირავნობა/იპოთეკაზე უნდა გავრცელდეს ერთიანი ხანდაზმულობის ექვსწლიანი ვადა. მიგვაჩნია, რომ იგი უნდა იყოს გირავნობისათვის 3 წელი, ხოლო უძრავი ნივთებისათვის, რადგან კანონმდებლობაში არა გვაქვს უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სანივთო ხანდაზმულობის ვადა, ალბათ უპრიანი იქნებოდა 10 წელი ყოფილიყო.

რაც შეეხება პირველი რიგის მოთხოვნათა დაკმაყოფილების წესს, მას ადგენს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ (მ. 82(3)), რომლის თანახმად, „იპოთეკით დატვირთული და დაგირავებული ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხით პირველ რიგში, დაკმაყოფილდება საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი, აღსასრულებლად წარმოდგენილი მოთხოვნები მათი არსებობის შემთხვევაში, ხოლო შემდეგ, იპოთეკითა და გირავნობით უზრუნველყოფილი სხვა მოთხოვნები, მათი რიგითობის მიხედვით. იმ შემთხვევაში, როდესაც აღსრულების პროცესში კრედიტორების სახით ერთდროულად მონაწილეობენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური, საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნით და საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სადაზღვევო ორგანიზაციები ან საერთაშორისო და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული განვითარებული ქვეყნების საფინანსო ინსტიტუტები, რომელთა გირავნობის/იპოთეკის უფლებაც წარმოიშვა საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე. ამოღებული თანხით

უპირველესად, დაიფარება ზემოაღნიშნული ფინანსური ინსტიტუტების მოთხოვნა საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე წარმოშობილი ვალდებულების ნაწილში, ხოლო შემდეგ – საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნა. იმ შემთხვევაში, როდესაც საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოშობის საფუძვლები მიეკუთვნება საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სადაზღვევო ორგანიზაციების ან საერთაშორისო და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული განვითარებული ქვეყნების საფინანსო ინსტიტუტების გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე პერიოდს, პირველ რიგში, დაკმაყოფილდება საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნა, შემდეგ – ზემოაღნიშნული ფინანსური ინსტიტუტების მოთხოვნა.“ რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული გირავნობის, იპოთეკის თანხების გადაუხდელობას აუქციონის ჩატარებისას, გირავნობის საგნის რეალიზაციისას, ამონაგები თანხიდან უპირველესად, დაიფარება რეალიზაციის ხარჯები და დაკმაყოფილდება რეალიზაციის განმახორციელებელი მოგირავნის მოთხოვნა (სსკ, მ. 280, ნაწ.1). იპოთეკის საგნის რეალიზაციის შემთხვევაში, საკუთრების გადასვლის შედეგად, უქმდება ყველა იპოთეკა და სანივთო უფლება, რომლებითაც დატვირთული იყო უძრავი ნივთი და რომლებიც რეგისტრირებულია აღსრულების განმახორციელებელი კრედიტორის იპოთეკის შემდეგ. ადრე რეგსიტრირებული უფლებები ნივთზე უცვლელი რჩება (სსკ მ. 306(5), ნაწ. 5). როგორც ვხედავთ, საჯარო რეგისტრაციის უფლება ყოველთვის წინ უსწრებს სამოქალაქო – სანივთო რეგისტრაციის უფლებას და ორივე შემთხვევაში, პირველ რიგში, გამოყოფილია საჯარო (სახელმწიფო) ინტერესი გირავნობის/იპოთეკის საგნის რეალიზაციისას; საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის შემთხვევაში, ბუნებრივია, საჯარო ინტერესებისათვის ხდება ამ ინსტიტუტის გამოყენება, ხოლო სამოქალაქო სამართალში, როცა აუქციონის მეშვეობით ხდება დაგირავებული ან იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაცია, ამ შემთხვევაშიც, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერ აუქციონის მოწყობის ხარჯები იფარება და შემდეგ, ამონაგები თანხიდან ხდება კრედიტორის (კრედიტორების) დაკმაყოფილება. თუ გავავლებთ პარალელს სამოქალაქო კოდექსის 308-ე და 388-ე მუხლებს შორის, იგივე ლოგიკურ კავშირს დავინახავთ. კერძოდ, „იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციის შედეგად, მიღებული შემოსავლიდან მოთხოვნები უნდა დაიფაროს შემდეგი რიგითობით: ხარჯები, კრედიტორის მოთხოვნა სრული ოდენობით. თუ ამონაგები თანხით სრულად არ იფარება ხარჯები, განსხვავების გადახდის ვალდებულება ეკისრება კრედიტორს.“ ეს სანივთო სამართლიდან, ხოლო ვალდებულებითი სამართლიდან (მ. 388), ფულად ვალდებულების შესრულების რიგითობა შემდეგნაირად იყოფა: „მოვალის იმ გადასახდელიდან, რომელიც არ არის საკმარისი მთელი ვადამოსული ვალის დასაფარავად, თავდაპირველად, იფარება სასამართლოს ხარჯები, შემდეგ – ძირითადი შესრულება (ვალი) და ბოლოს, პროცენტები.

აქვე ერთ საჭირბოროტო საკითხსაც უნდა შევეხოთ. კერძოდ, ეს არის სპეციალური სუბიექტების დადგენის საკითხი, რომელიც კიდევ უფრო ართულებს რეგისტრაციის რიგითობის პრობლემას. იპოთეკის დადგენის წესი იმპერატიულია (საჯარო რეესტრში რეგისტრაცია). სავსებით ვეთანხმებით რიგ ავტორთა მოსაზრებებს (თ. შოთაძე, რ. როგავა), რომ სპეციალური სუბიექტებისათვის უფლების დადგენისა და დაკმაყოფლების მარეგულირებელი წესების დადგენა,

რომელიც უნდა ექვემდებარებოდეს საერთო წესებს, მხოლოდ ართულებს სამართლებრივ ურთიერთობას. სასურველია, საქართველოში მოქმედი ყველა საფინანსო ორგანიზაცია თუ ინსტიტუტი დაექვემდებაროს იპოთეკის წარმოშობის კანონით დადგენილ ერთიან წესს.“[24]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის ხანდაზმულობის ვადა 6 წელია. საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს მისი ვადის დენის შეჩერების სამართლებრივ შემთხვევებს, კერძოდ, გაკოტრების საქმის წარმოების პერიოდში; საწარმოს რესტრუქტურიზაციის რეჟიმში ყოფნის პერიოდში; საგადასახადო დავების მიმდინარეობისას.

საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება უქმდება: საგადასახადო კოდექსის 242-ე მუხლით („ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია“) განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს მიერ, საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული ქონების საგადასახადო დავალიანების დაფარვის მიზნით რეალიზაციის შემთხვევაში; თუ გადასახადის გადამხდელმა საგადასახადო ორგანოს წერილობითი თანხმობით განახორციელა ქონების ან მისი ნაწილის რეალიზაცია და ამონაგები თანხა სრულად მიმართა საგადასახადო დავალიანების დასაფარავად; საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქონების სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის შემთხვევაში; „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის შესაბამისად, საგადასახადო გირავნობით; იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შემთხვევაში; თუ ამ კოდექსის 265-ე მუხლით („გადაუდებელი გასვლითი საგადასახადო შემოწმება“) გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებით არ წარმოიშობა საგადასახადო დავალიანება; გასულია საგადასახადო კოდექსის 239-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა; საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებაა, რომელიც ემსახურება სახელმწიფოს ვადამოსული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნებს. თუ კერძოსამართლებრივი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები კანონითაც განისაზღვრება და ან დგინდება მხარეთა შეთანხმებით, საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები ყოველთვის კანონითაა დადგენილი. ორივე შემთხვევაში კი, საკუთრება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებაა. საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა კი, კანონისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებაა იმ შემთხვევისათვის, როცა ვალდებული პირი (გადასახადის გადამხდელი) ვერ (არ) ასრულებს სახელმწიფოს (დადგენილ) წინაშე ნაკისრ ვალდებულებას. სტატიის ამ მონაკვეთიდან ვასკვნით, რომ საგადასახადო გირავნობა/იპოთეკასა და სამოქალაქო იპოთეკას/გირავნობას შორის აშკარაა განსხვავებაა, კერძოდ, თუ სანივთო გირავნობა/იპოთეკის წარმოშობას, როგორც სანივთო ვალდებულებას პირთა კერძო შეთანხმება უდევს საფუძვლად (მაგალითად, საბანკო სესხის ხელშეკრულება), საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის წარმოშობის საფუძვლად მიიჩნევა გადასახადის გადამხდელის შეუსრულებელი ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე, რასაც შესაბამისად მოჰყვება ადმინისტრაციული აქტის გამოცემა სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მხრიდან, რომლის რეგისტრაციის უფლება საგადასახადო დავალიანების წარმოშობასთან ერთად წარმოიშობა. განსხვავება საგადასახადო გირავნობა/იპოთეკასა და სანივთო გირავნობა/იპოთეკას შორის რეგისტრაციის ვადებშიც გამოიხატება, კერძოდ, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონის-

ძიებების განხორციელების რიგითობას საგადასახადო ორგანო ირჩევს, იმ შემთხვევისათვის, თუ საგადასახადო კოდექსით სხვა რამ არ არის დადაგენილი. ასევე საინტერესოა, სპეციალური სუბიექტების საკითხიც, რომელიც კიდევ უფრო ართულებს რეგისტრაციის რიგითობის პრობლემას და განვავრცობთ აზრს იმის შესახებ, რომ სასურველია საქართველოში მოქმედი ყველა საფინანსო ორგანიზაცია თუ ინსტიტუტი დაექვემდებაროს იპოთეკის უფლების წარმოშობის კანონით დადგენილ ერთიან წესს და სხვ.

ქონებაზე ყადაღის დადება საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის სახეა. საგადასახადო კოდექსის 241-ე მუხლი (ნაწ. 1.) ითვალისწინებს, რომ „საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე დაადოს ყადაღა პირის საკუთრებაში არსებულ ან/და მის ბალანსზე რიცხულ (გარდა, ლიზინგით მიღებული ქონებისა) ნებისმიერ ქონებას, აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის მოცულობის ფარგლებში.“ მიგვაჩნია, რომ ქონებაზე ყადაღის დადება არ შეიძლება მოხდეს სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, რადგან ეს საკითხი ძალიან სენსიტიურია, რამეთუ პირის საკუთრებაში არსებულ ქონებას ეხება, რომელიც მისი და მისი ოჯახის არსებობის საშუალებაა და საგადასახადო ორგანოებისათვის ამ შემთხვევაში, ძალზედ მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტის ცალსახად დაკისრება სწორად არ მიგვაჩნია. ვფიქრობთ, ქონებაზე ყადაღის დადების, სახელმწიფოს სასარგებლოდ ქონების სასყიდლით თუ უსასყიდლოდ ჩამორთმევა და მსგავსი დავები მხოლოდ სასამართლოს განსახილველი უნდა იყოს, მისი კომპეტენტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპიდან გამომდინარე. ხომ შეიძლება, რომ საგადასახადო ორგანოს მუშაკმაც დაუშვას შეცდომა ან იყოს „ზემოდან“ ზეწოლაც და ასეთი ფაქტები ახლო წარსულში სამწუხაროდ, რეალური სინამდვილე იყო, რომლისგანაც დაზღვეული არავინაა. სხვა საკითხია, საგადასახადო კოდექსში რომ ყოფილიყო ფორმულირება: „საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის ან განცხადების საფუძველზე, სასამართლო გადასახადის გადამხდელის ქონებას ყადაღას დაადებს.“

ქონებაზე ყადაღის დადება ხორციელდება საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული ინდივიდუალურსამართლებრივი აქტის საფუძველზე. ასევე, საგადასახადო ორგანოსა და აღსრულების ეროვნულ ბიუროს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე (უფლებამოსილების დელეგირება), გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის დადების პროცედურების განხორციელება საგადასახადო ორგანომ შეიძლება აღსრულების ეროვნულ ბიუროს დაავალოს.

საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის ქონებაზე ყადაღის დადება არის პირის ქონების აღწერა, ამ ქონების განკარგვის (პირის მიერ ქონების ნებისმიერი ფორმით გასხვისების, დაგირავების, იპოთეკის, უზუფრუქტის, სერვიტუტის ან აღნაგობით დატვირთვის, თხოვების, ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულებების დადების, სხვისთვის დროებით ან მუდმივ მფლობელობაში გადაცემის) აკრძალვა. საგადასახაო ორგანოს წარმომადგენელი ყადაღადადებულ ნივთებს აღნუსხავს ქონებაზე ყადაღის დადების აქტში.[25]

სამოქალაქო კანონმდებლობის მსგავსად, აქაც გარანტირებულია ვალდებული პირის უფლება კრედიტორთან შეთანხმებით, რეალიზაცია გაუკეთოს ყადაღადადებულ ქონებას, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევისათვის, თუ მოხდება რეალიზაციიდან ამონაგები თანხიდან საგადასახა-

დო დავალიანების დაფარვა და ამ შემთხვევაში, ყადაღაც გაუქმდება.[26] იმ შემთხვევაში კი, თუ არსებობს საშიშროება, რაც გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის საგადასახადო დავალიანების გადახდევინებას, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს დაუყოვნებლივ დაადოს ვალდებული პირის ქონებას ყადაღა (მათ შორის, საბანკო ანგარიშებს) და გაუკეთოს რეალიზაცია მიუხედავად იმისა, აღიარებულია თუ არა საგადასახადო დავალიანება. ეს ნორმაც საკამათოდ მიგვაჩნია.

საგადასახადო კანონმდებლობით ასევე, ცნობილია უზრუნველყოფის ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა: საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების წარდგენა, პირის სალაროდან ნაღდი ფულის ამოღება, რომელიც პრობლემად ქცეულ საკითხს წარმოადგენს „ე. წ. ოფშორული ზონებიდან“ „გათეთრებული ფულის“ უკან, მისი კანონიერი მფლობელის – სახელმწიფოსათვის დაბრუნების შესახებ, თავდებობა, სადაზღვევო პოლისი და სხვა რომელზედაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მომავალში გვექნება საუბარი.

შენიშვნები:

1 ი. ხარაზი, ქ. კვინიკაძე, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის და სამოქალაქო გირავნობისა და იპოთეკის ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები, ჟურნალი „თემიდა“, #8(10), 2013, გვ. 23-37.

2 მიუხედავად იმისა, რომ 2011 წელს ამოქმედებულმა საგადასახადო კოდექსმა (მუხ. 309) ძალადაკარგულად გამოაცხადა საბაჟო კოდექსი და ბუნებრივია, საბაჟო სამართალმაც საგადასახადო სამართლის დებულებებში დაიდო ბინა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ დროა ეს ნაჩქარევი და დაუსაბუთებელი საკანონმდებლო ინიციატივა, რომლითაც გაუქმდა საბაჟო კოდექსი, კვლავ დაუბრუნდეს ქართულ სამართლებრივ სივრცეს, რამეთუ ჯერ ერთი, საბაჟო საქმესა და საბაჟო სამართალს უამრავი კანონქვემდებარე აქტები არეგულირებენ და მეორეც ევროკავშირს, რომელთანაც ხელი მოვაწერეთ ასოცირების ხელშეკრულებას, აქვს საკმაოდ გამართული და მოწესრიგებული საბაჟო კოდექსი, რომელიც „გვაიძულებს“, ცხადია ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, რომ ჩვენც მივიღოთ ცალკე დამოუკიდებელი საბაჟო კოდექსი, რომელიც დამოუკიდებლად დაარეგულირებს საბაჟო საქმესთან და საბაჟო სამართალთან დაკავშირებულ საბაჟო დებულებებს.

3 ბუნებრივია, სამეცნიერო ჟურნალის ფორმატი არ მოგვცემს შესაძლებლობას ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ინსტიტუტზე დეტალურად გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრებები, ამიტომ ამ სტატიაში ზოგიერთ მათგანს შევეხებით, განსაკუთრებით საგადასახადო გირავნობა/იპოთეკისა და სამოქალაქო გირავნობა/იპოთეკის შედარებით ანალიზზე გავამახვილებთ ყურადღებას, ხოლო დანარჩენი ინსტიტუტების მიმართ საუბარს მომდევნო სტატიაში გავაგრძელებთ.

4 გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები ხელშეკრულების გასაფორმებლად.

5 იხ.: ი. ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბილისი, 2014, გვ. 560.

6 ი. ხარაზი, დასახ. ნაშრ. გვ. 561.

7 იხ.: სამოქალაქო კოდექსის 576–580 მუხლები.

9 იხ.: მ. თოდუა, ჰუუბ ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისის, 2006, გვ. 21.

10 ი. ხარაზი, ქ. კვინიკაძე, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის და სამოქალაქო გირავნობისა და იპოთეკის ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები, ჟურნალი „თემიდა“, #8(10), 2013, გვ. 23.

11 თ. შოთაძე, იპოთეკა, როგორც საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, თბილისი, 2012, გვ. 225-226.

12 აქვე შევნიშნავდით, რომ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებზე რეგისტრირებული გირავნობის სამართლებრივ რეგლამენტირებას იძლევა სამოქალაქო კოდექსის მუხლი 258 („რეგისტრირებულ გირავნობა“), მუხლი 274 („გირავნობის საგნის გასხვისება“), მუხლი 281(1) („დაგირავებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების მოგირავნისათვის გადაცემა“).

13 ი. ხარაზი, ქ. კვინიკაძე, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის და სამოქალაქო გირავნობისა და იპოთეკის ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები, ჟურნალი „თემიდა“, #8(10), 2013, გვ. 24.

14 დამატ. იხ.: თ. შოთაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 227.

15 მართებული იქნებოდა თუ საგადასახადო კოდექსში ტერმინ „წარმოქმნის“ ნაცვლად ეწერებოდა „წარმოშობის“ და მერე როგორც არის.

16 თ. შოთაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 227.

17 ი. ხარაზი, ქ. კვინიკაძე, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის და სამოქალაქო გირავნობისა და იპოთეკის ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები, ჟურნალი „თემიდა“, #8(10), 2013, გვ. 26.

[18] აღნიშნულ თავში საუბარია საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის შესახებ.

[19] ი. ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, ნაწილი მეორე, თბილისი, 2011, გვ. 396; გ. ურიდია, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები, 2011 წლის 26 მაისის მდგომარეობით, გვ. 560.

[20] საგადასახადო კოდექსის 254-285(1) და 286-309 მუხლები.

[21] აქ საუბარია სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ გარდამავალ უფლებებზე, რომლებიც ძალაში რჩება.

[22] განვითარებული ქვეყნები – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული განვითარებული ქვეყნების ნუსხაში შეტანილი ქვეყნები.

[23] თ. შოთაძე, იპოთეკა, როგორც საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, თბილისი, 2012, გვ. 228

[24] იხ.: მ. თოდუა, ჰუუბ ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006, გვ. 20.

[25] იქვე.

[26] რ. როგავა, საგადასახადო მოთხოვნის შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2011, გვ. 42-44; თ. შოთაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 229.

[27] სასურველი იქნებოდა საგადასახადო კოდექსში სამოქალაქოსამართლებრივი აღნიშნული ინსტიტუტები დალაგებულიყო მუხლობრივი თანმიმდევრობით. მაგალითად, ჯერ, სანივთოსამართლებრივი ინსტიტუტები, მათი პრიორიტეტულობიდან გამომდინარე (აღნაგობა,უზუფრუქტი, სერვიტუტი) და ა. შ.

[28] ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ბევრ პრობლემას ვაწყდებით როგორც საგადასახადო, ასევე სამოქალაქო სამართლის კუთხითაც, რომლის შესახებაც აქ არ მოვყვებით მსჯელობას სტატიის ფორმატიდან გამომდინარე და ამ პრობლემას სხვა დროს, სხვა სტატიით დავუბრუნდებით.

ENSURING THE PAYMENT OF TAX ARREARS

(COMPARATIVE ANALYSIS)

IA KHARAZI
Associate Professor of the Law School of the Georgia Davit Agmashenebeli University and the Sukhumi State University

Currently, in the environment of drastically developing market economy, all the obligations, regardless whether they are emerged from the private or public law (tax law), need "a certain protection", which is referred to "securing" in the jurisprudence. In this respect, there are special measures elaborated in and established by the legislation (public or private law), which are focused on protecting the participant of market economy turnover, a "super-subject" – a creditor (whether it is a legal entity of public law or a legal entity of private law). This is aimed at making the debtor meet those obligations under the public or private law, which it has undertaken in exchange to taking a credit, or if the debtor did (or could) not perform its obligations to the state, and if the securing measures were taken towards its assets under the public or private law.

სასამართლო ორგანიზაციისა და სამოქალაქო პროცესის განვითარება საქართველოში

(ისტორიულ-სამართლებრივი ანალიზი)

ზურაბ ჭყონია
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

გამოჩენილი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა – „ხოლო რადგან სამართლის სფეროში, იმდაგვარადვე როგორც სახელმწიფოს ყოფა-ცხოვრებაში, ორი მთავარი უწყება მოქმედებდა, ერთი მხრივ, თვით სახელმწიფოს ხელისუფლება, მეორე მხრივ, ეკლესია, ამიტომ სამართლის ძეგლებიც ორნაირი იყო, საეკლესიო და საერო კანონმდებლობის ძეგლები არსებობდა.“[1] „სამართლის აღსანიშნავად ძველ ქართულ მწერლობაშიაც იხმარებოდა და ახლაც არის შერჩენილი სიტყვა კანონი“[2] და იქვე განმარტავდა, „კანონი მარტო სასამართლოს წიგნის ერთ-ერთ მუხლს კი არ ნიშნავდა, არამედ თვით იმ კანონების კრებულს, თვით სასამართლო წიგნსა ან ძეგლსაც, სადაც კანონები მოიპოვება.“[3] ამავე ნაშრომში ავტორი გვაძლევს სიტყვა „სამართლის“ შემდეგ განმარტებას, „ეს სიტყვა მართლისაგან არის წარმომდგარი, რაც თავდაპირველად სწორესა ნიშნავდა. ამისდა მიხედვით, „სამართალიც“ სისწორესა, სწორობასა აღნიშნავს.“[4]

ქართული სამართლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა ჩვეულებითი სამართალი. საქართველოს სამოქალაქო სამარ-

თალწარმოების შესახებ რამდენიმე უძველესი საერო ხასიათის ძირითადი წყაროა ჩვენთვის ცნობილი, კერძოდ, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული,[5] თავად ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, „დასტურლამალი,“[7] „განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა“[8] და ერეკლე II-ის მიერ მიღებული „განწესებანი.“[9] ზემოაღნიშნული ზოგიერთი წყაროს იურისდიქცია საქართველოს ტერიტორიაზე განსხვავებული გახლდათ. მაგალითისათვის, ერეკლე II-ის მიერ მიღებული „განწესებანი“ მოქმედებდა მხოლოდ ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე. მიუხედავად ამისა, ყველა ზემოღნიშნული წყარო საქართველოს სამართლის ისტორიის შესწავლისათვის შეუფასებელია, თუმცა, უმნიშვნელოვანესია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, რომელიც პროცესუალურ საკითხებს ნაკლებად შეიცავს. პროცესუალური კუთხით კი, მეტად საინტერესო გახლავთ ვახტანგ VI-ის „დასტურლამალი“. ქართული სამართლის ისტორიის მნიშვნელოვან წყაროებს ასევე, წარმოადგენენ სიგელ-გუჯრები, სასამართლოს განაჩენები, არზები, ოქმები და მეფეთა და ფეოდალთა ბრძანებები და განკარგულებები.

ივ. სურგულაძე მის ნაშრომში განმარტავს: „ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში ფეოდალურ სახელმწიფოს მონათმფლობელური სახელმწიფო უსწრებდა. რასაკვირველია, ამ სახელმწიფოში სასამართლო დარგი სათანადოდ იქნებოდა წარმოდგენილი. და მართლაც, ბერძენი ავტორი სტრაბონი (I საუკუნე) მოგვითხრობს, იბერიის შესახებ და სხვათა შორის, აღნიშნავს, რომ იბერიის მეფის შემდეგ, პირველი პირია ის, ვინც მოსამართლეობს და სარდლობს. „მარტვილობაი შუშანიკის“ მიხედვით მოსამართლეს მსაჯული ეწოდებოდა. იოანე საბანისძის სიტყვების მიხედვითაც, მოსამართლეს მსაჯული ჰქვია.“ ანუ „ამ პერიოდში მოსამართლეს ე.ი. საქმის გამრჩევს „მსაჯული“ ეწოდებოდა.

„სასამართლო საქართველოში კოლეგიალური იყო და ჩვეულებრივ, სამი წევრისაგან შედგებოდა.“ „სასამართლო დაწესებულებას „სამსჯავრო სახლი“ ეწოდებოდა.“

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მე-3 მუხლის თანახმად, მოსამართლე უნდა იყოს „დიდად მჩხრეკელი, მიმხუდარი, გამომეძიებელი, გონება აუჩქარებელი, დაწყნარებული, გამგონე, საჩივრის ყურის მიმგდები, გამსინჯავი, მოჩივრის მოადის მომცდელი და სხვისაც მკითხველი, თუ ამისი სამართალი თქვენგან როგორ ისინჯვის, მოწმის მაძებარი უნდა იყოს, უქრთამო, ღვთისმოშიში.“ ვფიქრობთ, რომ დღესაც მოსამართლედ დანიშვნა სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების საფუძველზე უნდა ხდებოდეს.

ძველ ქართულ სამართალში სამოსამართლო ფუნქციის განხორციელების უფლება ჰქონდათ მეფეს, დედოფალს, უფლისწულებს (სხვადასხვა დროს), ჭყონდიდელს, მსაჯულთუხუცესს, მდივანბეგებს, „საქართველოს მსაჯულთ შეკრებილობას,“ მოურავებს, მამასახლისებს, ერისათავებს, ქედხუდებს, ბჭეებს (მედიატორებს) და „უფროს კაცებს (სოფლის კაცებს).“ თავისი იურისდიქციის ფარგლებში მოსამართლის ფუნქციებს ასრულებდნენ უმაღლესი იერარქიის სასულიერო პირებიც.

სასამართლოს ფუნქცია ასევე, ეკისრებოდა „დარბაზს,“ რომელშიც შედიოდნენ უმაღლესი საერო და სასულიერო იერარქიის პირები. დარბაზი განიხილავდა განსაკუთრებული სირთულის საქმეებს და მას ნიშნავდა მეფე.[10]

აღსანიშნავია, რომ საეკლესიო იერარქების მიერ მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებებს და ბრძანებებს ჰქონდათ ისეთივე სავალდებულო ძალა, როგორც საერო იურისდიქციისას და მათი აღსრულების უზრუნველყოფაც ხდებოდა სახელმწიფოს მიერ.

ანტონ II კათალიკოსის ბრძანებაში მიხეილ პეტრიაშვილისადმი სარგოს აღების შესახებ (1793 წლის 19 ოქტომბერი) ნათქვამია:

„მერმე უწინაც შენ ყოფილხარ ამ მგალობლისშვილების იასაული და ახლაც შენ დაგვიყენებიხარ. რაც ხარჭაშნელისაგან და ვარჯან დიამბეგისაგან გასამართლებული ყოფილა და პატარა დავითისა დასდებია დავით მდივანსა, ის სრულებით უნდა გამოურთო და მოაბარო; და წლეულობითაც ამან უნდა აიღოს თავისი სარგო.

და თუ სიტყვა აქვს რამე, ჩვენთან ჩამოიყვანე ორივე და ჩვენ მოვარიგებთ. თუ ეს ასე არ აღასრულე, იცოდე დიდად გიწყენთ, თუ არ გაარიგე.“[11]

სამართალი დომენტი კათალიკოსისა ციციშვილების სადავო მიწის გამო (1671 წ.) გვამცნობს, რომ საკითხი გადაუწყვეტია დომენტი კათალიკოსს და დასასრულს, მითითებულია შემდეგი: „ჩვენ ეს საქმე გარდაგვიწყვეტია, რომ ამ საქმეზე სალაპარაკოდ და სასარჩელოდ ხელი აღარავის აქუს.“[12]

საეკლესიო იერარქების განსჯადი გახლდათ, როგორც საერო (მათი კომპეტენციის ფარგლებში), ისე საეკლესიო ხასიათის დავები. ამის მაგალითია, არქიმანდრიტი იოსების სამოქალაქო სარჩელი ივანე ჭყონიას მიმართ, ჭყონიას მიერ გლეხის მითვისების თაობაზე (გურიის სამთავრო). საქმეში ივანე ჭყონიამ წარადგინა უკვე საეკლესიო ხასიათის შეგებებული სარჩელი და განმარტა, რომ მასსა და მის სახლს ჯუმათლების დავთრის მიხედვით, ეკუთვნოდა ქორეპისკოპოსობა და მოითხოვა ამ უფლების გამოყენება. სასამართლომ დავა გადაწყვიტა ივანე ჭყონიას სასარგებლოდ.[13] გარდა ზემოაღნიშნულისა, საგულისხმოა, რომ პრაქტიკაში იყო უმაღლესი სასულიერო იერარქიისა და მეფის მიერ სადავო სასულიერო საკითხის ერთობლივად გადაწყვეტის წესიც. ამის მაგალითია, ერეკლე II-ისა და ანტონ I-ის ერთობლივი ბრძანება კაწარის სამწყსოს რუსთველისა და ნინოწმინდელისათვის მიბარების შესახებ (1765 წლის 29 აგვისტო).[14]

ფეოდალური ხანის სამოქალაქო პროცესის სტადიები და ძირითადი პრინციპები კარგად ჩანს „ოპიზის სიგელში,“ რომელიც ეკუთვნის ბაგრატ IV-ს (1027–1072 წ.წ). „სანამ სასამართლო პროცესი შედგებოდა, მანამ მეფეს მიუღია მოდავე მხარეები, მოუსმენია მათთვის და დაუნიშნავს საქმის გარჩევა, რისთვისაც მოუწვევია სათანადო პირები. მაშასადამე, მეფეს წინასწარ შეუსწავლია საქმე, განუხილავს საბუთები და მხოლოდ მის შემდეგ მოუწვევია სასამართლო სხდომა. შესაძლოა მეფის მიერ ჩატარებული პროცესი არ იყო საჯარო, მაგრამ ჩვეულებრივ, სასამართლოები საჯარო იყო და მაშასადამე საბუთებიც საჯაროდ იკითხებოდა. სასამართლო არ კმაყოფილდება პროცესზე საბუთების გამოქვეყნებით, ის უშაულოდ ისმენს მხარეების ახსნა-განმარტებას. მათ კამათს (სიტყვის გება იყო მათ შორის) და ამის შემდეგ გადადის დამამტკიცებელ საბუთთა შეფასებაზე.“ აღნიშნულ „სიგელში დახასიათებული სასამართლო პროცესი შეჯიბრობითია.“ „სიგელის მიხედვით, სასამართლოში საქმე შემდეგ სტადიებს გაივლის: 1. საქმის წინასწარი გაცნობა მოსამართლის მიერ და მისი გადაცემა სასამართლოსათვის. ეს იყო მოსამზადებელი სტადია; 2. სასამართლოს სხდომის მოწვევა (სხდომის დღის დანიშვნა, წევრების მოწვევა); 3. სხდომის გახსნა, მხარეების მოსმენა; 4. საბუთების გაცნობა, მოწმეების დაკითხვა; 5. მხარეთა კამათი; 6. გადაწყვეტილების ან განაჩენის გამოტანა.“ ფაქტობრივად, პროცესი დღეს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის იდენტურია. იმ პერიოდის პროცესი ასევე, იცნობდა „წარმომადგენლობის ცნებას.“ საჭიროების შემთხვევაში, საქმეში მონაწილეობდა სპეციალისტიც („მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“, ანუ სამართლის საქმის მცოდნენი). ოპიზის სიგელს ივანე სურგულაძე განვითარებული იურიდიული აზროვნების ნაყოფს უწოდებს, რასაც

შეუძლებელია არ დაეთანხმო.

„სასამართლო პროცესში მოდავე მხარეებს „მოდავეები“ ეწოდებოდათ, დაზარალებულ, მოსარჩელე მხარეს „მოჩივარს“ უწოდებდნენ, მოპასუხეს „მოადს.“ „მომჩივანის მიერ მოთხოვნას, სასამართლოსათვის მოხსენებას ეწოდებოდა „სარჩელი“ ან „საჩივარი.“ მხარეთა შორის ურთუერთადავას ერქვა „სარჩვლა,“ „ცილება,“ „ჩივილი.“[15]

„საჩივრის პასუხად მეფის მიერ გაცემულ საბუთს ოქმი ეწოდება. ოქმი ხან ცალკე ქაღალდზე იწერებოდა, ხან კი, რეზოლუციის სახით ერთვოდა საჩივარს. მომჩივანთა არზებისა (საჩივრების) და ოქმების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ გაბატონებული იყო შემდეგი პირინციპი: რასაც მომჩივანი მოითხოვდა, ის ეძლეოდა. მაგალითად, თუ მომჩივანს სამართალი სურდა, მეფე ავალებდა სათანადო პირებს სამართალი მიეცათ მომჩივანისათვის, ხოლო თუ ოქმს მოითხოვდა (მაგალითად, მომეცით იასაული, გაეცით ეს და ეს განკარგულება და სხვ), ოქმი ეძლეოდა.“ „იშვიათი გამონაკლისია, როდესაც პირი ოქმს მოითხოვს და სამართალი ეძლევა ან პირიქით, სამართალს მოითხოვს და ოქმი ეძლევა. ამ პრინციპის დაცვას მომჩივანის „კმაყოფა“ ეწოდებოდა.“[16] ოქმის შესრულება სავალდებულო გახლდათ. მისი იურიდული ბუნება კი, კარგად ჩანს იესე ბარათაშვილის სიტყვებში: „განაჩენისავით ოქმი მაქვს განაჩენის ბეჭდით დაბეჭდილი.“[17] ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სამართალწარმოების პროცესი მიმდინარეობდა როგორც სასარჩელო, ისე გამარტივებული წესით. კერძოდ, ოქმის მიცემის წესი უდავოა, რომ დღეს მოქმედი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საქმის განხილვის გამარტივებული წესით წარმოების ანალოგიაა, ამასთან გარდა ფულადი ვალდებულებისა, მსგავსი წესით ხდებოდა ასევე, გარკვეული მოქმედების დაკისრება ან სხვა ქონებრივი სადავო საკითხის მოგვარება. თუ მხარე არ ეთანხმებოდა მის საწინააღმდეგოდ გამარტივებული წესით გადაწყვეტილ დავას, მას უფლება ჰქონდა გაესაჩივრებინა იგი. მხარეს შეეძლო ასევე, მოეთხოვა თავად მეფის მიერ მიღებული ოქმის გადახედვა. თავისთავად, უდავო წარმოების წესით საქმეთა გადაწყვეტის მხარეთა მიერ მოთხოვნა, ანუ ოქმის მიცემის მაღალი სტატისტიკა და ამ წესით საქმის დასრულება, მიუთითებს საპროცესო კანონმდებლობის ეფექტიანობაზე. თანამედროვე პრაქტიკა ცხადყოფს, რომ გამარტივებული წესით მიღებული ბრძანებები ხშირ შემთხვევაში, მოწინააღმდეგე მხარის მიერ უსაფუძვლოდ პროტესტდება და საჩივრდება (არა მარტო გადახდის ბრძანებები, ასევე, სასამართლოს გადაწყვეტილებები და სხვა აქტებიც) და შესაბამისად, საქმეები ძირითადად, სასარჩელო წესით წყდება, რომლის ერთ-ერთი მიზეზიცაა მხარეების მიერ საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენება პროცესის გაჭიანურების მიზნით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ არც თუ იშვიათია მხარეთა მიერ პროცესის გაჭიანურების მიზნით, უსაფუძვლოდ დავის აღძვრის ფაქტები, უკვე აღსრულების პროცესში. მსგავსი პრაქტიკა მიუთითებს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის ნაკლებ ეფექტიანობაზე. გარდა ზემოაღნიშნულისა, აშკარაა, რომ მაშინ არსებული წესი უსაფუძვლოდ საჩივრის აღძვრისათვის მომჩივანისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ, მნიშვნელოვნად ამცირებდა მხარეების მიერ უფლებების ბოროტად გამოყენების ფაქტებს და ხელს უწყობდა პროცესის ეკონომიას, კერძოდ, ნაკლები დანახარჯებით და მოკლე დროში საქმეთა დასრულებას. ერთ-ერთ საჩივარს აქვს ასეთი რეზოლუცია: „ბატონიშვილები გიბრძანებთ, მერმე ბატონისაგან ახალი განჩინება ასე არის და ჩვენგანაც, რომელი კაცი სამართალს არ დასჯერდება და მეორედ შევა სამართალში და გამტ-

ყუნდება, რაზედაც ლაპარაკობენ, ერთი მეტიც სხვა წაერთმევა“ და მთავრდება სიტყვებით: მას ვინც სამართალში გამტყუნდება განჩინებისამებრ დაისჯება“[18] „კანონის მოთხოვნის შესრულება მეფეს იმდენად კატეგორიულად მიაჩნია, რომ მოდავე მხარეს ურჩევს, თავი შეიკავოს უსაფუძვლოდ საქმის გასაჩივრებისაგან „ქ. რადგანაც მდივანბეგის სამართალს არ დასჯერებიხარ, თუ მეორედ ილაპარაკებ, თუ გამართლდები, სამართალს მოგცემთ, და თუ გამტყუნდები, იცოდე, ეგ შენი მიწაც გამოგერთმევა და ჯარიმა(სა)ც წაგართმევთ. კარგად იფიქრე.“[19] ზემოთ თქმული კი, მიუთითებს არა მაშინდელი მართლმსაჯულების მხრიდან მხარეზე ზეწოლის ფაქტზე, არამედ პირიქით, მოდავე მხარეთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი საპროცესო გარანტიაა, ვინაიდან გარკვეული სანქციების დაკისრება მხარეებს თავისთავად უკარგავდა უსაფუძვლო საჩივრის აღძვრის სურვილს. მართალია, ფეოდალური ფორმაციის პირობებში, როგორც ხელისუფლება ისე კანონები გამოხატავდა თავისი შინაარსით გაბატონებული კლასების ნება-სურვილს და ემსახურებოდა არსებული ფორმაციის შენარჩუნებას და განმტკიცებას, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამართლის ისტორიის წყაროების შესწავლისას ირკვევა, რომ თავად არსებული კლასობრივი ბუნების კანონმდებლობის ფარგლებში, რამდენადაც ეს კანონები იძლეოდა საშუალებას, დავის გადაწყვეტა ხდებოდა არსებული პროცესუალური კანონმდებლობის დაცვით. ზოგადად, ქართული სამართლისა და სამართალწარმოების შესწავლისათვის მეტად საინტერესოა ანტონ II-ის ბრძანება (1795 წ. 21 იანვარი), ვინაიდან ამ დოკუმენტის შინაარსიდან კარგად ჩანს მაშინდელი სამართლის ტოლერანტული ბუნება. ბრძანებიდან ირკვევა, რომ ვინმე დათუა გვერდწითელს მოუკლავს მღვდელი და შემდეგ იმერეთში გადახვეწილა. ბრძანებით ანტონ II მიმართავს ბეჟან ამილახორიშვილს, „ახლა ჩვენ შენ ამას გიბრძანებთ, რომ შენ უნდა გარდახვიდე იმერეთს და გარდამოიყვანო და შენთან ამყოფო; ნურსად გამოუშვებ და ნურცა ვის დაანებებ, მანამ ჩვენ დავიბარებდეთ და სჯულიერის სამართლით საკანონოსა და სულიერს კანონებს განუჩინებდეთ, რომ არსად გარდავარდეს და თავის თავსაც ერთი რამ ბოროტი განსაცდელი საუკუნოდ წარსაწყმედელი არა შეამთხვიოს რა. ამისათვის უფრო ვიღწვიოთ ამ საქმეზედ, რომ ცხოვართათვის წარწყმედულთა მოძიებად მოვიდა ღმერთი და ამგვარის მოქმედის კაცისა ჩვენდამო ბრძანებულ არს სამართალი და არა სხუათაგან.“[20] აღნიშნული ბრძანებიდან ირკვევა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა პიროვნების უფლებების დაცვას.

ისტორიულ-სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ „ფეოდალური საქართველოს სასამართლოებში მიმდინარეობდა წერილობითი ფორმით სასამართლო გამოძიება. მოსამართლე ასრულებდა ბრალმდებლის ფუნქციას, დაცული იყო საქმეთა განხილვის საჯაროობის, კოლეგიალობის, მხარეთა შეჯიბრობითობის პრინციპები. პროცესზე ხდებოდა მტკიცებულებათა შეფასება, მოწმეთა დაკითხვა და სხვა მოქმედებები, რაც მეტ-ნაკლებად იყო ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტია.“[21]

1801 წლიდან, რუსეთთთან შეერთების შემდეგ, ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე იმ დროისათვის არსებულ სამეფო-სამთავროებში გაუქმდა სახელმწიფოებრიობა და მისი ელემენტები,[22] თუმცა, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის სამოქალაქოსამართლებრივი ნაწილი არ გაუქმებულა და მოქმედებდა ქართულ ჩვეულებით სამართალთან ერთად, 1959 წლამდე.[23] თავად სამართალწარმოება მოსახლეობისათვის გაუგებარ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ნებისმიერი დოკუმენტიც კი, რუსულ ენაზე უნდა შევსებულიყო.[24]

აღნიშნული ეპოქა რუსეთის იმპერიაში რეფორმების დასაწყისის, მათ შორის, სამართალწარმოებაში მიმდინარე რეფორმების ხანაა. ქართლ-კახეთის სამეფოს შეერთების პერიოდისათვის, რუსეთის იმპერიაში კანონების კოდიფიკაციაზე მუშაობა დიდი ხნის დაწყებული გახლდათ. ამ მიზნით, მხოლოდ XVIII საუკუნის მანძილზე შეიქმნა 9 საკოდიფიკაციო კომისია, რომელთა მუშაობასაც საბოლოო შედეგი არ ჰქონია. 1832 წელს, 46 ტომად გამოიცა „რუსეთის იმპერიის კანონების სრული კრებული“ – „Полное собрание законов Российской Империи.“ ამ კრებულში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოთავსებულია ყველა კანონი, როგორც მოქმედი, ისე ძალადაკარგული, რომელიც რუსეთში 1649–1825 წლებში გამოიცა. კრებულიდან 15 ტომად შეირჩა სამოქმედო ძალის მქონე კანონმდებლობა, რომელსაც ეწოდა „Свод законов Росийской Империи“- Законы гражданские и межевые.“[25] ამ კანონში შედიოდა კანონები სამოქალაქო სამართალწარმოებისა და კანონები სააღსრულებო წარმოების შესახებ „Законы о судопроизводстве гражданском и Законы о мерах гражданских взысканий.“ ამ კრებულში პირველად, რუსული სამართლის ისტორიაში ცალკე გამოიყო როგორც განსაკუთრებული დარგი – სამოქალაქო სამართალი, თუმცა, მატერიალური სამართალი ჯერ არ იყო გამოყოფილი საპროცესოდან.[26] აფასებს რა, რუსეთის იმპერიაში XIX საუკუნის დასაწყისში რეფორმას და კანონთა კოდიფიკაციის საკითხს, პარიზის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი რენე დავიდი თავის ნაშრომში განმარტავს: „ნიკოლოზ I-ის დროს უფრო კონსოლიდაცია გატარდა რუსული სამართლისა, ვიდრე კოდიფიკაცია და მოდერნიზაცია.“[27] 1649 წლის სჯულდებით, სამოქალაქო სამართალწარმოება მიმდინარეობდა შეჯიბრობითობის პრინციპით, მხარეთა ან მათი წარმომადგენლების მონაწილეობით და მხოლოდ დავები მამულებზე და ასევე, ხაზინის ინტერესის შემცველი ყველა სხვა საქმეები საგამოძიებო წესებით იწარმოებოდა. სჯულდება შეიცავდა სავსებით კონკრეტულ მონაცემებს შეჯიბრობითობის პროცესისათვის.[28] „რეალურად სამოქალაქო სამართალწარმოება თავისთავში მოიცავდა პოლიციურ და სასამართლო შერეულ ხელისუფლებას, სხვადასხვა ფენებისათვის სასამართლოების არსებობას, საქმეთა საბოლოოდ გადაწყვეტის განსაკუთრებულად გაჭიანურებას, სასამართლო მოქმედების განხორციელებისათვის დადგენილი ვადების მრავალფეროვნებას. ის განიცდიდა სამოქალაქო სამართალწარმოებისას სისხლის სამართლის სამართალწარმოების ფორმების გამოყენებას, ეგრეთ წოდებული საგამოძიებო პროცესის, რომლის თანახმადაც, მოსამართლეებს თავად შეეძლოდ მოეპოვებინათ ცნობები მხარეთა მოთხოვნის გარეშე. ასევე სამართალწარმოება არ იყო საჯარო და საქმეები წყდებოდა კანცელარიის წესით, რაც ზღუდავდა მოწინააღმდეგე მხარეთა უფლებებს. „სამოქალაქო სამართალწარმოების პრობლემას ასევე, წამოადგენდა საქმეთა განხილვის შენელებული ტემპი, არასრული და უზუსტო წესები მტკიცებულებების შესახებ, სასამართლოს უფლება ფიცის დანიშვნის შესახებ, სასამართლოს პირადი შემადგენლობის გონებრივი და მორალური დონე, ძალიან დაბალი ჯამაგირი, რაც აჩენდა მექრთამეობას პრაკტიკულად, ყველა სასამართლოში.[29]

„სამართალწარმოება მთლიანად მთავრობასა და პოლიციაზე იყო დამოკიდებული. მოსამართლეებს მთავრობა ნიშნავდა და გამოძიებაში გადამწყვეტ როლს პოლიციის მოხელეები ასრულებდნენ. ძველ სასამართლოში საქმის წარმოებას ძალიან აჭიანურებდა ინსტანციების სიმრავლე. ზოგიერთი საქმის გარჩევა და გადაწყვეტა ათი, ოცი და ორმოცდაათი წელიც კი, გრძელდებოდა. ძველი მართლმსაჯულების ერთ-ერთი მთავარი ნაკლი იყო, რომ საქმის გამო-

ძიება-გარჩევა საიდუმლოდ, მხოლოდ დოკუმენტების საფუძველზე წარმოებდა. სასამართლო პროცესი, როგორც ასეთი არ იმართებოდა. მომჩივანი და მოპასუხე საპყრობილესა, თუ საკუთარ სახლში ელოდებოდნენ სასამართლოს დადგენილებას.“[30] სამართალწარმოება ძირითადად, მიმდინარეობდა წერილობითი სახით საიდუმლოდ, კანცელარიის მეშვეობით. საიდუმლოობა ასევე, ვრცელდებოდა თავად მხარეებზეც. სამართალწარმოების წერილობითი სახით წარმოება კანცელარიის გზით და საიდუმლოება თავისთავად, მნიშვნელოვნად ზღუდავდა მხარეთა უფლებებს და გამორიცხავდა შეჯიბრებითობის პრინციპს. „საგამოძიებო წარმოება ითვალისწინებდა საქმის დაწყების შესაძლებლობას სარჩელის აღძვრის გარეშე, პოლიციის ან ადმინისტრაციული ორგანოს შეტყობინების საფუძველზე.[31]

სასამართლო სისტემა იყო წოდებრივი და ყოველ წოდებას, ბატონყმობის რიგისამებრ, ცალკე სასამართლო ჰქონდა.[32]

რუსეთის იმპერიაში ასევე, მოქმედებდა კომერციული სასამართლო. კომერციული სასამართლო 1953 წელს, თბილისშიც შეიქმნა. 1832 წელს გამოცემულ კანონში კომერციული სასამართლოების სამართალწარმოების წესების შესახებ, შევიდა შეჯიბრებითობის პრინციპი. ამასთან, მასში გათვალიწინებულ იქნა უმეტეს შემთხვევებში საქმის ზეპირი განხილვა, თუმცა, აღნიშნულს, მიუხედავად აშკარა უპირატესობისა, გავლენა არ მოუხდენია საერთო სასამართლო სამართალწარმოებაზე.[33]

1864 წელს, სახელმწიფო საბჭოზე წინასწარი განხილვის შემდეგ, იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ დაამტკიცა სასამართლო წესდებები, მათ შორის, სამოქალაქო სამართალწარმოების. 1864 წლის 20 ნოემბრიდან ამოქმედდა ოთხი საკანონმდებლო აქტი: 1. სასამართლო წყობილების დებულება; 2. სისხლის სამართლის წარმოების ზოგადი წესები; 3. სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდება; 4. მომრიგებელი მოსამართლეების მიერ განწესებული სასჯელების შესახებ დებულება.[34]

რუსი მეცნიერი და იურისტი, დამსახურებული პროფესორი ი. ე. ენგელმანი წერდა: „1864 წლის სასამართლო წესები თავისი არსით, მთელი სასამართლო სისტემის ძირფესვიანად გარდაქმნა იყო. ძველი სასამართლო განიცდიდა თავისი სისტემითა და მოღვაწეობით საზოგადოდ აღიარებული ისეთი ნაკლოვანებების არსებობას, რომლებიც თითქმის ანადგურებდნენ მართლმსაჯულების მნიშვნელობას და აკარგვინებდნენ ყოველგვარ ნდობას.“ „ახალი სასამართლო კი, პირიქით კანონით იყო იმ მდგომარეობაში და ფლობდა იმ უფლებამოსილებებს, რომ რეალურად შეეძლო ემოქმედა კანონის სახელით და დაეცვა იმ პირთა უფლებები და თავისუფლებები, ვინც მიმართავდა მას უფლების დასაცავად.“[35]

1864 წლის სამოქალაქო სამართალწარმოების წესების უდიდეს მნიშვნელობაზე XIX საუკუნის ავტორიტეტული რუსი იურისტი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, პროფესორი, აკადემიკოსი ა. ფ. კონი წერდა: „წესდება იყო აღმატებული შრომის ნაყოფი, განმსჭვალული შემდგენელთა რუსეთის წინაშე შეგნებული პასუხისმგებლობით.“ იგი ამ ნაშრომს სამართალწარმოების წესდების მამების ნამდვილ ძეგლად მიიჩნევს.[36] რეფორმის შემდეგ, სამოქალაქო სამართალწარმოების წესდებით უზრუნველყოფილი იყო საჯაროობის პრინციპი. ამ თვალსაზრისით, ასევე, მნიშვნელოვანია ამავე წესდებით დადგენილი ვალდებულება სამოქალაქო საქმეებზე მიღებული საკასაციო გადაწყვეტილებათა გამოქვეყნების შესახებ. ყოველწლიური გადაწყვეტილებები დგებოდა

ცალკე ტომად, განსაკუთრებული ნუმერაციით. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა გამოქვეყნება და ხელმისაწვდომობა ასევე, ხელს უწყობდა ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.[37] სამართალწარმოებისას უზრუნველყოფილი იყო საქმის ზეპირი წარმოება. პროცესი ემყარებოდა შეჯიბრებითობის პრინციპს. მტკიცებულებათა შეფასება სასამართლოს უნდა მოეხდინა არა მითითებული თეორიის თანახმად, არამედ ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, შინაგანი რწმენით.[38] ახალი წესდებით, სამოქალაქო საქმეთა წარმოებისას გამოქვეყნებისთანავე დაუყოვნებლივ მოქმედებდა ახალი პროცესუალური ნორმები და საქმეებზე, რომლებიც აღძრული იყო გამოქვეყნებამდე.[39] მოსამართლედ გამწესებისათვის სხვა პირობებთან ერთად, აუცილებელი იყო იურიდიული განათლება, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული.[40]

რეფორმის შემდეგ არსებობდნენ სამოქალაქო, სისხლის და საეკლესიო სასამართლოები, თუმცა, არ იყო შექმნილი ადმინისტრაციული სასამართლოები და ადმინისტრაციულ საქმეებს განიხილავდნენ თავად ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელები. სასამართლოები იყოფოდნენ საერთო და განსაკუთრებულ სასამართლოებად. საერთო სასამართლოებში შედიოდნენ: „სამომრიგებლო სასამართლო დაწესებულებები," ე. წ. „Земские начальники," საქალაქო სასამართლოები, საოლქო სასამართლოს მაზრის წევრები, საოლქო სასამართლოები, სასამართლო პალატები და სენატის საკასაციო დეპარტამენტი. განსაკუთრებულ სასამართლოებში შედიოდა: კომერციული, საეკლესიო და ე. წ. „Волостные" სასამართლოები, რომლებიც საქმეებს იხილავდნენ განსაკუთრებული პროცესუალური ნორმებით და იყენებდნენ განსაკუთრებულ დამოუკიდებელ ცალკეულ სამართალს, სავაჭროს, საეკლესიოს და სხვა.[41] სასამართლო საჯაროდ გამოცხადდა დამოუკიდებლად. მოსამართლეები იღებდნენ მაღალ ხელფასებს. ისინი ინიშნებოდნენ მთავრობის მიერ, მაგრამ მათი გათავისუფლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით იყო შესაძლებელი, რაც ასევე, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტია იყო. შეიქმნა სასამართლო ინსტანციები. ნაკლებად მნიშვნელოვან დავებს განიხილავდა სამომრიგებლო სასამართლო, მომრიგებელ მოსამართლეს ირჩევდნენ ქალაქის სათათბიროები და ერობები. სოფლებში არსებობდა სათემო სასამართლოები, რომლებიც განიხილავდნენ გლეხთა დავებს. საოლქო სასამართლოები იხილავდნენ შედარებით მნიშვნელოვან სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებს.[42] შემოვიდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არსებითად არ შეიძლებოდა გასაჩივრებულიყო. დანარჩენ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებები საჩივრდებოდა სასამართლო პალატაში. უმაღლეს სასამართლო ინსტანციას წარმოადგენდა სენატი, სადაც პალატის გადაწყვეტილებები საკასაციო წესით საჩივრდებოდა.[43]

აღსანიშნავია, რომ სასამართლო რეფორმის პრაქტიკამ გამოავლინა სამოქალაქო სამართალწარმოების წესების მრავალი ხარვეზი, რასაც მოწმობს 1894 წლის 7 აპრილამდე ამ წესებში შეტანილი 700 დამატება, ცვლილება და შესწორება.[44]

„საქართველოში სასამართლო რეფორმა შეკვეცილი სახით გატარდა. რეფორმატორები ამის მიზეზად „მოსახლეობის მოუმზადებლობას" და „ადგილობრივ სპეციფიკურ პირობებს" ასახელებდნენ. სინამდვილეში კი, აქაც იჩენდა თავს მეფის მთავრობის კოლონიური პოლიტიკა. „1868 წლის 1 იანვრიდან, საქართველოში გაუქმდა წოდებრივი სასამართლოები. შეიქმნა საერთო სასამართლოები, მაზრებში დაარსდა მომრიგებელი განყოფილებები მომრიგებელი მოსამართ-

ლეებით, რომელნიც სასამართლო ორგანოების ყველაზე დაბალ ინსტანციას წარმოადგენდა, გუბერნიებში ჩამოყალიბდა საოლქო სასამართლოები. სასამართლო პალატის იურისდიქცია ვრცელდებოდა მთელ ამიერკავკასიაზე. საოლქო სასამართლო მხარის უმაღლესი სასამართლო ინსტანცია იყო. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებების გასაჩივრება შეიძლებოდა მხოლოდ იმპერიის სენატში. საქართველოში არ შემოუღიათ მოსამართლეთა არჩევითობა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. მოსამართლეებს კვლავინდებურად მთავრობა ნიშნავდა და ისინი მთლიანად მთავრობაზე იყვნენ დამოკიდებულნი. ნაცვლად არჩევითი სასამართლოებისა, აქ შეიქმნა ახალ ყაიდაზე მოწყობილი მთავრობის მოხელეთა სასამართლოები, რომლებსაც უნდა შეესრულებინათ უმაღლესი ნება.“ „ამიერკავკასია – საქართველოს სინამდვილეში მოქმედების განსაკუთრებული დიდი ასპარეზი მიეცა ყველაზე დაბალი ინსტანციის მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტს. რეფორმატორთა აზრით, ეს იმით იყო განპირობებული, რომ ამიერკავკასიის მოსახლეობა განვითარების დაბალ დონეზე იდგა, არ შეეძლო შეგუებოდა სხვადასხვანაირ კანონებს სამართლის წარმოების დარგობრივად დაყოფის თაობაზე და ამიტომაც საჭირო იყო ისეთი ორგანოს შექმნა, რომელსაც დროულად უნდა გაერჩია სხვადასხვა ხასიათის საქმეები.“[45]

1917 წელს, თებერვლის რევოლუციის შემდეგ და ასევე, 1918–1921 წლებში საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობის პერიოდში, სამოქალაქო სამართალწარმოებაში ფაქტობრივად, შენარჩუნდა 1864 წლის რეფორმის შემდგომი წესები, იმ ცვლილებებით და დამატებებით, რაც იყო ამ წესდებაში მისი მიღების შემდგომი პერიოდიდან. თუმცა, დამოუკიდებლობის პერიოდში, სამომრიგებლო სასამართლოებთან დაკავშირებით, სულ სამი ცვლილება განხორციელდა, კერძოდ, მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის სამომრიგებელო სასამართლოდ გარდაქმნისა და მოწყობის თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული, დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში სასამართლო ხელისუფლებას დათმობილი აქვს ცალკე, მე-10 თავი,[46] მაგრამ 1921 წლის 25 თებერვალს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის გამო, კონსტიტუცია ფაქტობრივად, არ ამოქმედებულა.

საბჭოთა ხელისუფლება ანექსიისთანავე შეუდგა საქართველოში მართლმსაჯულების სისტემის უზურპაციას და ამ მიზნით, რევკომმა გააუქმა დამოუკიდებელი საქართველოს სასამართლო ხელისუფლება.[47] 1923 წელს, მიღებულ იქნა დებულება სასამართლო წყობილების შესახებ, ხოლო 1924 წელს კი, სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი.[48]

საბჭოთა საქართველოში საერთო სასამართლოების სისტემაში არსებობდა ორი ინსტანციის სასამართლო. I ინსტანციის სასამართლო საქმეს წყვეტდა არსებითად, ხოლო მეორე ინსტანცია (საკასაციო, ანუ სარევიზიო) კი, საქმეებს მხოლოდ იურიდიული კუთხით ამოწმებდა.[49] შეიქმნა და მოქმედებდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოები, ასევე, უზენაესი სასამართლო. აფხაზეთში, აჭარასა და ოსეთში არსებობდა საკუთარი სასამართლოები.[50] საკასაციო სასამართლო ასევე, ახდენდა კანონის განმარტებას გადაწყვეტილების გამოტანისას, რაც სავალდებულო იყო კონკრეტული განხილული საქმისათვის, თუმცა, სახელმძღვანელო ხასიათის იყო ანალოგიური საქმის გადაწყვეტის დროსაც, ანუ მნიშვნელოვანი იყო პრაქტიკისათვის. თუმცა, რეალურად, სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ერთი საკასაციო ინსტანციის არსებობის შემთხვევაში.[51]

პირველი ინსტანციის წესით საქმეების განხილვა ხდებოდა სახალხო სასამართლოებში, ოლქის სასამართლოებშიც და ასევე, უზენაეს სასამართლოშიც.[52]

სახალხო მოსამართლისათვის და სახალხო სასამართლოებისათვის საკასაციო ინსტანციას წარმოადგენს ოლქის სასამართლო (სამოქალაქო საკასაციო თანაგანყოფილება), ოლქის სასამართლოებისათვის – უზენაესი სასამართლოს (საკასაციო კოლეგია), ხოლო უზენაესი სასამართლოსათვის საკასაციო ინსტანცია არ არსებობდა.[53]

საერთო სასამართლოებში საქმეების განხილვა ძირითადად, კოლეგიალურად მიმდინარეობდა, კერძოდ, სახალხო სასამართლოში ერთი მუდმივი მოსამართლის და ორი სახალხო მსაჯულის შემადგენლობით, ოლქის სასამართლოში და უზენაეს სასამართლოში კი, სასამართლოს ერთი წევრის და ორი მსაჯულის შემადგენლობით.[54] მხოლოდ შედარებით მარტივი და წვრილი საქმეების გადაწყვეტა იყო შესაძლებელი I ინსტანციის სახალხო მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად.[55]

მუდმივი მოსამართლე ინიშნებოდა 1 წლით, ხოლო სახალხო მსაჯულს სხდომაზე წელიწადში მხოლოდ 6 დღით იწვევდნენ. მოსამართლეობის კანდიდატს არ მოეთხოვებოდა არც იურიდიული და არც საერთო განათლება. მოსამართლედ შეიძლებოდა დანიშნულიყო 18 წელს მიღწეული პირი.[56] მოსამართლის თანამდებობა გახლდათ არჩევითი და მისი არჩევა ხდებოდა სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის კანდიდატთა სიიდან, რომელსაც წარმოადგენდა ოლქის სასამართლო ან იუსტიციის სახალხო კომისარიატი.[57]

რაც შეეხება მოსამართლის დამოუკიდებლობას, უნდა ითქვას, რომ მოსამართლე არ გახლდათ დამოუკიდებელი და არც შეუცვლელი. მისი გამოწვევა შეიძლება ვადაზე ადრეც მომხდარიყო იმ ორგანოების მიერ, რომლებმაც იგი აირჩია. მაშინ მოქმედი კონსტიტუცია არ სცნობდა სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებას რამდენიმე შტოდ. ამის დასტურია ასევე, ცნობილი ლოზუნგი „მთელი ხელისუფლება საბჭოებს.“ „მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი ვერ იქნება ვერც ერთი ორგანო ან თანამდებობის პირი, მაშასადამე ვერც მოსამართლე.“[58]

მაშინ მოქმედი სამოქალაქო პროცესი ცნობდა დისპოზიციურობის პრინციპს, თუმცა, ეს პრინციპი კანონმდებლობით გახლდათ მნიშვნელოვნად უგულებელყოფილი. მაგალითისათვის, მართალია, საქმის განხილვას სასამართლო მხოლოდ დაინტერესებული მხარის განცხადებით იწყებდა და მხარეს შეეძლო სასარჩელო მოთხოვნის გადიდება და შემცირება, თუმცა, სამოქალაქო საქმის აღძვრის უფლება ჰქონდა პროკურორსაც, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელს, როდესაც მისი აზრით, ამას მოითხოვდა სახელმწოფოს ან მშრომელთა ინტერესი. ამავე მიზნით პროკურორს უფლება ჰქონდა ჩარეულიყო სხვის მიერ დაწყებულ პროცესში.[59] ამასთან, სასამართლოს შეეძლო გასცდენოდა მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს და მხარისათვის იმაზე მეტის მიკუთვნება, რასაც იგი მოითხოვდა. მხარეს შეეძლო უარი ეთქვა თავის უფლებაზე და საქმე დაემთავრებინა მორიგებით, თუმცა, უარიც და მორიგებაც სასამართლოს კონტროლს ექვემდებარებოდა. პროცესი ითვალისწინებდა გადაწყვეტილების გაუქმებას მხარის საჩივრის არსებობის მიუხედავად, თავად უზენაესი სასამართლოს ინიციატივით და ასევე, შესაბამისი დაწესებულებისა და თანამდებობის პირთა ინიციატივით, იმ შემთხვევაშიც კი, თუნდაც გადაწყვეტილება ძალაში ყოფილიყო შესული.[60]

დისპოზიციურობის პრინციპის მსგავსად, მნიშვნელოვნად შეზღუდული იყო შეჯიბრობითობის პრინციპიც, ვინაიდან სასამართლოს თავად ჰქონდა მინიჭებული ფართო ინიციატივა.[61]

მაშინ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით საქმეთა განხილვა მიმდინარეობდა საჯაროდ.

1931 წელს, მიღებულ იქნა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი.[62] ამ კოდექსის 98-ე მუხლის შესაბამისად, საქმის გარჩევა საჯაროდ და სიტყვიერად მიმდინარეობს. განსაკუთრებულ შემთხვევებში, საქმე უნდა განხილულიყო დახურულ სხდომაზე, თუმცა, მე-100 მუხლის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილება საჯაროდ უნდა გამოცხადებულიყო. 101-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს შეეძლო საქმეში მონაწილე პირების გაძევება ამ პირთა მხრიდან წესრიგის დარღვევისას, თუმცა, არ შეიძლებოდა პროკურატურის წარმომადგენლისა და დამცველის გაძევება.

რაც შეეხება დისპოზიციურობას, შეჯიბრებითობას, საჯაროობას, თანასწორობას პროცესი აღნიშნულ პრინციპებს აღიარებდა,[63] თუმცა რეალურად, სასამართლო უმეტესწილად, ინკვიციზიური იყო და ხშირ შემთხვევაში, მინიჭებული ჰქონდა საკუთარი ინიციატივით, მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის უფლებამოსილება. გამოჩენილი პროცესუალისტი ს. აბრამოვი განმარტავდა, რომ „გამომდინარე იქიდან, რომ საბჭოთა მართლმსაჯულების ურყევ მიზანს წარმოადგენს მატერიალური ჭეშმარიტების დადგენა, კანონი (საქ. სსრ სამოქ. სამ. საპრ. კოდექსის მე-6 მუხლი) ავალდებულებს სასამართლოს, რომ მანვე ყოველი ღონე იხმაროს, რათა გამოარკვიოს მხარეთა ნამდვილი უფლებანი და ურთიერთობანი.[64] სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლით, სასამართლოს უფლება ჰქონდა გასცდენოდა სარჩელის მოთხოვნას და საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მხარისათვის მოთხოვნილზე მეტი მიეკუთვნებინა. ამავე კოდექსის 126-ე მუხლით, მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის ნაწილდებოდა თანაბრად.

1936 წელს, მიღებულ იქნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია.[65] „პროცესის მთელი რიგი პრინციპები დამკვიდრებულ იქნა სტალინური კონსტიტუციით, ამიტომაც, მათ სხვაგვარი თვისება შეიძინეს. ასეთ პრინციპებს მიეკუთვნება: ა) მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს მიერ (სსრ კავშირის კონსტიტუციის 102-ე მუხ.); ბ) მართლმსაჯულების განხორციელება კოლეგიური სასამართლოს მიერ (სსრ კავშირის კონსტიტუციის 103-ე მუხ.); გ) მართლმსაჯულების განხორციელება სახალხო მსაჯულების მონაწილეობით (სსრ კავშირის კონსტიტუციის 103-ე მუხ.); დ) მართლმსაჯულების განხორციელება არჩეულ მოსამართლეთა მიერ (სსრ კავშირის კონსტიტუციის 105–109 მუხ.); მართლმსაჯულების განხორციელება დამოუკიდებელ და მხოლოდ კანონისადმი დამორჩილებულ მოსამართლეთა მიერ (სსრ კავშირის კონსტიტუციის 112-ე მუხ.); ვ) მართლმსაჯულების განხორციელება მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ნაციონალურ ან რაიონის ენაზე, მოქალაქეთათვის სასამართლოში დედაენაზე გამოსვლის უფლების უზრუნველყოფით (სსრ კავშირის კონსტიტუციის 110-ე მუხ.); ზ) მართლმსაჯულების განხორციელება საჯარო პროცესის საფუძველზე (სსრ კავშირის კონსტიტუციის 111-ე მუხ.).“[66]

1936 წლის „სსრ კავშირის კონსტიტუცია ითვალისწინებდა მთელი სსრ კავშირისათვის ერთიანი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის გამოცემას.[67]

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული იყო საქმისწარმოება სასარჩელო წესით (ნაწილი I) და ასევე, საქმისწარმოება განსაკუთრებული წესით (ნაწილი II).

სასამართლო გადაწყვეტილება სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლით, საჩივრდებოდა საკასაციო წესით, ხოლო 290-ე მუხლით, რესპუბლიკის პროკურორს და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება ჰქონდათ გამოეთხოვათ რესპუბლიკის ყოველი სასამართლოდან ზედამხედველობის წესით გადათვალიერებისათვის კანონიერ ძალაში შესული ყველა საქმე და შეეჩერებინათ გადაწყვეტილების აღსრულება საქმის წარმოებით ზედამხედველობის წესით დამთავრებამდე. თუ აღმოჩნდებოდა, რომ გადაწყვეტილებით არსებითად და თვალსაჩინოდ იყო დარღვეული მოქმედი კანონი, ან კანონის პიდაპირი მოთხოვნის მიუხედავად, აშკარად დარღვეული იყო მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს, თუ მშრომელი მასების ინტერესები, რესპუბლიკის პროკურორს და უზენასი სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება ჰქონდათ გაეპროტესტებინათ ეს გადაწყვეტილება ზედამხედველობის წესით, უზენაეს სასამართლოში. პროტესტს განიხილავდა სასამართლოს სამოქალაქო საკასაციო კოლეგიის პლენუმი, ხოლო უზენაესი სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილებაზე, ასევე, უზენაესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიის გადაწყვეტილებაზე – უზენაესი სასამართლოს პლენუმი. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, 290-ე მუხლი დისპოზიციურობის პრინციპის უგულებელყოფის კლასიკური მაგალითი იყო.

1933 წელს, საბჭოთა კავშირის პროკურატურის ჩამოყალიბებით, უზენაესი სასამართლო გათავისუფლდა კანონიერებაზე საერთო ზედამხედველობის ფუნქციიდან. ამასთან, გაიზარდა მისი სასამართლო – საზედამხედველო ფუნქციები.[68] 1938 წელს, მიღებულ იქნა კანონი სასამართლო წყობილების შესახებ, ხოლო 1958 წლის 25 დეკემბერს კი, კანონმდებლობის საფუძვლები საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო მოწყობის, სამოქალაქო და სისხლის სამართლის სამართალწარმოების შესახებ.[69]

1964 წლის 26 დეკემბერს, მიღებულ იქნა ახალი საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ამოქმედდა 1965 წლის 1 ივლისიდან.[70] ამ კოდექსის 1–ლი მუხლის თანახმად, ასევე, ხდებოდა სასამართლოს მიერ ადმინისტრაციულსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავების განიხლვაც. ამავე კოდექსის მე-4 მუხლით, სასარჩელო წარმოების საქმეებზე შედიოდა სასარჩელო განცხადებები, ხოლო ადმინისტრაციულსამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ საქმეებზე და განსაკუთრებული წარმოების საქმეებზე – საჩივრები და განცხადებები. მე-5 მუხლით, მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებდა მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობის საწყისებზე. მე-6 მუხლის თანახმად კი, „სამოქალაქო საქმეებს სსრ-ის ყველა სასამართლოში განიხილავდნენ მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები, რომლებიც არჩეული იყვნენ კანონით დადგენილი წესით. ამავე მუხლით, სამოქალაქო საქმეები პირველი ინსტანციის ყველა სასამართლოში განიხილებოდა ორი სახალხო მსაჯულის შემადგენლობით, რომლებიც სარგებლობდნენ სასამართლო სხდომის თავმჯდომარის თანასწორი უფლებებით ყველა საკითხის გადაჭრაში. სასამართლოები საქმეების განხილვაში საკასაციო წესით ახორციელებდნენ სასამართლოს სამი წევრის შემადგენლობით, ხოლო სასამართლო ზედამხედველობის წესით – სასამართლოს სულ ცოტა, სამი წევრის შემადგენლობით.

საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლით, საქმეთა განხილვისას უზრუნველყოფილი იყო საჯაროობა. იმავე კოდექსის მე-8 მუხლით, აღიარებული იყო მოსამართლეთა და მსაჯულთა დამოუკიდებლობის პრინციპი. 52-ე მუხლით კი, თითოეულ მხარეს უნდა დაემტკიცებინა ის გარემოებანი,

რომლებზედაც იგი ამყარებდა თავის მოთხოვნას და შესაგებელს.

სასამართლოს მოვალეობა იყო საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, „სასამართლო მოვალეა არ დასჯერდეს წარმოდგენილ მასალებსა და ახსნა-განმარტებებს და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოარკვიოს საქმის ნამდვილი გარემოებანი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი.“ მართალია, საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლი ფორმალურად შეიცავდა დისპოზიციურობის პრინციპს, თუმცა, არა ტრადიციული გაგებით. დისპოზიციურობის პრინციპი 1977 წელს მიღებული საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის 37-ე მუხლით იყო გარანტირებული, თუმცა, საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მეორე აბაზით, ეს პრინციპი ფაქტობრივად, ფუნდამენტურად შეზღუდული იყო, ვინაიდან მეორე აბზაცის თანახმად, „სასამართლო არ მიიღებს მოსარჩელის უარს სარჩელზე, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობას და არ დაამტკიცებს მხარეთა მორიგებას, თუ ეს მოქმედება ეწინააღმდეგება კანონს ან არღვევს ვისიმე უფლებებს და კანონით დაცულ ინტერესს.“ ამასთან, საქმის აღძვრა სასამართლოში შესაძლებელი იყო პროკურორის განცხადების საფუძველზეც. ასევე, საზედამხედველო წარმოების აღძვრა შეეძლოთ არა დაინტერესებულ პირებს, არამედ პროტესტის აღძვრის უფლებამოსილების მქონე პროკურატურისა და სასამართლოს თანამდებობის პირებს.[71]

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 164-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეეძლო მოსარჩელის ან მოპასუხის პირადი ახსნა-განმარტებისათვის დაბარება, იმ შემთხვევაშიც, თუ საქმეში მათი წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. 166-ე მუხლით, ალიმენტის საქმეებზე სასამართლოს შეეძლო სავალდებულოდ ეცნო მოპასუხის გამოცხადება, ხოლო გამოუცხდებლობის შემთხვევაში, დაეჯარიმებინა 10 მანეთამდე და დაედგინა იძულების წესით მისი სასამართლოში მიყვანა. 167-ე მუხლით, თუ ორივე მხარე (მოპასუხე და მოსარჩელე) არ გამოცხადდებოდნენ საპატიო მიზეზის გარეშე, სასამართლო გადადებდა საქმის განხილვას იმ შემთხვევაში, თუ არც ერთი მხარისაგან არ შევიდოდა განცხადება საქმის დაუსწრებლად განხილვის შესახებ. განმეორებით დაბარებული მხარეების არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სასამართლო გამოიტანდა განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. იმავე კოდექის 201-ე მუხლით, სასამართლოს, სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 1931 წლის რედაქციის მსგავსად, საქმის გარემოებათა გამორკვევის მიხედვით, შეეძლო გასცდენოდა მოსარჩელის მოთხოვნის ფარგლებს.

რაც შეეხება საბჭოთა სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელობას, აღნიშნულზე პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი რენე დავითი თავის მონოგრაფიაში წერდა, რომ „იმ ვითარებაში, როცა სამართალი უმჭიდროესად არის დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკასთან და როცა ასე მოწადინებული არიან, ხალხის სუვერენიტეტი ქმედითი გახადონ, გამორიცხულია შესაძლებლობა, სასამართლო სამართლის შემქმნელად გვევლინებოდეს და მას მხოლოდ სამართლის ზუსტი განმარტება ძალუძს.“[72] იმავე ნაშრომში იგი ასევე განმარტავს – „ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირში სასამართლოების გამოცდილებას არ უგულებელყოფენ.[73]

საბჭოთა პერიოდში, სასამართლოს დამოუკიდებლობა გახლდათ კონსტიტუციით აღიარებული პრინციპი, თუმცა, რეალურად ამ მხრივ, ქვეყანაში შექმნილი იყო სრულიად რადიკალური

მდგომარეობა. კერძოდ, „მოსამართლის არჩევა თანამდებობაზე ხდებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ის იყო კომუნისტური პარტიის წევრი, რაც არჩევის მომენტიდანვე იძლეოდა საშუალებას მასზე განხორციელებულიყო უმკაცრესი პარტიული კონტროლი და მოეხდინათ მასზე ზეწოლა. ეს პერიოდია ე. წ. „სატელეფონო სამართლის“ არსებობის, როდესაც მოსამართლეთა მიერ პარტიული ხელმძღვანელების დავალების საწინააღმდეგო ყოველი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ ხდებოდა მათი „გამოგდება ხალიჩაზე,“ დაწყებული რაიკომის ან ქალაქკომის პირველი მდივნიდან და ნებისმიერი განყოფილების ინსტრუქტორით დამთავრებული.“ [74]

საბჭოთა პერიოდში, „თავად გაგება „სასამართლო ხელისუფლება“ პრაქტიკულად უცნობი იყო, ვინაიდან სასამართლო ორგანოების სისტემა განიხილებოდა არა ხელისუფლების გაგების პრინციპით, არამედ სასამართლო საქმიანობის პოზიციიდან.“[75] „სასამართლო ხელისუფლების“ შესახებ გაგების უფრო სერიოზული მიდგომის დასაწყისს მიეკუთვნება 80-იანი წლების ბოლო და 90-იანი წლების დასაწყისი. აღიარებულ იქნა რა, „სასამართლო ხელისუფლების“ გაგების უქონლობა და რომ საბჭოთა კავშირის ისტორიის მანძილზე სასამართლო ხელისუფლებას არასოდეს ეკავა სათანადო ადგილი და არ იყო დამოუკიდებელი აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან და სხვა ხელისუფლების შტოებისაგან.“[76]

„უნდა აღინიშნოს ასევე, რომ მოსამართლეთა მატერიალური მდგომარეობა იმდენად მძიმე (რიგითი მოსამართლის ხელფასი, რომელსაც ჰქონდა მცირე სტაჟი, შეადგენდა 180 მანეთს) იყო, რომ ბევრ მოსამართლეს უბიძგებდა ქრთამის აღებისაკენ.“[77]

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, სამეურნეო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად, გაჩნდა აუცილებლობა სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის დავების გადაწყვეტის მიზნით სპეციალური ორგანოს შექმნისა. ამ მიზნით 1922 წელს შეიქმნა სარბიტრაჟო კომისიები. 1931 წელს მმართველობის ორგანოების სისტემაში შეიქმნა სახელმწიფო არბიტრაჟი – დაწესებულებათა, საწარმოთა და საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციათა შორის ქონებრივი დავების გადასაწყვეტად. ჩამოყალიბდა ორი სახის არბიტრაჟი – სახელმწიფო და საუწყებო. სახელმწიფო არბიტრაჟში წყდებოდა დავები სხვადასხვა უწყებათა დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის, ხოლო საუწყებოში კი, ერთ უწყებას დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს შორის (სამინისტროს, კომიტეტის და სხვა დაქვემდებარების).[78]

არბიტრაჟების საქმიანობამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა 1965 წლის სამეურნეო რეფორმის შემდეგ, როდესაც დაიწყო სახალხო მეურნეობის გადაყვანა დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე.[79]

სახელმწიფო არბიტრაჟის საბოლოო ეტაპი დაკავშირებულია იმასთან, რომ 1977 წელს, სსრკ კონსტიტუციის მიღების შემდეგ, არბიტრაჟი ცნობილ იქნა საკონსტიტუციო ორგანოდ. სახელმწიფო არბიტრაჟის მუშაობის წესი პირველად, განისაზღვრა 1979 წლის 30 ნოემბერს მიღებული სსრკ-ის კანონით „სსრკ სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ.“[80] ამ კანონის მიღებამდე საქართველოს სახელმწიფო არბიტრაჟის საქმიანობა რეგულირდებოდა 1974 წლის 14 მაისის სპეციალური დებულებით.[81] სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 5 ივნისის დადგენილებით დამტკიცდა სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ სამეურნეო დავების განხილვის წესები.[82]

რაც შეეხება სსრკ-ის სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებს, ის შედგებოდა სსრკ-ის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟისაგან, მოკავშირე და ავტონომიური

რესპუბლიკებისა და მინისტრთა საბჭოებთან, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო და საქალაქო (მოსკოვი, ლენინგრადი) საბჭოების აღმასკომებთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟები (საქართველოს სსრ-ში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში არბიტრაჟი არ არსებობდა). სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების სათავეში იდგნენ მთავარი არბიტრები და მათი მოადგილეები. არბიტრაჟში საქმის აღძვრა ხდებოდა დაინტერესებული მხარის მიერ ან არბიტრაჟის მიერ. დავას განიხილავდნენ სახელმწიფო არბიტრი და მხარეთა წარმომადგენლები. არბიტრაჟის გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ შედიოდა ძალაში. გადაწყვეტილების შესასრულებლად არბიტრაჟი გამოსცემდა ბრძანებას. არბიტრაჟი სამინისტროს (უწყების) ორგანო იყო, იქმნებოდა მის აპარატში და მუშაობდა მისი ხელმძღვანელობით.[83]

პროგრესულად უნდა იქნეს მიჩნეული, რომ როგორც საკავშირო, ისე საქართველოს სს რესპუბლიკის კანონმდებლობა ასევე, ითვალისწინებდა სამოქალაქო დავების სამედიატორო სასამართლოების მიერ გადაწყვეტის შესაძლებლობას. საქართველოს სსრ-ის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი შეიცავდა დანართ 3-ს სახელწოდებით, „დებულება სამედიატორო სასამართლოების შესახებ.“ ამ დებულების 1-ლი მუხლის შესაბამისად, „მოქალაქეებს შეეუძლიათ მათ შორის წარმოშობილი ყოველი დავა განსახილველად გადასცეს სამედიატორო სასამართლოს, გარდა დავისა, რომელიც გამომდინარეობს შრომითი და ოჯახური ურთიერთობიდან.“ დებულების მე-7 მუხლის შესაბამისად, „საქმის განხილვა სამედიატორო სასამართლოში უსასყიდლოდ წარმოებს.“ დებულების მე-2 მუხლით, მხარეთა შეთანხმებით, სასამართლო იქმნებოდა ერთი ან რამდენიმე მოსამართლისაგან, რომელთაც ირჩევდნენ მხარეები. სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება საპროცესო კოდექსის 352-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, ექვემდებარებოდა იძულებით აღსრულებას. ზემოაღნიშნული დებულების მე-17 მუხლით, იძულებითი აღსრულება შესაძლებელი იყო სახალხო სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლით. დროებით კონკრეტული საქმეთა გადაწყვეტისათვის შექმნილი სამედიატორო სასამართლოების გარდა, მოქმედებდა მუდმივმოქმედი სამედიატორო სასამართლოები.[84]

საბჭოთა საქართველოში ასევე, არსებობდა არჩევითი საზოგადოებრივი ორგანო – ამხანაგური სასამართლო, რომელიც იქმნებოდა საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, უმაღლეს და საშუალო სპეც. სასწავლებლებში, კოლმეურნეობებში, დაბებსა და სოფლებში, სახლთმმართველობებსა და ქუჩის კომიტეტებთან. სასამართლოს წევრებს წელიწადში ერთხელ, ღია კენჭისყრით ირჩევდა მშრომელთა კოლექტივის საერთო კრება. ამხანაგური სასამართლოები განიხილავდნენ შრომის დისციპლინის დარღვევის და ადმინისტრაციული გადაცდომების შემთხვევებს, როცა საქმე გადმოცემული იყო სათანადო ორგანოების მიერ. ასევე, ზოგიერთი სამოქალაქოსამართლებრივი საქმე (საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობათა დაზიანება, მოქალაქეთა დავა დამხმარე სათავსოებით სარგებლობის თაობაზე და სხვ.).[85]

საქართველოში სამოქალაქო პროცესის და სასამართლო ორგანიზაციის განვითარების შესწავლის შედეგად, შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა სამოქალაქო სამართალწარმოების და სასამართლოს კარგად ორგანიზებული სისტემა, რაც XIX საუკუნის დასაწყისში, რუსეთთან შეერთების შემდგომ, ჩაანაცვლა სამართალწარმოებამ, რომლის დროსაც არსებითად უგულებელყოფილი იყო პროცესის ძირითადი პრინციპები: დისპო-

ზიციურობა, შეჯიბრებითობა, საჯაროობა და სხვა. მართალია, რუსეთის იმპერიაში ფორმალურად, ამ პრინციპებს სრულად აღიარებდა 1864 წელს მიღებული სამოქალაქო სამართალწარმოების წესდება, თუმცა, მათი დამკვიდრება პრაქტიკაში არასრულფასოვნად ხდებოდა, მით უფრო ამიერკავკასიაში, სადაც სასამართლო რეფორმა შეკვეცილი სახით გატარდა.

საბჭოთა ანექსიის შემდეგ კი, საქართველოში ჩამოყალიბდა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე და მის პოლიტიკურ ნებაზე მნიშვნელოვნად დამოკიდებული სასამართლო სისტემა. საბჭოთა კანონმდებლობა არ სცნობდა სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებას რამდენიმე შტოდ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ორგანო საბჭოთა პერიოდში საერთოდ არ განიხილებოდა, როგორც „ხელისუფლება.“ სასამართლოზე პროკურატურის ზედამხედველი ფუნქცია მნიშვნელოვნად ზღუდავდა მის დამოუკიდებლობას და შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს არსებობას გამორიცხავდა. სამოქალაქო საქმის განხილვისას, სასამართლოს ინკვიზიციური ხასიათი, პროკურორის მონაწილეობა და მისი შეუზღუდავი როლი, ფაქტობრივად, უგულებელყოფდა დისპოზიციურობის, შეჯიბრებითობისა და პროცესის აღიარებულ სხვა პრინციპებს.

შენიშვნები:

1 ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VI, წიგნი I, კარი პირველი, ქართული სამართლის ისტორია, გამოცემლობა „მეცნიერება," 1982, გვ. 23.

2 იქვე, გვ. 24.

3 იქვე, გვ. 25.

4 იქვე, გვ. 29.

5 ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, პროფ. ი. დოლიძის გამოკვლევითა და რედაქციით, ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I, 1963.

6 იქვე.

7 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, პროფ. ი. დოლიძის რედაქციით, 1965, გვ. 239.

8 იქვე, გვ. 450.

9 იქვე, გვ. 507.

10 ივანე ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი II, გვ. 479, 1929.

11 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, პროფ. ი. დოლიძის რედაქციით, გვ. 1020, 1965.

12 იქვე, 569.

13 დიმიტრი ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა," 1987, გვ. 290.

14 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, პროფ. ი. დოლიძის რედაქციით, 1965, გვ. 860.

15 ქართული სამართლის ისტორია, გამომცემლობა „მერიდიანი," თბილისი, 2009, გვ. 414.

16 მიხეილ კეკელია, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წიგნი I, (ქართლ-კახეთის სამეფო), გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო," თბილისი, 1970, გვ. 118.

17 იქვე, გვ. 297, გვ. 298.

18 იქვე, გვ. 48.

19 იქვე, გვ. 49.

20 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, პროფ. ი. დოლიძის რედაქციით, 1965, გვ. 1022-1023.

21 გივი ლობჟანიძე, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის პრობლემა ქართულ ფეოდალურ სამართალში, ჟურნალი „სამართალი," საქართველოს იურისტთა კავშირი, თბილისი, #5-6, 2004, გვ. 91.

22 ავტორთა კოლექტივი: ნოდარ ასათიანი, ნინო კიღურაძე, გიორგი სანიკიძე, ლალი ფირცხალავა, ისტორიის სახელმძღვანელო მე-11 კლასელთათვის, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2007, თავი IV, გვ. 324-325.

23 გ. ნადარეიშვილი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1986, გვ. 374-376.

24 ავტორთა კოლექტივი: ნოდარ ასათიანი, ნინო კიღურაძე, გიორგი სანიკიძე, ლალი ფირცხალავა, ისტორიის სახელმძღვანელო მე-11 კლასელთათვის, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2007, თავი IV გვ. 324-325;

25 გ. ნადარეიშვილი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1986, გვ. 374-376.

[26] И. Б. Морозова, А. М. Треушников, Исполнительное производство, учебно-практическое пособие, издание четвертое, дополненное, издательский дом „Городец,“ М., 2007, стр. 10.

[27] რენე დავიდი, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, გამომცემლობა „განათლება,“ თბილისი, 1993, გვ. 144-145.

[28] И. Е. Энгелманъ, Учебник русского судопроизводства, издание второе, печ. в тип. К. Маттисенав. Юревь. 1904, стр. 12.

[29] Назарова Надежда Александровна, Реформирование и развитие российского гражданского судопроизводства во второй половине XIX – начале XX века, диссертация кандидата юридических наук, 12.00.01, Нижний Новгород, 2007, стр. 170, РГБОД, 61:07-12/1528, Введение к работе (http://www.lib.ua-ru.net/diss/cont/174211.html).

[30] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი V, საქართველო XIX საუკუნის 30-90-იან წლებში, სარედაქციო კოლეგია, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო,“ 1970, გვ. 312.

[31] И. Е. Энгелманъ, Учебник русского судопроизводства, издание второе, печ. в тип. К. Маттисенав, Юревь, 1904, стр. 16.

[32] გ. ნადარეიშვილი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1986, გვ. 404.

[33] И. Е. Энгелманъ, Учебник русского судопроизводства, издание второе, печ. в тип. К. Маттисенав, Юревь, 1904, стр. 17.

[34] И. Б. Морозова, А. М. Треушников, Исполнительное производство, учебно-практическое пособие, издание четвертое, дополненное, издательский дом „Городец,“ М., 2007, стр.11.

[35] გ. ნადარეიშვილი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1986, გვ. 404.

[36] Д. Я. Малеишин, Исполнительное производство (функции суда), 2-ое издание, переработанное и дополненное, М., 2005, стр. 34.

[37] И. Е. Энгелманъ, Учебник русского судопроизводства, издание второе, печ. в тип. К. Маттисенав, Юревь, 1904, стр. 5.

[38] იქვე, გვ. 18.

[39] იქვე, გვ. 31.

[40] იქვე, გვ. 49.

[41] იქვე, გვ. 35, 52, 53.

[42] გ. ნადარეიშვილი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1986, გვ. 404-405.

[43] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი V, საქართველო XIX საუკუნის 30-90-იან წლებში, სარედაქციო კოლეგია, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო,“ 1970, გვ. 313.

[44] Назарова Надежда Александровна, Реформирование и развитие российского гражданского судопроизводства во второй половине XIX – начале XX века, диссертация кандидата юридических наук, 12.00.01, Нижний Новгород, 2007, стр. 170, РГБОД, 61:07-12/1528, Введение к работе (http://www.lib.ua-ru.net/diss/cont/174211.html).

[45] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი V, საქართველო XIX საუკუნის 30-90-იან წლებში, სარედაქციო კოლეგია, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო,“ 1970, გვ. 313, 317.

[46] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, სპეცრედაქტორი ვ. შარაშენიძე, გამომცემლობა „ივერთა მხარე," თბილისი, 1990, გვ. 471.

[47] Ghttp://ka.wikipedia.org/wiki/საქართველოს_საბჭოთა_სოციალისტური_რესპუბლიკა.

[48] სერგი ჯაფარიძე, სამოქალაქო პროცესი, იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამომცემლობა, ტფილისი, 1926, გვ. 10.

[49] იქვე, 16.

[50] იქვე, გვ. 17.

[51] იქვე, გვ. 16.

[52] იქვე, გვ. 32.

[53] იქვე, გვ. 32.

[54] იქვე, გვ. 32.

[55] იქვე, გვ. 14.

[56] იქვე, გვ. 21.

[57] იქვე, გვ. 24.

[58] Проф. Гурвич, Основы Советской Конституции, изд. 4-ое, ст. 78-79,

[59] სერგი ჯაფარიძე, სამოქალაქო პროცესი, იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამომცემლობა, ტფილისი, 1926, გვ. 66-67.

[60] იქვე, გვ. 67-68.

[61] იქვე, გვ. 68.

[62] საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი, გამომცემლობა „სახელგამი," 1956.

[63] ს. აბრამოვი, სამოქალაქო სამართლის პროცესი, წიგნი 5, საქ. სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1952, გვ. 58.

[64] იქვე, გვ. 67.

[65] Высший судебный орган СССР, изд-во „Юридическая литература," М., 1984, стр.14.

[66] ს. აბრამოვი, სამოქალაქო სამართლის პროცესი, წიგნი 5, საქ. სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1952, გვ. 57-58.

[67] იქვე, გვ. 63.

[68] Высший судебный орган СССР, изд-во „Юридическая литература," М., 1984, стр.12.

[69] тамже. стр. 15.

[70] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1964, #36, მუხ. 662.

[71] Авторский колектив, Советский гражданский процесс, изд-во „Юридическа литература," М., 1985, стр. 42.

[72] რენე დავითი, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, გამომცემლობა „განათლება," თბილისი, 1993, გვ. 187.

[73] იქვე, გვ. 189.

[74] Е. В. Вашинский, журнал „Арбитражный и гражданский процесс," издательская группа „Юрист," 2003, №2, стр.12.

[75] А. С. Безнасюк, Х.У. Рустамов, судебная власть, учебник, изд-во „Юнити-дана," М., 2002, стр. 25.

[76] тамже, стр. 28.

[77] Е. В. Вашинский, журнал „Арбитражный и гражданский процес," издательская группа „Юрист," 2003, №2, стр. 12.

[78] Д. Х. Саидумов, Научно-практический журнал „Современное право," изд-во „Новый Индекс," 2010, №10, стр. 98.

[79] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტომი I, სპეციალური სამეცნიერო რედაქცია, თბილისი, 1975, გვ. 547.

[80] Д. Х. Саидумов, Научно-практический журнал „Современное право,“ изд-во „ Новый Индекс,“ 2010, №10, стр. 98.

[81] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტომი I, სპეციალური სამეცნიერო რედაქცია, თბილისი, 1975, გვ. 547.

[82] Авторский коллектив, Советский гражданский процесс, изд-во „Юридическая литература,“ М., 1985, стр. 438-439.

[83] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი I, სპეციალური სამეცნიერო რედაქცია, თბილისი, 1975, გვ. 547.

[84] Авторский коллектив, Советский гражданский процесс, изд-во „Юридическая литература,“ М., 1985, стр. 489-490.

[85] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტომი I, სპეციალური სამეცნიერო რედაქცია, თბილისი, 1975, გვ. 417.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „სამოქალაქო სამართალწარმოებისა და აღსრულების საკითხები ძველ ქართულ სამართალში,“ ზურაბ ჭყონია, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი,“ #29 (10) 2010;
2. „სამოქალაქო სამართალწარმოება და აღსრულება საქართველოში XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში,“ ზურაბ ჭყონია, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი,“ #4 (27) 2010;
3. სამოქალაქო სამართალწარმოებისა და აღსრულების საკითხები საბჭოთა საქართველოში, ზურაბ ჭყონია, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი,“ #1 (28) 2011;
4. ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან – ოპიზის სიგელი, საქ. სსრ კულტურის სამინისტროს სახელმწიფო გამომცემლობა „ცოდნა,“ თბილისი, 1963.

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, #1106-Iს, 1997, 14 ნოემბერი;
2. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი, 1931, გამომცემლობა „სახელგამი,“ 1956;
3. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი, 1964, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო,“ თბილისი, 1965.

DEVELOPMENT OF JUDICIAL ORGANIZATION AND CIVIL PROCEDURE IN GEORGIA

(HISTORICAL-LEGAL ANALYSIS)

ZURAB CHKONIA
Assistant-Professor of Caucasus International University,
Doctoral Student of the Georgian Technical University

Following conclusions can be drawn after studying the development of civil procedure and judicial organization in Georgia: there has been a well organized system of civil proceedings and judicial organization in Georgia since ancient times, which was replaced after joining to Russia in the beginning of the XIX century by the legal proceedings, where the key principles of the procedure were substantially neglected: directory law, adversarial principle, publicity, etc. Although these principles were formally recognized at full length by the Statutes on Civil Proceedings adopted in the Russian Empire in 1864, they were incompletely implemented in practice, especially in the Caucasus, where the judiciary reform was implemented with limited scope.

After the Soviet annexation, a judicial system was established in Georgia, though it significantly depended on the executive power and its political will. The Soviet legislation did not recognize the separation of state power into several branches. Consequently, the judiciary body was not considered to be a 'power' at all during the Soviet period. The prosecutor's office had a function to oversight the judiciary, which substantially limited its independence, and thus, ruled out the existence of a fair trial. The inquisitorial nature of the civil courts, prosecutor's involvement and its unlimited role in fact neglected the directional, adversarial and other recognized principles of civil procedure.

საოჯახო სამართლის ადგილი ქართული სამართლის სისტემაში

ეკატერინე ნინუა
ასოცირებული პროფესორი

საზოგადოებრივი ურთიერთობები მრავალფეროვანი და რთულია, ამიტომ ყველა სახელმწიფოში მოქმედი სამართლებრივი ნორმები, მიუხედავად მათი შინაგანი ერთიანობისა და საერთო პრინციპზე დაყრდნობისა, მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და სამართლის სისტემაში სხვადასხვა ადგილი უკავიათ. „სისტემა“ ბერძნული სიტყვაა. იგი ნაწილებისაგან შედგება[1] და ზოგადად, მთელს ნიშნავს. შესაბამისად, კვლევის თემის აქტუალობა განაპირობა საქართველოში, სხვადასხვა დროს მეცნიერთა მიერ საოჯახო სამართლის ადგილის განსაზღვრამ ქართული სამართლის სისტემაში.

საბჭოთა პერიოდში, როგორც საქართველოში ასევე რუსეთში, რუმინეთში, სომხეთსა და სხვა ქვეყნებში დამოუკიდებელი კოდექსის სახით მოქმედებდა საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობები. სამოქალაქო და საოჯახო სამართლის რეგულირების საგანს წარმოადგენდა სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი ურთიერთობები, კერძოდ, სამოქალაქო სამართლის რეგულირების საგანი იყო ქონებრივი და პირადი არაქონებრივი ხასიათის ურთიერთობები, ხოლო საოჯახო სამართლის რეგულირების საგანი კი, საოჯახო-საქორწინო ურთიერთობები. ამდენად, თითოეული მათგანი მიჩნეული იყო სამართლის დამოუკიდებელ დარგად. აღნიშნული ურთიერთობების მოსაწესრიგებლად დარგობრივი პრინციპის მიხედვით, მოქმედებდა დამოუკიდებელი კოდექსები.[2] საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობების სპეციალური საოჯახო კოდექსით მოწესრიგების მიზეზი ის იყო, რომ საბჭოთა სამართალი არ აიგივებდა საოჯახო ურთიერთობებს სამოქალაქო სამართალთან. ამის მნიშვნელოვან საფუძველს

კი, წარმოადგენდა საოჯახო და სამოქალაქო სამართლის ნორმებით მოწესრიგებული ურთიერთობების გამიჯვნა ერთმანეთისაგან. გამომდინარე იქიდან, რომ საოჯახო ურთიერთობები მრავალფეროვანი და საკამათოა, იგი ცალკე კოდექსით უნდა მოწესრიგებულიყო. თუმცა, საქართველოსაგან განსხვავებით, ზოგიერთ პოსტსაბჭოურ ქვეყანას (მაგალითად, რუსეთს, აზერბაიჯანს და სხვ.) სამოქალაქო კოდექსის გვერდით დღემდე აქვს შემორჩენილი საოჯახო კოდექსიც. აღნიშნულ ქვეყნებში სამოქალაქო კოდექსის რეგულირების საგნიდან გამორიცხავენ საოჯახო ურთიერთობებს და ისინი უშუალოდ საოჯახო კოდექსის შესაბამისი ნორმებით რეგულირდებიან.

საქართველოში საბაზრო მეურნეობის პრინციპებზე გადასვლამ, სადაც გაბატონებულია კერძო საკუთრება და სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა თანასწორობა, დღის წესრიგში დააყენა საკითხი შესაბამის სფეროებში მოქმედი კანონმდებლობების კოდიფიკაციის შესახებ. ბუნებრივია, აღნიშნული შეეხო აგრეთვე საოჯახო სამართალსაც, ვინაიდან საჭირო გახდა იმ საოჯახო ურთიერთობების მოწესრიგება, რაც არ არსებობდა წარსულში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სისტემა პანდექტურ სისტემაზეა აგებული. საბჭოთა პერიოდის სამოქალაქო სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით, სადაც სამართლებრივი ნორმები ქაოტურად იყო განლაგებული, თანამედროვე სამოქალაქო კოდექსს აქვს ზოგადი ნაწილი, რომელიც საერთოა მთელი კერძო სამართლისათვის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მნიშვნელოვან თავისებურებებს წარმოადგენს ის, რომ მასში სისტემურად განთავსებული სამართლებრივი ნორმები არეგულირებენ კერძო პირთა შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს. აღნიშნული გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის პირველივე მუხლიდან, სადაც ნათქვამია, რომ სამოქალაქო „კოდექსი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს“. ამ დეფინიციის თანახმად, თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს საოჯახო ურთიერთობებსაც. ის, რომ საოჯახო სამართალი მთლიანად კოდექსში შევიდა შეიძლება ჩაითვალოს კოდექსის ერთგვარ მნიშვნელოვან სიახლედ. ქვეყანაში მომხდარმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა ცვლილებებმა გარკვეული ზემოქმედება მოახდინეს საოჯახო ურთიერთობების მოწესრიგების საკითხებზე, რამაც თავისებური ასახვა ჰპოვა 1997 წლის სამოქალაქო კოდექსში.

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკულად, XX საუკუნის დასაწყისიდან, მეცნიერთა შორის სადავო იყო საოჯახო სამართლის სამოქალაქოსაგან გამიჯვნის პრობლემა, რაც დაკავშირებული იყო საოჯახო ურთიერთობების სხვადასხვაგვარი შეფასებით. არ არსებობდა ერთიანი პოზიცია დაესაბუთებინათ საოჯახო სამართლის სამოქალაქოსაგან გამიჯვნისა და მის ცალკე დარგად ჩამოყალიბების შესახებ. მეცნიერების აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, საქართველოში, პროფესორმა სერგო ჯორბენაძემ, რომელსაც არაერთი ნაშრომი აქვს შექმნილი ამ დარგში, პირველმა თქვა უარი საოჯახო კოდექსის შექმნაზე, რასაც კომისიის აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი.[3]

საოჯახო სამართლის სამოქალაქოსთან გამიჯვნის პრობლემასთან დაკავშირებით დისკუსიაში იყო გამოთქმული ორი მოსაზრება:

ა) საოჯახო სამართალი, სამოქალაქო სამართლისაგან განსხვავებით წარმოადგენს სამართლის დამოუკიდებელ დარგს;

ბ) საოჯახო სამართალი არის სამოქალაქო სამართლის შემადგენელი ნაწილი, მისი ქვედარგი.

მეცნიერთა აზრით, საოჯახო სამართალი უნდა შესულიყო სამოქალაქო სამართლის შემადგენლობაში.[4] სხვები კი თვლიდნენ, რომ ამას მაშინ შეიძლება ჰქონდეს ადგილი, თუ საოჯახო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები არ განსხვავდება სამოქალაქო სამართლის სფეროთი მოწესრიგებული ურთიერთობებისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, საოჯახო სამართალს ადგილი არ უნდა ჰქონდეს სამოქალაქო სამართლის სისტემაში. მას მხოლოდ საოჯახო ქონებრივი ურთიერთობების მოგვარებისას უნდა მივმართოთ.[5] იმისათვის, რომ საოჯახო სამართალი მიჩნეულიყო სამართლის დარგად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ახასიათებდა თუ არა საოჯახო სამართლით მოწესრიგებულ ქონებრივ და არაქონებრივ ურთიერთობებს იგივე თავისებურებები, რაც სამოქალაქო სამართლით მოწესრიგებულ ქონებრივ და არაქონებრივ ურთიერთობებს. საბჭოთა საზოგადოების პირობებში გავრცელებული იყო აზრი, რომ ოჯახში ქონებრივი ურთიერთობები პირადი არაქონებრივი ურთიერთობების ზემოქმედებით კარგავენ ღირებულებით თვისებას და ამის გამო სცილდება სამოქალაქო სამართლის რეგულირების ფარგლებს, რის საფუძველზეც იქმნება სამართლის დამოუკიდებელი დარგი – საოჯახო სამართალი.[6] ამასთან, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, საბჭოთა საოჯახო სამართალი წარმოადგენდა სამოქალაქო სამართლის ნაწილს.[7]

მეცნიერთა შორის საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო, წარმოადგენდა თუ არა საოჯახო სამართალი სამართლის დამოუკიდებელ დარგს. მიზეზი კი, მდგომარეობდა იმაში, რომ საოჯახო სამართალს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჰქონდა სამოქალაქო სამართლის საგნისაგან განსხვავებული სპეციფიკური რეგულირების საგანი ან გაიგივებული იყო საოჯახო და სამოქალაქო სამართლის რეგულირების საგანი და შესაბამისად, ისინი განიხილებოდნენ, როგორც სამართლის ერთიანი დარგი. ამასთან დაკავშირებით, სამართლებრივი რეგულირების საგანში იგულისხმებოდა შინაარსობრივად მსგავსი საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთობლიობა, რომლებიც რეგულირდებოდა ამავე სამართლის დარგის ნორმებით. ნებისმიერი სამართლის დარგის დამოუკიდებელ დარგად აღიარებისათვის კი, მთავარია სამართლებრივი ნორმებით მოწესრიგებული საზოგადოებრივი ურთიერთობების ხასიათი[8] და არა სამოქალაქო და საოჯახო სამართლით რეგულირებადი საგნების ფორმალური თავსებადობა (ე. ი. პირადი არაქონებრივი და ქონებრივი ურთიერთობები).

საოჯახო სამართალში ქონებრივი და არაქონებრივი ურთიერთობების თავისებურებებმა (საოჯახო ურთიერთობების წარმოშობა თავისებური იურიდიული ფაქტებისაგან: ქორწინება, ნათესაური კავშირი, მამობის დადგენა და სხვ.; საოჯახო ურთიერთობების პირადი ხასიათი, საოჯახო უფლება-მოვალეობების გაუსხვისებლობა, მუდმივი და მყარი ხასიათი, საოჯახო ურთიერთობების მონაწილეთა მკაცრი ინდივიდუალიზაცია და სხვ.) განაპირობა მათი გამოყოფა სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობებისაგან. ამის შედეგად, საოჯახო სამართლის თეორიაში გაბატონებული იყო მოსაზრება, რომ მიუხედავად იმისა, რომ საოჯახო და სამოქალაქო სამართალი მომიჯნავე დარგები არიან, ისინი სამართლის სხვადასხვა დარგებს წარმოადგენენ, რადგან საოჯახო სამართალს გააჩნია საკუთარი რეგულირების საგანი და მეთოდი.[9] საოჯახო სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენდა ის, რომ ოჯახის წევრებს შორის წარმოშობილ ქონებრივ ურთიერთობებს არ გააჩნდათ არაეკვივალენტური, უსასყიდლო

ხასიათი.[10] ავტორთა მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ აღნიშნული გარემოება არ იძლევა საფუძველს, რომ საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობები გავმიჯნოთ სამოქალაქო სამართლით რეგულირებადი სხვა სახის ურთიერთობებისაგან.[11] ეს განპირობებულია იმით, რომ სამოქალაქო სამართლით ხდება როგორც სასყიდლიანი, ისე სხვა სახის არაეკვივალენტური ქონებრივი ურთიერთობების მოწესრიგება, თუ მათ აქვთ ღირებულებითი ხასიათი. ასე მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ჩუქებიდან გამომდინარე ურთიერთობებს აქვთ უსასყიდლო და არაეკვივალენტური ხასიათი, ისინი წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის რეგულირების საგანს, ვინაიდან შესაძლებელია ჩუქებით გადასაცემი ქონების ღირებულებითი შეფასება.

აღნიშნული არგუმენტი არ წარმოადგენდა საოჯახო სამართლის, როგორც სამართლის დამოუკიდებელ დარგად მიჩნევის საფუძველს, ვინაიდან თანამედროვე საოჯახო სამართლისათვის დამახასიათებელია სასყიდლიანი და ეკვივალენტური ხასიათის ურთიერთობების მოწესრიგება, რაც ძველად განიხილებოდა, როგორც უსასყიდლო ან არაეკვივალენტურ ურთიერთობებად. ასე მაგალითად, საქორწინო ხელშეკრულება, შეთანხმება ალიმენტის გადახდის თაობაზე და სხვ. საქორწინო ხელშეკრულებით მეუღლეებს შეუძლიათ დაადგინონ საერთო წილობრივი ქონების რეჟიმი, რაც გულისხმობს, რომ ქორწინების პერიოდში შეძენილ ქონებაზე თითოეული მეუღლის წილი საერთო ქონებიდან განისაზღვრება საერთო საკუთრებაში მათ მიერ განხორციელებული შენატანის მიხედვით. საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობების სასყიდლიანობის და ეკვივალენტურობის საფუძველზე, მეუღლებს და ოჯახის სხვა წევრებს შეუძლიათ აგრეთვე ერთმანეთთან დაამყარონ ურთიერთობები საალიმენტო ვალდებულებების ფარგლებშიც.

საოჯახო სამართლის სამართლის დამოუკიდებელ დარგად აღიარების ერთ-ერთ საფუძვლად აგრეთვე მიიჩნევდნენ საოჯახო სამართლით მოწესრიგებული ურთიერთობებისათვის დამახასიათებელ განგრძობით ხასიათის.[12] სხვების აზრით კი, განგრძობითი ხასიათი აქვს სამოქალაქო სამართლით რეგულირებად სხვა სახის საზოგადოებრივ ურთიერთობებსაც.[13] ასე მაგალითად, საკუთრებიდან გამომდინარე ურთიერთობები უფრო განგრძობითია, ვიდრე ნებისმიერი საოჯახო ურთიერთობები. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ მესაკუთრის გარდაცვალების შემდეგ საკუთრების უფლება გადაეცემა უფლებამონაცვლეობითი მემკვიდრეობით, ხოლო საოჯახო ურთიერთობები წყდება ოჯახის წევრის გარდაცვალების შემდეგ.[14]

საოჯახო ურთიერთობების მონაწილეებს ერთმანეთის მიმართ აქვთ გარკვეული უფლებები და მოვალეობები. შეუძლებებელია საოჯახო უფლებებსა და მოვალეობებზე უარის თქმა და მათი სხვაზე გადაცემა, რადგან ისინი ატარებენ პირად ხასიათს. ასე მაგალითად, მშობლის უფლებას შვილის აღზრდაზე აქვთ აბსოლუტური ხასიათი და ყველა სხვა პირი ვალდებულია თავი შეიკავოს ნებისმიერი ქმედებისაგან, რომელიც ხელს შეუშლის მშობელს შვილის აღზრდაში. აღნიშნული აბსოლუტური ურთიერთობების ფარგლებში მშობელს მხოლოდ შვილების აღზრდაზე აქვთ უფლებები და მოვალეობები და არა ყველა სხვა პირის მიმართ. სხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობაში ბავშვების აღზრდის საკითხი კი, საერთოდ არ შეიძლება განიხილებოდეს, არც როგორც მონაწილეთა სუბიექტური უფლება, არც როგორც მოვალეობა.

ამასთან, პირის მიერ ერთი და იგივე ქმედება, რომელიც ერთი სახის სამართლებრივი ურთიერთობისათვის შეიძლება იყოს უფლების განხორციელება სხვა სახის სამართლებრივი ურთიერთობისათვის შეიძლება ჩაითვალოს ვალდებულების შესრულებაში. აღნიშნული წესი

დამახასიათებელია არა მარტო საოჯახო სამართლებრივი ურთიერთიბებისათვის, არამედ სხვა სახის სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობებისათვის. ასე მაგალითად, სანივთოსამართლებრივ ურთიერთობებში მესაკუთრეს აქვს აბსოლუტური უფლება, რაც ნიშნავს, რომ ყველა სხვა პირი ვალდებულია თავი შეიკავოს საკუთრების უფლების ხელყოფისაგან. ამასთან, მესაკუთრეს აქვს როგორც უფლებები – სარგებლობდეს, ფლობდეს და განკარგოს თავისი ნივთი, ისე მოვალეობები არ ისარგებლოს პირმა თავისი ნივთით (დაევალოს ნივთის მოვლა და შენახვა), თუ ამ ნივთის გამოუყენებლობა ან მოუვლელობა ხელყოფს საზოგადო ინტერესებს.

საოჯახო სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებად შეიძლება ჩაითვალოს, რომ საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება ხდება იმპერატიული ნორმებით, მაშინ როდესაც სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობები ძირითადად, რეგულირდება დისპოზიციური ნორმების საფუძველზე. თუმცა, სამართლებრივი ნორმების იმპერატიული ან დისპოზიციური ხასიათი არ წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ საოჯახო სამართალი მივაკუთვნოთ სამართლის ამა თუ იმ დარგს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნებოდა საოჯახო და სისხლის სამართლის გაერთიანებას, რადგან სისხლის სამართალშიც დომინირებს იმპერატიული ნორმები. იმპერატიული ნორმების შემადგენლობას აგრეთვე ადგილი აქვს, სამოქალაქო სამართლის სხვა ინსტიტუტებში (მაგალითად, ხანდაზმულობის ინსტიტუტში). თანამედროვე საოჯახო სამართალი, საოჯახოსამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს არა მხოლოდ იმპერატიული ნორმებით, არამედ დისპოზიციური ნორმების საფუძველზეც. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ეს განპირობებულია ოჯახის, როგორც საზოგადოების ძირითადი ეკონომიკური უჯრედის განვითარების აუცილებლობით. დისპოზიციური ნორმები, საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს საშუალებას აძლევს საქორწინო ხელშეკრულების, საალიმენტო და სხვა სახის შეთანხმების საფუძველზე თავად განსაზღვროს საოჯახო ურთიერთობების შინაარსი.[15]

აღსანიშნავია, რომ საოჯახო სამართლის სამოქალაქო სამართლისაგან გამიჯვნის საკითხი იყო არა მხოლოდ საოჯახო სამართლის მეცნიერების ფართო განხილვის საგანი, არამედ სამოქალაქო სამართლის მეცნიერებისაც. ასე მაგალითად, მეცნიერთა აზრით, საოჯახო ურთიერთობები რეგულირდებიან საოჯახო კანონმდებლობით და სამოქალაქო სამართლის რეგულირების საგანს არ წარმოადგენენ, აგრეთვე „საოჯახო ურთიერთობები განსაკუთრებული საზოგადოებრივი ურთიერთობებია, რომლებიც არსებითად განსხვავდებიან სამოქალაქო სამართლით რეგულირებადი ქონებრივი და პირადი არაქონებრივი ურთიერთობებისაგან. საოჯახო ურთიერთობებისაგან წარმოიშობა სამართლებრივი რეგულირების დამოუკიდებელი საგანი.“[16]

ყველა დროის საოჯახო სამართლისათვის დამახასიათებელია საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი პირადი და ქონებრივი ურთიერთობების მოწესრიგება. პირადი ურთიერთობების წარმოშობის საფუძველია ქორწინება, რომელიც ქალისა და მამაკაცის სიყვარულს, ურთიერთპატივისცემას, ერთგულებასა და თანასწორობას ეფუძნება. ოჯახის წევრებს შორის პირადი არაქონებრივი ურთიერთობების უმეტესობა რეგულირდება მორალურ-ეთიკური და ზნეობრივი ნორმებით. ამიტომ, კანონით მხოლოდ ისეთი პირადი არაქონებრივი უფლებები რეგულირდება, როგორიცაა მეუღლეთა შორის გვარის, საცხოვრებელი ადგილის, პროფესიის არჩევის, შვილების აღზრდის მოვალეობა, რაც მიანიშნებს, რომ საოჯახო ურთიერთობები სცილდება სამოქალაქო სამართლის რეგულირების ფარგლებს. საოჯახო ურთიერთობებში

ქონებრივ ურთიერთობებს არა აქვთ სასაქონლო-ფულადი ნიშანი და არ არის გათვალისწინებული ეკონომიკური ბრუნვისათვის, რაც დამახასიათებელია სამოქალაქო სამართლისათვის. ოჯახის წევრებს შორის ქონებრივ ურთიერთობებს (ალიმენტის გადახდა, საქორწინო ხელშეკრულება) არა აქვთ მთავარი მნიშვნელობა, ისინი მხოლოდ გამოხატავენ მათ პირად კავშირს.[17] საოჯახო ურთიერთობებში პრიორიტეტული ხასიათი აქვს პირად ურთიერთობებს (მეუღლეთა შორის, მშობლებსა და შვილებს შორის, ასევე, ოჯახის სხვა წევრებს შორის), ვინაიდან ქონებრივი ურთიერთობები ყოველთვის დაკავშირებულია პირადთან და მისგან გამომდინარეობს. ოჯახში პირადი არაქონებრივი ურთიერთობები მჭიდროდაა დაკავშირებული თითოეული ოჯახის წევრის პიროვნებასთან. პირადი არაქონებრივი ურთიერთობების ფარგლებში საოჯახო ურთიერთობების მონაწილეების მიერ ხდება იმ სულიერი ფასეულობების ურთიერთშეფასება, რომლის საფუძველზეც მოხდა პირადი არაქონებრივი ურთიერთობების წარმოშობა. მონაწილეთა ურთიერთშეფასების ხასიათი აგრეთვე წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის ძირითად თავისებურებას, რომლის მიხედვით, შეიძლება განისაზღვროს სამოქალაქო სამართლით რეგულირებადი საზოგადოებრივი ურთიერთობების წრე. სწორედ, რომ სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა იურიდიული თანასწორობის საფუძველზე შეიძლება მოხდეს მათი სამართლიანი ურთიერთშეფასება. სამოქალაქო სამართლის ზოგადი დებულებებით განსაზღვრული იურიდიული თანასწორობის მეთოდი, აგრეთვე გამოიყენება საოჯახო ურთიერთობების რეგულირებისას (მაგალითად, მშობლები თავიანთი არასრულწლოვანი შვილების მიმართ თანაბარი უფლება-მოვალეობებით სარგებლობენ).

მიუხედავად იმისა, რომ საოჯახო ურთიერთობებს გარკვეული თავისებურებები გააჩნიათ ეს არ ნიშნავს, რომ საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეებს მხოლოდ ქორწინებიდან, შვილად აყვანისა და ოჯახში აღსაზრდელად ბავშვის მიღების, მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესების საფუძველზე შეუძლიათ ერთმანეთთან ურთიერთობის დამყარება. ამასთან, საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეებს შორისაც შეიძლება წარმოიშვას სხვა სახის სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობები. მაგალითად, ერთ ორგანიზაციაში მომუშავე მეუღლეებს შორის შეიძლება არსებობდეს შრომითი ან ადმინისტრაციული ურთიერთობა. შესაძლებელია აგრეთვე, რომ ოჯახის წევრებს შორის წარმოშობილი კერძო ხასიათის პირადი და ქონებრივი ურთიერთობა საერთოდ არ იყოს საოჯახო სამართლის რეგულირების საგანი. მაგალითად, ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელების შემთხვევაში, პასუხისმგებლობის დადგენა ხდება სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნორმებით, ხოლო ოჯახის წევრ მამა-შვილს შორის სასესხო ურთიერთობა რეგულირდება სახელშეკრულებო სამართლის ნორმებით.[18]

საოჯახო სამართალი საზოგადოებრივი ურთიერთობების სპეციფიკურ სფეროს აწესრიგებს და იგი არ მოიცავს მნიშვნელოვნად განსხვავებულ მატერიალურ კრიტერიუმს, რომლის მიხედვითაც, შეიძლებოდა საოჯახო ურთიერთობების იმ ურთიერთობებისაგან გამიჯვნა, რომლებიც რეგულირდებიან სამართლის სხვა დარგებით. აქედან გამომდინარე, საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები არ არის საკმარისი საოჯახო სამართლის დამოუკიდებელ დარგად აღიარებისათვის. ამიტომ, საოჯახო სამართალი წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის ქვედარგს, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი შიდადარგობრივი თავისებურება, მაგრამ მიეკუთვნება სამოქალაქო სამართალს.[19]

პროფესორ შალვა ჩიკვაშვილის აზრით, საოჯახო კანონმდებლობის ჩართვამ სამოქალაქო კოდექსში, მას „წაართვა სამართლის დამოუკიდებელ დარგად არსებობის უფლება და სამოქალაქო სამართლის ქვედარგად გადააქცია.“[20] აღნიშნულ მოსაზრებას არ ეთანხმება პროფესორი რომან შენგელია და თვლის, რომ „საოჯახო ურთიერთობათა შინაარსის ანალიზი და მათი სამართლებრივი რეგულირების თავისებურებანი იმაზე მეტყველებს, რომ საოჯახო სამართალი არასდროს ყოფილა დამოუკიდებელი დარგი ან ქვედარგი და მის მიერ რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობანი სამოქალაქო ურთიერთობათა ნაირსახეობაა. მათი სამართლებრივი რეგულირების პროცესში თავს იჩენს განსაზღვრული არაარსებითი ხასიათის სპეციფიკა, რის გამოც საოჯახო სამართალი უნდა ჩაითვალოს სამოქალაქო სამართლის დამოუკიდებელ ინსტიტუტად.“[21] საოჯახო სამართალი მოიცავს იმ ნორმათა ერთობლიობას, რომლებიც არეგულირებენ გარკვეული სახის ახლო ურთიერთობების ჯგუფს და წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის რეგულირების საგანს. ამიტომ მიგვაჩნია, რომ საოჯახო სამართალი წარმოადგენს სამართლის ქვედარგს. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ ერთი და იგივე სამართლის დარგის ნათესაური ინსტიტუტები მთლიანობაში ქმნიან სამართლის ქვედარგს.[22] საოჯახო სამართლის სამოქალაქო სამართლის ქვედარგად აღიარება განპირობებულია მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით და მათი მოწესრიგებით საოჯახო სამართლის ნორმებით. სამოქალაქო კოდექსში საოჯახო სამართლისათვის, როგორც სამართლის ქვედარგისათვის, დამოუკიდებელი ადგილის დათმობა განპირობებულია იმ სიახლეებით, რაც ახლავს საოჯახო სამართალს. ცალკეული სახის საზოგადოებრივი ურთიერთობების თავისებურებები, რომლებიც წარმოადგენენ საოჯახო სამართლის, როგორც სამოქალაქო სამართლის ქვედარგის რეგულირების საგანს, განსაზღვრავენ საოჯახო სამართლის შინაგან სტუქტურულ დიფერენციაციას და განაპირობებენ კონკრეტული ქვედარგის ჩარჩოებში შესაბამისი სამართლებრივი ინსტიტუტების არსებობას (მაგალითად, ქორწინებისა და განქორწინების, შვილების, საქორწინო ხელშეკრულების და ა. შ.).

სამოქალაქო სამართალი, როგორც საოჯახოსამართლებრივ, ისე სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებს არეგულირებს მონაწილეთა სრული თანასწორობისა და დამოუკიდებლობის საფუძველზე ე. ი. რეგულირების მეთოდი ემყარება კერძო ავტონომიისა და იურიდიული თანასწორობის პრინციპს. ამიტომ, ყველა მოქალაქისათვის თანაბარი უფლებების მინიჭება, დისპოზიციურობა და ინიციატივა, უზრუნველყოფს როგორც საოჯახოსამართლებრივი, ისე სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების განხორციელებას მონაწილეთა სამართლებრივი დამოუკიდებლობის საფუძველზე. ამდენად, ამა თუ იმ საერთო თავისებურებების გამო, საოჯახო სამართლის სამოქალაქო სამართლის ქვედარგად აღიარება იქნება სრულიად მართებული.

შენიშვნები:

1 ა. კობახიძე, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2001, გვ. 35.
2 შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, გამომც. „მერიდიანი," თბილისი, 2000, გვ. 12.
3 ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, „საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი," თბილისი, 2005, გვ. 180.
4 Шершеневич Г. Ф., Учебник русского гражданского права (по изд., 1907), М., 1995, Стр. 12-13.
5 Мейер Д. И., Русское гражданское право, Ч. 1(по изд. 1902 г.), М., 1997, Стр. 33-34.
6 Рясенцев В. А., Семейное право, Стр. 19; Ворожейкин Е. М., Семейное право как самостоятельная отрасль права, Стр. 37; Матвеев Г. К., Советское семейное право, Стр. 46; Тархов В. А., Советское семейное право, Саратов, 1963, Стр. 11; Пчелинцева Л. М., Семейное право России, М., 1999, Стр. 8;
7 Иоффе О. С., Развитие цивилистической мысли в СССР, Стр. 186; Советское семейное право, В. Ф. Маслова и А. А. Пушкина, Киев, 1982, Стр. 18.
8 Матвеев Г. К., Советское семейное право, М., 1985, Стр. 34.
9 Л. М. Пчелинцева, Семейное право Росии, М., 2004, Стр. 17.
10 Братусь С. Н., Предмет и система советского гражданского права, М., 1963, Стр. 110.
11 Иоффе О. С., Развитие цивилистической мысли в СССР, М., 1975, Стр. 182-183.
12 Матвеев Г. К., Советское семейное право, М., 1985, С. 35. Рясенцев В. А., Семейное право, Стр.13.
13 Иоффе О. С., Развитие цивилистической мысли в СССР, М., 1975, Стр. 183.
14 Гражданское право, под ред. А. П. Сергеева, Ю. К. Толстого. Т. 3, „Проспект", М. 2006, Стр. 306.
15 Антокольская М. В., Семейное право, М., 1996, Стр. 26.
16 Советское гражданское право: Учебник, Т. 1, Изд. 3-е/Под ред. О. А. Красавчикова, М., 1985, Стр. 8, 35-36.
17 Советское гражданское право: Учебник. / Под ред. О. Н. Садикова, М., 1983, Стр. 8, 9.
18 რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, გამომც „მერიდიანი," თბილისი., 2011, გვ. 25.
19 Антокольская М. В., Семейное право, М., 1996, Стр. 7-9.
20 შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, გამომც. „მერიდიანი," თბილისი, 2000, გვ. 12.
21 რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, „მერიდიანი," თბილისი, 2011, გვ. 31.
22 Теория государства и права, 2-е изд., под ред. В. Т. Стрекозова, М. 2002

FAMILY LAW IN THE GEORGIAN LEGAL SYSTEM

EKATERINE NINUA
Associate Professor

The research paper discusses how the place of family law has been determined in the Georgian legal system since the Soviet period to date. There is a special focus laid on the discussion of a contentious issue among the scholars, which is related to the problem of separation of family law from civil law; in particular, whether the family law is an independent field of law or not. It is a constituent part of the civil law, its sub-field. In this respect, the paper clearly reflects the opinions of scholars who recognize possibilities for the existence of family law as a separate field, and also the positions of second part of scholars who think that the family law represents a sub-field of the civil law due to its common features to the latter.

ასაკი, როგორც უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის წყარო

ქეთევან კვინიკაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კერძო სამართლის მიმართულების მაგისტრანტი

თამარ გვენეტაძე
იურისტი

ადამიანს დაბადებიდანვე გააჩნია გარკვეული უფლებები და ასაკობრივ განვითარებასთან ერთად, მისი უფლებათა წრეც თანდათან იზრდება. უფრო მეტიც, არსებობს ისეთი უფლება, რომელიც პირს დაბადებამდე – ჩასახვისთანავე წარმოეშობა. ასეთია მემკვიდრედ ყოფნის უფლება, რომლის განხორციელებაც დაბადებაზეა დამოკიდებული. კანონმდებელი ამ დანაწესით გარკვეულ გამონაკლისს უშვებს იმ ზოგადი წესიდან, რომლის მიხედვითაც, უფლება შესაძლებელია მხოლოდ სუბიექტთან ერთად არსებობდეს. თუ არ არსებობს სუბიექტი, შესაბამისად, აზრს იქნება მოკლებული ვამტკიცოთ მისი უფლების არსებობა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც ჩასახვისთანავე მემკვიდრედ ყოფნის უფლებას ითვალისწინებს, შეზღუდული უფლებაუნარიანობის მაგალითს წარმოადგენს. შეზღუდულია იმიტომ, რომ იგი მხოლოდ მემკვიდრედ ყოფნის უფლებას ითვალისწინებს. იმავდროულად, ეს უფლებაუნარიანობა პირობითია. პირობითია იმიტომ, რომ მისი განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე.[1]

კანონმდებელს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება იმ ურთიერთობათა მოწესრიგებისას, სადაც ასაკი გარკვეული უფ-

ლების წარმოშობის წყარო ხდება. ნებისმიერ სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირი უნდა აცნობიერებდეს ამ ურთიერთობის მნიშვნელობასა და შესაძლო მოსალოდნელ შედეგებს. იმისათვის, რომ პირმა შეძლოს კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის შესაძლო შედეგების პროგნოზირება, აუცილებელია, რომ იგი გონებრივი განვითარების შესაბამის დონეზე იმყოფებოდეს. გონებრივი განვითარება კი, როგორც წესი, ასაკის მატების პარალელურად ხდება. სხვადასხვა ასაკობრივ ეტაპზე პირს აქვს შესაძლებლობა გარკვეულ სამართლებრივ ურთიერთობებში შევიდეს კონტრაჰენტთან. განსხვავება ამ სამართალურთიერთობათა ხასიათსა და სირთულეშია. რაც უფრო რთულია სამართლებრივი ურთიერთობა, პასუხისმგებლობის უფრო მაღალი ხარისხია დადგენილი და შესაბამისად, ამ ურთიერთობაში მონაწილეობისათვის დადგენილი ასაკობრივი სტანდარტიც განსხვავებულია.

კერძო და საჯარო სამართალი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ასაკთან დამოკიდებულებაში. როცა საქმე ეხება ადამიანის უფლებით აღჭურვას, კერძო სამართალი გაცილებით დემოკრატიულია და ცალკეულ შემთხვევაში, ხასიათდება მისი შემცირების ტენდენციით.[2]

კანონმდებელმა სრულწლოვანების ასაკად დაადგინა 18 წელი და ამდენად, პირს ამ ასაკის მიღწევისთანავე მოქმედების სრული თავისუფლება მიანიჭა. 18 წლის ასაკს მიღწეული პირი უკვე უფლებამოსილია დამოუკიდებლად გამოვიდეს სამართლებრივ ურთიერთობებში მხარედ და საკუთარი შეხედულებისამებრ იმოქმედოს.

18 წელი კანონმდებელმა მიიჩნია იმ ასაკად, როდესაც პირს უკვე აქვს შესაძლებლობა დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და იკისროს ვალდებულებები. ამ ასაკის მიღწევისთანავე, პირი სრულ საპროცესო ქმედუნარიანობასაც მოიპოვებს, რაც მას სასამართლოში საპროცესო უფლებამოვალეობების თავისი მოქმედებით განხორციელების შესაძლებლობას ანიჭებს (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლი, მე-2 ნაწილი).

ასაკის მიხედვით უფლების წარმოშობის საკითხზე საუბრისას, გვერდს ვერ ავუვლით ემანსიპაციის ინსტიტუტს. ეს ის შემთხვევაა, როცა პირს, მართალია, ჯერ არ მიუღწევია სრულწლოვანების ასაკამდე, მაგრამ განსაზღვრული პირობების არსებობისას სამართალი მას უთანაბრებს სრულწლოვან პირებს. სამოქალაქო კოდექსი ასეთ ორ პირობას ითვალისწინებს: პირველი, როცა თვრამეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირი იქორწინებს. ხოლო ემანსიპაციის მეორე შემთხვევას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმადაც, თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვანი შეიძლება მიჩნეულ იქნას შეუზღუდავად ქმედუნარიანად, თუ კანონიერი წარმომადგენელი მას მიანიჭებს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას.[3]

მაშასადამე, შესაძლებელია ითქვას, რომ ემანსიპაციის ინსტიტუტი ყველაზე ნათელი მაგალითია, თუ როგორ შეიძლება ასაკმა პირს ის უფლებები წარმოუშვას, რა უფლებებითაც მხოლოდ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ ისარგებლებდა. არასრულწლოვნის ემანსიპაციის პირველ შემთხვევას ქორწინება წარმოადგენს. სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლი საქორწინო ასაკად 18 წელს აწესებს, მაგრამ ითვალისწინებს გამონაკლისსაც, როცა ქორწინება დასაშვებია 16 წლის ასაკიდან. პირი, რომელიც 16 წლის ასაკში იქორწინებს, უფლებრივი მდგომარეობით უთანაბრდება სრულწლოვანს და უფლებამოსილია სრული მოცულობით ისარგებლოს იმ უფლებებით და იკისროს ის ვალდებულებები, რომელიც მას როგორც ფაქტობრივად სრულწლოვანს მიენიჭა.

სრული ქმედუნარიანობის წარმოშობის მეორე შემთხვევად კანონიერი წარმომადგენლის მიერ არასრულწლოვნისათვის საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლების მინიჭება მიიჩნევა. ასეთ შემთხვევაში, არასრულწლოვანი ამ სფეროსათვის ჩვეულებრივ ურთიერთობებში შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება და უფლებამოსილია დადოს ყველა ის გარიგება, რაც ჩვეულებრივ, მისი საწარმოს საქმიანობასთან არის დაკავშირებული. ზოგიერთ შემთხვევაში, 16 წლის პირი განვითარების დონით უტოლდება სრულწლოვან პირს, შესაბამისად, კანონმდებელმა დაუშვა გამონაკლისი და კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით, რომელიც თავის მხრივ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობას საჭიროებს, მიანიჭა არასრულწლოვანს უფლება სამეწარმეო ურთიერთობებში სრული მოცულობით განეხორციელებინა ის უფლებები, რომლებსაც იგი რომ არა კანონიერი წარმომადგენლის ნდობა, ვერ მიიღებდა.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს ნორმა სპეციალურია და მის საფუძველზე არასრულწლოვანის ემანსიპაცია მხოლოდ სამეწარმეო ურთიერთობებში ხდება. ამ ურთიერთობების გარეთ, იგი ჩვეულებრივად შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ რჩება.[4] ამ შემთხვევაში, კანონმდებელმა მართალია დაუშვა გამონაკლისი, მაგრამ ეს გამონაკლისი მან მხოლოდ გარკვეული სპეციფიკური სამართლებრივი ურთიერთობით შემოსაზღვრა. ამ ურთიერთობის გარეთ, გამონაკლისი უკვე აღარ მოქმედებს და არასრულწლოვანი პირი საერთო წესს ემორჩილება.

შეიძლება ითქვას, რომ ასაკით გამოწვეული შედეგების პირდაპირი სამიზნე კერძო პირის უფლებებია და არაპირდაპირი – საზოგადო ინტერესები. სხვა მდგომარეობაა საჯარო სამართალში. აქ კანონმდებლის ასაკობრივი შეცდომები პირდაპირ აისახება საზოგადოებრივ ინტერესებში. როგორ უნდა მოიქცეს კანონმდებელი ნაკლები შეცდომები რომ დაუშვას? კანონმდებელმა ეს ასაკი უნდა შემოსაზღვროს ადამიანთა ასაკობრივი განვითარების საერთო მდგომარეობით და არა რომელიმე კონკრეტული პირის ასაკობრივი განვითარებით. მოკლედ, მან საზომად საერთო მასშტაბი უნდა აიღოს და არა ერთეული ვუნდერკინდების ასაკი. ასე, რომ ასაკი ავალდებულებს კანონმდებელს.[5]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა ემანსიპაციის შემთხვევა ერთ მუხლში მოაქცია სათაურით – „არასრულწლოვნის ემანსიპაცია," გერმანიის სამოქალაქო კოდექსმა კი, ეს ორი შემთხვევა ცალ-ცალკე პარაგრაფით რეგულირების საგანი გახადა. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §110 და §112 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლის ანალოგიურია და მოწესრიგების საერთო საგანი გააჩნია. §110 (Bewirken der Leistung mit eigenen Mitteln) წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მსგავს დათქმას, კერძოდ, BGB-ც სამართლებრივი ძალის მქონედ მიიჩნევს არასრულწლოვნის მიერ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე დადებულ ხელშეკრულებას, თუ მან ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულება განახორციელა იმ სახსრებით, რომლებიც მას თავისუფალი განკარგვის მიზნით, წარმომადგენელმა ან ამ უკანასკნელის თანხმობით – მესამე პირმა გადასცა. BGB-ს §112 (Selbstständiger Betrieb eines Erwerbsgeschäfts) კი, სამეწარმეო საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვის შესაძლებლობას ითვალისწინებს და არასრულწლოვანს კანონიერი წარმომადგენლის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების წყალობით სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში შეუზღუდავად ქმედუნარიანის სტატუსს ანიჭებს. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ის გარიგებები, რომელთა დადებისათვის წარმომადგენელს ესაჭიროება

საოჯახო საქმეთა სასამართლოს (Familiengericht) თანხმობა. საოჯახო საქმეთა სასამართლოს როლს საქართველოში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ასრულებს, რომლის თანხმობაც აუცილებელია, რათა არასრულწლოვანს საწარმოს გაძღოლის ნებართვა მიენიჭოს. იმისათვის, რომ არასრულწლოვანმა საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლა შეძლოს, საჭიროა მასზე ამ უფლებამოსილების დელეგირება, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, მას მინიჭებული უნდა ჰქონდეს სამეწარმეო საქმიანობის დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებამოსილება.[6]

BGB-ს §105 (A Geschäfte täglichen Lebens) სრულწლოვანი, მაგრამ ქმედუუნარო პირის მიერ ყოველდღიური გარიგებების თავისუფლად დადების შესაძლებლობას ითვალისწინებს. ამ დანაწესის მიხედვით, სრულწლოვან ქმედუუნარო პირს აქვს უფლება დადოს ისეთი ყოველდღიური გარიგებები, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს მცირე თანხით. ასეთ შემთხვევაში, მის მიერ დადებული ხელშეკრულება განიხილება ძალმოსილად შესრულების მიმართ, ხოლო შეთანხმების შემთხვევაში კი, საპირისპირო შესრულების მიმართაც, როგორც კი განხორციელდება შესრულება და საპირისპირო შესრულება. ეს წესი მხოლოდ იმ შემთხვევაში არ გამოიყენება, როცა ქმედუუნარო პირის ქონების მიმართ მომეტებული საფრთხე არსებობს.

სამოქალაქო კოდექსი უშვებს შეზღუდული ქმედუნარიანი პირის წარმომადგენლობის შესაძლებლობასაც. 105-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგება ნამდვილია მაშინაც, როცა წარმომადგენელი შეზღუდულად ქმედუნარიანი იყო. რა განაპირობებს ასეთი პირის მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობას? ნებისმიერ შემთხვევაში, შეზღუდულქმედუნარიანი პირის მიერ დადებული გარიგება მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას საჭიროებს, ანუ მის მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობა ყოველთვის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა-მოწონებაზეა დამოკიდებული. საქართველოს სკ-ის 105-ე მუხლის მიხედვით კი, შეზღუდულქმედუნარიანი პირის მიერ გამოვლენილი ნება, როდესაც იგი სხვის ინტერესებს შეეხება თავისუფალია და მის ნამდვილობაზე კანონიერ წარმომადგენელს გავლენის მოხდენა არ შეუძლია. საქმე ის არის, რომ წარმომადგენლის არჩევისას გარკვეული რისკის მატარებელი წარმოდგენილი პირია. იგი სრულად აცნობიერებს მისი წარმომადგენლის შეზღუდულქმედუნარიანობის ფაქტს და მიუხედავად ამისა, მაინც გამოთქვამს თანხმობას, რომ წარმოადგინოს იგი. მოცემულ შემთხვევაში, როგორიც არ უნდა იყოს შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის წარმომადგენლობით დამდგარი შედეგი, ეს შედეგი წარმოდგენილი პირისათვის დგება. თუ არ მივაქცევთ ყურადღებას კერძო ურთიერთობის ბუნებას, შეიძლება მიუღებელი აღმოჩნდეს ასეთი რამ. ქმედუნარიანობაშეზღუდულ პირს თვითონ სჭირდება წარმომადგენელი და სხვების წარმომადგენლობა როგორ უნდა შეეძლოს? მაგრამ შევხედოთ ამ საკითხს კერძო ავტონომიის კუთხით. არჩევანს აკეთებს წარმომდგენი პირი და ცხადია, რისკის მატარებელიც თავად არის. ასეთი არჩევანით შეიძლება მხოლოდ თავად დაზარალდეს.[7]

ასაკი ადამიანს სამართლებრივ ურთიერთობებში თავისუფლად, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით მონაწილეობის შესაძლებლობას აძლევს. განსხვავებით შეზღუდულქმედუნარიანი პირისაგან, სრულწლოვანი პირი თავისუფალია კანონიერი წარმომადგენლის გავლენისაგან და მის მიერ გამოვლენილი ნება არ მერყეობს ნამდვილობასა და არანამდვილობას შორის. 18 წლის ასაკამდე პირის მიერ დადებულ გარიგებებში კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი მონაწილეობის დადგენით, კანონმდებელი, გარკვეულ შემთ-

ხვევებში, არასრულწლოვანს საკუთარი თავისაგანაც იცავს, რამეთუ დიდია ალბათობა, რომ ამ ასაკში მის მიერ დამოუკიდებლად, ყოველგვარი კონტროლის გარეშე გამოვლენილი ნება, შესაძლებელია, მისთვის არასასურველი შედეგების მომტანი აღმოჩნდეს.

ასაკობრივი განვითარების შედეგად, პირს გარკვეულ უფლებებთან ერთად, გარკვეული ვალდებულებებიც წარმოეშობა. პირის მიერ სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე, შესაძლებელია, ამ ვალდებულებათა გარკვეული ნაწილი ამ პირის კანონიერმა წარმომადგენელმა „გაიზიაროს.“ მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 994-ე მუხლი, რომელიც არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობას შეეხება, პირდაპირ მიუთითებს კანონიერი წარმომადგენლის სუბსიდიურ პასუხისმგებლობაზე. კანონმდებლობა განსხვავებულად უდგება არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის საკითხს. ამ დიფერენცირების საფუძველი ასაკია. სამოქალაქო კოდექსის 994-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირი არ აგებს პასუხს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა. თუმცა, ეს ავტომატურად არ ნიშნავს, რომ კანონი დაზარალებულს დაუცველად ტოვებს და მისთვის ზიანის ანაზღაურების საკითხს მხოლოდ ფაქტის შემთხვევითობას ანდობს. არსებობს იმის ალბათობა, რომ პირს თანაბრად მიადგეს ზიანი როგორც ქმედუნარიანი, ისე ქმედუუნარო პირის მოქმედების შედეგად. ნებისმიერ შემთხვევაში, იგი უფლებამოსილი უნდა იყოს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, კანონმდებელი კი, ვალდებული – კანონით განსაზღვროს იმ პირთა წრე, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან მათი მეურვეობის ქვეშ მყოფი პირების მიერ განხორციელებულ ქმედებებზე. სამოქალაქო კოდექსის 994-ე მუხლის მე-4 ნაწილი სწორედ მშობლებს ან ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მეთვალყურეობაზე ვალდებულ სხვა პირებს აკისრებს არასრულწლოვნის ქმედების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირებად შესაძლებელია, სხვადასხვა აღმზრდელობითი ან სასწავლო დაწესებულებები მოგვევლინოს, რომელიც არასრულწლოვანზე დღის გარკვეული პერიოდის განმავლობაში მეთვალყურეობის ვალდებულებას კისრულობენ. კანონი ითვალისწინებს იმის შესაძლებლობასაც, რომ არსებობს შემთხვევები, როცა მიუხედავად არასრულწლოვნის მეთვალყურეობისა, ზიანის თავიდან აცილება ზოგჯერ, მაინც შეუძლებელი ხდება. ასეთ შემთხვევაში, კანონი გამორიცხავს მეთვალყურეობაზე ვალდებული პირის პასუხისმგებლობას ზიანის ანაზღაურებაზე. თუ ათ წლამდე პირის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხს მისი კანონიერი წარმომადგენელი აგებს, ათ წელზე მეტი ასაკის, მაგრამ არასრულწლოვნის მიერ განხორციელებულ ქმედებებზე, იგი თავადაა პასუხისმგებელი და კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულება ზიანის ანაზღაურებაზე მხოლოდ მაშინ დგება, როცა არასრულწლოვანს საკმარისი ფინანსური სახსრები არ გააჩნია ზიანის სრულად ასანაზღაურებლად. სამოქალაქო კოდექსის 994-ე მუხლის მე-3 ნაწილი კანონიერი წარმომადგენლის სუბსიდიურ პასუხისმგებლობას ეხება და გარკვეულწილად, არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაში დამხმარე ძალად გვევლინება.

არასრულწლოვნის პასუხისმგებლობის კუთხით, საინტერესოა გერმანიის სამოქალაქო კანონმდებლობის მიდგომა, რომელიც არასრულწლოვნის პასუხისმგებლობისათვის საკმაოდ დაბალ ასაკობრივ ზღვარს ადგენს. BGB-ის §828 (Minderjärige) სწორედ არასრულწლოვანი პირის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხს ეხება. BGB-ის §828 (1) მიყენებული ზიანისათვის

პასუხისმგებლობას არ აკისრებს იმ პირს, რომელსაც არ მიუღწევია შვიდი წლის ასაკისათვის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 994-ე მუხლის 1-ლი ნაწილი კი, არასრულწლოვანს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობას 10 წლის ასაკამდე გამოურიცხავს.

სამართლის თითოეული დარგი ასაკის კუთხით, განსხვავებულად უდგება ჩადენილი ქმედებისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრის საკითხს. განსხვავებით კერძო სამართლისაგან, სისხლის სამართალში დადგენილია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთი ასაკი – 14 წელი. სხვა თემაა, თუ პირის მიერ განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებას ზიანის დადგომა მოჰყვა, ამ შემთხვევაში, ჩვეულებრივად ამოქმედდება ის ნორმები, რომელიც ზიანის მიყენების შემთხვევაში მისი ანაზღაურების ვალდებულებას ითვალისწინებს.

არასრულწლოვანის უფლებას სამოქალაქო უფლებების დაცვაზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 14 წლიდან იწყებს და არასრულწლოვანს აღჭურავს უფლებით მიმართოს სასამართლოს თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. თუმცა, ამ შემთხვევაში, სასამართლო მას საპროცესო წარმომადგენელს უნიშნავს საქმის განხილვისას. იმ შემთხვევაში კი, თუ არასრულწლოვანი არ დაეთანხმება თავის საპროცესო წარმომადგენელს და სურვილს გამოთქვამს დაიცვას თავისი სამოქალაქო უფლებები, სასამართლო საქმეში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს ჩართავს.

აღნიშვნის ღირსია სამოქალაქო კოდექსის 1198{1} ნოვაციური მუხლი (2014 წლის 01.04. ცვლილებები) „არასრულწლოვანის უფლება დაცვაზე," სადაც საუბარია არასრულწლოვანის უფლებაზე დაიცვას თავი მშობელთა/სხვა კანონიერ წარმომადგენელთა მიერ უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში. აქ იგულისხმება შემთხვევები, როცა არასრულწლოვანის აღზრდაზე პასუხისმგებელი პირები არაჯეროვნად ახორციელებენ არასრულწლოვანის აღზრდასა და განათლებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს და ამდენად, ბოროტად იყენებენ მშობლის უფლებას და სხვ. ამ შემთხვევაში, არასრულწლოვანი უფლებამოსილია თავისი უფლებების დასაცავად მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს, ხოლო „მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ" ჰააგის 1996 წლის 19 ოქტომბრის კონვენციით[8] გათვალისწინებულ შემთხვევებში – ცენტრალურ ორგანოს („მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ" ჰააგის 1996 წლის 19 ოქტომბრის კონვენციით განსაზღვრული ცენტრალური ორგანოა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი[9]), 14 წლის ასაკიდან კი – სასამართლოს.[10] აღნიშნული მუხლი მავალდებულებელი ნორმაა იმ ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, რომელთათვისაც ცნობილი გახდა არასრულწლოვანი პირების ინტერესების დარღვევების შემთხვევები. ისინი ვალდებულნი არიან ასეთი შემთხვევები არასრულწლოვანის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მიხედვით შეატყობინონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს.

14 წელი კანონმდებელმა მიიჩნია ასაკად, როდესაც პირს უკვე სრული შესაძლებლობა აქვს აკონტროლოს მოქმედება და არ განახორციელოს სამართლებრივად საშიში ქცევა. სისხლის სამართლის მოქმედი კოდექსი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკად 14 წელს განსაზღვრავს, რაც ნიშნავს, რომ 14 წლის ასაკს მიუღწეველი პირი არ აგებს პასუხს მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის.

2007 წლის 23 მაისის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკად 12 წელი განისაზღვრა, თუმცა, მოგვიანებით, 2010 წლის 23 თებერვალს აღნიშნული ასაკობრივი ზღვარი 14 წლამდე გაიზარდა.

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა განსხვავებულ ასაკობრივ ზღვარს აწესებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. მაგალითად, პორტუგალიასა და ესპანეთში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი 16 წელია, ბელგიაში კი, საკმაოდ მაღალი – 18 წელია. საფრანგეთში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა 13 წლის ასაკიდან იწყება და არასრულწლოვანთა საქმეებს არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის სასამართლო განიხილავს. ამ მხრივ, პროგრესული მიდგომა საქართველოშიც შეინიშნება. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 319-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეზე პროცესს ახორციელებენ მხოლოდ ის მოსამართლეები, პროკურორები და გამომძიებლები, რომლებმაც პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში სპეციალური მომზადება გაიარეს.

ნებისმიერ შემთხვევაში, კანონმდებელმა ასაკი ზოგადად, გარკვეულ ასაკობრივ ეტაპზე ადამიანთა გონებრივი განვითარებისა და მათი შესაძლებლობების საერთო მასშტაბით უნდა განსაზღვროს. იმისათვის, რომ პირს დაეკისროს პასუხისმგებლობა მის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის, აუცილებელია, რომ იგი აცნობიერებდეს ამ ქმედების დანაშაულებრივ ხასიათს და შესწევდეს კიდეც უნარი პასუხი აგოს მისი ჩადენისათვის.

როგორც თომას ჰამერბერგმა აღნიშნა, „დაპატიმრება სავსებით კანონიერი ქმედებაა იმ არასრულწლოვანთა მიმართ, რომლებმაც უკვე მიაღწიეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ მსოფლიო, რომლის აშენებაც ჩვენ ბავშვებისათვის და ბავშვებთან ერთად გვსურს, იმ ბავშვებსაც გულისხმობს, რომელთა ცხოვრებაც ცუდად დაიწყო.“

ასაკის მატების პარალელურად, უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის საკითხის განხილვისას, საინტერესოა, ამ საკითხისადმი შრომის კანონმდებლობის მიდგომა.

შრომით ურთიერთობებში პირს, რომელიც დებს შრომით ხელშეკრულებას საწარმოსთან ან ორგანიზაციასთან და იღებს ეკვივალენტურ ანაზღაურებას შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ, ეწოდება დასაქმებული. აქედან გამომდინარე, პირი დასაქმებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, როდესაც იგი დამსაქმებელთან ამყარებს ვალდებულებით ურთიერთობას. დასაქმებისათვის კი, აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქმედუნარიანობის ასაკი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, ქმედუნარიანობა წარმოეშობა სრულწლოვან მოქალაქეს (18 წელი). გარდა ამისა, სსკ-ის 65-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, შრომითი ურთოერთობების სუბიექტი შეიძლება გახდეს არასრულწლოვანი, თუ მას შეუსრულდა 16 წელი და კანონიერი წარმომადგენელი მას საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებამოსილებას ანიჭებს.

აღნიშნული ნორმით განსაზღვრულ ასაკობრივ ზღვარს მიღწეული პირისათვის გარკვეული უფლებების მინიჭების პრაქტიკა შრომის კოდექსმაც გაიზიარა და მე-4 მუხლის 1-ელ ნაწილში მიუთითა, რომ შრომითი ქმედუნარიანობა (სამუშაო ასაკი) ფიზიკურ პირს წარმოეშობა 16 წლიდან. როგორც ვხედავთ, შრომის კოდექსს „სპეციალური ქმედუნარიანობის“ ცნება შემოაქვს, რომლის თანახმადაც, 16 წლის მოზარდს შეუძლია დაამყაროს შრომითი ურთიერთობა სრულიად დამოუკიდებლად, ანუ ასეთი პირი სარგებლობს სრული ქმედუნარიანობით შრომით

ურთიერთობებში. თუმცა, შრომის კოდექსი უყურადღებოდ არ ტოვებს სამოქალაქო კოდექსის ზოგად დანაწესს წარმომადგენლის (ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს) თანხმობის აუცილებლობაზე და მის სავალდებულოობაზე მიუთითებს. ყურადსაღებია ის მომენტიც, რომ შრომის კოდექსის მიხედვით, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი ასევე აღიქმება, როგორც ქმედუნარიანი. ამ შემთხვევაში, საუბარია 14 წელს მიუღწეველ მოზარდზე, რომელთანაც შეიძლება დაიდოს შრომითი ხელშეკრულება ცალკეულ შრომით ურთიერთობებში, როგორიცაა სპორტული, ხელოვნების, კულტურისა და რეკლამის სფეროსთან დაკავშირებული საქმიანობა.[12]

არასრულწლოვანთა შრომა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია, რომლის ახლებურად მოწესრიგებასაც ისახავს მიზნად ახალი კანონი. კანონპროექტის თანახმად, 14 წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს დამოუკიდებლად შეუძლია დადოს შრომითი ხელშეკრულება. მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა აუცილებელია მხოლოდ 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებთან ხელშეკრულების დადებისას. ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის თანახმად, 18 წელი არის ასაკი, რომლის შემდეგაც ადამიანი სარგებლობს სრული ქმედუნარიანობით. მხოლოდ ამ ასაკის მიღწევის შემდეგ იგი აღარ საჭიროებს მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მზრუნველობას. შესაბამისად, პროექტით შემოთავაზებული შესაძლებლობა 14 წლის ასაკს მიღწეული პირების მშობლების თანხმობის გარეშე დასაქმების დაშვების თაობაზე ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს და ასევე, საქართველოს შიდა კანონმდებლობას.[13]

შრომით ურთიერთობებზე საუბრისას, უპრიანი იქნება საპენსიო ასაკთან დაკავშირებულ საკითხსაც შევეხოთ. „საპენსიო ასაკის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი ადგენს პენსიის დანიშვნის საფუძვლებს. აღნიშნული კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პენსიის დანიშვნის საფუძველია საპენსიო ასაკი, რომელიც განისაზღვრა 65 წლით. ამასთან, აღნიშნული კანონის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საპენსიო ასაკის მიღწევის გამო პენსიის მიღების უფლება ქალებს წარმოეშობათ 60 წლის ასაკიდან. ცვლილებებამდე საპენსიო ასაკად ქალებისათვის 55, ხოლო მამაკაცებისათვის 60 წელი იყო დადგენილი. ახალი რეგულაციის დადგენამ საზოგადოებაში ამ საკითხისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გამოიწვია. საზოგადოების ნაწილი ფიქრობდა, რომ საპენსიო ასაკის ზღვრის გაზრდით სახელმწიფოს ფინანსების დაზოგვა სურდა. დღეს საქართველოში არსებული მძიმე სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ახალი სტანდარტებით დადგენილი საპენსიო ასაკი მაღალია, რისი მიზეზიც ისევ და ისევ პენსიონერთა მძიმე სოციალური მდგომარეობა და ეკონომიკური სიდუხჭირეა.

საპენსიო ასაკი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადახვა ასაკობრივი სტანდარტით განისაზღვრება. აზერბაიჯანში მამაკაცის საპენსიო ასაკი 62, ხოლო ქალის – 57 წელია. დიდ ბრიტანეთში, გერმანიასა და დანიაში საპენსიო ასაკი 67-დან 68 წლამდე გაზარდეს, ესპანეთში – 65-დან 67-მდე, საბერძნეთში – 60-დან 65-მდე. საფრანგეთში კი, 60-დან 62 წლამდე. როგორც ვხედავთ, ევროპული ქვეყნების მიერ საპენსიო ასაკის ზრდა ემსახურება საბიუჯეტო ხარჯების შემცირებას და კრიზისიდან გამოსვლის ერთ-ერთ ფორმად აღიქმება. საქართველოს სინამდვილეშიც ასე ფიქრობდნენ, რის გამოც არაერთი პოლიტიკური პარტიის საარჩევნო დანაპირები საპენსიო ასაკის შემცირება და პენსიების ზრდა გახდა. გაუმართლებელია პენსიონერი მოსახლეობის ხარჯზე საბიუჯეტო ფინანსების დაზოგვა. ამდენად, კანონის ძველი რედაქცია მეტად მისაღები

იყო, რომლის მიხედვითაც საპენსიო ასაკი ქალებისათვის 55, ხოლო მამაკაცებისათვის 60 წლით განისაზღვრებოდა.[14]

ასაკი წყარო ხდება ისეთი მნიშვნელოვანი უფლების წარმოშობისა, როგორიც საარჩევნო უფლებაა. საარჩევნო უფლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყანაში დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების შექმნასა და მათ გამართულ ფუნქციონირებაში. იმისათვის, რომ პირს აღნიშნული უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა მიეცეს, აუცილებელია, მან გარკვეულ ასაკს მიაღწიოს. ეს ასაკი განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ საარჩევნო უფლების რომელი სახის რეალიზაციას აქვს ადგილი. საარჩევნო საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მიდგომას იჩენდა საერთაშორისო სამართალი, რომელიც ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის უფლებას არამარტო ქვეყნის მოქალაქეებს, არამედ ერთა თვითგამორკვევის რეჟიმში მყოფ იმ პირებსაც ანიჭებდა, რომლებმაც კანონმდებლობით დადგენილ ასაკობრივ ზღვარს მიაღწიეს.[15]

საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული არჩევნების საყოველთაობა საქართველოს მოქალაქეთა მიერ არჩევნებში აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებით მონაწილეობის შესაძლებლობას გულისხმობს. აქტური საარჩევნო უფლების განხორციელების შესაძლებლობა პირს მხოლოდ 18 წლის ასაკიდან ეძლევა. ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას არაერთხელ განუხილავს საარჩევნო ასაკის შემცირების საკითხი და შეშფოთება გამოუთქვამს საარჩევნო პროცესებში მოზარდი თაობის მონაწილეობის კლებასთან დაკავშირებით, რაც დემოკრატიის განვითარებასა და გაძლიერებას აფერხებს. როგორც ასამბლეის ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის წევრები აღნიშნავენ, განსაკუთრებით საგანგაშოა 18-დან 24 წლამდე ასაკის ახალგაზრდების ნიჰილისტური დამოკიდებულება პოლიტიკური პროცესებისადმი, მთელი ევროპის მასშტაბით. კვლევები მოწმობს, რომ რაც უფრო დიდი ხნის ლოდინი უწევთ მათ აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართვამდე, მით უფრო პასიურნი ხდებიან წლების მატებასთან ერთად.[16]

შევნიშნავთ, რომ პასიურ საარჩევნო უფლებასთან დაკავშირებით კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილება და ასაკობრივი ზღვრის შემცირება, ქართული პოლიტიკური სინამდვილიდან გამომდინარე, არ უნდა იყოს მიზანშეწონილი. პარლამენტი პოლიტიკური საქმიანობის სასტარტო პოზიცია არ უნდა იყოს. უმჯობესი იქნებოდა ახალგაზრდები, თავდაპირველად, ადგილობრივ დონეზე ჩაბმულიყვნენ პოლიტიკურ საქმიანობაში და მიეღოთ შესაბამისი გამოცდილება, რომელსაც ისინი, სამომავლოდ, ასაკის მატებასთან ერთად განავითარებდნენ საპარლამენტო მოღვაწეობაში.

არსებობს მოსაზრება, რომ გარკვეულ ასაკს მიღწეულ პირს ერთდროულად უნდა წარმოეშვას, როგორც აქტიური, ისე პასიური საარჩევნო უფლების რეალიზაციის შესაძლებლობა. თუმცა, მიგვაჩნია, რომ აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების რეალიზაციის შესაძლებლობის თანაბარ ასაკობრივ ნიშნულზე დაყვანა არ უნდა იყოს მიზანშეწონილი, ისევ და ისევ, აღნიშნულ საარჩევნო უფლებათა შორის არსებული განსხვავების გამო. როგორც აქტიური, ისე პასიური საარჩევნო უფლების რეალიზაცია, გარკვეულწილად, ანგარიშვალდებულებასა და პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული, მაგრამ აქტიური საარჩევნო უფლების რეალიზაციის შემთხვევაში, მათ პირი საკუთარი თავის წინაშე უფრო გრძნობს, მაშინ როცა პასიური საარჩევნო უფლებით სარგებლობის მთავარი მიზნის მიღწევისას გამარჯვებული კანდიდატი პასუხისმგებელი

და ანგარიშვალდებული ხდება არა მხოლოდ საკუთარი თავის, არამედ ამომრჩევლის წინაშეც. შესაბამისად, შედარებით მაღალი ასაკობრივი ზღვარი პასიური საარჩევნო უფლებისათვის, უზრუნველყოფს არჩევნებში უფრო გამოცდილი, განათლებული და პასუხისმგებელი კანდიდატის მონაწილეობის შესაძლებლობას.

მართალია, გარკვეულ ასაკობრივ ზღვარს მიღწეულ პირს წარმოეშობა საარჩევნო უფლების რეალიზაციის შესაძლებლობა, მაგრამ საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილი აქტიური საარჩევნო უფლების რეალიზაციის შესაძლებლობას ართმევს პირს, რომელიც სასამართლოს განაჩენით სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში იმყოფება, გარდა იმ პირისა, რომელმაც ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული. საარჩევნო უფლების რეალიზაციის შესაძლებლობის დიფერენცირება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის ხარისხის მიხედვით გაუმართლებელია და ერთგვარად, უსამართლობისა და უთანასწორობის განცდას ბადებს. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ არჩევანის თავისუფლება ადამიანის ძირითადი, ბუნებითი უფლებაა, რომელიც მას ნებისმიერ მდგომარეობაში უნდა გააჩნდეს. თუ სახელმწიფოს მთავარ მიზანს დამნაშავის რესოციალიზაცია წარმოადგენს, როგორ მიაღწევს იგი ამ მიზანს, თუ დამნაშავეს შეუზღუდავს ისეთ უფლებას, როგორიც არჩევანის უფლებაა? სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებით დამნაშავე პასუხს აგებს მის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის და გაუმართლებელია მისთვის დამატებით „კონსტიტუციური სასჯელის“ დაკისრებაც, აქტიური საარჩევნო უფლების ჩამორთმევის სახით.

ორიოდ სიტყვით საქართველოს საგადასახადო სამართალში საგადასახადოსამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე ფიზიკური პირების ასაკის შესახებ. სხვა კანონები, მათ შორის, საგადასახადო კანონმდებლობაც (მ. 37, ნ. 1) აკონკრეტებს კონსტიტუციის მე-14 მუხლის დებულებას, იმის შესახებ, რომ „გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს საგადასახადო ურთიერთობებში მონაწილეობა მიიღოს თავისი კანონიერი წარმომადგენლის ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით, ან დამოუკიდებლად განურჩევლად ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ა. შ. კუთვნილებისა. საგადასახადო ურთიერთობებში გადასახადის გადამხდელის პირადი მონაწილეობა არ ართმევს მას უფლებას ჰყავდეს წარმომადგენელი, ისევე როგორც წარმომადგენლის მონაწილეობა არ ართმევს მას უფლებას პირადად მიიღოს მონაწილეობა აღნიშნულ ურთიერთობებში.“[17] უფლებაუნარიანობა ჯერ კიდევ, არ არის საკმარისი, რომ პირი გახდეს საგადასახადო ურთიერთობების მონაწილე (იყოს ექსპორტ-იმპორტის სასაქონლო ოპერაციების[18] მონაწილე). ამისათვის პირი ქმედუნარიანიც უნდა იყოს ე. ი. უნარი ჰქონდეს თავისი მოქმედებით დამოუკიდებლად შეიძინოს უფლებები და მოვალეობები და განახორციელოს ისინი, რაც რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით,[19] საქართველოს მოქალაქეს თავისი უფლებები და მოვალეობები სრული მოცულობით შეუძლია განახორციელოს 18 წლის ასაკის მიღწევიდან. საგადასახადო კოდექსი კი, არ შეიცავს ისეთ მითითებებს, რომლის მიხედვითაც, გარკვეული ასაკის მიღწევის შემდეგ სუბიექტს შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობანი. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი კი, ითვალისწინებს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სუბიექტი შეიძლება იყოს 16 წელს მიღწეული პირი.

აქვე აღსანიშნავია, საგადასახადო სამართლის სუბიექტი – ფიზიკური პირის ასაკი. კერძოდ, მიგვაჩნია, რომ საგადასახადო სამართლის პასიური სუბიექტი შეიძლება იყოს არასრულწლო-

ვანიც, მაგალითად, მას მემკვიდრეობით ერგო გარდაცვლილი მამკვიდრებლის ბიზნესი და მისი მეურვე (მზრუნველი) ახორციელებს მის მაგივრად ბიზნეს-საქმიანობას, იხდის გადასახადებს, მის ნაცვლად ეწევა იმპორტ-ექსპორტის სასაქონლო ოპერაციასთან დაკავშირებული ოპერაციებს მისსავე სასარგებლოდ. მაგრამ თუ გადავხედავთ სამოქალაქო კოდექსის სპეციალურ 65-ე მუხლს (ნ. 2), ვკითხულობთ, რომ „თუ კანონიერი წარმომადგენელი 16 წლის ასაკს მიღწეულ პირს, ანიჭებს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას, მაშინ ამ სფეროსათვის ჩვეულებრივ ურთიერთობებში იგი შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება. ეს წესი გამოიყენება როგორც საწარმოს დაფუძნების ასევე, ლიკვიდაციისა და შრომითი ურთიერთობების დაწყების ან დამთავრების მიმართაც.“ ნორმა ე. წ. „მკვდარ ნორმათა“ კატეგორიას განეკუთვნება საქართველოს სამართლებრივ სივრცეში, რამეთუ იგი პრაქტიკულად გამოუყენებადია, თუმცა, მოქმედი, პრაქტიკული სივრცის არსებობისას, სამოქალაქო კოდექსის ამ მუხლის ამოქმედება გულისხმობს მეწარმე ემანსიპირებული ფიზიკური პირის მიერ არა მარტო საწარმოს დაფუძნებას, არამედ ამ საწარმოს სახელით გადასახადების გადახდასაც (დამატებული ღირებულების, აქციზი, მოგების, გადასახადი, ასევე, სპეციალური დაბეგვრის რეჟიმებით მომუშავე მიკრო ბიზნესის, მცირე ბიზნესის და ფიქსირებული გადასახადის გადასახადები) და, რადგან მას სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება მოუხდება ამ საწარმოში მომუშავე უამრავ მუშა-მოსამსახურესთან ერთად, კანონი ითვალისწინებს მისი კანონიერი წარმომადგენლების მიერ არასრულწლოვანი პირისათვის (16-18 წელი) საწარმოს მართვის ფუნქციების მინიჭებისას, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობას (რაც გულისხმობს სახელმწიფოს კონტროლის მექანიზმების გამოყენებას ამ საწარმოში მომუშავე პირთა შრომითი უფლებების დაცვისას), როგორც ამ უფლების ჩამორთმევისას ამავე ორგანოს თანხმობას, რამეთუ „ამ უფლებამოსილების შეწყვეტისას იკვეთება თვით არასრულწლოვანის, როგორც დამოუკიდებელი მეწარმის ინტერესებიც. ამიტომაც, თუ რამდენად საფუძვლიანად ითხოვს მშობელი არასრულწლოვანზე მინიჭებული უფლებამოსილების შეწყვეტას, ეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ უნდა გადაწყვიტოს.“[20] გამოდის, რომ არასრულწლოვანი ემანსიპირებული მეწარმე ფიზიკური პირი, განსხვავებით სრულწლოვანი მეწარმე ფიზიკური პირისაგან სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის ქვეშ გამოდის საგადასახადოსამართლებრივ (სამეწარმეო) ურთიერთობებში.

ისევ, საგადასახადოსამართლებრივი პრობლემების შესახებ არასრულწლოვან ფიზიკურ პირებთან დაკავშირებით. მეწარმე ფიზიკური პირები (ცხადია, ემანსიპირებული, არასრულწლოვანი ფიზიკური პირებიც), რომლებიც საწარმოს მენეჯერებად აირჩიეს (დანიშნეს) ჩართული არიან ექსპორტ-იმპორტის სასაქონლო ოპერაციებში, ვთქვათ იღებენ ნედლეულს უცხო ქვეყნის მეწარმეებისაგან, ქვეყნის შიგნით გადასამუშავებლად[21] სასაქონლო პროდუქციის მისაღებად, ან კიდევ საინტერესოა, აქვთ თუ არა უფლება თვითონაც აქტიურად ჩაერთონ ამ ოპერაციებში და დამოუკიდებლად შემოიტანონ საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე. ეს საკითხი ჩვენ საგადასახადო-საბაჟო კანონმდებლობაში სადავო საკითხად მოგვაჩნია, რამეთუ ჯერ ერთი, თუ კანონიერმა წარმომადგენლებმა მას ანდეს საწარმოს მართვის უფლება, გასარკვევია, „საწარმოს“ ცნების ქვეშ მხოლოდ ე. წ. „შიდა ნედლეულზე“ მომუშავე საწარმოები იგულისხმებიან, რომლებიც ნაწარმ პროდუქციას ქვეყნის შიგნით განათავსებენ თავისუფალ მიმოქცევაში, თუ უცხოური ნედლეულის ბაზაზე მომუშავე საწარმოები, რომლის შემთხვევაში, არასრულწლოვან მეწარმე ფიზიკურ პირს მოუხდება საზღვარგარეთიდან ნედლეულის შემოტანა და ურთულეს

ბიზნესსაქმიანობაში ჩართვა „მსოფლიო მასშტაბით.“ მზად არის კი, ასეთი სერიოზული ბიზნეს პარტნიორობისათვის ემანსიპირებული მეწარმე, ვთქვათ 16 წლის მოზარდი? ეს დისკუსიის საკითხია, რომელიც საკანონმდებლო დონეზე რეგლამენტირებას და დარეგულირებას მოითხოვს. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ 16 წლის მოზარდი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სუბიექტიც შეიძლება გახდეს, ვთქვათ კანონიერ წარმომადგენლებთან ერთად საზღვარგარეთიდან დაბრუნებისას, თუ საქართველოს ტერიტორიაზე ნარკოტიკული საშუალებები შემოიტანა, – სერიოზულ დაფიქრებას მოითხოვს.

ვფიქრობთ, რომ არასრულწლოვანი მეწარმე მზად ვერ იქნება აქტიური სუბიექტი იყოს მსოფლიო გლობალურ ბიზნესსაქმიანობაში ჩართვაზე, იგი ხომ მაინც არასრულწლოვანია. კარგი იქნებოდა თუ საკანონმდებლო რეგლამენტაცია გამოკვეთილად იქნებოდა წარმოდგენილი საგადასახადო კანონმდებლობაში ამ პრობლემასთან დაკავშირებით და არასრულწლოვან მეწარმე ფიზიკურ პირს მხოლოდ „შიდა პროდუქციის მწარმოებელი“ საწარმოების მენეჯერებად ავირჩევდით (დავნიშნავდით), რადგან მსოფლიო გლობალურ ბიზნეს-სფეროში ჩართვა ასაკობრივ გამოცდილებასთან ერთად, დიდ ფსიქოლოგიურ დატვირთვასაც მოითხოვს, რომლისთვისაც არა გვგონია მზად იყოს არასრულწლოვანი, მისი ასაკის გამო. ახალგაზრდის ყველაზე დიდი პრიორიტეტი „ის არის, რომ მას ახლის შეგრძნების, რეფორმირების, განახლების, გარდაქმნის, მოკლედ აზვირთებული ცხოვრების შეგრძნება აქვს,“[22] მაგრამ ბიზნესსაქმიანობის ამ ურთულეს პროცესში, როცა მის რთულ ლაბირინთებში გარკვევა ხშირად სრულწლოვან, გამოცდილ ბიზნესმენებსაც კი, უჭირთ და უდიდეს ენერგიასა და ძალისხმევას მოითხოვს, არასრულწლოვანისათვის ასეთი მძიმე პასუხისმგებლობით დატვირთვა არასრულწლოვანების ასაკში იქნებ ვცდებით, მაგრამ ჩვენ ნაადრევად მიგვაჩნია. პრობლემის გადაწყვეტის ამ გზას გვთავაზობს საზღვარგარეთის უმრავლესი ქვეყნების საგადასახადო-საბაჟო კანონმდებლობა.

შენიშვნები:

1 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 2002, გვ. 42.

2 ბესარიონ ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, გვ. 149-150.

3 ლადო ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, გვ. 181.

4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 2002, გვ. 209.

5 ბესარიონ ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, გვ. 150.

6 BGB Kommentar, Pütting/Wegen/Weinreich, S. 97.

7 ბესარიონ ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, გვ. 150.

8 საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 5 თებერვლის დადგენილებით შეუერთდა „მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ“ ჰააგის 1996 წლის 19 ოქტომბრის კონვენციას.

9 სტატიაზე მუშაობისას, ასეთი სტრუქტურული ქვედანაყოფი იუსტიციის სამინისტროში ჯერ კიდევ, შექმნილი არ იყო.

10 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81(1) მუხლიც გარკვეულწილად ამ დებულებების გამოძახილია არასრულწლოვანის უფლებისა მისი სამოქალაქო უფლებების დაცვის სფეროში.

11 დავით ძამუკაშვილი, შრომის სამართალი, თბილისი, 2009.

12 www.gyla.ge ახალი „შრომის კანონი“ – არსებული რეალობის მოწესრიგების მცდელობა.

13 www.gfsis.org მაკა ღანიაშვილი, პოლიტიკურ ქულებს შეწირული საპენსიო რეფორმა.

14 Constitutional Law, Cases and Materials, fourth edition. Little Brown and Company. Boston,Toronto,1972.

15 საარჩევნო ასაკი საზღვარგარეთის ქვეყნებში, კვლევითი დეპარტამენტი, კანონშემოქმედებითი საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება, საინფორმაციო ფურცელი, გვ.1.

16 ია ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2013, გვ. 63.

17 საბაჟო რეჟიმების – ავტ. შენიშვნა.

18 მუხ. 11-12.

19 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ. 210.

20 დაწვრილებით იხ.: საქართველოს საგადასახადო კოდექსის მუხ. 234-236; ია ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, ნაწილი მეორე, თბილისი, 2011, გვ. 360-371; ია ხარაზი, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2010, გვ. 613-650.

21 ბესარიონ ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, გვ. 151.

AGE AS THE EMERGING GROUND FOR RIGHTS AND OBLIGATIONS

KETEVAN KVINIKADZE
Masters Student at the Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Law, Majoring in Private Law

TAMAR GVENETADZE
Lawyer

A human being is usually born with some inherent rights and the scope of these rights gets wider as s/he grows older. The lawmaker has to undertake much responsibility for organizing the relations, where the age becomes a source for some rights. Any person engaged in any legal relation should acknowledge the significance of this relation and the associated potential results. In order to enable a person to forecast any possible consequences of any particular legal relation, s/he should possess respective level of mental development. However, a person's mental development usually takes place as the person gains age. A person can build certain legal relations with a counteragent at different stages of age. Here the difference lies in the nature and difficulty of legal relations. The more difficult the legal relation, the higher the degree of responsibility and thus, the age standards that are set for the parties of such relation, are different. The article speaks about the age as a source for emerging the right in private law and public law, and provides opinions of the authors about connection of the age to the source of rights and obligations per these fields of law.

სატრანსპორტო ექსპედიციის სამოქალაქოსამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი საკითხი

შორენა გაბიჩვაძე
სამართლის დოქტორი

ექსპედიცია ლათინური სიტყვაა (expeditio) და ერთ-ერთი მნიშვნელობით რაიმეს გაგზავნას, მიწოდებას ნიშნავს.[1] შესაბამისად, ექსპედიტორი გამგზავნია, მიმწოდებელია, რომელიც საზღვაო (სამდინარო), საავტომობილო, სარკინიგზო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით უზრუნველყოფს სათანადო საექსპედიტორო მომსახურების გაწევას. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პარალელურად, განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა განაპირობებს მაღალი დონის სატრანსპორტო-საექსპედიტორო მომსახურებას, რაც ერთი მხრივ, სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია.

დღეს, მსოფლიოში საექსპედიტორო მომსახურებით ბევრი ფიზიკური და იურიდიული პირი სარგებლობს, ხოლო ექსპედიტორი ორგანიზაციები ბაზარზე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საერთაშორისო, შერეულ (მულტიმოდალურ და ინტერმოდალურ) გადაზიდვებში. ექსპედიტორის როლის თანმიმდევრულ ზრდას მოწმობს სხვადასხვა სახის უმეტესად, საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვებში მისი მონაწილეობის სიხშირე ჯერ კიდევ, მე-19 საუკუნის დასაწყისიდან დღემდე.[2] „საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ისტორია მიუთითებს, რომ ექსპედიტორი აყალიბებს ბაზრებს შორის საქონლის გადაადგილების

მარშრუტებს, მისი საქმიანობა ასეთი გზების რაციონალიზაციასა და გადაზიდვის ღირებულების შემცირებას უწყობს ხელს.“[3]

საქართველოში საექსპედიტორო მომსახურების მნიშვნელობის ზრდა და განვითარება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ და საქართველოს სატრანზიტო ქვეყნად აღიარებამ განაპირობა. ისტორიულად ცნობილი „აბრეშუმის გზა,“ რომელმაც თავისი მნიშვნელობა საუკუნეების მანძილზე არ დაკარგა, დღეს „ტრასეკას“[4] სახით გვევლინება. საქართველო აღნიშნული პროექტის მონაწილე ქვეყანაა როგორც სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთი სახელმწიფო, თავისი გეოსტრატეგიული ღირებულების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, საქართველოში საექსპედიტორო საქმიანობა აქტუალური გახდა როგორც პრაქტიკული, ისე თეორიულ-ნორმატიული დამუშავების თვალსაზრისითაც. ხშირია ექსპედიტორის ჩართულობა შიდასახელმწიფოებრივ თუ საერთაშორისო მულტიმოდალური და საკონტეინერო გადაზიდვების სამართლებრივ ურთიერთობებში.

საერთაშორისო უნიფიცირებული კანონმდებლობა ჩამოყალიბებული არ არის, თუ არ ჩავთვლით პროცესს, რომელშიც საექსპედიტორო ეროვნული ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია (FIATA)[5] აქტიურად ცდილობს ხელი შეუწყოს სამართლებრივი ბაზის ფორმირებას.[6] საერთაშორისო გადაზიდვებში ექსპედიტორის მონაწილეობა ძირითადად, ორმხრივი ხელშეკრულებებით წესრიგდება. მაგალითად, 2010 წლის 2 დეკემბერს, ევროკავშირმა და საქართველომ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ერთიანი საავიაციო სივრცის შექმნის შესახებ,[7] რომელიც ამარტივებს ბაზარზე არსებულ ორმხრივ შეზღუდვებს და საქართველოს ევროკავშირის შიდა საავიაციო ბაზართან აკავშირებს. შიდასახელმწიფოებრივ ძირითად სამართლის წყაროდ სამოქალაქო კოდექსი[8] (შემდგომში – სკ) ითვლება. დამატებით წყაროებად შესაძლოა მივიჩნიოთ ზოგადად, სამეწარმეო საქმიანობის მარეგულირებელი აქტები, რამდენადაც სატრანსპორტო საექსპედიტორო საქმიანობა სამეწარმეო საქმიანობად განიხილება. ასევე, ცალკეული სატრანსპორტო გადაზიდვების მომწესრიგებელი სპეციალური სამართლის წყაროები. საქართველოში საექსპედიტორო საქმიანობასთან დაკავშირებული დავები მწირია, რაც ნამდვილად ვერ აიხსნება უხარვეზო პრაქტიკით და/ან სამართლებრივი რეგულაციებით.

ცნება. საექსპედიტორო მომსახურება ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობაა. მას ცალკე ხელშეკრულების სახით არ იცნობს გერმანიის სკ,[9] რადგან საკითხი სპეციალური აქტით რეგულირდება, თუმცა, უშვებს ექსპედიტორის მონაწილეობას ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობებში, რაც ნათლად ჩანს მაგალითად, 447-ე პარაგრაფში – „თუ გამყიდველი მყიდველის მოთხოვნით გაყიდულ ნივთს აგზავნის სხვა ადგილას ნაცვლად შესრულების ადგილისა, მაშინ რისკი გადადის მყიდველზე იმ მომენტიდან, როდესაც გამყიდველმა ნივთი ჩააბარა ექსპედიტორს, გადამზიდავს ან გადაზიდვისათვის განსაზღვრულ სხვა პირსა თუ ორგანიზაციას“ (საქართველოს სკ-ის 482-ე მუხლის მე-2 ნაწილის ანალოგი ნორმა). საექსპედიტორო მომსახურების მარეგულირებელი ნორმები საქართველოს სკ-ის სახელშეკრულებო სამართლის კერძო ნაწილში, მეთხუთმეტე თავშია თავმოყრილი. თავი სათაურდება როგორც „სატრანსპორტო ექსპედიცია,“ ხოლო იქვე, 730-ე მუხლის პირველ ნაწილში ექსპედიციის ხელშეკრულება განმარტებულია შემდეგნაირად: „ექსპედიტორი კისრულობს თავისი სახელითა და შემკვეთის ხარჯზე განახორციელოს ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული მოქმედებანი. შემკვეთი მოვალეა

გადაიხადოს შეთანხმებული პროვიზია.“ სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულების საგანია ექსპედიტორის მიერ კლიენტისათვის ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული ორგანიზაციული ხასიათის მომსახურების გაწევა სასყიდლით. ნორმის მიხედვით, ექსპედიტორის საქმიანობის არეალი სხვა უფლებებთან ერთად, შემოიფარგლება არა ტვირთის გადაზიდვის განხორციელების შესაძლებლობით, არამედ მხოლოდ ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარებით. ასეთი მოქმედება შეიძლება იყოს ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულების დადება, ტვირთის გაგზავნის და/ან მიღების უზრუნველყოფა და სხვა, მაგრამ არა უშუალოდ ტვირთის გადაზიდვის ოპერაცია. საერთაშორისო გადაზიდვებში საკითხი განსხვავებულად განიხილება. ექსპედიტორს არ ეკრძალება თვით გადაზიდვის ოპერაციის წარმოებაც. რფ სკ-ის 801-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ექსპედიტორი მოვალეა მეორე მხარის (კლიენტი – ტვირთის გამგზავნი ან მიმღები) ხარჯზე შეასრულოს ან უზრუნველყოს ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული და ექსპედიციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ორგანიზება. ანალოგიურ რეგულირებას იცნობს უკრაინის, სომხეთის,[10] ბელორუსიისა და ყაზახეთის[11] სამოქალაქო კოდექსები, რაც გასაგებია. მოლდავეთის სკ-ის[12] 1075-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულების თანახმად, ექსპედიტორი ვალდებულია კლიენტის სახელით და ხარჯით ან თავისი სახელით დადოს გადაზიდვის ხელშეკრულება, ხოლო კლიენტი მოვალეა გადაიხადოს. აქ ექსპედიტორი უფლებებში მეტად შეზღუდულია. ამდენად, საექსპედიტორო საქმიანობის იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, სასურველი იქნებოდა საქართველოს სკ-ის 730-ე მუხლის პირველი ნაწილის მკაფიო ფორმულირება გადაზიდვის უფლებაზე მითითებით.

კლასიფიკაციის თვალსაზრისით, ორგანიზაციული ხასიათის მომსახურება შესაძლოა გულისხმობდეს იურიდიულ და/ან ფიზიკურ მომსახურებას.[13] იურიდიულ მომსახურებაში იგულისხმება ყველა იურიდიული ფორმალობის შესრულება – გადაზიდვის ხელშეკრულების დადება, გადასახადების გადახდა, საბაჟო პროცედურების გავლა და ა. შ., ხოლო ფიზიკური მომსახურება შეიძლება იყოს გასაგზავნი ტვირთის მიღება და გაგზავნა, ტვირთის რაოდენობისა და მდგომარეობის შემოწმება, ტვირთის შენახვა და სხვ. მომსახურების დაყოფა ასევე, შეიძლება ძირითად და დამატებით მომსახურებად. პირველი მოიცავს გადაზიდვის ორგანიზაციას ხელშეკრულების დადების ჩათვლით, ხოლო მეორე გულისხმობს ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს. ამიტომ, ამ ხელშეკრულებას სატრანსპორტო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ დამხმარე ხელშეკრულებას უწოდებენ.[14] ბუნებრივია, უფლებათა ჩამონათვალი კანონმდებლობაში ამომწურავად გაწერილი ვერ იქნება, რაც ნიშნავს, რომ ექსპედიტორს უფლება აქვს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპით შემკვეთთან გააფორმოს საექსპედიტორო მომსახურების ხელშეკრულება და განახორციელოს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი სხვა მოქმედებაც. რაც შეეხება სასყიდლიანობას, პროვიზიის გადახდა ევალება შემკვეთს ექსპედიტორისათვის. იმ შემთხვევაში, თუ ექსპედიტორი და გადამზიდავი ერთი და იგივე პირი არ არის, პროვიზია, როგორც მომსახურების საფასური, გადახდილი უნდა იქნას ტვირთის სატრანსპორტო ორგანიზაციისათვის გადასაზიდად გადაცემის შემდეგ. პროვიზიის ოდენობა დამოკიდებულია მხარეთა შეთანხმებაზე. შემკვეთი ცდილობს, მაქსიმალურად დაბალ ფასში მიიღოს მომსახურება, ხოლო ექსპედიტორი მოგებაზეა ორიენტირებული. პროვიზიის ოდენო-

ბის განსაზღვრის საკითხის გადაწყვეტაზე არსებით გავლენას ახდენს ბაზარზე მოქმედი ფასები, რომელთა გათვალისწინება ორივე მხარეს უწევს.

სატრანსპორტო საექსპედიტორო მომსახურების არსში გარკვევისათვის საინტერესოა ტვირთის გადაზიდვის სამართლებრივ ურთიერთობასთან მიმართებაში საერთო და განმასხვავებელი ნიშნების გამოკვეთა. მაგალითად, „თეორიასა და პრაქტიკაში გამგზავნი მოაზრებულია გასაგზავნი ტვირთის მესაკუთრედ ან თავად მესაკუთრისაგან ტვირთის გაგზავნაზე უფლებამოსილ პირად. გამორიცხული არ არის, ასეთი უფლებამოსილებით ექსპედიტორული ორგანიზაცია სარგებლობდეს. ამ შემთხვევაში, საქართველოს სკ-ის მე-15 თავის ნორმები (მუხ. 730-743) გამოიყენება.“[15] ექსპედიტორი მოქმედებს როგორც გადამზიდავი იმ შემთხვევაში, როცა იგი გასცემს საკუთარ სატრანსპორტო დოკუმენტს ტვირთის გაგზავნის ადგილიდან დანიშნულების ადგილამდე გადაზიდვის პასუხისმგებლობით. ეს დოკუმენტი როგორც წესი, არის ზედნადები (საზღვაო გადაზიდვებში – კონოსამენტი). თუ ექსპედიტორი იმავდროულად გადამზიდავია, მაშინ იმ შემთხვევაში, როცა გადამზიდავი ექსპედიტორია მესამე პირის წინაშე, ურთიერთობა დარეგულირდება სატრანსპორტო ექსპედიციის მარეგულირებელი ნორმებით, ხოლო როცა გადამზიდავი ექსპედიტორია საკუთარი გადაზიდვის მიმართ, გამოიყენება გადაზიდვის მარეგულირებელი ნორმები, რამდენადაც ექსპედიციის და გადაზიდვის კონსტრუქციები თანმთხვევადია, აქვთ ერთნაირი სუბიექტური შემადგენლობა და შესაბამისად, ექსპედიტორს იმავდროულად აქვს ტვირთის გადამზიდავის უფლება-მოვალეობები.[16] გადაზიდვის წესები გამოიყენება ტვირთის მიუღებლობის შემთხვევაშიც. მიუღებლობის მიზეზი შეიძლება იყოს როგორც მიმღების უარი, ისე სხვა შემაფერხებელი გარემოება. ამ დროს, ექსპედიტორი ვალდებული ხდება დაელოდოს შემკვეთის მითითებებს ან კეთილსინდისიერად იმოქმედოს შემკვეთის ინტერესების გათვალისწინებით. აზერბაიჯანის რესპუბლიკის სკ-ის[17] 852-ე მუხლი არის გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულების მარეგულირებელ ნორმათა შორის, რომელიც ექსპედიტორს განმარტავს როგორც პირს, რომელიც მესამე პირების (გადამყვან-გადამზიდველი) მეშვეობით უზრუნველყოფს ტვირთის გადაზიდვის ორგანიზაციას პირველადი პუნქტიდან დანიშნულების ადგილზე თავისი სახელით, მაგრამ გამგზავნის ხარჯით და ურთიერთობაში სარგებლობს გამგზავნის უფლებებით. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გადაზიდვა სრულად ან ნაწილობრივ უშუალოდ ექსპედიტორის მიერ ხორციელდება, სარგებლობს გადამყვან-გადამზიდველის უფლება-მოვალეობებით. დასახელებული კოდექსი ექსპედიტორს ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად მოიაზრებს, განსაზღვრავს გამგზავნთან მის უფლება-მოვალეობებს და პასუხისმგებლობას.

საერთო და განმასხვავებელი ნიშნები იკვეთება დავალების ხელშეკრულებასთან მიმართებაშიც. საქართველოს სკ-ის 709-ე მუხლში დავალების ხელშეკრულების შინაარსი განსაზღვრულია შემდეგნაირად: „რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯით.“ ექსპედიტორი მოქმედებს თავისი სახელით და შემკვეთის ხარჯზე, ხოლო რწმუნებული – მარწმუნებლის სახელითა და ხარჯით. დავალების ხელშეკრულება კონსენსუალურია, ხოლო საექსპედიტორო მომსახურება შეიძლება რეალურიც იყოს. დავალების ხელშეკრულება შესაძლოა დაიდოს სხვადასხვა სამუშაოს შესასრულებლად, მათ შორის, საექსპედიტორო მომსახურებასთან დაკავშირებით. ამიტომაც, სკ-ის 730-ე მუხლის მე-2 ნაწილი მიუთითებს ექსპედიციის მიმართ დავალების წესების გამოყენების

შესახებ, თუ სატრანსპორტო საექსპედიტორო მომსახურების მარეგულირებელი ნორმებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.[18]

საქართველოს კანონმდებლობით, მიუხედავად იმისა, რომ საექსპედიტორო მომსახურების სამართლებრივი ურთიერთობა გარკვეულ საკითხებში შეიძლება დაკავშირებული იყოს ტვირთის გადაზიდვისა და დავალების ხელშეკრულებებთან, შინაარსიდან გამომდინარე, მაინც მკვეთრად განსხვავებული სამართლებრივი ურთიერთობაა. შესაბამისად, ცალკე ხელშეკრულებად აისახა საქართველოს სკ-ის სახელშეკრულებო სამართლის ნაწილში. სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულება დამოუკიდებელი იურიდიული მიზნის მქონე ხელშეკრულებაა მიუხედავად მისი სამართლებრივი ბუნების მსგავსებისა გადაზიდვის, დავალების და სხვა ხელშეკრულებებთან.

მხარეები. სატრანსპორტო საექსპედიტორო მომსახურება ორმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობაა. საქართველოს სკ-ის 730-ე მუხლი ხელშეკრულების მხარეებად შემკვეთს და ექსპედიტორს ასახელებს. შემკვეთი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის იურიდიული ინტერესია სატრანსპორტო საექსპედიტორო მომსახურების მიღება. შემკვეთი შესაძლოა მოქმედებდეს გამგზავნის სტატუსით (შემკვეთი), რომელიც ამავდროულად შესაძლოა იყოს ან არ იყოს გასაგზავნი ტვირთის მესაკუთრე. ასევე, შესაძლებელია გამგზავნი იმავდროულად მიმღებიც იყოს. ექსპედიტორი, როგორც ხელშეკრულების მეორე მხარე, განმახორციელებელია ზემოაღნიშნული შეკვეთილი მომსახურებისა.[19] იგი თავად ახორციელებს შეთანხმებულ მომსახურებას ან ამ მომსახურების ორგანიზატორია. მაგალითად, გერმანიის სკ-ის §447-ისა და საქართველოს სკ-ის მიხედვით, ნასყიდობის ხელშეკრულებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს გაყიდული ნივთის მიწოდების ვალდებულება, რომელიც გამყიდველმა მყიდველის წინაშე უნდა შეასრულოს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, გამყიდველი გამგზავნს წარმოადგენს, მყიდველი – მიმღებს, ხოლო ექსპედიტორი არის გამყიდველის, როგორც გამგზავნის (შემკვეთის) შეკვეთის შემსრულებელი. ექსპედიტორი შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ ნივთის გადაზიდვისათვის საჭირო ორგანიზაციული საკითხების მოგვარებით ან თავად გადაზიდოს იგი. ე. ი. ექსპედიტორი შეიძლება თავად იყოს გადამზიდველი (მაგალითად, მოლდავეთის სკ-ის 1082-ე მუხლი), თუმცა, ტვირთის გადაზიდვის ურთიერთობებში საექსპედიტორო საქმიანობა შესაძლოა თავად გადამყვან-გადამზიდველმაც განახორციელოს (მაგალითად, პირდაპირ მიუთითებს საქართველოს სკ-ის 739-ე მუხლი, მოლდავეთის სკ-ის 1075-ე მუხლის მე-4 ნაწილი) იმის გათვალისწინებით, რამდენად მრავალფუნქციურია მისი ეკონომიკური საქმიანობა, ანუ შემოიფარგლება მხოლოდ გადაზიდვის ფუნქციის განხორციელებით, თუ აქვს ტვირთის ორგანიზაციის (შეფუთვის, მარკირების, დაზღვევის, საბაჟო მომსახურების და ა. შ.) შესაძლებლობები. აღნიშნულის გათვალისწინებით, სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულება პირველ შემთხვევაში, შეიძლება იყოს რეალური და მეორე შემთხვევაში – კონსენსუალური.

შეთანხმებული საექსპედიტორო მომსახურების ფარგლებში შესაძლებელია მთელი პროცესი ექსპედიტორმა თავად წარმართოს ან საექსპედიტორო საქმიანობის შემდგომი გამგრძელებელი იყოს (მაგალითად, განახორციელოს საბაჟო საქმე). გარდა ამისა, ეკონომიკური შესაძლებლობებიდან და გასაწევი მომსახურების ხასიათიდან/მოცულობიდან გამომდინარე, ცალკეული ღონისძიების შესრულების მიზნით, ექსპედიტორმა შეიძლება გააფორმოს ხელშეკრულება ერთ ან რამდენიმე კონტრაქტორთან (სუბკონტრაქტი). ასეთი კონტრაქტორი საექსპედიტორო მომ-

სახურების ხელშეკრულების მხარე ვერ იქნება, ხოლო ექსპედიტორი რჩება საექსპედიტორო მომსახურების ხელშეკრულების მხარედ მიუხედავად იმისა, რომ მან სუბკონტრაქტორ(ებ)ის მეშვეობით შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ განახორციელოს გასაწევი მომსახურება. რუსეთის ფედერაციის,[20] უკრაინის, ყაზახეთის, სომხეთისა და ბელორუსიის სკ-ები ერთგვაროვნად პირდაპირ მიუთითებენ, რომ თუ სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულებიდან არ გამომდინარეობს ექსპედიტორის ვალდებულებების პირადად შესრულების ვალდებულება, იგი უფლებამოსილია მათი შესრულება მესამე პირებს გადაანდოს,[21] რაც ექსპედიტორს არ ათავისუფლებს შემკვეთის წინაშე პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, რამდენადაც ურთიერთობაში მესამე პირის ჩართვის მიუხედავად, ექსპედიტორი ხელშეკრულების მხარედ რჩება. ამ მხრივ, საქართველოს სკ პირდაპირ განმსაზღვრელ ნორმას არ იცნობს, თუმცა, მესამე პირის მონაწილეობის შესაძლებლობა რიგი ნორმებიდან (სკ-ის 730-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 740-ე და 741-ე მუხლები) გამომდინარეობს. მესამე პირის ჩართვის საკითხი შეთანხმებული უნდა იყოს შემკვეთთან. საქართველოს სკ აგრეთვე იცნობს „დამხმარეს“ – სხვა პირი, რომელსაც ექსპედიტორი მიმართავს ზოგიერთი ფაქტობრივი მოქმედების შესრულებისათვის.[22] დამხმარე სამართლებრივ ურთიერთობაშია (მაგალითად, შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში) ექსპედიტორთან, მაგრამ საექსპედიტორო მომსახურების ხელშეკრულების მხარე არ არის.

ხელშეკრულების ფორმა. სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულების ფორმის შესახებ საქართველოს სკ-ში ნათქვამი არაფერია. არც დავალების ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმებია ამ მხრივ, კონკრეტული. აღნიშნული შესაძლოა გაგებულ იქნას, როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმის დასაშვებობა, მაგრამ პრაქტიკა განსხვავებულია თეორიულ-ნორმატიული მიდგომისაგან. პრაქტიკა გვკარნახობს, რომ წერილობითი ფორმა აუცილებელია. დავალების ნორმების მიხედვით, დავალების მიმცემმა რწმუნებულს უნდა გადასცეს მინდობილობა მესამე პირებთან ურთიერთობისათვის. მინდობილობა მხოლოდ წერილობით ფორმდება. ზოგიერთ შემთხვევაში, გამოიყენება სანოტარო დამოწმების წესიც. რუსეთის ფედერაციის, ყაზახეთისა და მოლდავეთის სკ-ები პირდაპირ ითხოვს სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულების წერილობით გაფორმებას. უფრო მეტიც, შემკვეთს ავალდებულებს საჭიროების შემთხვევაში, ექსპედიტორს მისცეს მინდობილობაც. საექსპედიტორო საქმიანობის წერილობით გაფორმების პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასურველი იქნებოდა საქართველოს სკ-ში, ექსპედიციის ხელშეკრულების ნორმებში გავითვალისწინოთ ამ ხელშეკრულების წერილობით გაფორმების მავალდებულებელი ნორმა.

მხარეთა უფლება-მოვალეობები, პასუხისმგებლობა. როგორც ყველა სახელშეკრულებო ურთიერთობაში, ექსპედიციის ხელშეკრულების მხარეებსაც აქვთ უფლებები და მოვალეობები, რაც შეიძლება პირდაპირ კანონით იყოს გათვალისწინებული ან ხელშეკრულებით შეთანხმებული.

საქართველოს სკ ხაზგასმით მოითხოვს ექსპედიტორისაგან კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვას (თუმცა, სამოქალაქო სამართალი როგორც წესი, სამოქალაქო სამართალურთიერთობის ყველა მონაწილეს ავალდებულებს კეთილსინდისიერ ქცევას). ამ პრინციპის დაცვა ექსპედიტორს ევალება ტვირთის გაგზავნისას, გადაზიდვაში მონაწილე პირების შერჩევისას, გამგზავნის ინტერესების დაცვისას და მითითებების შესრულებისას. კეთილსინდისიერების პრინციპის

ზოგადსამართლებრივი გაგებიდან გამომდინარე, ამ პრინციპის დაცვით განხორციელებული ექსპედიტორის ყოველი ქცევა შეფასების საგანია. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში[23] აღნიშნულია: „საქართველოს სკ-ის 731-ე მუხლის მოთხოვნებისა და საერთაშორისო ავიაგადაზიდვების წესების გათვალისწინებით, პალატა თვლის, რომ ექსპედიტორმა კონსულტაციები უნდა გაუწიოს გამოუცდელ შემკვეთს იმ პირობების შესახებ, რომლითაც იგი თავის საქმიანობას ახორციელებს. ექსპედიტორი ვალდებულია სათანადო წესით გააფრთხილოს შემკვეთი თანამშრომლობის სტანდარტულ პირობებში არსებულ პასუხისმგებლობისაგან გამათავისუფლებელი მუხლების არსებობის შესახებ. რაც უფრო არახელსაყრელია ეს მუხლები, მით უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო, რათა მეორე მხარემ ყურადღება მიაქციოს მათ არსებობას.“ ექსპედიტორის ვალდებულებაა ტვირთის განსაკუთრებული ან ჩვეულებრივი პირობებით დაზღვევა. ვალდებულება გამომდინარეობს თავად ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული რისკებიდან. განსაკუთრებული პირობებით ტვირთის დაზღვევა დამოკიდებულია შემკვეთის ნებაზე. ასევე, მის ნებაზეა დამოკიდებული ექსპედიტორის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა ერთ ან რამდენიმე მზღვეველთან. ზიანი, რომელიც შეიძლება მიადგეს შემკვეთს ექსპედიტორის მოქმედებით შეკვეთის შესრულებისას, ანაზღაურდება მზღვეველ(ებ)ის მიერ. ამისათვის, ექსპედიტორი ვალდებულია შემკვეთს თავიდანვე მიაწოდოს ინფორმაცია და მხოლოდ წერილობითი უარის არარსებობისას დააზღვიოს ზიანი, ხოლო შემდგომში მიაწოდოს დამატებითი ინფორმაცია დაზღვევის ხელშეკრულების თაობაზე.

შემკვეთს ძირითადად, ინფორმაციისა და უტყუარი საბუთების მიწოდების ვალდებულება აქვს. მას განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება საფრთხეშემცველ ტვირთთან მიმართებაში. გარდა საფრთხეშემცველობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა, მან ექსპედიტორს უნდა მიუთითოს უსაფრთხოების ზომებზე. ზიანის მიყენების შემთხვევაში, მან ამ ვალდებულებათა დარღვევისათვის/შეუსრულებლობისათვის პასუხი უნდა აგოს ექსპედიტორის წინაშე.

საქართველოს სკ-გან განსხვავებით, უკრაინის, სომხეთის, ბელორუსიის, ყაზახეთისა და რფ-ის სამოქალაქო კოდექსები იცნობს სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულების შესრულებაზე ცალმხრივი უარის უფლებას. აღნიშნული უფლების გამოყენების ინიციატორ მხარეს ნორმა ავალდებულებს, რომ მეორე მხარეს გონივრულ ვადაში შეატყობინოს და ხელშეკრულების შეწყვეტით გამოწვეული ზიანი აუნაზღაუროს.

ნაკისრ ვალდებულებათა ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება იწვევს მხარეთა და მესამე პირთა პასუხისმგებლობას. საქართველოს სკ-ის 740-ე მუხლი განსაზღვრავს ექსპედიტორის პასუხისმგებლობას მხოლოდ ბრალის საფუძველზე. ექსპედიტორის პასუხისმგებლობის საფუძველია განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეული ზიანი. იგი პასუხს აგებს არა მხოლოდ საკუთარი, არამედ დამხმარის ბრალეულობით გამოწვეული ზიანისთვისაც, რამდენადაც „ის ფაქტი, რომ დამხმარისათვის მიმართვა არ საჭიროებს შემკვეთის თანხმობას, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ დამხმარის მოქმედებაზე თავად ექსპედიტორია პასუხისმგებელი.“[24]

რაც შეეხება მესამე პირის პასუხისმგებლობის საკითხს, ექსპედიტორს უფლება აქვს მესამე პირს მოსთხოვოს მისი ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება იმ შემთხვევაში, როცა მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფება. მესამე პირის წინააღმდეგ მოთხოვნის უფლება

ექსპედიტორმა შეიძლება შემკვეთს გადასცეს, თუმცა, ამისათვის საჭიროა ამ უკანასკნელის მოთხოვნა უფლების გადაცემის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, ექსპედიტორს უარის უფლება არა აქვს გარდა იმ შემთხვევისა, როცა მასსა და შემკვეთს შორის მიღწეულია სპეციალური შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, ექსპედიტორი თავად იტოვებს მოთხოვნის უფლებას, მაგრამ არა საკუთარი, არამედ შემკვეთის ხარჯითა და რისკით, რაც კანონის მოთხოვნაა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს სატრანსპორტო საექსპედიტორო მომსახურებას და ეს რეგულირება პრინციპულად არ განსხვავდება ნაშრომში განხილული ზოგიერთი სხვა ქვეყნის სამოქალაქოსამართლებრივი რეგულირებისაგან. მისი ნორმების სრულყოფისათვის საინტერესო იქნებოდა საექსპედიტორო მომსახურების დავებთან დაკავშირებული მდიდარი პრაქტიკა და მასთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილებებში ჩამოყალიბებული ხედვა, რამდენადაც იგი მნიშვნელოვანი მოკარნახეა საკანონმდებლო პროცესში სწორი სამართლებრივი რეგულაციების ფორმირებისა.

შენიშვნები:

1 იხ.: უცხო სიტყვათა ლექსიკონი, ხელმისაწვდომია საიტზე <http://lang.interes.ge/index.php?lang=words>.

2 სატრანსპორტო საექსპედიტორო მომსახურების ბაზარზე ამ დროისათვის მთავარი მოთამაშე კომპანია „დანზასი“ გამგზავნის გარეშე ახორციელებდა გადაზიდვებს ავსტრიაში, გერმანიასა და შვეიცარიაში. სწორედ მე-19 საუკუნეში სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარებამ გამოიწვია ექსპედიტორთა შემდგომი გააქტიურება (გერმანიაში – Spediteuren, ინგლისში – Forwarders). ამ დროს, კანონმდებლობა უფრო მეტად იცავდა არა წვრილი ექსპედიტორების, არამედ საექსპედიტორო ბაზრის მონოპოლისტების ინტერესებს. სიტუაცია არსებითად შეიცვალა მხოლოდ მე-20 საუკუნის შუა ხანებში. ბაზარზე გაჩნდნენ ტრანსნაციონალური საექსპედიტორო ორგანიზაციები. 1974 წელს, ავსტრალიაში მიღებულ იქნა კანონი „სავაჭრო პრაქტიკის შესახებ,“ რომლითაც დარეგულირდა ექსპედიტორსა და შემკვეთს შორის ურთიერთობა.

3 სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის საფუძვლები, ავტორთა კოლექტივი, საქართველოს ექსპედიტორთა ასოციაცია, 2000, გვ. 2.

4 საერთაშორისო ხელშეკრულება ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის შექმნის თაობაზე –დასავლეთ ევროპასა და აღმოსავლეთ აზიას დააკავშირებს კავკასიისა და შუა აზიის გავლით.

5 საექსპედიტორო ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია (FIATA – International Federation of Fright Forwarders Associations) დაფუძნდა 1926 წელს, ვენაში (ავსტრია), 16 ევროპული სახელმწიფოს ექსპედიტორთა ასოციაციის მიერ. ფედერაციის საქმიანობა ემსახურება ექსპედიტორული კომპანიების ინტერესების დაცვასა და ექსპედიტორული საქმიანობის განვითარების მიზანს. იხ.: ვებ გვერდი <http://www.fiata.com/index.php?id=30>.

6 აღნიშნულმა ფედერაციამ ეროვნულ საექსპედიტორო ასოციაციებს დაუგზავნა დოკუმენტი – „ტიპური საექსპედიტორო წესები“ (მიღებული ამავე ფედერაციის მიერ 1996 წლის 2 ოქტომბერს), რომელსაც გააჩნია სარეკომენდაციო ხასიათი ეროვნული კანონმდებლობების შემუშავებისათვის.

7 რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2011 წლის 8 თებერვლის №4149–Iს დადგენილებით.

8 გამოქვეყნებულია: პარლამენტის უწყებანი, 1997, #31.

9 Гражданское уложение Германии (1896 г.), Перевод с немецкого, книга 1, Москва, 2004.

10 Гражданский кодекс Республики Армения, от 17 июня 1998 года, ხელმისაწვდომია: <http://www.parliament.am/law_docs/050598HO239rus.html?lang=rus >.

11 Гражданский кодекс Республики Казахстан, от 27.12.1994 года, ხელმისაწვდომია: <http://www.pavlodar.com/zakon/?dok=00002&ogl=all>.

12 Гражданский кодекс Республики Молдова, N1107-XV от 06.06.2002, ხელმისაწვდომია: <http://www.gk-md.ru/gk_md_kniga1.html>.

13 იხ.: Ивакин В., Гражданское Право, особенная часть, ხელმისაწვდომია: <http://www.be5.biz/pravo/givn/08.htm#TOC_id54716250>.

14 იხ.: ტ. ზამბახიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2001, წიგნი მე-4, ტ. 1 გვ. 422.

15 ექსპედიტორის პასუხისმგებლობის შესახებ იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის გადაწყვეტილება (საქმე #3კ/855-01 08.06.2001). მითითებულია: შ. გაბიჩვაძის დისერტაცია „საჰაერო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის სამოქალაქოსამართლებრივი რეგულირება," გვ. 101, გამოქვეყნებულია: <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/shorena_gabichvaze.pdf>.

16 იხ.: ტ. ზამბახიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2001, წიგნი მე-4, ტ.1 გვ. 436–437.

17 Гражданский кодекс Азербайджанской Республики, Утвержден Законом Азербайджанской Республики от 28 декабря 1999 года № 779-IГ, введен в действие с 1 сентября 2000 года Законом Азербайджанской Республики от 26 мая 2000 года № 886-I, ხელმისაწვდომია: <http://www.gender-az.org/index.shtml?id_doc=1129>.

18 წარმომადგენლობის შესახებ ასევე, იხ.: Хайн Кетц, Франк Лорман, „Проблемы гражданского и Предпринимательского права Германии, Москва, 2001, стр. 65-67.

19 აგრეთვე, იხ.: Кулешов, В. „Договор транспортной экспедиции, проблемы правового регулирования", автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук. М., 2009, ხელმისაწვდომია: <http://law.edu.ru/book/book.asp?bookID=1358611>.

20 Гражданский кодекс Российской Федераации, принят Государственной Думой 21 октября 1994 года, ხელმისაწვდომია: <http://www.roskodeks.ru>.

21 „გადანდობა წარმოადგენს დავალების ხელშეკრულებაში რწმუნებულის შეცვლის განსაკუთრებულ შემთხვევებს, რადგან ამისათვის საჭიროა მარწმუნებლის სპეციალური ნებართვა ან კიდევ გარკვეულ გარემოებათა გამო რწმუნებული იძულებული უნდა იყოს შეიცვალოს სხვა პირით მარწმუნებლის ინტერესების დასაცავად". იხ.: მ. ცისკაძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი 1, თბილისი, 2001, გვ. 401.

22 იხ.: ტ. ზამბახიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-4, ტ. 1, თბილისი, 2001, გვ. 437.

23 იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმე #3კ/855 08.06.2001).

24 იხ.: ტ. ზამბახიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი 1, თბილისი, 2001, გვ. 438.

SOME ISSUES ON CIVIL-LEGAL REGULATION OF TRANSPORT EXPEDITION

SHORENA GABICHVADZE
Doctor of Law

The paper presents a study of some issues on civil-legal regulation of the expedition service. Practical significance of the expedition service is highlighted. The method of comparative legal research is applied for discussing the concept and form of the expedition service, the involved parties, their rights and obligations and responsibilities as well. The paper also provides common and differentiating signs between the agreements on transportation and assignment. The paper also speaks about the necessity of insurance. The emphasis is laid on small number of court litigations, stating that the extensive experience regarding the disputes on expedition services, also the vision established in the court judgments in this reference provide a reference point for developing the right legal regulation in the legislative process.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის პერსპექტივები საქართველოში

ნათია გიგაური
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის სამართლის სკოლის დოქტორანტი

თავისუფალი ინდუსტრიული ზონების არსი – საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვა

თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (თიზ) წარმოადგენს ქვეყნის ტერიტორიის ნაწილს, სადაც განსხვავებული, გამარტივებული ეკონომიკური რეჟიმი მოქმედებს. შესაძლებელია, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა დაწესდეს დარგობრივი პრინციპითაც, როდესაც შეღავათიანი ეკონომიკური რეჟიმი გარკვეული სახის სამეწარმეო საქმიანობაზე ვრცელდება.

ევროსაბჭოს განმარტებით, თავისუფალი ზონა არის ევროკავშირის საბაჟო ტერიტორიის განსაკუთრებული (სპეციალური) ტერიტორია. საქონელი, რომელიც ამგვარ ზონებშია განლაგებული, თავისუფალია ბაჟისაგან.[1]

კიოტოს კონვენცია განმარტავს, რომ თავისუფალი ზონის ქვეშ იგულისხმება ქვეყნის ნაწილი, რომელშიც შემოტანილი საქონელი განიხილება როგორც საბაჟო ტერიტორიის გარეთ მყოფი და არ ექვემდებარება საბაჟო კონტროლს.[2]

ევროპის გაერთიანების (ეგ) საბაჟო კოდექსის საბჭოს რეგლამენტი 2913/92-ის მიხედვით, „თავისუფალი ზონები და თავისუფალი საწყობები წარმოადგენენ ეგ-ის საბაჟო ტერიტორიის ნაწილს

ან ამ საბაჟო ტერიტორიაზე არსებულ სათავსოებს, რომლებიც გამოყოფილია ჩვეულებრივი საბაჟო ტერიტორიისაგან და რომლებშიც: არაა ეგ-ის საქონელი, შეტანის საბაჟო გადასახდელთა გადახდევინებისა და სავაჭრო პოლიტიკის ზომების გამოყენების მიმართ გატანის დროს, განიხილება როგორც ეგ-ის საბაჟო ტერიტორიაზე არმყოფი ვიდრე არ იქნება თავისუფალ მიმოქცევაში ან სხვა საბაჟო რეჟიმში გაფორმებული ან/და არ იქნება გაფორმებული ან მოხმარებული; ეგ-ის განსაზღვრული საქონლის მიმართ თიზ-ში ან თავისუფალ საწყობში მისი მოთავსების გამო, გამოიყენება ზომები, რომლებიც ძირითადად, ამ საქონლის გატანისას მოქმედებს, თუ სხვა რამ არაა გათვალისწინებული ეგ-ის განსაკუთრებულ მითითებებში.“[3]

თავისუფალი ეკონომიკური (ინდუსტრიული) ზონები მსოფლიო ეკონომიკაში ბოლო სამ ათწლეულში გავრცელდა. ამჟამად, 3 ათასზე მეტი სხვადასხვა სახეობის თავისუფალი ინდუსტრიული ზონაა, რომელზეც მსოფლიო ტვირთბრუნვის 20% მოდის.

მაინც როგორი ადგილია თავისუფალი ეკონომიკური ზონები?

უპირველეს ყოვლისა, ეს არის მეწარმეობისა და გადასახადების შეღავათიანი რეჟიმის ადგილი. კონკრეტულად, რას ნიშნავს ეს განმარტება? აუცილებელია აღინიშნოს, რომ იგი როგორც ეკონომიკური კატეგორია, ურთიერთობა და მოვლენა, ეყრდნობა სამ მთავარ პოსტულატს, სამ ძირითად პრინციპს: „საწყისი, ამოსავალი წერტილი, საიდანაც თავისუფალი ეკონომიკური ზონები (თეზ-ები) შეიქმნა, როგორც რეგიონული საყრდენი ბერკეტი საერთაშორისო ინტეგრაციის პროცესში, როგორც რეგიონული ბაზის დასაყრდენი პლაცდარმი, ეკონომიკური ურთიერთობების, საქონლის, მომსახურების და ინვესტიციების გავრცელების ეპიცენტრი ამა თუ იმ რეგიონში, – ეს არის „პორტო ფრანკოს“ პრინციპი, ანუ საბაჟო საწყობი, რომელიც თავისუფალი იქნებოდა გადასახადებისაგან; მეორე პრინციპი – რეპატრიაციის, რომელიც შეიქმნება საბაჟო ზონაში და ეს აუცილებელი მომენტია, რამეთუ ეკონომიკური საქმიანობის მიზანი ამ ზონაში მოგების მიღებაა და ინვესტორს უნდა ჰქონდეს ქვეყნიდან მისი გატანის შესაძლებლობა; მესამე პრინციპი – საგადასახადო პრეფერენციები და შეღავათებია, ანუ ის ე. წ. „საგადასახადო ოაზისი,“ რაც გულისხმობს დღგ-გან გათავისუფლებას და სხვა შეღავათების მინიჭებას.“ თეზ-ები სწორედ ამ სამი ფუნდამენტური მიმართულების ერთიანობაა.[4]

თეზ-ბი არსებობს აშშ-ში, ჩინეთში, ინგლისში, დუბაიში, აბუ-დაბიში და სხვ. უცხოური კაპიტალის მოზიდვის მიზნით, ამ თავისუფალ ზონებში სხვადასხვა პრეფერენციები მოქმედებს. „ასე მაგალითად, ბაჰამის კუნძულებზე რეგისტრირებულ საწარმოთა გადასახადი ყოველწლიურად შეადგენს 100 აშშ დოლარს, ვირჯინიის კუნძულებზე ყოველწლიურად – 300 აშშ დოლარს, კაიმანის კუნძულებზე გადასახადები პრაქტიკულად არ არსებობს. მალაიზიაში რეგისტრირებული საწარმოები პირველი ხუთი წლის განმავლობაში, საერთოდ თავისუფლდებიან ყოველგვარი გადასახადებისაგან, იგივე პრეფერენციული რეჟიმია დაწესებული სამხრეთ კორეაში. ჩინეთის თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში რეგისტრირებული უცხოური ფირმები პირველი 2 წლის განმავლობაში, გადასახადებს არ იხდიან, ხოლო მომდევნო სამ წელიწადს – გადასახადი არ აღემატება 7,5 %-ს. არაბეთისა და აფრიკის ოფშორულ ზონებში გადასახადები საერთოდ არ არსებობს.“[5]

მიუხედავად იმისა, რომ ისინი დიამეტრალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ძირითადი პრინციპები მსგავსია: ექსპორტირების პროცედურა გამარტივებულია საქონლის შეტანისას თეზ-ში და საგადასახადო ფილტრს არ გაივლის. გამოცდილებამ დაგვანახა, რომ „გარდა მითითებული პრეფერენციებისა, უცხოური კაპიტალის მოზიდვის მნიშვნელოვან ფაქტორს ასევე, ქვეყნის სტაბილურობა წარმოადგენს, შიდა პოლიტიკური დაპირისპირებისა და ეთნოკონფლიქტების გამორიცხვა, დემოკრატიული, თავისუფალი საზოგადოების არსებობა, მოსახლეობის კანონმორჩილებისა და მართლწესრიგის განმტკიცების მაღალი დონე.“[6]

საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონების სამართლებრივ ჩარჩოს ქმნის: 2011 წლის საგადასახადო კოდექსი, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია: „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ“ (2012 წლის 26 ივლისი N 290); 2007 წლის 30 ივლისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ,“ საქართველოს კანონი თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების შესახებ“ და სხვა კანონები და კანონქვემდებარე აქტები, რითაც საქართველოში დაკანონდა თავისუფალი ზონის ჩამოყალიბება თავისუფალი ინდუსტრიული სახით.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის, მოწყობისა და ფუნქციონირების წესებს კი, ადგენს საქართველოს მთავრობის N131 დადგენილება „თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის, მოწყობისა და ფუნქციონირების წესების დამტკიცების შესახებ.“

საქართველოს კანონის „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ მე-3 მუხლის თანახმად, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა არის საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული თავისუფალი ზონის ნაირსახეობა, სადაც მოქმედებს პრეფერენციები და საგადასახადო შეღავათები.

მაინც რას ნიშნავს თავისუფალი ზონა? მისი სტატუსი განისაზღვრება საგადასახადო კოდექსის 232-ე მუხლით. კოდექსის თანახმად, „თავისუფალი ზონა ითვლება საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ნაწილად, სადაც საქონლის მოძრაობა ისევე რეგულირდება, როგორც საქართველოს საზღვრებზე უცხოური საქონლის გადაადგილების შემთხვევებში.“

კერძოდ, საქონლის თავისუფალ ზონაში შეტანა არ დაიბეგრება იმპორტის გადასახდელებით, რადგანაც ეს არ ჩაითვლება საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის მიმოქცევაში გაშვებად. რაც შეეხება ზონაში საქართველოს საქონლის შეტანას, იგი განიხილება როგორც ექსპორტი და მასზე გავრცელდება ექსპორტის მარეგულირებელი დებულებები.

როგორც ვხედავთ, ეკონომიკური თვალსაზრისით, თავისუფალი ზონა გათანაბრებულია საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფ ტერიტორიებთან. თუმცა, შემოსავლების სამსახურს უფლება აქვს აწარმოოს როგორც საგადასახადო ასევე, საბაჟო კონტროლი ზონის შიგნით. კერძოდ, შეამოწმოს კომერციული დოკუმენტაცია, ჩაატაროს საქონლის ფიზიკური დათვალიერება და ა. შ.

მაგალითად, თავისუფალი ზონის ფუნქციონირება შესაძლებელია დაიწყოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც შემოსავლების სამსახურის მიერ ფიზიკურად შემოწმდება და დადასტურდება თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შესაბამისობა მთავრობის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან. (საქართველოს მთავრობის N131 დადგენილება, მე-4 მუხლი). მაინც რა პრეფერენციები და საგადასახადო შეღავათები მოქმედებს იქ? თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად, თავისუფალ ზონაში მოქმედებს შემდეგი სახის

საგადასახადო შეღავათები: 1. უცხოური საქონლის შეტანა არ იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით; 2. განხორციელებული ოპერაციები არ იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით; 3. არსებული ქონება გათავისუფლებულია ქონების გადასახადისაგან; 4. უცხოური საქონლის შეტანა გათავისუფლებულია იმპორტის გადასახადისაგან; 5. იმპორტისაგან თავისუფლდება ასევე, ზონაში წარმოებული საქონლის შეტანა (იმპორტი) საქართველოს სხვა ტერიტორიაზე (თავისუფალი ინდუსტრიული ზონის გარეთ); 6. თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულია თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს მიერ ნებადართული საქმიანობიდან მიღებული მოგება.

რითაა გამორჩეული თავისუფალი ინდუსტრიული ზონა? იგი გამოიყოფა განსაზღვრული ვადით ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად. მის ფარგლებში მოქმედებს გარკვეული სამართლებრივი და ეკონომიკური რეჟიმი. როგორც ამბობენ, იგი არის სახელმწიფო სახელწიფოში – ეკონომიკური სახელმწიფო.[9]

საქართველოში თავისუფალი ინდუსტრიული ზონა შეიძლება შეიქმნას ქვეყნის ნებისმიერ ტერიტორიაზე (გარდა, კანონმდებლობით განსაზღვრული დაცული ტერიტორიებისა), რომელიც წარმოადგენს ერთიანი კონტურის მიწის ნაკვეთს და რომლის ფართობი აღემატება 10 ჰექტარს („თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ საქართველოს კანონი).

რაც შეეხება თავისუფალ ზონაში საქონლის გადაადგილებას, თავისუფალ ზონაში შეიძლება მოთავსდეს: 1. საქონელი, რომელიც შემოტანილი იქნება უცხო ქვეყნიდან. 2. შეტანილი უცხოური საქონელი, რომელიც შემოიტანება საქართველოს სხვა საბაჟო ტერიტორიიდან. 3. უცხოური საქონელი, რომელიც მოქცეული იყო სასაქონლო ოპერაციაში, რომელიც დასრულდა თავისუფალ ზონაში საქონლის შეტანით. 4. საქართველოს საქონელი („საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გაადგილებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქციის 68-ე მუხლის პირველი ნაწილი).

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქციის 70-ე მუხლის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი უცხოური საქონლის მიმართ განხორციელდება: ა) საქონლის წარდგენა; ბ) ზოგადი დეკლარირება; დ) მოწმობის გაცემა-დახურვა; ე) გამარტივებული დეკლარირება. ინსტრუქციის 71-ე მუხლის თანახმად, 1. თავისუფალი ზონიდან საქონლის გატანა ხორციელდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან მისი გატანით ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიის სხვა ნაწილზე გადატანით. 2. თავისუფალი ზონიდან საქონლის გატანა განიხილება როგორც საქონლის ექსპორტი. 3. თავისუფალ ზონაში არსებული საქონლის, როგორც უცხოური საქონლის, საქართველოს სხვა საბაჟო ტერიტორიაზე გადატანის დროს ხორციელდება საგადასახადო კანონმდებლობით (მათ შორის, სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისათვის) საქართველოში უცხოური საქონლის შემოტანისათვის დადგენილი პროცედურები.

თავისუფალი ეკონომიკური ზონები – მსოფლიო გამოცდილება

დღეს, მსოფლიოში მოქმედი თავისუფალი ეკონომიკური ზონების რიცხვი 3000-ს აღემატება, თუმცა, არსებობს მეცნიერთა სხვადასხვა მოსაზრებები თავისუფალი ინდუსტრიული ზონების რაოდენობის შესახებ.[10] აღსანიშნავია, რომ მათი მხოლოდ მცირედი ნაწილი შეიძლება იყოს

ეკონომიკურად ათვისებული. ხშირად მოჰყავთ სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიის მაგალითები. საინტერესოა, რა ფაქტორებმა შეუწყო მათ წარმატებას ხელი?

თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის იდეა მე-18 საუკუნიდან მოდის. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი, ამგვარი ზონების რიცხვი თანდათანობით იზრდება. ეს იდეა პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ სისუსტესთან, მთავრობების პოლიტიკურ უუნარობასა და მწირ ფინანსურ შესაძლებლობებთან.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში თავისუფალი ეკონომიკური ზონების წარმატება უამრავ ფაქტორზე იყო დამოკიდებული, საქართველოში კი, ამგვარი წინაპირობები არ არსებობს. მაგალითად, პორტების გამტარუნარიანობა, განვითარებული ქვეყნების თავისუფალი ნება და სხვ.[11]

საერთოდაც, რა არის თავისუფალი ზონების შექმნის მიზანი?

ასეთი ტიპის ზონები შემდეგ ამოცანებს ისახავს: ეკონომიკური სტიმულირება და სოციალური მიზანი.[12]

რა დგას თითოეული მათგანის მიღმა?

ეკონომიკური სტიმულირება ნიშნავს ქვეყნის ჩართვას გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში, ინვესტიციების მოზიდვას, ტექნოლოგიების შემოდინების წახალისებას, წარმოების, მომსახურებისა და ვაჭრობის ხელშეწყობას.

სოციალური მიზანი ემსახურება მოსახლეობის დასაქმებას და ქვეყნის მასშტაბით შემოსავლების ზრდას.

თავისუფალი ზონის ძირითადი არსი არის მეწარმეთა ხელშეწყობა, რათა მათ აწარმოონ ბიზნესი, რომელიც თავისუფალი იქნება ყოველგვარი შეზღუდვებისა და ზეწოლისაგან.

თავისუფალი ზონები აქტუალური გახდა იმდენად, რამდენადაც მათი შექმნა გათვლილია უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გეგმებზე. იგი ქმნის ტექნოლოგიური ტრანსფერის შესაძლებლობებს ამა თუ იმ განვითარებად ქვეყანაში. თავისუფალი ზონები იქმნება იმისათვის, რომ მოიზიდოს საწარმოები, რათა მათ შეძლონ თავიანთი საქონლის განთავსება შეღავათიან საგადასახადო-საბაჟო პირობებში.

„თავისუფალი ეკონომიკური ზონა არის სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური პროცესების ჩარევაში შეზღუდვის ადმინისტრაციულ-ეკონომიკური ინსტრუმენტი. ანუ ის არის ეკონომიკური სივრცის ნაწილი, სადაც შემოღებულია და გამოიყენება დაბეგვრის ისეთი შეღავათებისა და სტიმულების სისტემა, რომელიც არ გამოიყენება მის სხვა ნაწილებში.“[13]

როგორც ზემოთ ითქვა, არსებობს ორი სახის თავისუფალი ეკონომიკური ზონა. პირველი ტიპის ზონა ფორმირდება ტერიტორიულობის პრინციპით, როდესაც ქვეყნის განსაზღვრული ნაწილი ცხადდება თავისუფალ ეკონომიკურ ზონად. აქ მოქმედებს გარკვეული საგადასახადო პრივილეგიები და უპირატესობები.

რაც შეეხება მეორე ტიპის ზონას, იგი ფუნქციური დანიშნულებისაა, სადაც პრეფერენციული რეჟიმი დაწესდება გარკვეულ ეკონომიკურ საქმიანობაზე. ამ შემთხვევაში, საწარმოების (ეკონომიკური აგენტების) ადგილსამყოფელს მნიშვნელობა აღარ მიენიჭება.

აღსანიშნავია, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონების ეფექტიანობა დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. აღნიშნული დადასტურდა მსოფლიოს 26 ქვეყანაში

ჩატარებული კვლევით, რომელმაც დაადასტურა, რომ უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად ქვეყნის მთავრობას დასჭირდება 4 ამერიკული დოლარის გადახდა შემოსული ინვესტიციების ყოველ 1 დოლარზე.[14]

არსებობს შეხედულება, რომ ისეთ ქვეყნებში, სადაც არსებობს პოლიტიკური კონფლიქტები და შექმნილია არასტაბილური ვითარება, სათუოა თავისუფალი ეკონომიკური ზონების წარმატება.

თავისუფალი ეკონომიკური ზონები, როგორც წესი, განსხვავებული მიზნით იქმნება. როგორც ცნობილია, განვითარებულ ქვეყნებში ინდუსტრიული ზონების შექმნის მიზანი შეიძლება იყოს რეგიონული პოლიტიკის ჩანაცვლება.[15] ექსპერტები თვლიან, რომ განვითარებულ ქვეყნებში თავისუფალი ინდუსტრიული ზონები იქმნება რეგიონული პოლიტიკის განხორციელების მიზნით, ხოლო განვითარებადი და პოსტსაბჭოთა ქვეყნები მას იყენებენ ლოკალურად, ღია ეკონომიკის დანერგვის საშუალებად.

რაც შეეხება ზონების გავლენას ეკონომიკის განვითარებაზე, განვითარებად ქვეყნებში ამგვარი გავლენა შეზღუდულია, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში ფაქტობრივად, არც ხდება.

განვითარებად და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში კი, ამგვარი ზონები იქმნება ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციისათვის. მათთვის ამგვარი ზონები თავისუფალი ეკონომიკის პრინციპების დანერგვის საშუალებაა. პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა გახსნეს თავიანთი საზღვრები, რათა მოეზიდათ უცხოური ინვესტიციები. ასეთ ქვეყნებს არ სურთ ან არ შეუძლიათ თავისუფალი ეკონომიკის დანერგვა მთელი ქვეყნის მასშტაბით. ასეთ შემთხვევებში, ისინი ირჩევენ რომელიმე რეგიონს, რომელსაც აცხადებენ თავისუფალ ეკონომიკურ ზონად. პოსტკომუნისტურ ქვეყნებს შორის აღსანიშნავია ჩინეთი, სადაც თავისუფალი ეკონომიკური ზონები დაარსდა 1970-იან წლებში.[16]

მაგალითად, გაერთიანებულმა სამეფომ შექმნა თავისუფალი ეკონომიკური ზონები ისეთ ტერიტორიებზე, რომლებიც მისგან მოშორებით იმყოფება (მაგალითად, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები). რაც შეეხება რუსეთის ფედერაციას, მან პერიფერიულ ტერიტორიებზე დაარსა თავისუფალი ეკონომიკური ზონები, იქ, სადაც ჰქონდა გარკვეული სირთულეები.

მსოფლიოს წამყვან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებს შორის ყველაზე წარმატებული მაინც დუბაის „ჯებელ ალი“ გამოდგა. იგი „დუბაის სასწაულის“ სახელითაა ცნობილი და შექმნილია სპარსეთის ყურეში – მსოფლიოს უმსხვილეს ხელოვნურ ნავსადგურში. მასში წარმოდგენილია 58 ქვეყნის 700-მდე კომპანია. „ჯებელ ალი“-ში განხოციელებული ინვესტიციები კი, 1.1 მლრდ დოლარს უტოლდება.[17]

წარმატებული თავისუფალი ეკონომიკური ზონებიდან ასევე, აღნიშვნის ღირსია ჩინეთის 1980 წლის უძველესი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა. შენჟენმა 20 წლის განმავლობაში დიდ წარმატებას მიაღწია, გადაიქცა რა, პატარა სოფლიდან დიდ, 20 მილიონიან ქალაქად. მისი ადგილმდებარეობა შერჩეულ იქნა ინვესტიციების მოსაზიდად მეზობელი ჰონგ-კონგიდან. 2001 წლისთვის დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობამ მიაღწია 3.2 მილონს, ასევე, გაიზარდა მისი წლიური შემოსავალი.

კიდევ რა შეიძლება ითქვას თეზ-ის შესახებ? რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან? როგორც ემზარ ჯგერენაია წერს, ხშირად შეცდომაში შევყავართ შედარებას, როდესაც ერთმანეთს ვადარებთ განსხვავებული ეკონომიკური წყობის ქვეყნებს. თუნდაც ავიღოთ ჩინეთისა და აშშ-ის მაგალითები. ჩინეთის ეკონომიკურმა რეფორმებმა „ეკონომიკური სასწაულის“ სახელწოდება მიიღო. ეს კი, ჩინეთში უცხოური კაპიტალის მოზიდვის ფონზე მოხდა, როდესაც

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 1980 წლის დებულებით „სპეციალური ეკონომიკური ზონების შესახებ გუანდუნის პროვინციაში“ ჩინეთში 5 ზონა შეიქმნა. ესენია: შენჟენის, ჩჯხუაის და შანტოუს თავისული ზონები გუანდუნის პროვინციაში, ასევე, სიამენი ფუნძზიანის პროვინციაში და ტერიტორია კუნძულ ჰაინამზე.

აღნიშნულმა ზონებმა იქონია შედეგი. დღეისათვის ჩინეთის თეზ-ის სავალუტო ბალანსი დადებითი გახდა, რის შედეგადაც მათ უარი თქვეს სახელმწიფოდან დოტაციების მიღებაზე და სახელმწიფო ბიუჯეტისათვის ვალების დაბრუნებაც კი დაიწყეს. მხედველობაშია მისაღები ჩინეთის სამხედრო-პოლიტიკური თავისებურებანი. როგორც მოგვეხსენება, ჩინეთი არის რეგიონში უმძლავრესი შეიარაღებული ზესახელმწიფო. მსოფლიოს ძალისხმევა კი, მიმართულია იქითკენ, რომ ჩინეთი დასავლური ბიზნესის, კერძო საკუთრების შეღწევითა და ეკონომიკის აყვავებით გარდაქმნას საბაზრო ეკონომიკის ქვეყნად. ჩინეთისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება კერძო მესაკუთრეობისაკენ მისწრაფების მენტალიტეტის გაჩენა, რითაც მსოფლიოს უნდა მოეხსნას ბირთვული თუ სხვა ომების საშიშროება.

რაც შეეხება აშშ-ს, იქ თეზ-ები წარმოდგენილია 180 ერთეულით. აშშ-ის, ინგლისის თუ საერთოდ დასავლეთის ქვეყნების თეზ-ები დიამეტრალურად განსხვავდება იგივე ჩინეთის, აბუდაბის, თუ დუბაის თეზ-ებისაგან. მაინც რა განსხვავებაა? უბრალოდ, არსებობს ეკონომიკური ურთიერთობების თავისებურებანი იმ სისტემაში, რასაც ამერიკის ეკონომიკური სისტემა ჰქვია. ისინი დიდად არ განსხვავდებიან, თუმცა, უხვი და მრავალფეროვანი საქონლის შეტანისა და ექსპორტირების პროცედურა გაადვილებულია და საგადასახადოს ფილტრს არ გადის.“[18]

ასევე, აღსანიშნავია პოლონეთის მაგალითი, სადაც 14 თავისუფალი ინდუსტრიული ზონა წარმატებით ფუნქციონირებს.

როგორც ვთქვით, ეროვნულ ეკონომიკაზე თავისუფალი ეკონომიკური ზონების ზეგავლენა განვითარებად ქვეყნებზე არ არის მასშტაბური, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში კი, უმნიშვნელოა და არ არის მხედველობაში მისაღები.

თავისუფალი ეკონომიკური ზონები საქართველოში

რა შეგვიძლია ვთქვათ ამ კუთხით საქართველოს შესახებ, მზადაა ქვეყანა ასეთი ზონების შექმნისა და ფუნქციონირებისათვის? უნდა შევნიშნოთ, რომ ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ერთნი ამტკიცებენ, რომ საქართველო ამისათვის მზადაა, მეორენი კი, პირიქით ამტკიცებენ, რომ საქართველოში ასეთი ზონის შექმნა უარყოფითი შედეგების მომტანი იქნება.

საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონის საწყისად უნდა ჩაითვალოს 1978 წელი, როდესაც ბერლინის კონგრესზე განიხილებოდა თურქეთის მიერ ბათუმის რუსეთისათვის გადაცემის საკითხი. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მარკიზ სოლაბერის მოთხოვნით, რუსეთმა ბათუმი „პორტო ფრანკოდ“ გამოაცხადა. პორტო ფრანკო თავისუფალ ნავსადგურს ნიშნავს. სწორედ ასე ეწოდებოდა ბათუმს 1878–1886 წლებში, რომელიც შედიოდა რუსეთის შემადგენლობაში. ბერლინში დადებული ხელშეკრულების მიხედვით, რუსეთს ბათუმი პორტო ფრანკოს სტატუსით გადაეცა. რუსეთის იმპერიაში ბათუმი მესამე პორტო ფრანკო იყო ოდესისა და ვლადივოსტოკის შემდეგ.[19]

ბათუმის პორტო ფრანკოს რეჟიმი 8 წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა. როგორც ისტო-

რიული ქრონიკები იუწყებიან, ამ პერიოდში, ბათუმში მნიშნელოვნად გაიზარდა საქონელბრუნვა და ეკავა მეორე ადგილი შავი ზღვის სანაპიროზე ოდესის შემდეგ. იმდროინდელ პრესას თუ გადავხედავთ, ასეთი სურათი წარმოგვიდგება: „ივერია“ 1886 წელს წერდა: „ბათუმი პორტო-ფრანკოა, ისეთი ქალაქი, სადაც უბაჟოდ ყველაფერს შეიტან, მხოლოდ იქიდან თუ გამოიტან, ბაჟი უნდა მისცე. ძალიან შეავიწროვა ხალხი საქმის ამგვარმა მდგომარეობამ. ეს არის მიზეზი, რომ ბათუმის მაზრამ მიართვა არზა უმაღლეს მთავრობას, რომ პორტო-ფრანკო მოისპოს. უეჭველია, უმაღლესი მთავრობა ხალხის სურვილს პატივს სცემს. მაშინ მთავრობას ექნება საქმე პირდაპირ უცხოელთა სოვდაგრებთან, რომელთაც თვითონ გადაახდევინებს ბაჟს.“ მიუხედავად იმისა, რომ ბათუმის საბაჟომ ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის ბევრი თავსატეხი შექმნა და მას ბევრი უარყოფითი ფაქტორებიც სდევდა თან (საბაჟოს „დარაჯები“ თვითნებობდნენ და ათასგვარ ბაჟს ახდევინებდნენ ბათუმიდან გამოსვლისას ადამიანებს და ამას თან სდევდა მებაჟეების მხრივ უხეშობა, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და სხვ.), ამასთან, დადებითი ფაქტორებიც იკვეთებოდა. პორტო-ფრანკომ ბათუმს თავისებური მომხიბლველობა მაინც შესძინა. ყოველწლიურად მატულობდა ბათუმში ჩამოსულ უცხოელთა ნაკადი. მაგალითად, შემონახული წყაროების მიხედვით 1885 წელს ბათუმში 34 500 უცხოელი ყოფილა შემოსული.“[20]

საქართველოში, ამჟამად მოქმედებს ქუთაისისა და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონები, ასევე, თავისუფალი ტურისტული ზონები ქობულეთის, ანაკლიისა და განმუხურის ტერიტორიაზე, რომელთა ფუნქციონირება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება. აქ ფუნქციონირებს ბიზნესგარემო, რომელიც თავისუფალია გადასახადებისაგან. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში თავისუფალი ზონის ინფრასტრუქტურის განვითარება თავად სახელმწიფოს ეკისრება, თუმცა, საქართველოს შემთხვევაში ეს პასუხისმგებლობა ზონის განმავითარებელმა კომპანიებმა იკისრეს. აქვე შევნიშნავდით, რომ „თავისუფალი ტურისტული ზონებით დაინტერესება მაინცდამაინც დიდი არ არ არის. შეხვედრებზე, რომლებსაც ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლები მთელი წლის განმავლობაში მართავდნენ უცხოელ ინვესტორებთან, ტურისტული ზონების განსაკუთრებულობაზე საუბრობდნენ, თუმცა, გამოთქმულ ინტერესს რეალური შედეგი არ მოჰყოლია. 2010 წლიდან არსებობს ქობულეთის ტურისტული ზონა, სადაც მხოლოდ ორი სასტუმრო შენდება. ასევე, თავისუფალ ტურისტულ ზონად გამოცხადდა ანაკლია და განმუხური.“[21]

ფოთის ინდუსტრიული ზონა

ფოთის ინდუსტრიული ზონა შეიქმნა ფოთში, ნავსადგურის ყოფილ ტერიტორიაზე. მისი ორგანიზატორის/ადმინისტრატორის უფლებამოსილებას ახორციელებს შპს „რაკია-საქართველო.“ მასში დარეგისტრირებულია 118 კომპანია.

ფოთის ინდუსტრიული ზონა მოიცავს 300 ჰექტარს და განლაგებულია აბრეშუმის გზაზე. ინდუსტრიული ზონა განლაგებულია ფოთის პორტის მახლობლად, რაც მის ტეროტორიაზე დასაქმებულ კომპანიებს საშუალებას აძლევს, ისარგებლონ ექსპორტისა და იმპორტის დაბალი ფასებით. ეს კი, იმის გამო ხდება, რომ იქ მოქმედებს დაბალი სატარიფო სისტემა. ეს ტერიტორია დაკავშირებულია სარკინიგზო სისტემასთან.

ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საქმიანობა 2011 წლის სექტემბერში ამერიკულმა

კომპანიამ „ბულსაი ტრეიდინგმა“ დაიწყო. მას საბავშვო საქონელი აშშ-დან შემოაქვს და მის რეალიზაციას ინდოეთსა და სამხრეთ კავკასიაში ახდენს.[22]

საქართველოს ფოთის თავისუფალი ინდუსტრიულ ზონაში ამჟამად, 20-ზე მეტი მოქმედი კომპანიაა. ინვესტორები წარმოდგენილი არიან ისეთი ქვეყნებიდან, როგორებიცაა აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი, არაბეთის გაერთიანებული საემიროები, უკრაინა, ირანი და ა. შ. ინვესტორები საღებავების, საკვები ზეთების, ავეჯისა და ფეროშენადნობთა წარმოებით, აგრეთვე სხვა ინდუსტრიებით არიან წარმოდგენილი.

პროექტის განვითარების I ეტაპი, რომელიც სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ელემენტის განვითარებას გულისხმობდა, დასრულებულია; კერძოდ, საბაჟო გამშვები პუნქტის მოწყობა, ძირითადი და მეორადი გზების გაყვანა, უსაფრთხოების სისტემის შექმნა, შემოღობვითი სამუშაოები, საწყობებისა და საოფისე ფართების განვითარება.

„რაკია“ ცდილობს განავითაროს და მოიზიდოს, თუმცა შედარებით შენელებული ტემპებით. ნოემბრის თვეში, „რაკია საქართველომ“ განაცხადა, რომ კომპანიას გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოდან გასვლა. მიზეზები არ დაუკონკრეტებიათ. როგორც აცხადებენ, „რაკიას“ შეჩერებული ჰქონდა საქართველოში აქტიური საინვესტიციო საქმიანობა.[23] ისინი აცხადებენ, რომ მხოლოდ არჩევნების შემდეგ, მიაჩნიათ შესაძლებლად საქართველოში ბიზნესის განხორციელება ყოველგვარი ზეწოლის გარეშე. ამასთან, კომპანიაში აღიარებენ, რომ ფოთის თავისუფალი ინდუსტრიულ ზონა ამჟამად არ არის საკმარისად ათვისებული. მათ გამოთქვეს სურვილი და მზაობა, რომ განახორციელონ ინვესტიციები და შეცვალონ ზონის ოპერირების მოდელი.

ფოთი, რომელიც არის საპორტო ქალაქი, განლაგებულია ჩვენი ქვეყნის დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ზონის სავარაუდო სფეროებია: წარმოება, მცირე და საშუალო საწარმოები, საწყობი, ტრანსპორტი, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება.

რა შეიძლება ითქვას ფოთის შესახებ? რატომ მაინცდამაინც ფოთი? რატომ არის იგი სტრატეგიულად მნიშნელოვანი? რა პრობლემები არსებობს ფოთში? ან კიდევ, რამ შეიძლება შექმნას თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ინვესტორებისთვის სასურველი ბიზნესგარემო? შესაძლებელია თუ არა, რომ მსხვილი საერთაშორისო კაპიტალი დაინტერესდეს ფოთის ინდუსტრიული ზონით?

საინტერესოა, არის თუ არა საგადასახადო შეღავათები კაპიტალის მოზიდვისათვის აუცილებელი წინაპირობა? საჭიროა ინფრასტრუქტურა, რომელიც უნდა არსებობდეს, რომ მიიზიდოს ინვესტორები. მთავარ სტიმულად ასევე, ჩაითვლება ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა პოლიტიკური სტაბილურობა, ინვესტიციური გარანტიები, ინფრასტრუქტურის ხარისხი და ადმინისტრაციული პროცედურის სიმარტივე. ინვესტორები დიდ ყურადღებას მიაქცევენ შიდა ბაზარზე შედარებით იაფი კრედიტების მიღების შესაძლებლობას.

რაც შეეხება სამუშაო ძალას, საქართველოში შეინიშნება იაფი მუშახელის ნაკლებობა. ასევე აღსანიშნავია, კვალიფიციური პერსონალის არარსებობა. ამის გამო კი, ხდება უცხოური მუშახელის ჩამოყვანა ისეთი ქვეყნებიდან, როგორიცაა ინდოეთი და ჩინეთი. ეს კი, ხელს უწყობს ამა თუ იმ რეგიონში უმუშევრობის ზრდას. თუ შეიქმნება სამუშაო ადგილები, მოხდება მათი არაპროპორციულად გადანაწილება არამომუშავე მოსახლეობაზე.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ შესაძლებელია ფოთში ინვესტიციების მოზიდვა მხოლოდ მეზობელი ქვეყნებიდან, როგორიცაა რუსეთი და თურქეთი. თუმცა, ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმე-

ბით, რადგან ფოთი არის ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი რგოლი და ფოთის ნავსადგური კვლავაც რჩება მნიშვნელოვან სტრატეგიულ ობიექტად.

რა რისკებს შეიცავს ფოთში ინდუსტრიული ზონის დაარსება? ვინაიდან იგი უკვე დაარსებულია, მთავრობას მოუწევს მნიშვნელოვანი ხარჯების გაწევა. აუცილებელი ხდება ფოთის მიმართ ფინანსური მხარდაჭერის გაწევა საქართველოს მთავრობის მხრიდან. ეს კი, მნიშვნელოვან დანახარჯებთან იქნება დაკავშირებული. მაგალითად, ინფრასტრუქტურის მშენებლობა გაცილებით ძვირი შეიძლება დაჯდეს, ვიდრე მოზიდული ინვესტიციები. მაგალითად, ჩინეთში თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში განხორციელებულმა ინვესტიციებმა შეადგინა 4 მლრდ ამერიკული დოლარი, მაშინ როდესაც თავად ჩინეთის მთავრობის მიერ განხორციელებულმა ხარჯებმა გადააჭარბა 22 მლრდ ამერიკულ დოლარს.[24] ამასთან, ნაკლებსავარაუდოა, რომ მხოლოდ საგადასახადო შეღავათები შეიძლება იყოს მსხვილი საერთაშორისო კაპიტალის მოზიდვის წინაპირობა.

რა იყო ფოთში ინდუსტრიული ზონის შექმნის მიზანი? ემსახურება თუ არა იგი ქვეყნის რეგიონული განვითარების ხელშეწყობას? შესაძლოა, გარკვეული ეკონომიკური სარგებელი ჰქონდეს ზონას თავად ქალაქისათვის, მაგრამ არა მთელი ქვეყნისათვის. ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობამ უნდა განახორციელოს მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდება ფოთის ინფრასტრუქტურაში.

ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“ მიიჩნევს, რომ უმჯობესი იქნებოდა, ინდუსტრიულ ზონასთან დაკავშირებული კანონმდებლობის მეშვეობით განხორციელებულიყო მთელი ქვეყნის ეკონომიკური ლიბერალიზაცია.[25] ამასთან, პრეფერენციული რეჟიმის შექმნა ქვეყნის ერთ რომელიმე რეგიონში გამოიწვევს სოციალურ უთანასწორობას მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამან კი, მომავალში შეიძლება შეაფერხოს ეკონომიკური ზრდა. ასევე, თავისუფალმა ზონამ შეიძლება გამოიწვიოს ინვესტიციების დაგროვება მხოლოდ თავისუფალ ზონაში და არა, მაგალითად, მომიჯნავე რეგიონებში. ავტორთა აზრით, ხელოვნურად შექმნილ პრივილეგიებს შედეგად მოსდევს ინვესტიციების პრეფიციტი[26] ერთ რეგიონში და მეორე მხრივ, გამოიწვევს დეფიციტს სხვა რეგიონებში. ავტორები თვლიან, რომ ინვესტიციების თანაბარი გადანაწილება ოპტიმალური იქნებოდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და მთლიანი შიდა პროდუქტის შექმნის თვალსაზრისით.

საერთაშორისო გამოცდილება გვასწავლის, რომ ამგვარი ზონები წარმატებულია ისეთ ქვეყნებში, სადაც ინვესტიციები თანაბრადაა გადანაწილებული ქვეყნის ყველა რეგიონში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინვესტორი კაპიტალდაბანდებას განახორციელებს მხოლოდ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ანუ იქ, სადაც მოქმედებს ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა.

ავტორთა აზრით, საქართველო მდებარეობს მსხვილი საფინანსო და ინდუსტრიული ცენტრებისგან მოშორებით. ფოთი საინტერესო იქნება მეზობელი ქვეყნებისათვის, მაგრამ საეჭვოდ მიაჩნიათ ტვირთების ტრანზიტის განხორციელება საქართველოს გზის გავლით ისეთი მსხვილი მოთამაშეების მიერ, როგორიცაა ჩინეთი, ინდოეთის და ევროპის ქვეყნები. გარდა ამისა, ავტორები ფოთის ერთ-ერთ სუსტ მხარედ წყალმარჩხ აკვატორიას მიიჩნევენ.[27] ისინი თვლიან, რომ კონკურენტებთან შედარებით, ეს ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა, აკვატორიის განახლება-გაღრმავება დაკავშირებული იქნება სერიოზულ ინვესტიციებთან. აღსანიშნავია, რომ დუბაიში მთავრობის მიერ მრავალმილიარდიანი ინვესტიცია განხორციელდა. მართლაც,

საინტერესოა, აპირებს თუ არა საქართველოს მთავრობა ფოთის ინფრასტრუქტურაში კაპიტალის დაბანდებას.

ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა

2009 წელს, მთავრობის დადგენილებით ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა შეიქმნა. იგი მდებარეობს ქუთაისის ყოფილი საავტომობილო ქარხნის ტერიტორიაზე. მისი საერთო ფართობია 27 ჰექტარი, ფუნქციონირების ვადად 99 წელი განესაზღვრა.

შექმნის ინიციატორია ტერიტორიის მეპატრონე, შპს „ჯორჯიან ინტერნეშნლ ჰოლდინგი," რომელიც ამავდროულად არის ადმინისტრატორიც. იგი შექმნილია 100%-იანი კერძო კაპიტალით და დაფუძნებულია საქართველოს მოქალაქე კერძო პირების მიერ.

ზონის ორგანიზატორს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ეგვიპტურ კომპანიასთან. იგი ფუნქციონირებს ქუთაისის ინდუსტრიულ ზონაში შპს „ფრეშ ჯორჯია"-ს სახელწოდებით. მისი საქმიანობა შემდეგი მიმართულებებით ხორციელდება: საყოფაცხოვრებო ელექტროტექნიკის გამოშვება-რეალიზაცია, ტექსტილის ნაწარმის დამზადება, ნათურების წარმოება.

ეგვიპტური კომპანია ფრეშის საქმიანობის სახეა საყოფაცხოვრებო ელექტროტექნიკის გამოშვება-რეალიზაცია, ტექსტილის ნაწარმის დამზადება, ნათურების წარმოება.

ეგვიპტური „ფრეში" საოჯახო ტექნიკის მწარმოებელი კომპანიაა. მის მიერ 2009 წელს განხორციელებულმა ინვესტიციამ 55 750 580 აშშ დოლარი შეადგინა. რეალიზებული პროდუქციის ღირებულება საქართველოში 107 ათასი ლარია. წარმოებული პროდუქციის პირველი ექსპორტი უკვე განხორციელდა უკრაინასა და აზერბაიჯანში. შპს „Fresh-Georgia" არის ზონის პირველი და ყველაზე მსხვილი მოიჯარე, რომელსაც საოჯახო ტექნიკის მწარმოებელი რამდენიმე ქარხანა აქვს.[28]

კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის ექსპორტი ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკის ქვეყნებში განხორციელდება. საქართველოში პირველად ქარხანამ საბნები, მატრასები, გადასაფარებლები და სხვადასხვა სახის პროდუქცია უნდა გამოუშვას. აქამდე ეს პროდუქცია მხოლოდ თურქეთში იწარმოებოდა. როგორც კომპანიაში აცხადებენ, ტექსტილის ქარხანაში ამ ეტაპზე 105 ადამიანი უნდა დასაქმდეს, ხოლო მისი სრულყოფილად ამუშავების შემდეგ, დასაქმებულთა რაოდენობა 400-მდე უნდა გაიზარდოს.

რა მდგომარეობაა დღეს ქუთაისის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში?

ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ამჟამად განვითარების პროცესშია. ტერიტორიას უტარდება რეაბილიტაცია, ხდება სამრეწველო ინფრასტრუქტურის განახლება. მიმდინარეობს ქუთაისის თიზ-ში სარკინიგზო ხაზის გაყვანა, რომლის მეშვეობითაც ზონაში არსებული კომპანიები შეძლებენ ტვირთების სასურველ დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირებას. „ფრეშ ჯორჯიას" თქმით, სრული დატვირთვით ამუშავებისას ქუთაისის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში უნდა შეიქმნას რამდენიმე სრული სამრეწველო ფუნქციის მქონე დიდი, მრავალპროფილიანი ინდუსტრიული ცენტრი.[29]

ვიდრე ინვესტორი განახორციელებს კაპიტალდაბანდებას, ხომ არ იმოქმედებს მათზე საქართველოში არსებული კონფლიქტური რეგიონები?

არსებობს შეხედებულება, რომ საქართველოს არ გააჩნია ისეთი გეოპოლიტიკური მდებარეობა, რომ გამოიწვიოს მეზობელი ქვეყნების დაინტერესება. ინვესტორები, როგორც წესი, დიდი მოცულობის ტვირთის შემოტანა-გატანით არიან დაკავებულნი. იქნება მათთვის საქართველო ისეთი დიდი ბაზრის მნიშვნელობის მქონე, როგორებიც არიან სინგაპური და ჰონგ-კონგი? ეს კი, უარყოფითად იმოქმედებს დიდი, სერიოზული ინვესტიციების შემოდინებაზე.

ასევე, მნიშვნელოვანია, როგორ იქნება საკუთრების უფლებები დაცული ბიზნესგარემოში. თუ გაგრძელდება კერძო მესაკუთრეთა უფლებების დარღვევა, ეს უარყოფითად იმოქმედებს ინვესტორების გადაწყვეტილებაზე. ერთი სიტყვით, დიდი მნიშვნელობა ექნება, როგორ მოექცევა ხელისუფლება ბიზნესს.

ლადო პაპავა თავის ინტერვიუში გაზეთ „თბილისელების“ კორესპონდენტთან (2007წ, # 23) ამტკიცებს, რომ ფოთის შემდეგ, ასეთი ზონის განთავსებას საქართველოს პოლიტიკური საზღვრების გასწვრივ მოითხოვს მეზობელი სახელმწიფოების საზღვარზე განთავსებული რაიონები (ვთქვათ, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, ალბათ ცხინვალის რეგიონიც). ამით ისედაც მცირე ზომის სახელმწიფოში კიდევ უფრო მეტი ტერიტორია დარჩება სახელმწიფო კონტროლის გარეშე. ეს ზონები იმუშავებენ თავისთავზე და არა ქვეყანაზე. ქვეყანა თავისუფალი ეკონომიკური ზონიდან არანაირ მოგებას არ მიიღებს და სხვ.[30]

თავისუფალი ტურისტული ზონა

საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი (2010 წლის 26 ოქტომბერი) „თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების შესახებ,“ რომლის მიზანია საქართველოში ტურიზმის განვითარება და მეწარმეობის ხელშეწყობა.

კანონი ადგენს პირობებს თავისუფალ ტურისტულ ზონებში სასტუმროების მშენებლობისა და ფუნქციონირებისათვის, ასევე, საგადასახადო და სხვა შეღავათებს. აღნიშნული კანონი ვრცელდება ქობულეთის, ანაკლიისა და განმუხურის თავისუფალ ტურისტულ ზონებსა და სხვა ტერიტორიებზე, რომლებიც განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

თავისუფალ ტურისტულ ზონაში სასტუმრო შენობა უნდა იყოს საშუალო ან მაღალი კლასის, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. სასტუმრო განკუთვნილია თავისი საცხოვრებელი ადგილიდან დროებით გადაადგილებული ან/და ნებისმიერი მიზნით მოგზაური პირის მიღებისათვის/განთავსებისათვის. სასტუმროს მშენებლობასა და ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ინვესტორი.

თავისუფალი ტურისტული ზონა სარგებლობს კანონით დადგენილი პირობებითა და შეღავათებით. „თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის თანახმად, ა) ინვესტორი თავისუფლდება ქონების გადასახადისა და მოგების გადასახადისაგან 15 წლით, ბ) მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისაგან. ინვესტორს მიწის ნაკვეთი საკუთრებაში გადაეცემება სიმბოლურ ფასად, 1 ლარად.

ამავე კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ინვესტორი ვალდებულია: ა) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, დაარეგისტრიროს ცალკე მეწარმე სუბიექტი, რომელიც განახორციელებს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას; ბ) სამინისტროს წარუდგენს განაცხადს და ინფორმაციას სასტუმროს მშენებლობისათვის განსახორციელებელი ინვესტიციების ოდენობის შესახებ; გ) თითოეული სასტუმროს მშენებლობისათვის განახორციელებს არანაკლებ, 1 000 000 ლარის ინვესტიციას; დ) ააშენებს საშუალო ან მაღალი კლასის სასტუმროს და სხვა.

ზემოაღნიშნული კანონი სამ წელზე მეტია ფუნქციონირებს. აქტიურად მიმდინარეობს ინვესტორების მიერ საკურორტო ზონებში მათთვის გამოყოფილი ტერიტორიების ათვისება. ანაკლიისა და განმუხურის ტერიტორიებზე ძირითადად, დასრულდა, ხოლო ქობულეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობს სასტუმროების მშენებლობა, რომლის ამოქმედების შემდეგ, საუკეთესო ინფრასტრუქტურა შეიქმნება ტურისტების მოსაზიდად და ადგილობრივი მცხოვრებლების დასასაქმებლად ტურიზმის ბიზნესში, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები, ახალი კომპლექსები და სხვა, რაც საბოლოო ანგარიშით, ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გაზრდის, მისი ჩართულობისათვის მსოფლიო გლობალურ პროცესებში საუკეთესო საშუალება იქნება.[31]

ამასთან, მიგვაჩნია, რომ გათვალისწინებულ უნდა იქნას საკურორტო ზონებში სანიტარიული დაცვის წესების შემოღება, სადაც აკრძალული იქნება ისეთი სამუშაოების წარმოება, რომლებიც დააბინძურებს ნიადაგს, წყალს, ჰაერს, ზიანს აყენებს ტყეებსა და სხვა მწვანე ნარგავებს, იწვევს ეროზიულ პროცესებს, უარყოფითად მოქმედებს ბუნებრივ სამკურნალო რესურსებზე და კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიულ მდგომარეობაზე. ამასთან, უნდა შენარჩუნდეს ადგილობრივი ლანდშაფტი, დადგინდეს საკანონმდებლო დონეზე საქმიანობის მკაცრი რეჟიმი, რომელიც ითვალისწინებს იმ სანიტარიულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს, რომლებიც აუცილებელია ძირითადი ბუნებრივი სამკურნალო რესურსების მოვლის, დაცვისა და კვლავწარმოებისათვის და სხვ.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონების სარგებლიანობასა და პერსპექტიულობაზე საუბრისას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ცალკე გამოვყოთ თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფუნქციონირების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

დადებითი მხარეები: თავისუფალი ინდუსტრიული ზონის დადებით ეკონომიკურ ეფექტად მოვიაზრებდით როგორც უცხოური, ასევე ეროვნული კაპიტალის მოზიდვას, რაც აუცილებელია ზონის ამოქმედებისათვის. ამასთან, ამგვარი ზონების შექმნა დაკავშირებული უნდა იყოს და იწვევდეს მთლიანობაში ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.[32]

ქვეყანა ამ ზონების მოქმედებით გარკვეულწილად, რეგიონების განვითარების მყარ საფუძველს იქმნის; იგი აქტიურად ერთვება მსოფლიო გლობალურ ეკონომიკურ ცხოვრებაში: რეალურად ხდება ხარისხიანი, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება; იზრდება საქონლის ექსპორტი. შესაბამისად, ბაზრიდან ანალოგიური პროდუქციის გაძევებით მცირდება ქვეყანაში იმპორტი; ერთი სიტყვით, დადებითი თანაფარდობა მყარდება ექსპორტ-იმპორტს შორის, რაც ხელს უწყობს საგარეო ვაჭრობის განვითარებას; მკვიდრდება მოსახლეობის დასაქმების პრობლემის დადებითად გადაწყვეტის ტენდენცია (ყველაზე მთავარი: იქმნება ბევრი სამუშაო

ადგილი); ხელი ეწყობა ინფრასტრუქტურის განვითარებას გზების, მაგისტრალების, სასტუმროების, სხვადასხვა ობიექტების მშენებლობით; თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში უკვე დაიწყო ხარისხიანი, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, რაც ასევე, დადებითად აისახება ქვეყნის მრეწველობის განვითარებაზე და სხვ.[33]

უარყოფითი მხარეები: ამგვარი ზონის შექმნა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. საგადასახადო შეღავათებმა შესაძლოა ბიუჯეტის შემოსავლების მკვეთრი შემცირება გამოიწვიოს. ამისთვის აუცილებელი ხდება საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა. გარდა ამისა, უცხოელ ინვესტორებს ყოველთვის სჭირდებათ მხარდაჭერა ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის. ზონაში უნდა იყოს სათანადო ინფრასტრუქტურა ან რაიმე ფორმით მთავრობა უნდა ჩაერთოს მის შექმნაში.

ამასთან, ლადო პაპავა მიიჩნევს, რომ საშემოსავლო გადასახადის დაკისრება მხოლოდ ადგილობრივი მუშახელისათვის უარყოფითად იმოქმედებს ადგილობრივ დასაქმებაზე. ეს ხდება მაშინ, როდესაც მთავრობის ძირითადი არგუმენტი სწორედ დასაქმების ხელშეწყობა იყო.[34]

საქართველო ითვლება გარკვეული რისკების მატარებელ ქვეყანად, ამან კი, შესაძლოა შეაფერხოს ქვეყანაში ინვესტიციების შემოსვლა და ტექნოლოგიების შემოტანა. აქ იგულისხმება არასტაბილური პოლიტიკური ვითარება.

ლადო პაპავა მიიჩნევს, რომ თავისუფალი ინდუსტრიული ზონები არ იქნება საქართველოში ეკონომიკური სარგებლის მომტანი. მით უფრო, მაშინ, როდესაც მსგავსი ზონები აფერხებს კონკურენციას ადგილობრივ ფირმებსა და ზონაში დარეგისტრირებულ კომპანიებს შორის (ეს უკანასკნელნი კი, როგორც ვიცით, საგადასახადო შეღავათებით სარგებლობენ). ამან კი, შესაძლოა გამოიწვიოს ჩრდილოვანი ეკონომიკის გაძლიერება და გააქტიურება.[35]

ექსპერტთა ჯგუფი[36] მიიჩნევს, რომ ქუთაისის ინდუსტრიული ზონის ამოქმედება დაკავშირებულია ისეთ პრობლემებთან, როგორიცაა კაპიტალიზაცია, ბაზრების მოძიება და მარკეტინგის პრობლემები. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საქართველოში თავისუფალი ინდუსტრიული ზონები ვერ ამართლებენ იმედებს ვერც ხარისხობრივი და ვერც რაოდენობრივი მაჩვენებლით.[37] აქვე დავამატებდით, რომ ის საწარმოები, რომლებიც მუშაობენ თავისუფალ ეკონომიკურ სივრცეში, საჭიროებენ ტექნიკურ გადაიარაღებას, თანამედროვე მოთხოვნების დონეზე საწარმოების აღჭურვას ტექნიკური დანადგარებით, რათა ასეთი საწარმოების მიერ გამოშვებულმა პროდუქციამ საერთაშორისო კონკურენციას გაუძლოს და რეალიზებადი იყოს საერთაშორისო ბაზარზე. მზად არის კი, ამ გამოწვევების წინაშე ასეთი რეჟიმით მომუშავე საწარმოები საქართველოში?

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნა გარკვეულ საფრთხეებს შეიცავს. კერძოდ, იგი შეიძლება გახდეს ნაკლებად კონტროლირებადი. ექსპერტი ლადო პაპავა მიიჩნევს, რომ შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ისეთ ოპერაციებს, რომლებიც ნაკლებად იქნება კონტროლირებადი საქართველოს ხელისუფლების მიერ. აგრეთვე, შესაძლოა ასეთ ზონებში მოხდეს ისეთი გაუკონტროლებელი ოპერაციების ჩატარება, როგორიცაა ფულის გათეთრება.[38]

ამგვარი ზონების შექმნით მოსალოდნელია ინვესტორების მხრიდან გადასახადებისაგან თავის არიდება და ხშირ შემთხვევაში, „შავი ფულის“ გათეთრება, რითაც ზარალდება მრავალი სახელმწიფო და ზოგადად, მსოფლიო ეკონომიკა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ზონების გამო, განვითარებადი ქვეყნები ვერ იღებენ დაახლოებით 50 მლრდ ამერიკული დოლარის კურსის გადასახადებს. „შავი ფული“ სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ

სტაბილურობას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, „შავი ფული“ მსოფლიოს მთლიან შიდა პროდუქტზე 2-5%-ს შორის მერყეობს.[39]

არსებობს შეხედულება, რომ მულტისავალუტო რეჟიმი (რაც ნებადართულია ამგვარ ზონებში) მნიშვნელოვნად შეასუსტებს ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობას.[40]

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში გია ხუხაშვილი მიიჩნევს, რომ ინდუსტრიული ზონების შექმნა არ შეიძლება კეთდებოდეს სტრატეგიული გათვლების გარეშე. როგორც აცხადებენ, თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ეკონომიკური სარგებელი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ამის მიზეზად იგი ამგვარი ზონების ადმინისტრირების საკითხის ბუნდოვანებას მიიჩნევს.[41]

ექსპერტი ლადო პაპავა არ ეთანხმება თავისუფალი ეკონომიკური ზონის დაარსების იდეას და მიიჩნევს, რომ როდესაც ქვეყანას აღებული აქვს ლიბერალური ეკონომიკური მიმართულება, ამგვარი ზონები კარგავს აზრს. თუ საუბარია დამატებითი პრივილეგიის მინიჭებაზე, ამგვარი ზონების ამოქმედება მთელი ქვეყნის მასშტაბით, უფრო მეტად მომგებიანი იქნებოდა.[42]

მართლაც, როდესაც საუბარია გამარტივებულ ადმინისტრაციულ პროცედურებზე, როგორიცაა, მაგალითად, ვიზის აღება, ესეც კი საფუძველს მოკლებულია. ჩვენი ქვეყნის საზღვრები ისედაც მნიშვნელოვნად გახსნილი და ღიაა. ავიღოთ, თუნდაც, უვიზო რეჟიმის დაწესება აშშ-ის, ევროკავშირის, შვეიცარიის, ისრაელისა და სხვა ქვეყნების მოქალაქეთათვის. ასეთებია, მაგალითად, გამარტივებული ბიუროკრატიული პროცედურები, როგორიცაა უვიზო რეჟიმი.

გარდა ამისა, მთელ ქვეყანაში დაწესებული ლიბერალური საგარეო ვაჭრობის რეჟიმისა და ლიბერალური ეკონომიკის ფონზე მრავალი პრივილეგია ამგვარი ზონის მიღმაც იქნა დაწესებული.

ასევე, შესაძლოა, რომ სწორედ საქართველოს მოქალაქეებს შეეზღუდოთ თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში შესვლა (და არა უცხოელებს), თუ ისინი აღნიშნულ ტერიტორიებზე არ იქნებიან დასაქმებული.

უარყოფით ფაქტორებს შორის უნდა ჩაითვალოს პოლიტიკური არასტაბილურობა, ეკონომიკური კრიზისი, სუსტი ინფრასტრუქტურა (გზები, კომუნიკაციები), სუსტი ბიუჯეტი და სხვ.

გასათვალისწინებელია, რომ ზონისთვის დაშვებულმა შეღავათებმა შეიძლება გარკვეულწილად უარყოფითად იმოქმედებს ქვეყნის ბიუჯეტის გაჯანსაღებაზე.

დასკვნები

მაშასადამე, რა შეიძლება ითქვას ინდუსტრიული ზონების პერსპექტივებისა და ეკონომიკური ეფექტების შესახებ?

ზოგად ჭრილში თუ მიმოვიხილავთ, თავისუფალ ზონებში როგორც უცხოური ასევე, ეროვნული კაპიტალის მოზიდვა პირველ ყოვლისა, ამ რეგიონისა და საერთოდ, მთელი ქვეყნის ეკონომიკის, სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას გამოიწვევს; ახალი ტექნოლოგიების მოზიდვით ცხადია, ხელი შეეწყობა ადგილობრივი წარმოების განვითარებას; რეალური ხდება კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, საქონლის ექსპორტის გაზრდა,

ანალოგიური პროდუქციის წარმოებითა და ექსპორტით ცხადია, ქვეყანაში შემცირდება იმპორტული პროდუქციის შემოდინება, ანუ ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობის შექმნა გამოიწვევს საგარეო ვაჭრობის განვითარებას; განვითარებას დაიწყებს ქვეყნის იფრასტრუქტურა; შეიქმნება სამუშაო ადგილები და სხვა.

მაგრამ ამასთან, თავისუფალ ზონებს თან ახლავს უარყოფითი ფაქტორებიც, კერძოდ, აქ ხშირად ხდება ფულის გათეთრება; ნარკოტიკული საშუალებებისა და იარაღის წარმოება; სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მცირდება ასეთ ზონებში შემოღებული საგადასახადო შეღავათებით; დაბალი ტექნოლოგიებით გამოშვებული პროდუქცია კონკურენციას ვერ უძლებს, რაც საწარმოთა გაკოტრების მიზეზი ხდება; არც ჯანსაღი კონკურენცია არსებობს ასეთ ზონებს შორის. საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ ე. წ. ოფშორულ ზონებში სახელმწიფოთა „ჩაურევლობის პრინციპი," მათთვის დაწესებული დიდი შეღავათები, როგორ უარყოფით გავლენას ახდენენ. ოფშორული კომპანიები, ვალდებულნი არ არიან წარადგინონ ბუღალტრული ანგარიშები, ანგარიშების გახსნა შეუძლიათ მსოფლიოს ნებისმიერ ბანკში, ნებისმიერ ვალუტაში, მათთვის გარანტირებულია სახელმწიფოს ჩაურევლობის პრინციპი, კანონმდებლობით მათი კონფიდენციალურობა მკაცრად არის დაცული; ეს კი, სამწუხაროდ, იწვევს მათი მხრიდან უკანონო გზებით მოპოვებული „ფულის გათეთრებას" და სხვ.

მაგრამ თუ მივყვებით საქართველოს ექსპერტთა აზრს, როგორც ვნახეთ, ექსპერ-ეკონომისტები თავისუფალი ეკონომიკური ზონების პერსპექტივას საქართველოში უარყოფითად აფასებენ.

ვეთანხმებით ექსპერტთა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მხოლოდ მეზობელი ქვეყნები (თურქეთი და რუსეთი) იქნებიან ფოთის ინდუსტრიული ზონის სტრატეგიული პარტნიორები. ჩვენთვის კარგად არის ცნობილი რუსეთის ინტერესები კავკასიაში (რომელიც მეტწილად, უკავშირდება ნავთობს).[43]

ვეთანხმებით ექსპერტთა მოსაზრებას[44] და მიგვაჩნია, რომ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში სამეწარმეო საქმიანობის დაწყება მრავალ სირთულეს უკავშირდება. კერძოდ, საქონლის წარმოება დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ მხოლოდ საგადასახადო-ადმინისტრაციული შეღავათები და პრივილეგიები არ არის საკმარისი. ექსპერტთა აზრით, სხვადასხვა ხელსაყრელი პირობების არსებობა აუცილებელია უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად.[45]

მიგვაჩნია, რომ უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მთელი ქვეყნის მასშტაბით უფრო მეტად იქნება გამართლებული და შესაძლებელი, ვიდრე ლოკალურად. ეს კი, იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ქვეყანაში შერჩეული იქნება სწორი ეკონომიკური პოლიტიკა.

მართლაც, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ეკონომიკური სარგებელი ჯერ ვერ მივიღეთ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 2008 წლის რუსეთის სამხედრო აგრესია საქართველოზე, რომელმაც კიდევ უფრო დამღუპველი გავლენა იქონია ამ ზონის განვითარებაზე. რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად რუსეთის სამხედრო ძალების მიერ განადგურდა ფოთის ტერიტორიასა და თავისუფალ ზონაში ტექნიკა-დანადგარები და სხვა საშუალებებიც. ამან კი, მნიშვნელოვნად შეაფერხა ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის წინსვლა.

ფოთისა და ქუთაისის ინდუსტრიული ზონები არ იძლევა ოპტიმიზის საფუძველს, ჯერ არ დადებულა მყარი ეკონომიკური შედეგები. ჩვენი ამოსავალი წერტილი ქვეყნის ეკონომიკური

ინტერესებია, სწორედ ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა უნდა იყოს ინდუსტრიული ზონების შექმნის მიზანიცა და შედეგიც. და თუ მხოლოდ მავანნი მიიღებენ ფინანსურ სარგებელს, ეს ქვეყნის ეკონომიკაზე დადებით და საიმედო გავლენას ვერ იქონიებს.

ჯერ არ ჩანს დადებითი ტენდენცია, მით უფრო, რომ ქვეყნის ეკონომიკური კურსი არ „იტევდა“ ინდუსტრიულ ზონას. მიზეზი კი, მეტისმეტად ლიბერალური ეკონომიკა იყო. ვიდრე საბოლოო დასკვნას გამოვიტანდეთ, უმჯობესი იქნება, დაველოდოთ შეიცვლება თუ არა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა.

გარდა ამისა, აუცილებლად უნდა გამოიკვეთოს სახელმწიფოს როლი სათანადო ინფრასტრუქტურის მშენებლობასა და საზოგადოდ, ამგვარი მასშტაბური პროექტების ხელშეწყობაში (ქვეყნის როლი მხოლოდ საზედამხედველო ორგანოს შექმნით არ უნდა შემოიფარგლებოდეს).

დაბოლოს, იმ შემთხვევაში, თუ ადგილი არ ექნება ბიზნესისათვის ხელის შეშლას, შესაძლებელია, რომ შეიქმნას სათანადო ინვესიტიციური გარემო. ეს კი, ხელს შეუწყობს თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ფუნქციონირებას და ამგვარი ზონების შექმნის მიზნების გამართლებას.

შენიშვნები:

1 http://www.europarl.europa.eu/RegData/bibliotheque/briefing/2013/130481/LDM_BRI(2013)130481_REV1_EN.pdf

2 კიოტოს 1973 წლის კონვენცია „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ.“

3 ევროპის გაერთიანების საბაჟო კოდექსის საბჭოს რეგლამენტი 2913/92, A, ზოგადი დებულებანი, მუხლი 166.

4 ია ხარაზი, ი. ლეონიძე, თავისუფალი ზონა და თავისუფალი საწყობი, ჟურნალი „სამართალი“, #1-2, 2008, გვ. 20-22.

5 ზაურ ამილახვარი, საქართველოს საბაჟო სამართალი, თბილისი, 2007, გვ. 423-424.

6 იქვე, გვ. 424.

7 ია ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, თბილისი, 2011, გვ. 129.

8 ზ. ამილახვარი, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2007.

9 მიხეილ დ. ჩიქოვანი, თავისუფალი ეკონომიკური ზონები, იდეები და პერსპექტივები, იხ.: http://www.iset.ge/files/3._mikheil_chikovani.pdf

10 ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო,“ საქართველოს მთავრობის „50-დღიანი პროგრამა,“ ანალიზი და შეფასებები, 2008, №15. იხილეთ: http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe

11 იაკობ მესხია, ოლეგ ნიკოლეიშვილი, გადასახადები და დაბეგვრა, თბილისი, 2002. გვ. 248.

12 საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, ვლადიმერ პაპავა, თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა – „უკვდავი“ იდეა, აპრილი, 2007, იხ: http://gfsis.org/media/download/library/articles/EXPERT_OPINION_VLADIMER_PAPAVA_ENG.pdf

13 მიხეილ დ. ჩიქოვანი, თავისუფალი ეკონომიკური ზონები, იდეები და პერსპექტივები, იხ.: http://www.iset.ge/files/3._mikheil_chikovani.pdf

14 მიხეილ დ. ჩიქოვანი, თავისუფალი ეკონომიკური ზონები, იდეები და პერსპექტივები, იხ.: http://www.iset.ge/files/3._mikheil_chikovani.pdf

15 ია ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, ნაწილი მეორე, 2011, გვ. 318.

16 ემზარ ჯგერენაია, საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 2002, გვ. 177-178.

17 http://www.netgazeti.ge/GE/26/Life/2415/

18 ია ხარაზი, საერთაშორისო საბაჟო სამართალი, თბილისი, 2013, გვ. 83-84.

19 გაზეთი „კვირის პალიტრა“, #2 (2014), 6-12 იანვარი, გვ. 23, სათაურით: „ტურისტული ზონებით არ დაინტერესდნენ.“

20 მარიკა ბოჭორიძე, თავისუფალი ინდუსტრიული ზონები – გაცრუებული იმედები თუ პროგნოზირებული არაეფექტიანობა, 2012 წლის იანვარი, იხ.: http://gfsis.org/index.php/ge/activities/projects/view/86/page/186/id/362

21 ინტერვიუ „რაკია-საქართველოს“ დირექტორ გუგა ცანავასთან, 2013-11-20, 14:19:27, იხ.: http://commersant.ge/?page=news&id=4528

22 საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, ვლადიმერ პაპავა, თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა – „უკვდავი“ იდეა, აპრილი 2007, იხ.: http://gfsis.org/media/download/library/articles/EXPERT_OPINION_VLADIMER_PAPAVA_ENG.pdf

23 ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო,“ საქართველოს მთავრობის „50-დღიანი პროგრამა,“ ანალიზი და შეფასებები, 2008, №15, იხ.: http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe

24 ბიუჯეტის პრეფიციტი (budget surplus) ერთი მხრივ, ბიუჯეტის შემოსავლებსა და ფულად გრანტებს და მეორე მხრივ, ხარჯებსა და დაკრედიტებას

შორის დადებითი სხვაობა („საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 15). წყარო: მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე], თბილისი, 2004, გვ. 483.

25 ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო,“ საქართველოს მთავრობის „50-დღიანი პროგრამა,“ ანალიზი და შეფასებები, 2008, №15, იხ.: http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe

26 http://www.freshgeorgia.com/in.php?menuid=20&lang=1

27 http://www.freshgeorgia.com/in.php?menuid=20&lang=1

28 ია ხარაზი, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2010, გვ. 665-666.

29 ია ხარაზი, საგადასახადო სამართალი, ნაწილი მეორე, 2011, თბილისი.

30 ია ხარაზი, საგადასახადო სამართალი, ნაწილი პირველი, 2013, თბილისი.

31 იაკობ მესხია, ოლეგ ნიკოლეიშვილი, გადასახადები და დაბეგვრა, თბილისი, 2002.

32 საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, ვლადიმერ პაპავა, თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა – „უკვდავი“ იდეა, აპრილი, 2007, იხ.: http://gfsis.org/media/download/library/articles/EXPERT_OPINION_VLADIMER_PAPAVA_ENG.pdf

33 საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, ვლადიმერ პაპავა, თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა - „უკვდავი“ იდეა, აპრილი, 2007, იხ.: http://gfsis.org/media/download/library/articles/EXPERT_OPINION_VLADIMER_PAPAVA_ENG.pdf

34 ანგარიშები, ანალიზი, რეკომენდაციები, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო,“ 2008. contact@osgf.ge; www.osgf.ge

35 ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“ საქართველოს მთავრობის „50-დღიანი პროგრამა,“ ანალიზი და შეფასებები, 2008 №15, იხ.: http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe

36 საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, ვლადიმერ პაპავა, თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა – „უკვდავი“ იდეა, აპრილი, 2007, იხ.: http://gfsis.org/media/download/library/articles/EXPERT_OPINION_VLADIMER_PAPAVA_ENG.pdf

37 ია ხარაზი, საგადასახადო სამართალი, ნაწილი მეორე, 2011, თბილისი.

38 საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, ვლადიმერ პაპავა, თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა – „უკვდავი“ იდეა, აპრილი, 2007, იხ.: http://gfsis.org/media/download/library/articles/EXPERT_OPINION_VLADIMER_PAPAVA_ENG.pdf

39 ელზა წიკლაური, თავისუფალი ინდუსტრიული ზონები და ქართული რეალობა, 2011 წლის თებერვალი, იხ.: http://gfsis.org/index.php/ge/activities/projects/view/86/page/112/id/260/print/true

40 საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, ვლადიმერ პაპავა, თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა – „უკვდავი“ იდეა, აპრილი, 2007, იხ.: http://gfsis.org/media/download/library/articles/EXPERT_OPINION_VLADIMER_PAPAVA_ENG.pdf

41 ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო,“ საქართველოს მთავრობის „50-დღიანი პროგრამა,“ ანალიზი და შეფასებები, 2008, №15, იხ.: http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe

42 ანგარიშები, ანალიზი, რეკომენდაციები, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო,“ 2008, contact@osgf.ge; www.osgf.ge

43 ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო,“ საქართველოს მთავრობის „50-დღიანი პროგრამა,“ ანალიზი და შეფასებები, 2008 №15, იხ.: http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe

FREE ECONOMIC ZONES

NATIA GIGAURI
Doctoral Student of the Law School of Georgia
Davit Agmashenebeli University

The idea of creation of free trade zones had a deep resonance in Georgia. The main argument of the government of that time was that it would boost the economy and reduce the unemployment rate. However, there were also many opponents to this idea right from its inception. A big part of the economists were skeptical to it and even thought that it was an absurd.

Free Industrial Zones of Poti and Kutaisi do not give any grounds for optimism. The free zones have an uneven ratio of advantages and disadvantages. Tax-administrative benefits and privileges are not enough. There should be some other advantageous conditions for attracting foreign investments. However, there are no such conditions in Georgia. Eventually, we were able to see many gaps and fewer prospects for developing the entrepreneurship. We have not received any economic benefit yet and we think it is premature to speak about any solid economic outcomes now.

It is possible to say that the idea of founding free economic zones is not justified. The situation is different in free tourism zones, which can bring much more economic benefit to the country. Besides, it is a priority of the government of Georgia to develop, for example, the Anaklia tourism zone, and investments are planned to be made. This is what will make the free zones more prosperous in Georgia.



MARTIN PIAZENA

DAS VERABREDEN, AUFFORDERN UND ANLEITEN ZUR BEGEHUNG VON STRAFTATEN UNTER NUTZUNG DER KOMMUNIKATIONSMÖGLICHKEITEN DES INTERNETS,

Duncker & Humblot, Berlin, 2014

მარტინ პიაცენა

დანაშაულების შეთანხმება, ჩადენისკენ მოწოდება და მითითებების მიცემა ინტერნეტის საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით

გამომცემლობა დუნკერი & ჰუმბლოტი, ბერლინი, 2014

რეცენზია

ბაჩანა ჭიშკარიანი
L.L.M სამართლის დოქტორი (მიუნხენი)
ასოცირებული პროფესორი

კომუნიკაციის საშულებების განვითარებასთან ერთად, სისხლის სამართალი, იქნება ეს ქართული თუ სხვა, ყოველდღიურად ახალი გამოწვევების წინაშე დგება, ვინაიდან ხშირად რთულია აქამდე არსებული სასამართლო პრაქტიკისა და ჩამოყალიბებული დოგმატიკის მეთოდებით ინტერნეტ-სივრცეში ჩადენილი ქმედებების შეფასება. სწორედ აღნიშნული პრობლემატიკის ანალიზს ეხება გერმანელი ავტორის, მარტინ პიაცენას ზემოაღნიშნული ნაშრომი.

ნაშრომის დასაწყისშივე ავტორი დაწვრილებით მიმოიხილავს ინტერნეტ-კომუნიკაციის საშუალებებს

და ამასთან, სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით, ამ საშუალებების საჭირო და აუცილებელ დიფერენცირებას ახდენს (გვ. 63 და შემდეგი), ვინაიდან არსებობს კომუნიკაცია, რომელიც ღია და ხელმისაწვდომია ყველასათვის და არსებობს კომუნიკაცია, რომელიც მხოლოდ პირთა გარკვეულ წრეს შორის არსებობს. ეს განსხვავება კი, გადამწყვეტია ზოგიერთი დანაშაულის კვალიფიკაციასთან მიმართებაში, სადაც ადრესატთა წრე გადამწყვეტ როლს ასრულებს.

საინტერესოა ცნებებთან დაკავშირებული მოსაზრებებიც, რომელიც ქართველი იურისტებისთვისაც გასათვალისწინებელია. კერძოდ, საუბარია „ინტერნეტდანაშაულისა“ და „კომპიუტერული დანაშაულის“ ერთმანეთისაგან გამიჯვნაზე (გვ. 112). ინტერნეტდანაშაულში მოიაზრება ნებისმიერი დანაშაული, სადაც ინტერნეტი როგორც დანაშაულის ჩადენის საშუალება ან ობიექტი ფიგურირებს, ხოლო კომპიუტერული დანაშაული უფრო ვიწრო ცნებაა და მოიცავს ისეთ ქმედებებს, სადაც ინტერნეტი საერთოდ არ არის აუცილებელი და თვითონ კომპიუტერია დანაშაულის ჩადენის საშუალება ან ობიექტი – მაგალითად, მონაცემების უნებართვოდ წაშლა. საბოლოოდ, ავტორი გვთავაზობს ერთიან ტერმინს „კომპიუტერული დანაშაულებები ფართო გაგებით,“ სადაც მოიაზრება როგორც ინტერნეტდანაშაულებები ასევე, კომპიუტერული დანაშაულებები ვიწრო გაგებით.

მარტინ პიაცენა თავის ნაშრომში გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგ ნორმებზე აკეთებს აქცენტს (გვ. 117): წაქეზება (§ 26), წაქეზების მცდელობა (§ 30 I), დანაშაულის ჩადენისკენ მოწოდება (§ 111), დანაშაულის ჩადენისათვის მითითებების მიცემა (§ 130ა) და ა. შ. შესაბამისად, აქვე განხილულია საინტერესო მაგალითები და მათი სისხლისსამართლებრივი შეფასება გერმანული სამართლის ჭრილში. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა ეხება ამერიკის შტატ არიზონაში, 2011 წლის იანვარში მომხდარ თავდასხმას დემოკრატ სენატორზე. დამნაშავემ მას სავაჭრო ცენტრში თავში დამიზნებით ესროლა და მძიმედ დაჭრა. მოგვიანებით, სენატორი რთული და ხანგრძლივი მკურნალობის შედეგად გადაარჩინეს. გარდა ამისა, მძიმედ დაიჭრა სავაჭრო ცენტრში მყოფი რამდენიმე მოქალაქე. აღსანიშნავია, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის ჯერ კიდევ, მუშაობდა თავისუფლად ხელმისაწვდომი ინტერნეტსაიტი, რომელშიც ამერიკის რუკა იყო ჩადებული თითოეულ დემოკრატ კონგრესმენზე მითითებით, მათი სახელების, გვარებისა და საარჩევნო ოლქის ჩათვლით. რუკაზე დატანილ დემოკრატების საარჩევნო ოლქებზე სამიზნეები იყო დახატული და რუკას შემდეგი წარწერებიც ახლდა თან: „დროა დავიბრუნოთ ეს ადგილები და ეს 20 კონგრესმენი განვდევნოთ!“ ეს საიტი 2010 წლის ნოემბრის არჩევნებისათვის დაამზადებინა რესპუბლიკელმა სენატორმა თავისი დემოკრატი ოპონენტების წინააღმდეგ გამოსაყენებლად, მაგრამ ის არჩევნების შემდეგაც არ დაუხურავთ. ვინაიდან მოცემულ საიტზე ის პოლიტიკოსიც იყო გამოსახული, ვისზეც მოხდა თავდასხმა, ამერიკულ მედიაში ცხარე დისკუსიები წარმოიშვა ამ საიტის როლთან დაკავშირებით.

როგორ გადაწყდებოდა ეს საკითხი გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, თუ ეს დანაშაული გერმანიის ტერიტორიაზე იქნებოდა ჩადენილი? ხომ არ იქნებოდა სახეზე § 130ა-ის შემადგენლობა – დანაშაულის ჩადენამდე მიყვანა ან სხვაგვარად თუ ვიტყვით, მითითების მიცემა რესპუბლიკელი სენატორის მხრიდან? გერმანულ დოგმატიკაში ეს პარაგრაფი განიმარტება შემდეგნაირად: სხვისთვის ტექნიკური, ლოჯისტიკური ან სხვა სახის ინფორმაციის მიწოდება, თუ როგორ უნდა იქნეს ჩადენილი ესა თუ ის დანაშაული (გვ. 374). თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, ვებგვერდზე რუკისა და სამიზნეების გამოსახვა, ასევე, საარჩევნო ოლქების მითითება არ არის

საკმარისად კონკრეტული ქმედება იმისათვის, რომ § 130ა-ის შემადგენლობა განხორციელებულად ჩაითვალოს. ამისათვის საჭირო იქნებოდა უფრო კონკრეტული ინსტრუქციები, მაგალითად, შესაბამისი იარაღის დასახელება, ქმედების ჩადენის ხერხი და ა. შ.

ავტორი იქვე აგრძელებს მსჯელობას და გადადის წაქეზების შემადგენლობაზე, სადაც აღნიშნავს, რომ საბოლოოდ, წაქეზებაც გამოირიცხება, ვინაიდან წაქეზებისათვის აუცილებელია, რომ წამქეზებელმა მოახდინოს ან კონკრეტული ინდივიდის დაყოლიება ან რიცხობრივად ისეთი ოდენობის პუბლიკაზე ზემოქმედება, რომ იქიდან შესაძლებელი იყოს ამსრულებლის კონკრეტიზება. რესპუბლიკელი სენატორის მიერ გაკეთებული საიტი კი, პირიქით, პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ იყო მიმართული, რასაც ბუნებრივია, რომელიმე კონკრეტული პირის დაყოლიებად ვერ შევაფასებთ (გვ. 377).

განსხვავებით წაქეზებისაგან, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ადრესატის განსაზღვრას ენიჭება, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის § 111 დანაშაულის ჩადენისაკენ საქვეყნო მოწოდებას ეხება ანუ აქ პირიქით, ზემოქმედება ხდება პირთა განუსაზღვრელ წრეზე. მართალია, ავტორის აზრით, ერთი შეხედვით, § 111-ით გათვალისწინებული შემადგენლობა სახეზეა, თუმცა, ის იქვე სვამს ლეგიტიმურ კითხვას: შეიძლება თუ არა საიტზე გაკეთებული მოწოდება აღქმულ იქნას სერიოზულად? მოცემულ კითხვაზე პასუხის გასაცემად გასათვალისწინებელია კონკრეტული სიტუაცია, თუ როდის განხორციელდა ეს მოწოდება და რა კავშირშია ის კონსტიტუციით გარანტირებულ აზრის თავისუფლებასთან. პიაცენას საინტერესო პარალელები აქვს გავლებული გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს პრაქტიკასთან, რომელიც ასევე, არჩევნებთან იყო დაკავშირებული. კერძოდ, კედელზე იქნა წარწერები გაკეთებული შემდეგი მოწოდებით: „ჩამოახრჩვეთ ბრანდტი!“ (იგულისხმებოდა მაშინდელი კანცლერი). მოცემულ საქმეზე ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ დაადგინა თუნდაც, სახეზე იყოს § 111-ის ნიშნები, აუცილებელია, რომ ობიექტურად წარმოიშვას მოწოდების სერიოზულობის შთაბეჭდილება, რაც არჩევნების დროს გამორიცხული იყო, ვინაიდან არც არავის უფიქრია, რომ კედელზე გაკეთებული წარწერით ვინმე მართლა სერიოზულად ითხოვდა კანცლერის ჩამოხრჩობას (გვ. 381). ყოველივე აქედან გამომდინარე, ავტორი არიზონას შემთხვევაშიც მიდის ანალოგიურ დასკვნამდე და თვლის, რომ რესპუბლიკელი სენატორი პასუხს არ აგებს სისხლისსამართლებრივი წესით. ის მოქმედებდა საარჩევნო კამპანიის ფარგლებში და ობიექტურ დამკვირვებელს ინტერნეტ-გვერდის გაცნობით არ გაუჩნდებოდა იმის შეგრძნება, რომ იქ ხდებოდა ცალკეული დემოკრატი სენატორების მოკვლისაკენ მოწოდება, არამედ უბრალოდ სახეზე იყო საარჩევნო სვლა.

მარტინ პიაცენა ნაშრომში სხვა უამრავ საინტერესო კაზუსსაც განიხილავს, თუმცა, რეცენზიის ფორმატიდან გამომდინარე, მათ არ შევეხებით. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ მათთვის, ვისაც შეუძლია გერმანულ ენაზე გაეცნოს სამართლებრივ ლიტერატურას, აღნიშნული ნაშრომი გასაცნობად საინტერესო და სასარგებლო იქნება. განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ ქართული დოგმატიკა, სამწუხაროდ, ამ მიმართულების კვლევებით საკმაოდ ღარიბია.

საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/Tel-Fax: (+995 32) 292 34 90

საქართველოს უზენაესი სასამართლო
THE SUPREME COURT OF GEORGIA
tel-faqsi/Tel-Fax: (+995 32) 299 70 01